

**იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი**

ხელნაწერის უფლებით

მაია ბურდიაშვილი

**ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა
საქართველოში 1921-1924 წლებში**

10 04- ისტორია

ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი
ავთანდილ დელაღუტაშვილი
ისტორიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

თელავი

2013

სარჩევი

შესავალი-----	2-16
I თავი	
საქართველო რუსული კოლონიური რეჟიმის წლებში (1801-1918)-----	17-35
II თავი	
საქართველო დამოუკიდებლობის წლებში და საბჭოთა ოკუპაცია-----	36-53
III თავი	
საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოში საბჭოთა	
ოკუპაციის შემდეგ	
1) ოკუპაციის პირველი წელი-----	54-59
2) საქართველოს ეკლესია საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის დროს-----	60-68
3) ანტისაბჭოთა მოძრაობა. სვანეთის აჯანყება -----	69-78
IV თავი	
1922 წლის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში	
1) პოლიტიკური მოძრაობის გააქტიურება საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ-----	79-96
2) ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი-----	97-112
3) ხევსურეთის აჯანყება-----	113-118
V თავი	
1924 წლის აგვისტოს შეიარაღებული აჯანყება	
1) 1924 წლის აჯანყების წინაპირობები-----	119-130
2) აჯანყების მსვლელობა და მარცხი-----	131-144
3) 1924 წლის კომუნისტური რეპრესიები-----	144-150
ძირითადი დასკვნები-----	151-154

შესავალი

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიის შესწავლა ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ქართველი ხალხის მიერ განვლილი ხანგრძლივი ისტორიული გზა სავსეა უცხოელ დამპყრობლებთან ბრძოლისა და სამშობლოსათვის თავგანწირვის მაგალითებით. ხშირად ეს ბრძოლა იმდენად უთანასწორო პირობებში მიმდინარეობდა, რომ წინასწარვე განწირული იყო დასამარცხებლად. მიუხედავად ამისა, ამგვარი უთანასწორო ბრძოლებიც კი ისტორიის გაკვეთილად იქცეოდა, გმირული სულისკვეთების იმგვარი მაგალითი ხდებოდა, რომ ასაზრდოებდა და აწრთობდა ქართველთა თაობებს, ყველაზე ურთულეს პირობებშიც კი მათ თავისუფლებისათვის ბრძოლის გაგრძელებას შთააგონებდა. ერთ-ერთი ამგვარი უკომპრომისო და თავგანწირვით გამორჩეული იყო 1921-24 წლების ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, როდესაც ერის საუკეთესო შვილები ბოლშევიკურ რეჟიმს დაუპირისპირდნენ და ქართული სახელმწიფოებრიობის გადასარჩენად თავი გაწირეს.

შესასწავლი პრობლემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც ჯერ ეს საკითხი მონოგრაფიული კვლევის საგნად არ ქცეულა, მისი ცალკეული დეტალები: სვანეთისა და ხევსურეთის აჯანყება, შეიარაღებული გამოსვლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, ბოლომდე არ შესწავლილა, ამასთანავე, 1924 წლის აჯანყების შეფასება ხშირად წინააღმდეგობრივი და ტენდენციურია.

ქართველი ხალხის ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისა და რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიისა და ოკუპაციის წინააღმდეგ საბჭოური ისტორიოგრაფია ან დუმილით უვლიდა გვერდს, ან უარყოფითად, მეტიც, ქართველი ხალხის ღალატად აფასებდა. თანამედროვე ისტორიკოსთა ნაწილიც ზოგჯერ ამ ბრძოლას თვლის მასში მონაწილე პოლიტიკოსთა შეცდომად, ქართველი ხალხის მიერ გაღებულ უაზრო

მსხვერპლად. არ ითვალისწინებენ იმ შედეგებს, რომლებიც ამ, თუნდაც „უპერსპექტივო“ ბრძოლებმა გამოიღო შემდეგში ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყებად და ეროვნული იდეალების ხორცშესახმელად.

აღნიშნული თემის კვლევისას უნდა გამოირიცხოს სუბიექტივიზმი და მოვლენები გაანალიზდეს დოკუმენტური მასალებისა და წყაროების, არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ობიექტურად, მთელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის ბრძოლის ფონზე, იმ დროს არსებული საშინაო და საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით.

ჩვენი სამეცნიერო ნაშრომი ძირითად მიზნად ისახავს პირველწყაროების საშუალებით, საარქივო მასალისა და სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების საფუძველზე შეისწავლოს XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, აღმოფხვრას ამ მოვლენების შესწავლაში არსებული ხარვეზი, შეაფასოს ამ ისტორიულ ეტაპზე მებრძოლი ადამიანების როლი და ადგილი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და ისტორიული განვითარების მთლიან პროცესში.

ჩვენ მიერ აღებული ქრონოლოგიური ჩარჩო მკვეთრად არის დეფინიცირებული, რადგან ის არის სრულიად გამორჩეული ეტაპი ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. 117 წლის მანძილზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლა 1918 წლის 26 მაისს წარმატებით დაგვირგვინდა, აღდგა და დაიწყო ახალი სახელმწიფოებრიობის მშენებლობა, საფუძველი ჩაეყარა სახელმწიფო ინსტიტუციებს, ჯარის, პოლიციის ჩამოყალიბებას, ეკონომიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო აღმშენებლობას. ბოლშევიკური რუსეთის არმიამ ძალადობრივად დაამხო ქართული სახელმწიფო და დაიწყო მისი ინსტიტუტების ნგრევა, რასაც ერის პატრიოტებმა თავდადებული წინააღმდეგობა გაუწიეს. ეს ბრძოლა 1921-1924 წლებში მიმდინარეობდა და ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად იქცა.

გარდა იმისა, რომ XX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორია დღემდე ნაკლებად, ან ფრაგმენტულადაა შესწავლილი, მთავარი მაინც არის ის, რომ 1921-1924 წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები კონცეპტუალურად, ისტორიული კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიით ჯერ არ შეფასებულა, რისი გამოსწორებაც აუცილებელია. საკვლევი თემის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ სამეცნიერო ნაშრომში პირველად განიხილება ახალი წყაროები, საარქივო დოკუმენტები, პრესის მასალები, პროცესში მონაწილე პოლიტიკოსთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, საკვლევი პრობლემა პირველად შეისწავლება მონოგრაფიულად.

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 1921-1924 წლებში და პოლიტიკური ბრძოლების გამოცდილება განზოგადებულია საბჭოთა პერიოდში მიმდინარე მოვლენებსა და დღევანდლობასთან მიმართებაში, წარმოდგენილია შესაბამისი დასკვნები.

ნაშრომში გამოყენებულია კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში მოვლენათა ურთიერთგანპირობებულობისა და ურთიერთკავშირის დადგენის პრაგმატული მეთოდოლოგია, ასევე, ისტორიულ-შედარებითი, მეცნიერული ანალიზისა და სინთეზის უნივერსალური მეთოდები.

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე შექმნილ ყველა ნაშრომს უდიდესი თეორიული მნიშვნელობა ენიჭება. მითუმეტეს, ჩვენ მიერ აღებული საკვლევი პერიოდი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. საბჭოთა რეჟიმის დროს უაღრესად რთულ პირობებში მიმდინარე ეროვნული წინააღმდეგობის პროცესი ჯერ კიდევ არაა ბოლომდე შესწავლილი და გაცნობიერებული. აღნიშნული გამოკვლევით გვინდა, მეტნაკლებად, ეს ხარვეზი გამოვასწოროთ და გავანალიზოთ ყველა ის ისტორიული მოვლენა და ფაქტი, რომელიც ამ მოძრაობის შემადგენელი ნაწილია. ამით გამთლიანდება ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მთელი განვლილი ეტაპის შესწავლა.

XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისის (1921-1924 წ.წ.) აჯანყებათა სერია საქართველოში ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია იმ მრავალსაუკუნოვანი ბრძოლისა, რომელსაც ქართველი ხალხი აწარმოებდა თავისი არსებობის მანძილზე უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ამჯერად ეს აჯანყებანი მიმართული იყო საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, რომელმაც 1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლო მოუღო ქართველი ხალხის საუკუნოვანი ბრძოლის მონაპოვარს, საქართველოს პირველი რესპუბლიკის (1918-1921) არსებობას, მის დამოუკიდებლობას და მოახდინა ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია და ანექსია.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისთანავე დაიწყო მზადება ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღსადგენად. 1921 წლის ზაფხულში სვანეთში საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ დაიწყო პირველი საპროტესტო გამოსვლები, რომლებიც შემდეგ რაჭა-ლეჩხუმშიც გავრცელდა. სვანეთის აჯანყება გახდა ნიშანი საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებისა, რომელმაც შემდგომ, რაჭა-ლეჩხუმის გარდა, მოიცვა თითქმის მთელი საქართველო და იგი მსოფლიოს მოწინავე საზოგადოების განხილვის საგნად იქცა. 1922 წლის ივლის-აგვისტოში კახეთსა და ფშავ-ხევსურეთში დაიწყო აჯანყება, რომლის სულის ჩამდგმელი გახდა ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილი. ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის აპოგეას (კულმინაციას) წარმოადგენდა 1924 წლის აჯანყება, რომელიც ისევე, როგორც მისი წინამორბედი გამოსვლები, სისხლში ჩაახშეს. ქართველი ხალხის ამ გამოსვლებს მოჰყვა საშინელი ტერორი და ანგარიშსწორება, რომელმაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმი დამყარდა.

საკვლევად აღებული პრობლემა შეიძლება ითქვას, ფრიად აქტუალურია. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამ საკითხზე მრავალი ნაშრომი დაიწერა, როგორც უშუალო მონაწილეთა, ასევე შემდგომი დროის ისტორიკოსთა და მკვლევართა მიერ. თუმცა, მისი საზოგადო გამომწვეურება მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის ზღურბლზე და მის შემდგომ პერიოდში მოხდა.

მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისის ანტიბოლშევიკური გამოსვლების, მათ შორის 1924 წლის აჯანყების შესახებ მრავალი

ნაშრომი დაიწერა, ბევრი რამ ჯერ კიდევ შეუსწავლელია და ერთგვარი ბურუსითაა მოცული, რაც გამოსწორებას ითხოვს.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ხალხის უმრავლესობა, რომელიც გამოვიდა საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის აგონიიდან, დიდ პატივს მიაგებს ამ აჯანყების მონაწილეებს, მათ შორის ამ აჯანყების ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნათელ ხსოვნას.

სამწუხაროდ, შეინიშნება ის ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც, ნაცვლად იმისა, რომ დაეყრდნონ რეალურ ისტორიულ მასალებს და განადიდონ ამ აჯანყების მონაწილეთა სახელები, ობიექტური შეფასება მისცენ მასში მონაწილეთა თავგანწირვას, სხვათა და სხვათა გადმოცემების საფუძველზე, ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებულ და ზვარაკად შეწირულ ეროვნულ გმირებს აუგად იხსენიებენ და ყაჩაღებად, ბანდიტებად ნათლავენ. ამგვარი შეხედულების უკან იდგა საბჭოთა იმპერიის საინფორმაციო მანქანა, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა მეზობლთა სახელები დამცრობილიყო და ეს გმირები მტრის ხატად წარმოსახულიყვნენ. 1924 წლის აჯანყების მონაწილეების ასეთი შეფასება, განსაკუთრებით მისი იდეური ხელმძღვანელის, - ქაქუცა ჩოლოყაშვილის - დისკრედიტაცია თითქმის მთელი საბჭოთა იმპერიის არსებობის მანძილზე, 70 წლის განმავლობაში, ხდებოდა და ზოგჯერ დღესაც გრძელდება. ამდენად, აღნიშნული პრობლემის გაანალიზება ამ თემის კიდევ უფრო ღრმად და საფუძვლიანად შესწავლის აუცილებლობას წარმოადგენს და იგი XXI საუკუნის დასაწყისშიც არ კარგავს თავის აქტუალობას. „აჯანყების მიზეზები, განვითარების თავისებურება, მასში მონაწილე პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დამოკიდებულება, აქტიურ მონაწილეთა შესახებ ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი შეფასებები აშკარად მიგვანიშნებენ, რომ ეს ისტორიული ფაქტი მომავალშიც სამეცნიერო კვლევა-ძიების ამოუწურავი თემა იქნება“. (წენგუაშვილი, 2005, 83).

ცნობილია, რომ ზემოაღნიშნულ აჯანყებათა შესახებ ტოტალიტარული საბჭოთა იმპერიის ეპოქაში არა თუ მეცნიერული ნაშრომის დაწერა, არამედ მასზე რაიმე

დადებითი აზრის გამოთქმაც კი, სიკვდილის თუ არა, საკონცენტრაციო ბანაკში გადასახლების ტოლფასი იყო. ასე რომ, მკაცრი საბჭოური დოგმატიკით მას პირდაპირ ტაბუ ედო.

როგორც აღინიშნა, საკვლევად შერჩეული პრობლემის შესახებ მრავალი შრომაა დაწერილი და, ალბათ, კიდევ ბევრი დაიწერება. ჯერ კიდევ საბჭოთა იმპერიის წლებში, მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიით, კლასობრივი პოზიციებიდან, ეროვნულ ფასეულობათა უარყოფის და კომუნისტური საბჭოთა სისტემის უპირატესობისა და განდიდების მცდელობით შეიქმნა საბჭოური პერიოდის, მათ შორის XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისის, საქართველოს ისტორია, რომელმაც თავისი ასახვა ჰპოვა ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიული სკოლის მკვლევართა ნაშრომებში. სახელდობრ: ი.კაჭარავას, დ. გოგობიას, გ. გამსახურდიას, გ. ბრეგამის, ვ. მერკვილაძის, კ. შელიას, ლ. გორგილაძის, გ. ჯანგველაძის და სხვათა გამოკვლევებში. თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ მიუხედავად ამ ნაშრომთა ტენდენციურობისა, ზემოთ დასახელებულმა რამდენიმე ცნობილმა ავტორმა ბევრი რამ გააკეთა ეპოქის ცალკეული პრობლემების კვლევის თვალსაზრისით, მათ ნაშრომებში თავმოყრილია მდიდარი ფაქტობრივი და საარქივო მასალა, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ზემოთ დასახელებულ თემას თავის მონოგრაფიაში პირველად შეეხო კ. შელია. ავტორმა საკმაოდ ტენდენციურად შეაფასა ეს ისტორიული ფაქტი და ფართო საზოგადოებას სახალხო აჯანყება უცხოური ძალების ინტერვენციის მცდელობად და სისხლის სამართლის დანაშაულად წარუდგინა. „გახრწნილი მენშევიკური პარტიის ნაშთები საზღვარგარეთ ინგლისისა და საფრანგეთის ხელშეწყობითა და დახმარებით ამზადებდნენ შეიარაღებულ გამოსვლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. გამოსვლების მომზადებას ხელმძღვანელობდნენ თავადაზნაურები, სისხლის სამართლის დამნაშავენი და სხვა ბანდიტები“. (წენგუაშვილი, 2005, 83). თითქმის ასეთ შეფასებას იძლევიან, – „საქართველოს კომუნისტური პარტიის ნარკვევების“ საბჭოთა ავტორები და მიიჩნევენ, რომ ე.წ. ჟორდანიას ეროვნულ ხელისუფლებას კავშირი ჰქონდა უცხოეთის იმპერიალისტურ

ძალებთან და, მათი აზრით, 1924 წლის აჯანყებაც სწორედ ამ ძალებით იყო ინსპირირებული. „სარგებლობდნენ რა ინგლის-ამერიკელ-ფრანგ იმპერიალისტთა და მეორე ინტერნაციონალის ლიდერების მუდმივი მხარდაჭერით და დახმარებით, მათ გაააქტიურეს კონტრევოლუციური იატაკქვეშა საქმიანობა საქართველოში და ამზადებდნენ აშკარა გამოსვლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ“. (საქ. კომ. პარტ. ისტ. ნარკვ., 1971, 550). კ.შელია ეთანხმება ამ მოსაზრებას და იმპერიალისტურ ინტერესებს უკავშირებს მენშევიკურ ავანტიურად მონათლულ სახალხო აჯანყებას.

საბჭოთა პერიოდის ისტორიკოსებს არ დაუსვამთ კითხვა, ხომ არ იყო ეს აჯანყება პროვოცირებული საბჭოთა სპეცსამსახურებისა და სახელმწიფო სტრუქტურების მიერ. თანამედროვე ისტორიოგრაფიაში არსებობს საფუძველი და საკმაო მასალა იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ვარაუდი ხმამაღლა გამოითქვას. სწორედ ამ მიმართულებით თანამედროვე ისტორიოგრაფიაში საგულისხმო კვლევის შედეგები შემოგვთავაზა გ. ციციშვილმა. იგი მიუთითებს, რომ 1924 წლის შეიარაღებული აჯანყება პროვოცირებული და დაგეგმილი იყო უშიშროების მიერ. „საბჭოთა სახელმწიფო უშიშროებამ იმისათვის იზრუნა, რომ საქართველოში უთუოდ მომხდარიყო აჯანყება“. (ციციშვილი, 2004, 43). - ასაბუთებს გ. ციციშვილი. მისი მტკიცებით, ეს ფაქტი, რომ სწორედ საბჭოთა ხელისუფლებამ იზრუნა იმისათვის, რათა საქართველოში აუცილებლად მომხდარიყო აჯანყება, საარქივო და სხვა სახის წყაროების მიხედვით, სარწმუნოდ მიიჩნევა. ეს მოვლენა ხელისუფლებას მისცემდა საშუალებას, დაეწყო ქართული ოპოზიციის წინააღმდეგ ანგარიშსწორება და ამის იდეური გამართლებისთვისაც მიეღწია. იდეური გამართლება კი საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამყარებას გაუადვილებდა. გ.ციციშვილის მოსაზრებით: „1924 წლის აჯანყება, ერთი მხრივ, ხელისუფლების, მეორე მხრივ, საზღვარგარეთული ცენტრის, ხოლო მესამე მხრივ, ადგილობრივი ექსტრემისტული ავანტიურისტის ლიდერების მიერ იყო პროვოცირებული“. (ციციშვილი, 2004, 35). რა თქმა უნდა, ციციშვილის ეს მოსაზრება არასწორია, რადგან აჯანყების ლიდერები იყვნენ არა ავანტიურისტები და ექსტრემისტები, არამედ ქართველი პატრიოტები, რომლებიც

ვერ ეგუებოდნენ რუსეთის მიერ განხორციელებულ ძალადობრივ აქტს, საქართველოს ხელახალ ოკუპაციასა და ანექსიას, ოკუპანტების რეპრესიებს და თავი გაწირეს ამ უთანასწორო ბრძოლაში. მეცნიერი ისტორიკოსის მიერ ფაქტების ასეთი შეფასება არაობიექტურია და წინაპართა მიმართ უმადურობასაც გამოხატავს.

ის ფაქტი, რომ ეს აჯანყება თავიდანვე განწირული იყო, ჩანს ვალიკო ჯუღელის დაკითხვის ოქმიდან. „დაკითხვა აწარმოვა რუსმა ჩეკისტმა მოროზოვმა, რომელმაც პატიმარს თვითონ აჩვენა და გააცნო ქართველთა განზრახული აჯანყების გეგმა, ვიღაც შინაურისაგან გაცემული“. (კირთაძე, 1996, 165). დღეს ეჭვი აღარ არსებობს, რომ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა, რათა სასტიკად დაესაჯა თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველობა და საბოლოოდ აელეზინებინა ხელი ეროვნული მოძრაობის გაგრძელებაზე. „1924 წლის აჯანყებამ საბჭოთა ხელისუფლების ყველა მოლოდინი გაამართლა და სერიოზულად დააზარალა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც დიდი ხნის მანძილზე წელში ვეღარ გაიმართა“. (წენგუაშვილი, 2005, 98). ხელისუფლებამ სისხლში ჩაახშო სახალხო აჯანყება, ტრაგიკულმა შედეგებმა შემდგომში განსაზღვრა დამოკიდებულება საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა სოციალურ ფენებსა და ხელისუფლებას შორის. განსაკუთრებით ინტელიგენციას უმძიმდა არსებულ მდგომარეობასთან შეგუება. მათ შეძლეს ლოიალური დამოკიდებულების შენარჩუნება, რაც ნიშნავდა, რომ ინტელიგენცია ბრძოლის გაგრძელებას არ აპირებდა. წითელმა ტერორმა შემდგომი ორი ათეული წლის განმავლობაში მიზანმიმართული ანგარიშსწორება განახორციელა მის მიმართ. პოლიტიკურ რეპრესიებს ბევრი თვალსაჩინო ხელოვანი და მოაზროვნე შეეწირა. კომუნისტურმა რეჟიმმა უკიდურესად დააზარალა ქართველი ხალხი, დიდი სისხლის ფასად მოიპოვა გამარჯვება საქართველოში და 70-წლიანი დიქტატურა დაამყარა.

მნიშვნელოვანი თემაა ქართველი გლეხობის აქტივობა ეროვნულ მოძრაობაში. 1924 წლის სახალხო აჯანყებაში ქართველი გლეხობის მონაწილეობის საკითხს თავის შრომაში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო აკადემიკოსმა ი. კაჭარავამ. სხვა საბჭოთა ისტორიკოსებისაგან განსხვავებით, მან საკუთარი შეხედულებები ჩამოაყალიბა

იმ შეცდომებზე, რომლებიც დაუშვა საბჭოთა ხელისუფლებამ პარტიული პოლიტიკის გატარებისას. „კომუნისტებმა ვერ შეძლეს გლეხობისადმი მიდგომა, რის გამოც, შექმნეს ურთიერთდაუნდობლობის ატმოსფერო. საბჭოთა რუსეთის გამოცდილების შაბლონურად გადმოღებამ საქართველოში უარყოფითი შედეგები მოგვცა, გლეხობა და ხელისუფლება უფრო დაშორდნენ ერთმანეთს“. (კაჭარავა, 1958, 311). - აღნიშნავს ი.კაჭარავა. მის საწინააღმდეგო მოსაზრებას გვთავაზობს ქართველ-აგრარიკოსთა გარკვეული ნაწილი. მათი შეხედულებით, საბჭოთა ხელისუფლებამ აგრარული რევოლუციის დაჩქარებით მიაღწია იმას, რომ ქართული სოფლის ცხოვრების დონე საშუალო გახადა, გლეხის მატერიალური მდგომარეობა კი გააუმჯობესა. მაშინ იბადება ლოგიკური კითხვა: აბა, რატომ აჯანყდა გლეხობა იმ ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელმაც იზრუნა ქართველი გლეხობისათვის და შედარებით გააუმჯობესა მატერიალური ცხოვრების პირობები? საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მიიჩნეოდა, რომ სოფლის ცხოვრების დონის გაუმჯობესება და ელემენტარული მატერიალური კეთილდღეობა გლეხობის პასუხისმგებლობას ზრდიდა. ბუნებრივია, მათი შეხედულებით გლეხს არანაირი მიზეზი არ უნდა ჰქონოდა და არც უნდა გაეხედა ანტისაბჭოთა ქმედებაში გარეულიყო, ან ბუნებრივი პროტესტი გამოეთქვა ხელისუფლების წინააღმდეგ. მიუხედავად ასეთი შეფასებისა, ქართველი გლეხი მაინც დადგა სამართლიანობის მხარეზე. მათი მონაწილეობა 1924 წლის სახალხო აჯანყებაში არის ბუნებრივი ლტოლვა დამოუკიდებლობისა და ეროვნული თავისუფლებისაკენ. საბჭოთა ხელისუფლებამ იზრუნა იმისათვის, რომ სისხლში ჩაეხშო ქართველი გლეხის ლტოლვა თავისუფლებისა და ეროვნული თვითმყოფადობისაკენ, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ხალხს სამუდამოდ დაევიწყებინა დამოუკიდებლობის გემო.

ქართულ ისტორიოგრაფიაში 1924 წლის სახალხო აჯანყების შეფასების ბუნდოვანი ვერსიები კიდევ დიდხანს იქნებოდა უცვლელად გაბატონებული, რომ არა XX საუკუნის 80-იან წლებში დაწყებული ღრმა პოლიტიკური ძვრები, გარდაქმნისა და საჯაროობის შედეგად მიღებული ინფორმაციის თავისუფლება და გასაჯაროება.

მას შემდეგ, რაც საქართველომ შეძლო საბჭოთა იმპერიის მარწუხებისაგან თავის დაღწევა და დამოუკიდებლობის მოპოვება, დაიწყო ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ახალი ხანა. მკვლევართა ამოცანა გახდა დაშვებული შეცდომების გასწორება, ისტორიის „თეთრი ლაქების“ ამოვსება, რეალური, ნამდვილი და ჭეშმარიტი ისტორიის დაწერა. „საბჭოთა საქართველოს ისტორიაზე მომუშავე მეცნიერები (მათი ძირითადი ნაწილი) გაემიჯნენ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ათეული წლების განმავლობაში ჩამოყალიბებულ სტერეოტიპებს, ზოგ შემთხვევაში საკუთარ ნააზრევსაც კი“. (წენგუაშვილი, 2005, 4) - წერს მკვლევარი კ. წენგუაშვილი.

მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან თითქმის ყველა თაობის მეცნიერ-მკვლევარი ენერგიულად შეუდგა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ახალი და უახლესი პერიოდის ხელახლა შესწავლას. „საქართველოს უახლესი ისტორიის მეცნიერულ კვლევას უპირატესობას ანიჭებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ.ჯავახიშვილის სახელობის, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობა: საბჭოთა ისტორიის „თეთრი ლაქების“ შესწავლა და წარმოჩენა, ახალი წყაროებისა და დოკუმენტების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა, წინა თაობის ისტორიკოსების მოღვაწეობის შედეგების ათვისება ინსტიტუტის თანამშრომელთა სამეცნიერო მოღვაწეობის ერთ-ერთი მიმართულებაც არის“. (წენგუაშვილი, 2005, 8). _ ვკითხულობთ ზემოთ დასახელებული ავტორის ნაშრომში. ასე რომ, ფაქტობრივად, ბოლო მოელო ისტორიის გაყალბებას, ტენდენციურობას, ტაბუ აეხსნა მრავალ თემას, ხელმისაწვდომი გახდა საიდუმლოდ წოდებული არქივები და ფონდები, დაიბეჭდა პირველი შრომები. მათგან აღსანიშნავია: ალ.ბენდიანიშვილის, უ.სიდამონიძის, ლ.სანიკიძის, გ.შარაძის, ნ.კირთაძის, დ.შველიძის, ვ.გურულის, მ.ვაჩნაძის, მ.სიორიძის, ავ.სონღულაშვილი, ალ.დაუშვილის, ლ.თოიძის, გ.ციციშვილის, გ.გასვიანის, დ.ჭუმბურიძის, შ.ვადაჭკორიას, ს.ვარდოსანიძის, კ.წენგუაშვილის, ე.ნარიშანიძის, თ.ენდელაძის, რ.გრძელიძის, ვ.ბენიძის, ი.ლიქოკელის, ნ.ყიფშიძის, ლ.ჯიქიას, ო.ჯანელიძის, გრ.კლდიაშვილის და სხვათა ახლებურად გააზრებული პუბლიკაციები, კრებულები, მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები.

XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ არსებული საბჭოური და პოსტსაბჭოური ლიტერატურა საფუძვლიანად აქვს გაანალიზებული მკვლევარ კობა წენგუაშვილს მონოგრაფიაში - „საქართველოს 1921-1925 წლების ისტორიის ისტორიოგრაფია“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებულ ავტორთა შორის აღნიშნული პრობლემის შესწავლის საქმეში ნაყოფიერი შრომა გასწია პროფ. ნესტან კირთაძემ, რომელმაც მას თხუთმეტამდე პუბლიკაცია მიუძღვნა. მათ შორისაა მისი სადოქტორო-სადისერტაციო ნაშრომი - „1924 წლის აჯანყება საქართველოში“, რომელიც 1996 წელს გამოქვეყნდა. 1998 წელს ნ.კირთაძემ გამოაქვეყნა დოკუმენტების კრებული „კაენ სად არის ძმა შენი?!“ და „რა მოხდა?!“, რომელშიც თავმოყრილია სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივში დაცული მრავალი ფაქტოლოგიური მასალა. ამავე წელს პროფესორმა ოთარ ჯანელიძემ ფართო საზოგადოებას წარუდგინა 1924 წლის სახალხო აჯანყების ახალი დოკუმენტები.

1924 წლის აჯანყება ბევრი ისტორიკოსის საკვლევი თემა გახდა, უკვე XX საუკუნის 90-იანი წლებიდან. ქართველმა ისტორიკოსებმა გამორჩეული ადგილი დაუთმეს ამ მნიშვნელოვანი ფაქტის საფუძვლიან შესწავლას. იკვლევდნენ აჯანყების პირობებს, აჯანყების მომზადების პროცესში დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა როლს და დახმარების საკითხს, მამოძრავებელ ძალებს და ხელმძღვანელთა ერთიანობის პრობლემას, დამარცხების გამომწვევ მიზეზებს და შედეგებს. ამ მიმართულებით ქართულ ისტორიოგრაფიაში რადიკალურად შეიცვალა შეფასებები და შეხედულებები. საკვლევი თემების ჩამონათვალს შორის უმნიშვნელოვანესი მაინც სახალხო აჯანყების გამომწვევი მიზეზების კვლევა და შესწავლაა. მაგალითად, მკვლევარ რ.გრძელიძის აზრით, „1924 წლის აჯანყების უმთავრესი მიზეზი და მიზანი იყო დამოუკიდებლობის დაკარგვა და მისი აღდგენა“. (გრძელიძე, 1992, 5). ასეთივე შეხედულებებს აყალიბებენ თავიანთ მონოგრაფიებსა და კვლევებში ფ.ლომაშვილი, გ.ციციშვილი, ნ.კირთაძე, ა.სურგულაძე, პ.სურგულაძე და სხვები. ვ.ბენიძის მოსაზრებით კი, აჯანყების გამომწვევ უმთავრეს მიზეზად მიიჩნევა „ე.წ. „კლასობრივი მტრების“ განუკითხავი დევნა,

მთავრობის არასწორი სამეურნეო პოლიტიკა და ოპოზიციური პარტიების აღნიშნულ ფაქტებზე აგებული დაჟინებითი პროპაგანდა დემოკრატიული ხელისუფლების აღდგენის აუცილებლობის შესახებ“. (ბენიძე, 1991, 30).

ჯერ კიდევ აჯანყების დაწყების წინა პერიოდში აქტიურად განიხილებოდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების დახმარების საკითხი. აქტუალური გახდა ემიგრანტული მთავრობის დამოკიდებულება სახალხო აჯანყების მოწყობასთან დაკავშირებით. აჯანყების მსვლელობის დროს არსებობდა დიდი იმედი და იყო მთავარი აზრი სამხედრო ძალით ევროპის ქვეყნებისაგან რეალური დახმარების შესაძლო მიღების შესახებ. თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ამ მიმართულებით ჩამოყალიბდა ქართველ ისტორიკოს-მკვლევართა მოსაზრებები. მაგალითად, მკვლევარი მ.სამსონაძე ამასთან დაკავშირებით მიუთითებს: „აჯანყების ადგილობრივ თუ საზღვარგარეთულ მოთავეებს კარგად ესმოდათ, რომ საკუთარი ძალებით საქართველო რუსეთის უღელს ვერ გადაივდებდა“. (სამსონაძე, 2001, 4). ევროპის ყურადღების მიპყრობა დახმარების იმედს უსახავდა აჯანყების მონაწილეებს, თუმცა ამ თვალსაზრისის რეალური საფუძველი არ არსებობდა. ამ დროისათვის საქართველო და კავკასია ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ ინტერესებში არ შედიოდა. ისინი ითვალისწინებდნენ ახლადჩამოყალიბებული ბოლშევიკური საბჭოთა რუსეთის ინტერესებს და, შესაბამისად, ანგარიშსაც უწევდნენ. მოგვიანებით, ანტანტის ორმა ქვეყანამ, ინგლისმა და საფრანგეთმა, აღიარა საბჭოთა კავშირი და მასთან დიპლომატიურ ურთიერთობაზეც არ თქვა უარი. ასე რომ, თანამედროვე ისტორიოგრაფიაში, დასავლეთიდან რეალური დახმარების საფუძველიანი იმედის არსებობის ყოველგვარი შესაძლებლობა გამოირიცხა. ამ მხრივ საინტერესოა ნ.კირთაძის ნაშრომი „1924 წლის აჯანყება საქართველოში“, სადაც მოყვანილია სოციალისტ-ფედერალისტ დადიანის დაკითხვის დეტალები. აი, ნაწყვეტი მისი დაკითხვის ოქმიდან: „ომს საქართველოს გულისთვის არც ინგლისი და არც საფრანგეთი არ წამოიწყებს... ევროპის მხრიდან რეალურ დახმარებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. მით უფრო არ შეიძლებოდა მე-2 ინტერნაციონალის იმედით ყოფნა, რადგან მას არავითარი რეალური შესაძლებლობა არა აქვს. საქართველოს საკითხი მათ შეუძლიათ გამოიყენონ

მხოლოდ იმისათვის, რომ თავიანთ ქვეყნებში პროპაგანდა გასწიონ ბოლშევიზმის წინააღმდეგ. ამაზე იმედის დამყარება არ შეიძლება“. (კირთაძე, 1996, 304).

საგულისხმოა აგრეთვე დემოკრატიული საქართველოს სამხედრო მოღვაწის, გენერალ გიორგი მაზნიაშვილის, მოხსენება, რომელიც მან 1925 წლის 10 ოქტომბერს წაიკითხა პარიზში. „მთავრობის წევრების დავალებით მოვინახულე საფრანგეთის სამხედრო სამინისტროს II განყოფილების პოლკოვნიკი ფურნიე და გავაცანი მას მთავრობის ინფორმაცია საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ. პოლკოვნიკმა მიმითითა რუკაზე და მითხრა: აი, კოლოსალური რუსეთი და თქვენი პატარა საქართველო - შეგიძლიათ კი თქვენ მცირე შესაძლებლობებით დაამარცხოთ იგი? თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებისა და საფრანგეთის საშინაო ვითარებიდან გამომდინარე, ჩვენი მხრიდან არავითარი დახმარების იმედი არ უნდა იქონიოთ“. (წენგუაშვილი, 2005, 95).

1924 წლის აჯანყების მარცხით დასრულების გამო ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები ჩამოყალიბდა თანამედროვე ისტორიოგრაფიაში. აჯანყების სავალალო შედეგი ბევრ მკვლევარს უარყოფითად განაწყობს და მიიჩნევს, რომ 1924 წლის აჯანყება იყო დიდი უბედურების მომტანი ქართველი ხალხისათვის და არავითარი სასიკეთო მას არ მოუტანია. ასეთ შეფასებას იძლევა გ.ციციშვილი და მკვლევარების - ვ.ბენიძის, რ.გრძელიძის, ნ.კირთაძის და სხვათა მოსაზრებების წინააღმდეგ გამოდის. თუმცა, ბევრი ისტორიკოსის შეხედულებით, მიუხედავად მარცხისა და დიდი მსხვერპლისა, აჯანყებას ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. ფ.ლომაშვილის შეფასებით: „აჯანყებას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. მან ნათელყო, რომ ქართველი ხალხი თავისი ეროვნული სახელმწიფოებრიობის დაკარგვას არასოდეს შეურიგდებოდა“. (ლომაშვილი, 1997, 113).

აღსანიშნავია ემიგრირებული ხელისუფლების წარმომადგენელთა, კერძოდ, ნ.ჟორდანიას მოსაზრება. მას მიაჩნია, რომ „ავვისტოს აჯანყებას ჰქონდა დიდი დადებითი შედეგები. შიგნით მან გააერთიანა მთელი ერი“. (გრძელიძე, 1992, 3).

შედეგების განხილვისას უთუოდ უნდა იქნას გათვალისწინებული ის მიზეზები, რომელთაც განაპირობებს აჯანყების მარცხი. როგორც საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, აგრეთვე თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ჩამოყალიბდა შეხედულება და საერთო მოსაზრება აჯანყების ხელმძღვანელთა ერთიანობისა და მათი მიზანმიმართული ქმედებების შესახებ. მიიჩნევა, რომ აჯანყების ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო, მომხდარიყო ინტერესთა შეკავშირება და ერთიანი სახალხო ბრძოლის წარმოება. სამწუხაროდ, თავი იჩინა დაქსაქსულობამ, შინაპარტიულმა დაპირისპირებამ, ურთიერთშეუთანხმებლობამ. მივიღეთ სავალალო და ტრაგიკული შედეგი. ამიტომ ზემოთ დასახელებული მიზეზი აჯანყების მარცხის გამომწვევ მიზეზთა შორის ერთ-ერთი უმთავრესია.

ზემოაღნიშნული პრობლემის ირგვლივ მასალები საკმაოდ ვრცლადაა მოცემული ემიგრანტულ ლიტერატურაში, რომელიც დოკუმენტური კრებულების, ნარკვევების, მემუარების სახითაა წარმოდგენილი და ეკუთვნის ნ.ჟორდანიას, ი.წერეთელს, ა.ჩხენკელს, ალ.ბადურაშვილს, ვლ.მგელაძეს, ალ.კარგარეთელს, ს.ზალდასტანიშვილს, შ.ამირეჯიბს, გრ.ლორთქიფანიძეს, ზ.ავალიშვილს, ვ.ნოზაძეს, ალ.მანველიშვილს, ვ.ჩუბინიძეს, გრ.ვეშაპელს, აკ.პაპავას, კ.გვარჯელაძეს, რ.არსენიძეს, კ.სულაქველიძეს, ი.კუჭუხიძეს, კ.ინასარიძეს და სხვ.

XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისის მიმდინარე მოვლენებს საქართველოში ასახავს ემიგრანტული ჟურნალისტური პრესა. მათ შორისაა ჟურნალები: „დროშა“, „კავკასიონი“, „ბრძოლა“, „ბედი ქართლისა“, „გუშაგი“, „ივერია“, სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების გაზეთები: „თავისუფალი საქართველო“, „საქართველო“, „ახალი საქართველო“, „სახალხო საქმე“ და სხვა.

აღნიშნული პრობლემის კვლევისათვის უდავოდ საინტერესოა ასევე იმდროინდელ საქართველოში გამომავალი პერიოდული გამოცემანი, სახელდობრ: „საქართველოს რესპუბლიკა“, „სახალხო საქმე“, „საქართველო“, „ერთობა“, „ერი“, „სოციალისტ-ფედერალისტები“, „ახალი სხივი“, „ახალი გზა“, „მამგრალთა ხმა“ და სხვა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს XX-XXI საუკუნეების ზღურბლზე საქართველოში გამომავალი პერიოდული გამოცემები, სადაც მოცემულია სხვადასხვა თაობის პუბლიცისტთა საინტერესო გამოკვლევები, ნარკვევები, დოკუმენტები, შეხედულებები. ესენია გაზეთები: „ლიტერატურული საქართველო“, „მამული“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „რესპუბლიკა“, „ქართული ფილმი“, „სახალხო განათლება“, „ერი“, „თბილისი“, „ერთობა“, „ახალგაზრდა ივერიელი“ და სხვა, ჟურნალები: „პოლიტიკა“, „საისტორიო ფურცლები“, „განთიადი“, „მნათობი“, „ცისკარი“, „საქართველოს კომუნისტი“, „მხედარი“ და სხვა.

ცნობილია, რომ ნებისმიერი ისტორიული პრობლემის გადაჭრის საქმეში ერთ-ერთი მთავარი როლი წყაროთმცოდნეობით ბაზას ენიჭება. ჩვენ წინაშე მდგარი პრობლემის გაშუქებაც, მისი ობიექტური გააზრება და მისი სრული, რეალური სურათის წარმოჩენა ისტორიული წყაროების გარეშე წარმოუდგენელია. ზემოაღნიშნული თემის შესახებ განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის სხვადასხვა განყოფილების ფონდებში დაცული მეტად მდიდარი მასალები, ფოტოდოკუმენტები; მეტად ღირებული მასალებია შემონახული ასევე საქართველოს პოლიტიკური პარტიების არქივის ფონდებში; ყურადსაღებია აგრეთვე ჰარვარდის ფონდის მიკროფირები, რომლებიც ამჟამად საქართველოს ეროვნულ არქივშია განთავსებული.

წინამდებარე თემაში გამოყენებულია: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივის 285-ე ფონდში დაცული მასალები, საქართველოს შსს არქივის მე-6 და საქართველოს პოლიტიკური პარტიების მე-13 და მე-14 ფონდებში დაცული მასალები.

I თავი

რუსეთის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ზოგადი დახასიათება (1801-1918)

XVIII საუკუნის მიწურულს რუსეთის საიმპერატორო კარმა საბოლოოდ გადაწყვიტა ქართლ-კახეთის სამეფოს ბედი. მეფე ერეკლე II-ისა და ქართველი დიპლომატების მრავალგზის თხოვნის მიუხედავად, რუსეთი ტრაქტატის პირობების შესრულებას და ქართლ-კახეთის სამეფოსთვის რეალურ დახმარებას არ აპირებდა. ცხადი ხდებოდა იმპერიის ჩანაფიქრი: სურდათ, საქმე ისე მოეწყოთ, რომ ქართულ მხარეს მეფობის გაუქმება და რუსეთის შემადგენლობაში შესვლა თავად ეთხოვა. სამწუხაროდ, მოვლენები ისე განვითარდა, რომ რუსეთს თავისი მიზნების სისრულეში მოყვანა გაუადვილდა. ეს დრო კი ერეკლე მეორის გარდაცვალებისთანავე დადგა. ტახტის კანონიერი მფლობელი, ერეკლეს უფროსი ვაჟი გიორგი XII, რთული მდგომარეობიდან გამოსვლას რუსეთის მფარველობაში შესვლით ხედავდა. ერთადერთი იმედი მისთვის რუსეთი იყო, რომელთანაც ურთიერთობის წყალობით ტახტს შეინარჩუნებდა. ბატონიშვილებს შორის ურთიერთდაძაბულობა ჯერ კიდევ ერეკლეს სიცოცხლეში იგრძნობოდა. მეფის გარდაცვალების შემდეგ უკმაყოფილება ურთიერთდაპირისპირებაში გადაიზარდა. სწორედ ამ ვითარებაში გიორგისათვის ერთადერთი გამოსავალი რუსეთის საიმპერატორო კარი იყო, რომელიც იქნებოდა მისთვის ტახტის შენარჩუნების გარანტი. გიორგიმ რუსეთისადმი სრული მორჩილების დასამტკიცებლად ახალი ხელშეკრულების მომზადება დაავალა ელჩებს. ამ ხელშეკრულების ძალით ქართლ-კახეთის სამეფო მთლიანად რუსეთის საიმპერატორო კარს უნდა გადასცემოდა. სამეფო იქცეოდა გუბერნიად, ხოლო მეფე გიორგის და მის შთამომავლებს ტახტი შეუნარჩუნდებოდათ. ეს იყო ერთადერთი მოთხოვნა ქართველი მეფისა, საიმპერატორო კარი კი ტახტის შენარჩუნების წყალობით დასტურს იძლეოდა.

არსებობს ეჭვი, რომ გიორგის ეს გადაწყვეტილება დამოუკიდებლად არ მიუღია, მან ეს ნაბიჯი სწორედ რუსეთის მითითებით გადადგა.

1799 წლის 23 ნოემბერს გიორგი XII-სა და იმპერატორ პავლე I-ს შორის ხელმოწერილი ტრაქტატი უკვე მზად იყო, რომლის ძალითაც რუსეთის იმპერატორის ტიტულს დაემატა საქართველოს მეფის ტიტულიც. ადგილობრივად კი, საქართველოს მეფის ტიტული გიორგი XII-ის შთამომავლებს რჩებოდათ. თუმცა მეფის ხელისუფლება არ იქნებოდა შეუზღუდავი, რადგან მის თანაშემწედ რუსეთის დიდი მოხელე ინიშნებოდა. გიორგი მეფის გადაწყვეტილება მხოლოდ მისმა პირადმა მრჩევლებმა იცოდნენ. ოჯახის წევრებმა და ბატონიშვილმა დავითმა ყველაფერი მაშინ შეიტყვეს, როდესაც მეფე სასიკვდილო სარეცელზე იწვა. განსაკუთრებით ტახტის მემკვიდრის, დავით ბატონიშვილისათვის, იყო ეს ფაქტი მძიმე გადასატანი: „მამაჩვენმა ყელში დანა გამოგვისვაო,“ (საქ. ისტ. ნარკვ., 1973, 808). წამოუძახია მაშინ, როდესაც შეუტყვია გიორგის მიერ ხელმოწერილი ტრაქტატის შინაარსი. ფაქტია, აღარაფრის შეცვლა აღარ შეიძლებოდა.

გიორგის ხელმოწერილმა „სათხოვარმა პუნქტებმა“ დიდი როლი შეასრულა შემდგომში რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს საბოლოო გაუქმებაში. 1801 წლის იანვარში იმპერატორ პავლე I-ის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფო გუბერნიად გამოცხადდა. საიმპერატორო კარმა მმართველობის ახალი წესებიც კი შეიმუშავა, რომლითაც უნდა ემართათ გუბერნიად ქცეული ყოფილი ქართული სამეფო: „1801 წლის 6 მარტს პეტერბურგში შეიმუშავეს ქართლ-კახეთის ახალი მმართველობის წესები, 11 მარტს სახელმწიფო სენატმა გენერალ-გუბერნატორად დანიშნა ცნობილი კნორინგი, ხოლო სამოქალაქო გუბერნატორად რუსეთში აღზრდილი და გარუსებული გენერალი ორბელიანი. 1801 წლის 11 მარტს კი, პავლე იმპერატორის მკვლელობასთან დაკავშირებით, ქართლ-კახეთში რუსული მმართველობის დანერგვის საქმე დროებით შეჩერდა.“ (საქ. ისტ. ნარკვ., 1973, 816). მაგრამ მხოლოდ დროებით, რადგან პავლე პირველის ვაჟმა ალექსანდრე პირველმა ტახტზე ასვლისთანავე დაიწყო საქართველოს საკითხის ბოლომდე მიყვანა და მიიღო კიდევ გადაწყვეტილება. „ალექსანდრეს ტახტზე ასვლიდან რამდენიმე თვეში გამოქვეყნდა ალექსანდრე პირველის 1801 წლის 12

სექტემბრის მანიფესტი, რის საფუძველზედაც ქართლ-კახეთის სამეფოს ლიკვიდაცია დასრულდა და იგი რუსეთის იმპერიის გუბერნიად იქცა.“ (საქ. ისტ. ნარკვ., 1973, 817). საიმპერატორო კარმა, მანიფესტის შინაარსის ბატონიშვილებისათვის გაცნობაზეც იზრუნა. 1802 წლის 12 აპრილს, სიონის საკათედრო ტაძარში თავშეყრილი ქართული საზოგადოების წინაშე პირველად იქნა წაკითხული მანიფესტის შინაარსი, რაც ბატონიშვილების აღშფოთების მიზეზი გახდა. მაგრამ წინააღმდეგობის გაწევას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ქვეყნის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

„საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო. ფაქტი ის არის, რომ საქართველოს მიმართ, რუსეთმა თავისი მიზნები იმ ნიღბით აღასრულა, რაც მას საერთოდ არ ჩვეოდა: ყოველგვარ დაპყრობას ტერიტორიისა, ყოველგვარ ძალადობას, ყოველგვარ ჩაგვრას, ცარიზმი ახორციელებდა მხოლოდ განათლების, ლიბერალიზმის, ხალხთა გათავისუფლების ნიღბით.“ (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, სამსონაძე, ქოქრაშვილი, ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008, 26).

ჯერ კიდევ 1801 წლის გაზაფხულზე საქართველოში გენერალი კნორინგი ჩამოვიდა. მან გამგეობიდან გადააყენა დავით ბატონიშვილი და ქართლ-კახეთში რუსული მმართველობა დამყარდა. რუსული მმართველობის დამყარება კი პრაქტიკულად ქართული სამეფოს რუსულ გუბერნიად გადაქცევას ნიშნავდა. თუმცა ამას ხმამაღლა არ აცხადებდნენ და ახალ მმართველობას „საქართველოს მმართველობას“ უწოდებდნენ. ნამდვილად კი „საქართველოს მმართველობა“ დიდად არ განსხვავდებოდა რუსეთის რომელიმე სხვა გუბერნიის მმართველობისაგან.“ (საქ. ისტ. ნარკვ., 1973, 827).

რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ინტერესებში მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველო არ შედიოდა. ჯერი მიდგა იმერეთის სამეფოს გაუქმებაზეც. იმერეთის მეფე სოლომონ მეორე, ბუნებრივია, არ შეეგუებოდა ერთი ხელის მოსმით სამეფოს გაუქმებას. იგი არ შემდრკალა და თავისი მდგომარეობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაც დაიწყო. მიუხედავად სოლომონ მეორის დიდი ძალისხმევისა, იმერეთის სამეფოს გაუქმება რუსეთმა 1810 წლისათვის მაინც მოახერხა. სამეფოს გაუქმებაში დიდი წვლილი შეიტანა ტომით ქართველმა, გარუსებულმა მთავარმართველმა პავლე

ციციანოვმა. „ციციანოვმა კარგად გათვლილი ვერაგული გეგმა შეიმუშავა, რომელიც გულისხმობდა, რომ რუსეთი ერთხანს მოითმენდა იმერეთის სამეფოს არსებობის ფაქტს, თუ კი სოლომონი დათანხმდებოდა ხელი მოეწერა ციციანოვის მიერ შემოთავაზებულ სათხოვარ პუნქტებზე. პუნქტები კი ისე იყო შედგენილი, რომ იმერეთის სამეფოს დამოუკიდებლობის ნიშანწყალსაც არ ტოვებდა.“ (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, სამსონაძე, ქოქრაშვილი, ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008, 32).

იმერეთის სამეფოს გაუქმებასა და იქ რუსული კოლონიური რეჟიმის დამყარებაში დიდი წვლილი ადგილობრივმა ქართველმა ფეოდალებმაც შეიტანეს, რომლებიც საკუთარი ინტერესებით მოქმედებდნენ და ქვეყნის მომავალი არც ანადვლებდათ. „რუსეთის მომხრე მთავარმა ლევან დადიანმა, ცხენისწყალი გადალახა და სოფლების დაკავებას და ხალხის დაფიცებას შეუდგა.“ (ჭავჭავაძე, 1940, 248).

საქართველოს დაპყრობისთანავე რუსეთმა ბაგრატიონთა საგვარეულოს დაუნდობელი დევნა წამოიწყო. რუსული კოლონიური პოლიტიკის ნაწილი იყო ბაგრატიონების გაძევება საქართველოდან. ძალის გამოყენებით რუსეთში იქნა გასახლებული ქართლ-კახეთის უკანასკნელი მონარქის ოჯახის წევრები. შეურაცხმყოფელი ქმედებით და ფიზიკური ზეწოლის შედეგად, ერთიმეორის მიყოლებით გადაასახლეს დარეჯან და მარიამ დედოფლები. „ქართლ-კახეთის ანექსიის ფაქტის შემდეგ, რუსეთის კოლონიური ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებათა შორის ყველაზე უსამართლო, ყველაზე უზნეო და არაადამიანური მეფის ოჯახის წევრთა სამშობლოდან გადასახლების ოპერაციის ჩატარება იყო.“ (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, სამსონაძე, ქოქრაშვილი, ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008, 29).

დასრულდა თუ არა ბაგრატიონთა სახლის დევნა, რუსმა მოხელეებმა დაიწყეს ქართველი ხალხის დამორჩილება და დამონება. „რუსეთის მთელი პოლიტიკა და მოქმედება საქართველოს მიმართ ნამდვილად რუსული პოლიტიკური ინტერესებით იყო ნაკარნახევი და მხოლოდ ნიღბჩამოფარებული, მაგრამ ტლანქი ეროვნული ეგოიზმის განხორციელება იყო... რუსეთი საქართველოს ისე უყურებდა, როგორც კარგ იარაღს, რომელიც საჭიროებისამებრ შეიძლებოდა მშვენივრად გამოეყენებინა თავის

სასარგებლოდ.“ (ჯავახიშვილი, 1919, 38). რუსეთისათვის საქართველო წარმოადგენდა დასაყრდენს აღმოსავლეთში თავისი ბატონობის საბოლოო განმტკიცებისათვის. რუსეთი XIX საუკუნის დასაწყისიდანვე გამუდმებულ ომებს აწარმოებდა ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ. საქართველოსთვის ეს დიდი ტვირთი იყო, რადგან მომარაგება სურსათითა და ასევე სხვა სახის მომსახურებით უზრუნველყოფა ქართველობას ეკისრებოდა. ამას ემატებოდა საოკუპაციო რეჟიმის დამყარება, რომელიც მოსახლეობას ავიწროვებდა და ჩაგრავდა. რუსი ჩინოვნიკები და სალდათები ბევრ უმსგავსო და არაადამიანურ ქმედებას სჩადიოდნენ: ანადგურებდნენ სოფლებს, მამულებს, ხელყოფდნენ კერძო საკუთრებას, მოსახლეობას სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ. „პირველად ვნება მამულებისა, ვენახების გაკაფვა და შიგ სასახლეების გაკეთება... ვაზიანს მამულებზედ ცხენით, კალასკით და აგრეთვე ჯარისაგან მარადის სიარული და მამულების აოხრება...“, (დოკუმენტები, 1999, 35). _ ვკითხულობთ კახეთის 1812 წლის აჯანყების დოკუმენტებში. გლეხებს ართმევდნენ სარჩოს და უკანასკნელ საარსებო ლუკმას, არად დაგიდევდნენ ხალხის თხოვნას და მუდარას. რუსი სალდათების დამამცირებელი ქმედებით აღშფოთებულა სისასტიკით ცნობილი რუსი გენერალი ლაზარევიც კი. იგი დაუფარავად ამხელდა მათ საქციელს: „აფიცრები, მარტოდენ ჟინიანობით გატაცებულნი, თხოულობენ საბეგრო ცხენებს და ურმებს, შაურს არ აძლევენ პატრონებს და ამით ოჯახს ულუპავენ. სალდათები პირად შეურაცხყოფას აყენებენ მცხოვრებლებს, სტაცებენ საქონელს, ფრინველს და ხილს, ანადგურებენ ბოსტან-ბაღჩებს, ვენახებს: ღვინოს რომ დალევენ და გაილეშებიან, ქვევრებს მიწით ავსებენ, იქამდე მიდის მათი უგუნურობა, ავზნიანობა.“ (ფრონელი, 1907, 39). უკიდურესად გაჭირვებული ქართველი გლეხოზა უიმედოდ იყო დარჩენილი, ვისთვის შეეჩვილათ გასაჭირი და ეთხოვათ შველა, არ იცოდნენ. „ვიტყოდით, მოდი თავები დავიხრჩოთ, სხვა ნუგეში ვერა ვიცით რა.“ (დოკუმენტები, 1999, 25). გამწარებული გლეხი სიკვდილს ნატრობდა. რუსი სალდათები გლეხების სარჩოს და სურსათის წართმევით არ კმაყოფილდებოდნენ, ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფასაც აყენებდნენ, ქალებს ნამუსს ხდიდნენ და ოჯახებს ღირსებას ულახავდნენ. ბოდბელი

გლები ამბობდნენ: „ცივილბაშ-ოსმალს და ლეკსაც ვჭერივართ და მისთანა რისხვა არ მოდგომია საქართველოს, ახლა რომ დაემატა.“ (დოკუმენტები, 1999, 26).

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, რუსეთი შავი და კასპიის ზღვებზე გასაბატონებლად იბრძოდა. მას დაპირისპირება მოუხდა ირანთან და ოსმალეთთან. ომის წარმოებისათვის უპირველესად საჭირო იყო სამხედრო გზის გაყვანა, რომელიც ქართველი გლების ხელით კეთდებოდა და ძალიან დიდ შრომასა და ჯაფას მოითხოვდა. რუსი მოხელეები პირუტყვებით ეპყრობოდნენ და იძულებით ერეკებოდნენ მძიმე სამუშაოზე ხალხს. „გზებს აწმენდინებდნენ, ფოსტის ცხენებივით ბარგს აზიდვინებდნენ კავკავიდან დუშეთამდე. მთიელებს ესეც არ აკმარეს..., მათრახის ცემით ზურგსა და გვერდებს უჭრებდნენ. როგორ უნდა აეტანა თავმოყვარე მთიელს, თავიდან ფეხებამდე იარაღში ჩამჯდარს, მის თვალწინ რომ დედაკაცებს მარხილში აბამდნენ და მათრახით ერეკებოდნენ.“ (ფრონელი, 1896, 107).

რუსული თვითმპყრობელური პოლიტიკა ქვეყნის ყველა სოციალურ ფენას შეეხო. მოსახლეობის უკმაყოფილება დღითიდღე იზრდებოდა. მძაფრი იყო პროტესტი სახელმწიფოებრიობის გაუქმებასთან დაკავშირებით, რასაც ხალხი დაუფარავად გამოხატავდა. „რუსული თვითმპყრობელური მმართველობის სისტემა მეტნაკლებად ყველა კლასის უკმაყოფილებას იწვევდა. თავადაზნაურობა, სამღვდელოება და ხალხი ბუნებრივია, მოწონებით ვერ შეხვდებოდა სახელმწიფოებრიობის მოსპობას.“ (ბენდიანიშვილი, 1980, 66).

გაუსაძლისმა პირობებმა, რომლებიც დღითიდღე აუტანელს ხდიდა ხალხის ცხოვრებას მოსახლეობის დიდ ნაწილს ხელში იარაღი ააღებინა და დაიწყო სტიქიური გამოსვლები. XIX საუკუნის დასაწყისი ხასიათდება გამუდმებული აჯანყებებით. 1804 წლის მთიულეთის აჯანყება, 1812 წლის კახეთის აჯანყება, რომელსაც ალექსანდრე ბატონიშვილი ხელმძღვანელობდა, 1819-1820 წლების აჯანყება იმერეთსა, რაჭასა და გურიაში, აგრეთვე 1832 წლის შეთქმულება, რომელიც დაგეგმა ქართულმა ინტელიგენციამ და თავადაზნაურობამ, იყო ქართველი ხალხის გალაშქრება რუსული კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1812 წლის

კახეთის აჯანყება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ერეკლე მეორის ვაჟი ალექსანდრე ბატონიშვილი. აჯანყება რამდენიმე თვე გაგრძელდა და მოიცვა თითქმის მთელი კახეთი. „1812 წლის დამდეგს კახელთა აჯანყების უშუალო მიზეზი გახდა სოფლებში საეგზეკუციო სამხედრო რაზმების ჩაყენება, მომატებული სასურსათო გადასახადის ძალის გამოყენებით აკრეფა, რუს მოხელეთა სხვადასხვაგვარი თვითნებობა-უსამართლობა.“ (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, სამსონაძე, ქოქრაშვილი, ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008, 61).

ქართველი ხალხის ეროვნულ ჩაგვრას სოციალური ჩაგვრაც ემატებოდა. ქართველ ფეოდალთა დიდი ნაწილი საბრალო ხალხს დაუნდობლად ეპყრობოდა და ისედაც გაუსაძლის ყოფას კიდევ უფრო უმძიმებდა. ამიტომ აჯანყების მიზეზად რუსი სალდათების თავაშვებულ ქმედებასთან ერთად ყმა გლეხებისადმი ქართველი თავადების სასტიკი მოპყრობაც სახელდება. „კახეთის 1812 წლის აჯანყება, ისტორიკოს-მკვლევართა თუ შემოქმედთა მიერ რუს მოხელეთა და ქართველ ფეოდალთა განუკითხავი ქმედებების მიზეზით გამოწვეულ სოციალურ-კლასობრივ ბრძოლად იქნა გამოცხადებული.“ (გელაშვილი, 2003, 89).

სამწუხაროდ, ყველა აჯანყება მარცხით დასრულდა, მაგრამ შეიარაღებული გამოსვლებით ქართველმა ხალხმა თვითმპყრობელ რუსეთს აჩვენა დაუმორჩილებლობა და სიმამაცე, რითაც დაარწმუნა, რომ ერის საბოლოო განადგურებას ვერ შეძლებდა.

რუსეთი ყოველგვარი ხერხებით ცდილობდა კავკასიაში სრული ბატონობის დამყარებას. ამისთვის საჭირო იყო კარგად შენიღბულიყო. იგი საქართველოს უნდა მოვლენოდა, როგორც ქრისტიანობის მფარველი, რადგან ქართველ მეფეთა პრორუსულ ორიენტაციაში გადამწყვეტი როლი სწორედ ერთმორწმუნეობის ფაქტორი იყო. საუკუნეების განმავლობაში ისლამურ სამყაროსთან გამუდმებული ბრძოლებით დაღლილ საქართველოს მართლმადიდებელი რუსეთის პოლიტიკური ინტერესები აკმაყოფილებდა. ეს იყო ისტორიული არჩევანი. ქართული ეკლესიისათვის ერთმორწმუნეობის ფენომენი, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი იყო, რაც რუსეთის კოლონიური პოლიტიკისათვის უკვე წარმატებულ ნაბიჯად ითვლებოდა. სამწუხაროდ, რუსეთის მოიმედე საქართველო

მხოლოდ ცარიელი დანაპირების ამარა რჩებოდა. მას „რუსეთის ხელისუფალნი და დიპლომატიური სამსახურები ძირითადად თავისი სამხედრო-პოლიტიკური მიზნების სასარგებლოდ იყენებდნენ, მისი მფარველობის მოიმედე საქართველო კი თამაშში ყოველთვის წაგებული რჩებოდა.“ (ჯავახიშვილი, 1919, 38)

საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთდამოკიდებულება დაფუძნებული იყო ისტორიულად ჩამოყალიბებულ პრინციპებზე. ეს პრინციპები იყო: „სარწმუნოების გავრცელებაში სრული თავისუფლება და ძალდაუტანებლობა; საეკლესიო წყობისა და შინაგანი მართვა-გამგეობის სრული დამოუკიდებლობა, საერო ხელისუფალთა მხრივ უმაღლეს საეკლესიო იერარქთა უფლებამოსილებაში ჩაურევლობა, საეკლესიო ქონების ხელშეუხებლობა. საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაცია სწორედ ეკლესიის მართვა-გამგეობის ამ პრინციპების საპირისპიროდ იქნა მიმართული.“ (როგავა, 2002, 33).

სამწუხაროდ, რუსეთმა, როგორც სჩვეოდა, უხეში მეთოდებით დაიწყო ჩარევა ქართული ეკლესიის საშინაო საქმეებში. ილახებოდა ეკლესიის უფლებები, რუსი მოხელეები კათალიკოსის უფლებებს უხეშად არღვევდნენ. მთავარმართებელმა ტორმასოვმა დაიწყო ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც მიმართული იყო საქართველოს ეკლესიის ადმინისტრაციული და სტრუქტურული გარდაქმნისაკენ. ქართული ეკლესიის რეფორმა რუსეთმა დაგეგმა და მისი განხორციელება ისევ ქართველთა ხელით გადაწყვიტა. კათალიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე საეკლესიო რეფორმაზე მხოლოდ ერთი პირობით დათანხმდა: საქართველოს ეკლესიას დამოუკიდებლობა უნდა შენარჩუნებოდა. სინამდვილეში, რეფორმა თავისი შინაარსით სწორედ ეკლესიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ იყო მიმართული. „დაგეგმილი რეფორმა კი საქართველოს ეკლესიის რუსეთის საეკლესიო სისტემაში ჩართვასა და სრულ შერწყმას თვალისწინებდა, რაც მხოლოდ მისი ავტოკეფალიის გაუქმებით მიიღწეოდა.“ (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, სამსონაძე, ქოქრაშვილი, ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008, 43). მიზნის განსახორციელებლად ჯერ კათალიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე უნდა გაეწვიათ საქართველოდან. იმპერატორ ალექსანდრე პირველის ბრძანებით,

ანტონ მეორე სანკტ-პეტერბურგში იქნა მიწვეული. „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ენაწილობა თავისი ქვეყნისა და საკათალიკოსო ტახტის დატოვება, ამიტომ ფეხს ითრევდა, მაგრამ რუსი მოხელეების ძალდატანებამ და მის მიმართ წაყენებულმა ყალბმა ბრალდებებმა იძულებული გახადეს, რუსეთში გამგზავრებულიყო. 1810 წლის 3 ნოემბერს ანტონ მეორე თბილისიდან გავიდა, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში უკანასკნელად წირა, პარაკლისიც გადაიხადა და ცრემლმორეული სამუდამოდ გამოეთხოვა თავის ქვეყანას და სამწყსოს.“ (ბუბულაშვილი, 2011, 85). კიდევ ერთი ბაგრატიონი გაისტუმრეს საქართველოდან და ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებასაც წინ აღარაფერი ედგა.

პეტერბურგში ჩასულ ანტონ მეორეს გააცნეს ალექსანდრე პირველის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც საქართველოს ეკლესია რუსეთის წმინდა სინოდს უნდა დაქვემდებარებოდა და, შესაბამისად, „ახალ მართვა-გამგეობასთან შეუთავსებელი იქნებოდა საქართველოში კათოლიკოსის ყოფნა.“ (როგავა, 2001, 21). ანტონ მეორის პროტესტის მიუხედავად, იგი საქართველოს ეკლესიას ჩამოაცილეს და არც საქართველოში დაბრუნების ნება დართეს. ქართულმა მართლმადიდებულმა ეკლესიამ დამოუკიდებლობა დაკარგა და რუსული სინოდის ნაწილად იქცა, ქართულ ეკლესიას კი რუსი ეგზარქოსები ჩაუდგნენ სათავეში. დაიწყო საეკლესიო მამულების სეკულარიზაცია. მოგვიანებით, იმპერატორ ალექსანდრე მეორის ბრძანებით კი, მთელი საეკლესიო მიწები, ეკლესიის მთელი ქონება, – უძრავიც და მოძრავიც, სამუდამოდ გადავიდა ხაზინის საკუთრებაში. ქართულ ეკლესიას შეგნებულად გამოაცალეს ეროვნული საყრდენი, რათა განმათავისუფლებელი მოძრაობის ყოველგვარი შესაძლებლობა მოესპოთ.

რუსეთმა მიაღწია დასახულ მიზანს, ამიერკავკასიაში მოიპოვა პოლიტიკური ბატონობა, ეკლესიას წაართვა დამოუკიდებლობა, დაიწყო ცხოვრების რუსულ ყაიდაზე გარდაქმნა, დაიწყო ქართული ენის დევნა-შევიწროება, დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს ყველაფერ ეროვნულს. „XIX საუკუნის II ნახევრისათვის რუსეთმა

ფაქტობრივად და იურიდიულად დაიკანონა თავისი ბატონობა ამიერკავკასიაში, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიასა და შავი ზღვის სანაპიროზე.“ (ვაჩნაძე, გურული, 2003, 79).

მიუხედავად რთული ვითარებისა, ქართველი ხალხი ეროვნული დამოუკიდებლობის აღსადგენად ბრძოლის შეწყვეტას არ აპირებდა. მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო ანტირუსული მოძრაობის ახალი ეტაპი. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას თერგდალეულები ჩაუდგნენ სათავეში. ისინი გამოვიდნენ ეროვნული ღირსებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღსადგენად, ენის სიწმინდის, საერო და სასულიერო კულტურის დასაცავად. საჭიროდ ჩათვალეს ერის კონსოლიდაცია და რეალობას შეგუებული ხალხის გამოფხიზლება. „ყველამ, ვისაც რა შეუძლია, ამ მიმართულების ქვეშ მოიყაროს თავი და ერთად, ძმურად იმოქმედოს.“ (ჭავჭავაძე, 1956, 126). ამას წერდა ქართველი ხალხის წინამძღოლი, თერგდალეულების ლიდერი ილია ჭავჭავაძე. ილია აკრიტიკებდა რუსეთის ბიუროკრატias, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას და რუსი მოხელეების დანაშაულებრივ ქმედებებს ქართველი ხალხის მიმართ, ქართველ ინტელიგენციას კი მოუწოდებდა ეზრუნა ერის გამთლიანებაზე და ეროვნული თვითმყოფადობის აღდგენაზე. ილიამ „ქართველ თავადაზნაურთა წოდებრივ თვითმმართველობას, წინამძღოლებსა და დეპუტატებს მოუწოდა რუსეთის უზენაესი მთავრობის წინაშე ალემრათ შუამდგომლობა საქართველოსათვის პოლიტიკური ავტონომიის მინიჭების შესახებ.“ (ჭავჭავაძე, 1956, 130). რუსეთისთვის საქართველოს პოლიტიკური ავტონომია მიუღებელი იყო. ქვეყანაში დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც თერგდალეულების იდეოლოგიას მოჰყვა, ხალხში გავრცელდა და ბევრი ადამიანი ეროვნული იდეით განმსჭვალა. ამ მოძრაობას ვერაფერი შეაჩერებდა, რადგან მასში ჩაებნენ ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, სტუდენტები, მოსწავლეები.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა ფარული ორგანიზაცია- „საქართველოს თავისუფლების ლიგა,“ რომელმაც მიზნად დაისახა ქვეყნის წინაშე უანგარო სამსახური და იტვირთა ეროვნული მოძრაობის ლიდერობა. შეიქმნა ლიგის

სამოქმედო პროგრამა, რომელშიც ჩამოყალიბებულ იქნა ის მიზნები და მიზეზები, რაც ლიგის ჩამოყალიბებას უძღოდა წინ. „საქართველო დაჩაგრულია, ქართველ ერს ემუქრება მშობლიური ენის, ზნე-ჩვეულების, მიწა-წყლის დაკარგვის საფრთხე. ქართველი ხალხი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არაერთხელ ყოფილა მძიმე მდგომარეობაში, მაგრამ გამოსავალი მოუნახავს. მას არც ეხლა დაუკარგავს იმედი. „თავისუფლების ლიგა“ მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საქართველოს გამოსვლას ეკონომიკურ-სოციალური და პოლიტიკური განვითარების ფართო გზაზე, დარაზმოს ქართველი ხალხი თავისუფლებისათვის საბრძოლველად“, (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, სამსონაძე, ქოქრაშვილი, ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008, 346). - ეწერა ლიგის პროგრამაში. სამწუხაროდ, ლიგამ თავისი მიზნები ვერ აღასრულა, რადგან რუსეთის ჟანდარმერიამ ფარული ორგანიზაციის კვალს მიაგნო, დაარბია და მისი აქტივისტები დააპატიმრა. მიუხედავად ლიგის წევრთა დაპატიმრებისა, მოსახლეობის ეროვნული ინტერესები და ანტირუსული განწყობა უცვლელი რჩებოდა.

XX საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოში კვლავ დაიწყო პოლიტიკური აღმავლობა და ანტირუსული მოძრაობის ახალი ეტაპი. ჩამოყალიბდა ისეთი პოლიტიკური პარტიები, რომელთა მთავარ მიზანს ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა წარმოადგენდა. ქართული ინტელიგენცია და პატრიოტთა დიდი ნაწილი საქართველოს ფარგლებს გარეთ განვითარებულ მოვლენებს ეროვნულ ინტერესებს უკავშირებდა. 1905 წელს რუსეთში დაწყებული რევოლუციური აღმავლობის ფონზე ქართველმა ხალხმა ყველა მაზრაში დაამხო რუსული ხელისუფლება და შექმნა რევოლუციური თვითმართველობის ორგანოები. ხალხს გაუჩნდა რწმენა, რომ შეძლებდა ეროვნული საკითხი ბოლომდე გადაეჭრა, მაგრამ რუსეთის ცარიზმმა შეიარაღებული ძალებით სისხლში ჩაახშო დემოკრატიული რევოლუცია. ქართველ პატრიოტებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის წამოწყებული ბრძოლა საქართველოს ფარგლებს გარეთ განაგრძეს.

1913 წელს ჟენევაში რუსული ხელისუფლებისაგან დევნილმა ქართველმა პატრიოტებმა ჩამოაყალიბეს ეროვნულ-დემოკრატიული ორგანიზაცია - „თავისუფალი

საქართველო“, რომლის აქტიური წევრებიც იყვნენ: გიორგი მაჩაბელი, ლეო კერესელიძე, გერონტი ქიქოძე, მიხეილ (მიხაკო) წერეთელი, პეტრე სურგულაძე, ვარლამ ჩერქეზიშვილი.

1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, ორგანიზაცია „თავისუფალი საქართველოს“ საფუძველზე ჩამოყალიბდა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“. მალე ეს ორგანიზაცია გადავიდა ბერლინში და იქ გააჩაღა აქტიური მუშაობა. ორგანიზაციის წარმომადგენლების მთავარ მიზანს წარმოადგენდა, ურთიერთობა დაემყარებინათ გერმანიის ხელისუფლებასთან. ისინი თვლიდნენ, რომ პირველ მსოფლიო ომში რუსეთის დამარცხების გარეშე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა შეუძლებელი იქნებოდა. ორგანიზაციის წევრებმა შეძლეს და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარეს. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორ დამთავრდებოდა მსოფლიო ომი და როგორ პოლიტიკურ კურსს აირჩევდა საქართველო. ეს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში აინტერესებდა გერმანიის მხარეს, რადგან ომში ქართველები იბრძოდნენ რუსეთის მხარეს და, ბუნებრივია, ურთიერთდაახლოებას ეს ფაქტი აფერხებდა. ეს საკითხი იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას პოლიტიკურ წრეებში, მაგრამ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის წინაპირობად გერმანია-ავსტრიის ბლოკის გამარჯვება და რუსეთის მარცხი მიაჩნდა და ამიტომ წინა პლანზე წამოსწია ანტირუსული შეიარაღებული აჯანყების იდეა, რომლის რეალიზაცია გერმანიისაგან მიღებულ სამხედრო პოლიტიკურ დახმარებას დაუკავშირა.“ (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, სამსონაძე, ქოქრაშვილი, ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008, 354-355).

ქართულ პოლიტიკურ წრეებში კარგად იყო გააზრებული საქართველო-გერმანიას შორის მჭიდრო პოლიტიკური კავშირის აუცილებლობის საკითხი. ქართველი პატრიოტები ხვდებოდნენ, თუ ომი ანტანტის გამარჯვებით დასრულდებოდა, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხიც ძალზე გართულდებოდა. „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა შეუძლებელი იქნებოდა ამ დიდ ომში რუსეთის დამარცხების გარეშე.“ (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, სამსონაძე, ქოქრაშვილი,

ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008, 355). ახლა მთავარი იყო, პატრიოტ ემიგრანტებს სწორად ემოქმედათ და გერმანიისაგან მიეღოთ დახმარების იმედი. დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები - მიხაკო წერეთელი და გიორგი მაჩაბელი გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებს შეხვდნენ. მათი მიზანი იყო, შეეტყვოთ ომში გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში ჰქონოდათ თუ არა მათი დახმარების იმედი. დამკომის წევრები შეხვდნენ გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებს, შეხვედრას მოჰყვა ხელშეკრულების გაფორმება: „რომელშიც დაფიქსირდა მუხლები იმის შესახებ, რომ ომში გამარჯვებული გერმანია დაეხმარებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასა და სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვაში.“ (გრძელიძე, 1995, 6). ეს შეთანხმება ქართული მხარისათვის წარმატებულ პოლიტიკურ ნაბიჯად ითვლებოდა.

ემიგრანტულმა პატრიოტულმა მოძრაობამ მალე გერმანიიდან თურქეთში გადაინაცვლა. სტამბულში გერმანიის ელჩისა და ქართველი მაჰმადიანების დახმარებით შესაძლებელი გახდა ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლებასთან დაკავშირება. ოსმალეთი გერმანიის მოკავშირე იყო, გარდა ამისა, საქართველოს მოსაზღვრე და ისტორიულად დაკავშირებული მეზობელი. ქართული მხარისათვის მთავარი იყო, ოსმალეთის იმპერიას ეცნო საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და დადგენილიყო ახალი საზღვრები. მოლაპარაკებები სამხედრო-პოლიტიკური კავშირით დასრულდა, რომელიც ოსმალეთ-საქართველოს შორის ხელშეკრულებით გაფორმდა. „ოსმალეთის მთავრობა სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას მის ისტორიულ-რეალური ტერიტორიის ფარგლებში, ხელს შეუწყობს რუსეთის ჯარისაგან გაწმენდილ ტერიტორიაზე საქართველოს დროებითი მთავრობის შექმნას.“ (გოცირიძე, 1997, 13). სამაგიეროდ, ოსმალური მხარე ითხოვდა გარკვეულ შეღავათებს, რომელიც დაფიქსირებული იყო საქართველო-ოსმალეთს შორის დადებული ხელშეკრულების მეცხრე მუხლში. „ომის განმავლობაში ოსმალეთი ისარგებლებდა საქართველოს რკინიგზებითა და გზატკეცილებით. ომის დამთავრების შემდეგ კი ოსმალეთის მთავრობა დაუყოვნებლივ გაიყვანდა თავის ჯარებს საქართველოდან.“ (გოცირიძე, 1997, 13)

მიუხედავად ოსმალეთის მხრიდან იმედისმომცემი დახმარებებისა, საქართველოს გარე მოკავშირეების ძეგნა არ შეუწყვეტია. 1916 წელს ჩამოყალიბდა რუსეთის დაჩაგრულ ეროვნებათა ლიგა, რომელმაც რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კოორდინატორის ფუნქცია იკისრა. ლიგამ იმპერიის გარეთაც შეძლო გაეტანა ინფორმაცია და დახმარების სათხოვნელად აშშ-ს პრეზიდენტ ვუდრო ვილსონსაც მიმართა. „გვიშველეთ, გადაგვარჩინეთ სრული მოსპობისაგან. ამ მიმართვას ქართველი ერის სახელით ხელს აწერდა მიხეილ წერეთელი.“ (ჯანელიძე, 2002, 73). რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მიმართ თანაგრძნობასა და დაპირებებს, მაგრამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებით დასრულებაში მთავარი იყო უცხოეთსა და საქართველოში არსებული ორგანიზაციების გარეთიანება და თანასაქმიანობა. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა გერმანიიდან მიხაკო წერეთლისა და გიორგი მაჩაბლის ჩამოსვლა საქართველოში. ისინი ქუთაისში შეხვდნენ, როგორც სოციალ-დემოკრატიულ, ისე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებს. თათბირზე განიხილეს თურქეთთან და გერმანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებები, საბოლოოდ, დამსწრეთა უმრავლესობამ პროგერმანულ ორიენტაციას დაუჭირა მხარი. ქართველი პატრიოტების მცდელობას საქართველოში სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, იმ ეტაპზე შედეგი არ მოჰყოლია. ქართველები კვლავ ომში იყვნენ ჩაბმულნი და სხვის მიწაზე ღვრიდნენ სისხლს. 200 ათასი ქართველი ჯარისკაცი რუსეთის არმიის გვერდით იბრძოდა, რუსეთის მთავრობა ქართველი მეომრების თავგამოდებას მოვალეობად თვლიდა, ეროვნული თავისუფლებისათვის მეზობლ ქართველებს კი რეპრესიებით ემუქრებოდა და დევნიდა. ჟანდარმერიას გაძლიერებული დაზვერვის შედეგად უკვე ჰქონდა საკმარისი ინფორმაცია საქართველოში ეროვნული მოძრაობის აღმავლობისა და საზღვარგარეთთან ეროვნული ძალების კავშირების შესახებ. „ჟანდარმერიისა და დაზვერვის მიერ მიკვლეულმა მასალამ საფუძველი მისცა რუს დიდმპყრობელ შოვინისტებს აღვირახსნილი კამპანია გაეჩაღებინათ ქართველი ხალხის სეპარატისტულ

მისწრაფებათა წინააღმდეგ.“ (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, სამსონაძე, ქოქრაშვილი, ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008, 356).

რუსეთში 1917 წლის თებერვალ-მარტში ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად, სამეფო დინასტია დაემხო, ცარისტულმა რუსეთმა შეწყვიტა არსებობა, ქვეყანა რევოლუციურმა ქაოსმა მოიცვა. რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ, საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების პოზიცია საგრძნობლად შეიცვალა. მათ ქვეყნის მომავალი რუსეთში მიმდინარე პროცესებს დაუკავშირეს და ავტონომიის იდეა კვლავ აქტუალური გახდა. ბევრი ცნობილი ეროვნული მოღვაწე იდგა ამ პოზიციაზე. ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ 1917 წლის ივნისში, პარტიის დამფუძნებელ კრებაზე, პოლიტიკური ავტონომიის შესახებ გააკეთა მოხსენება, შემდეგ კი რუსეთის დამფუძნებელ კრებაში აპირებდნენ, გამოსულიყვნენ საქართველოსთვის პოლიტიკური ავტონომიის მინიჭების მოთხოვნით. მოვლენები სწრაფად განვითარდა და რუსეთში პოლიტიკური პარტიების დაპირისპირება საბოლოოდ ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლით დასრულდა. რუსეთში დამყარდა ბოლშევიკების ერთპარტიული დიქტატურა. გართულებული საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის გამო რუსეთმა დროებით დაკარგა კონტროლი განაპირა რეგიონებზე. „რუსეთის პოზიციები საქართველოში შესუსტდა, არმიის გახრწნისა და მისი რეგიონიდან გასვლის გამო საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებას აღარ შეეძლო აქტიური პოლიტიკის გატარება საქართველოში.“ (ქართ. დიპლ. ისტ., 2003, 575). რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება მიუღებელი იყო ქართველი ხალხისათვის. ეროვნულმა ძალებმა გაააქტიურეს მუშაობა და 1917 წლის ნოემბერში ეროვნული ყრილობა მოიწვიეს, რომლის მთავარ მიზანს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა წარმოადგენდა. „ყრილობის საქმიანობის ფორმა და შინაარსი, განსახილველ საკითხთა ფართო სპექტრი ცხადყოფს, რომ ამ ფორუმის მიზანი იყო მყარი საფუძვლების მომზადება ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისათვის.“ (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, სამსონაძე, ქოქრაშვილი, ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008, 358). მალე ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის ფედერაციული გაერთიანება, რომლის არსებობაც აკმაყოფილებდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და ამ ეტაპზე მთავარ ამოცანად

ამიერკავკასიის საკანონმდებლო ორგანოს, სეიმის, შექმნა გამოცხადდა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ამ საკითხს უარყოფითად განიხილავდა, მას არ აკმაყოფილებდა ფედერაციული გაერთიანების არსებობა და 1918 წლის დადგომისთანავე კატეგორიულად აყენებდა საკითხს, საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაზე. დამოუკიდებლობის გზაზე მდგარ საქართველოს პოლიტიკურ ლიდერებს უნდა გაეთვალისწინებინათ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მოვლენები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე. ბუნებრივია, საბჭოთა რუსეთი კვლავ რჩებოდა ერთ-ერთ საშიშ პოლიტიკურ ძალად, რომელსაც შეეძლო საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობისათვის შეეშალა ხელი.

ანარქიაში გახვეული ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფალნი პირველი მსოფლიო ომიდან თავის დახსნის გამოსავალს ეძებდნენ. გამოსავალი კი ერთი იყო, ბოლშევიკები სეპარატიულ საზავო მოლაპარაკებაზე უნდა წასულიყვნენ „სამთა კავშირის“ წევრ ქვეყნებთან, თურქეთთან და გერმანიასთან და ომიდან გასვლის სანაცვლოდ არაკუთვნილი ტერიტორიები გადაეცათ. 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში, სეპარატიული ზავის პირობით, საბჭოთა რუსეთმა ოსმალეთის იმპერიას გადასცა ქართული ისტორიული მიწების ნაწილი, კერძოდ: ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქები. ამიერკავკასიის მთავრობა ამ გარიგებას პროტესტით შეხვდა და დელეგაცია მიავლინა ტრაპიზონს. დელეგაციის მოთხოვნა იყო საზღვრები დატოვებულიყო უცვლელად და ოსმალეთის მთავრობას სეპარატიული ზავის პირობით მიკუთვნებული ტერიტორიების დაკავება არ ეცადა. ოსმალეთის მხარემ მოლაპარაკებაზე სასტიკი უარი განუცხადა ქართულ მხარეს და რუსეთისაგან გადაცემული ტერიტორიების დასაკავებლად ჯარი გაგზავნა. ოსმალები ამასაც არ დასჯერდნენ და ომით შეეცადნენ ახალციხე-ახალქალაქის მაზრების დაკავებას. ოსმალეთს მიეცა შესაძლებლობა კვლავ დაპატრონებოდა ქართულ ისტორიულ მიწებს, რომელთა მიმართაც ჯერ კიდევ არ განულებოდა ინტერესი. „1918 წლის 31 მარტს თურქები ბათუმში შევიდნენ, ამიერკავკასიის მთავრობა უარყოფდა ბრესტის ზავის კანონიერებას, მაგრამ ფაქტის წინაშე დადგა: დაპყრობილი აღმოჩნდა არა მარტო სადავო ტერიტორიები, არამედ

ახალციხე-ახალქალაქი ახასთუმანამდე და გურიის ნაწილი. თურქებმა აჭარაში ქართული ადმინისტრაცია გააუქმეს, ქუჩებს სახელებიც კი გაუთურქულეს.“ (ჭუმბურიძე, 2003, 115). ამიერკავკასიის მთავრობა, ქართული მხარე რეალურ გამოსავალს ეძებდა, ქვეყანა გარდაუვალი საფრთხის წინაშე იდგა. ოსმალეთი აგრესიულ გეგმებს არ მალავდა და არც დათმობას აპირებდა. „თურქეთის აგრესიული გეგმები ნათლად გამოვლინდა ტრაპიზონის (1918 წ. მარტი) და ბათუმის (1918 წ. მაისი) საზავო კონფერენციებზე. რეალური ძალა, რომელიც საქართველოს თურქეთისაგან დაიცავდა, მხოლოდ გერმანია შეიძლებოდა ყოფილიყო. თურქეთი იძულებული იქნებოდა, დაეთმო გერმანიისათვის, რადგან მსოფლიო ომი ჯერ დამთავრებული არ იყო და მას არ შეეძლო განესაზღვრა, სად და როდის დასჭირდებოდა გერმანიის დახმარება.“ (ქართ. დიპლ. ისტ., 2003, 576).

საქართველო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქვეყნის ბედი დამოკიდებული იყო სწორ არჩევანზე, რომელსაც მიიღებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის მესვეურნი. „საქართველოს ან დამოუკიდებლობა უნდა გამოეცხადებინა, ან უნდა გადაეცა ოსმალეთისათვის მოთხოვნილი ტერიტორიები, ანდა ომი უნდა დაეწყო მასთან, რაც კატასტროფას ნიშნავდა... საქართველო გერმანიის იმედით ირჩევდა საუკეთესო გზას.“ (ჭუმბურიძე, 2003, 116). გადაწყვეტილების მიღებას გერმანული ორიენტაცია უმაგრებდა ზურგს, ეს იყო ერთადერთი იმედი, რომელიც შეიძლებოდა სერიოზულად განხილულიყო ეროვნულ წრეებში. ომი ჯერ არ იყო დამთავრებული, მიუხედავად გარკვეული სირთულეებისა ფრონტზე, გერმანია მაინც აქტიურ მეომარ მხარედ რჩებოდა. მისი იმტერესებიც აღმოსავლური პოლიტიკის მიმართ არ იყო განელებული. ამიტომაც, ორივე მხარეს, საკუთარი მისწრაფებებისათვის სჭირდებოდა ურთიერთკავშირი. „პროგერმანული ორიენტაცია მხოლოდ საქართველოსთვის არ იყო ხელსაყრელი. საქართველოს გერმანია სჭირდებოდა დამოუკიდებლობის გარანტად, გერმანიას-საქართველო აღმოსავლური პოლიტიკის ფორპოსტად, ე.ი. ხდებოდა ინტერესთა დაბალანსება... მართალია, პროგერმანულმა ორიენტაციამ სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით უზრუნველყო საქართველოს სახელმწიფოებრივი

დამოუკიდებლობის აღდგენა, მაგრამ საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის ავკარგიანობა საბოლოოდ დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, თუ როგორ დამთავრდებოდა პირველი მსოფლიო ომი. თუ გერმანია ომში გაიმარჯვებდა, პროგერმანული ორიენტაცია საქართველოს დასავლეთ სამყაროში ინტეგრაციის საშუალებას მისცემდა. თუ გერმანია ომში დამარცხდებოდა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ქართული დიპლომატია დიდი სირთულეების წინაშე აღმოჩნდებოდა.“ (ქართ. დიპლ. ისტ., 2003, 577).

ბოლოს და ბოლოს დადგა ჩვენი ქვეყნისათვის ნანატრი დღე. ქართველმა ხალხმა 117 წლის შემდეგ შეძლო და აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. 1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის სეიმმა მიიღო დეკრეტი ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლისა და სეიმის ლიკვიდაციის შესახებ. იმავე დღეს, საღამოს ხუთი საათისათვის, გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგა. ქვეყნის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ეტაპი, ახალი ფურცელი გადაიშალა საქართველოს უახლეს ისტორიაში. საქართველო გამოცხადდა დამოუკიდებელ, დემოკრატიულ რესპუბლიკად, ქვეყნის მოსახლეობას, განურჩევლად ეროვნებისა, მიენიჭა სუვერენული უფლებები. ქვეყანამ აირჩია საერთაშორისო ნეიტრალიტეტი და განვითარების ევროპული კურსი.

საუკუნეების განმავლობაში ქართველი ერი იბრძოდა ეროვნული თვითმყოფადობის, მიწა-წყლის, სარწმუნოების გადასარჩენად. მტრის სამიზნედ ქცეული ერი ბევრჯერ მარცხდებოდა, მაგრამ ყოველთვის იკრებდა ძალებს, რომ მტერს საბოლოოდ არ გაენადგურებინა. თვითგადარჩენისათვის ბრძოლა გამძაფრდა მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე და ქართველმა ხალხმა მიაღწია წარმატებას, რომელსაც ჰქონდა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა. ქართველმა ხალხმა რთული და დიდი გზა გაიარა ამ სანუკვარ მიზნამდე, მისმა აღსრულებამ ბევრი ქართველის თავდადება და სისხლი შეიწირა. დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველსავე დღიდან ახალგაზრდა რესპუბლიკას უნდა გადაეჭრა მრავალი პრობლემა და მოეგვარებინა საგარეო ურთიერთობები. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების ხელში ჩაგდების გაუნელებელი

სურვილი კვლავ ჰქონდათ მეზობელ ქვეყნებს. ამ მხრივ ძალზე სერიოზული პოლიტიკური სვლები იყო საჭირო, რათა რაიმე გაუთვალისწინებელი შედეგები არ მოჰყოლოდა ახალ დამოუკიდებელ რესპუბლიკას. მიუხედავად ამისა, ნანატრი დამოუკიდებლობის მოპოვებით გახარებული ერი ნამდვილად არ ფიქრობდა, რა ელოდა, ან რა სირთულეების გავლა მოუწევდა ქვეყნის განვითარების გზაზე.

თავი II

საქართველო დამოუკიდებლობის წლებში და საბჭოთა ოკუპაცია

1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის სეიმმა მიიღო დეკრეტი ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლისა და სეიმის ლიკვიდაციის შესახებ. იმავე დღეს, საღამოს 5 საათისთვის გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგა. ქვეყნის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ეტაპი, ახალი ფურცელი გადაიშალა საქართველოს უახლეს ისტორიაში. საქართველო გამოცხადდა დამოუკიდებელ, დემოკრატიულ რესპუბლიკად, ქვეყანამ აირჩია საერთაშორისო ნეიტრალიტეტი და განვითარების ევროპული კურსი.

1918 წლის 26 მაისი შევიდა საქართველოს უახლეს ისტორიაში, როგორც უმნიშვნელოვანესი თარიღი. დაიწყო ახალი ცხოვრება, ქვეყანას დამოუკიდებლად არსებობისა და განვითარების პერსპექტივა დაესახა. ქართველმა ხალხმა მიიღო თავისი მრავალწლიანი ბრძოლის შედეგი. „1918 წლის 26 მაისს აღდგენილი საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა ხანგრძლივი არ აღმოჩნდა, მან სულ 2 წელი და 8 თვეზე ცოტა მეტი იარსება (უფრო სწორად 1005 დღე), ეს იყო თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულად ბრძოლის პერიოდი, საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი გმირული ეპოპეის ფურცლები.“ (ჭუმბურიძე, 2003, 84).

ახლადჩამოყალიბებულ ქვეყანას მრავალი პრობლემა ჰქონდა გადასაჭრელი. უნდა გათვალისწინებულიყო ის აუცილებელი ფაქტორები, რომლებიც დამოუკიდებლობის შენარჩუნების გარანტი იქნებოდა. კერძოდ, აღდგენილიყო სახელმწიფო საზღვრები, დაცულიყო ტერიტორიული მთლიანობა, რაც მოითხოვდა ძლიერი ჯარის შექმნას, განვითარებულიყო ქვეყნის ეკონომიკა, რომელიც ქვეყნის უმთავრესი დასაყრდენი იქნებოდა. მთავრობას უნდა ეზრუნა ქვეყნის განათლებასა და კულტურაზე, ქართულ ენას უნდა მინიჭებოდა სახელმწიფო ენის სტატუსი, დემოკრატიულ ხელისუფლებას აქტიურად უნდა ეწარმოებინა საერთაშორისო ურთიერთობები, რაც ქვეყნის დამოუკიდებლობას საფრთხეს ააცილებდა. დიდი

მნიშვნელობა ენიჭებოდა საერთო კავკასიურ პოლიტიკურ კურსს, კავკასიელ ხალხებთან ღრმა პოლიტიკური ურთიერთობების დამყარებას და კავკასიაში ანტირუსული ბლოკის ჩამოყალიბებას, რომელშიც მთელი კავკასიელი ხალხი იქნებოდა გაერთიანებული. მოკლედ, ქართველი ხალხი უნდა ყოფილიყო ქართული სახელმწიფოს ბატონ-პატრონი და უნდა ეზრუნა მომავალი კეთილდღეობისათვის.

როგორც კი მიიღეს დამოუკიდებლობის აქტი, ქვეყანაში ჩამოყალიბდა დემოკრატიული პარლამენტი, რომელიც გამოირჩეოდა თავისი მრავალპარტიული და მრავალეთნიკური წარმომადგენლობით. პარლამენტი დასავლური პრინციპების შესაბამისად საკანონმდებლო ხელისუფლებას ფლობდა. ჩამოყალიბდა კოალიციური მთავრობა, რომელშიც, როგორც პარლამენტში, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები სჭარბობდნენ. მაგრამ იყვნენ ასევე სხვა პარტიის წარმომადგენლები, რომელთაც მინისტრის პორტფელები მიიღეს და აქტიურად ერეოდნენ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ საქმიანობაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მრავალპარტიული დემოკრატია დამყარდა.

ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია ეროვნულ პოზიციაზე იდგა და სამოქმედო პროგრამაც ჰქონდა. მაგრამ მათ მიმართ მაინც იყო გარკვეული უნდობლობა და მათი სოციალური პროგრამაც ბევრ კითხვას ბადებდა. საზოგადოების ერთი ნაწილი მიუღებლად მიიჩნევდა ბურჟუაზიული სახელმწიფოს სათავეში სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების ლიდერობას. ნოე ჟორდანიას თავის პოზიციას ასე აყალიბებდა: “დასავლეთ ევროპელ სოციალისტებს ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა მართვა-გამგეობაში მონაწილეობის დიდი გამოცდილება აქვთ, ზოგან წამყვან როლსაც ასრულებენ... თქვენ ფიქრობთ, რომ რაკი მთავრობა სოციალ-დემოკრატიულია, მან უნდა განახორციელოს სოციალიზმი. მაგრამ ეს ბოლშევიკთა მცდარი თვალსაზრისია... ქართველი სოციალ-დემოკრატები სხვაგვარი შეხედულების ვართ.“ (ბენდიანიშვილი, დაშვილი, სამსონაძე, ქოქრაშვილი, ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008, 361). მმართველი პოლიტიკური პარტიის მიმართ გარკვეული პრეტენზიები ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასაც ჰქონდა. ისინი შიშს გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ნოე ჟორდანიას და მისი

თანამოაზრეები ეროვნული ერთიანობის საკითხს ვერ გადაჭრიდნენ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია პარლამენტის სხდომებზე დასაბუთებული არგუმენტებით უწევდა წინააღმდეგობას მმართველ პარტიას. “ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ პრინციპული ბრძოლით დიდი გავლენა მოახდინა მმართველ პარტიაზე“. (ბენდიანიშვილი, 1999, 249). საბოლოოდ, სოციალ-დემოკრატებმა შეიცვალეს სამოქმედო პროგრამა, რითაც „შეეცადნენ მიეღწიათ ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციისათვის, ყველა კლასი და პარტია ჩაება საერთო სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობაში.“ (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, სამსონაძე, ქოქრაშვილი, ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008, 362).

საქართველოს დემოკრატიული მთავრობისათვის უპირველესი მიზანი იყო, მოეგვარებინა საგარეო პოლიტიკა. ხელისუფლებამ მთავარ ამოცანად დაისახა ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების განახლება, სადაც დღის წესრიგში ბრესტ-ლიტოვსკის ზავით მიტაცებული ქართული ისტორიული მიწების დაბრუნების საკითხს დააყენებდა. საქართველოს პოლიტიკური პარტნიორის ყველაზე რეალურ კანდიდატად მიაჩნდა გერმანია, რომელიც იქნებოდა ქვეყნის დამოუკიდებლობის გარანტი და რეალური მხარდამჭერი. გერმანია-საქართველოს შორის მოლაპარაკებების შედეგი იყო ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმება. „გერმანიის მიერ საქართველოსთან ხელშეკრულების დადება ნიშნავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე ფაქტო აღიარებას, რაც გერმანიის იმპერიამ ოფიციალურად 1918 წლის 10 ივნისს დაადასტურა.“ (ქართ. დიპლ. ისტ., 2003, 577). საქართველო უფლებას აძლევდა გერმანიას და მის მოკავშირეებს, სანამ დასრულდებოდა პირველი მსოფლიო ომი, ესარგებლათ ჩვენი ქვეყნის პორტებითა და რკინიგზებით. ეს იმ ვალდებულებების საპასუხოდ, რომელსაც გერმანია კისრულობდა ქართული საზოგადოების წინაშე. ეს ეხებოდა საგარეო-ეკონომიკურ კავშირებს, აგრეთვე „გერმანიამ გამოავლინა სურვილი, დახმარებოდა საქართველოს საზღვრების დაცვასა და მწვავე პრობლემების გადაჭრაში.“ (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, სამსონაძე, ქოქრაშვილი, ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008, 361). საქართველომ უარყო რუსული ორიენტაცია და კურსი ევროპისკენ აიღო.

ევროპული ქვეყანა, რომელსაც ის უნდა შეეფარებინა და ხელი შეეწყო მისი დამოუკიდებლობის დაცვა-განმტკიცებაში, იყო მეომარ ქვეყნებს შორის ჩამდგარი გერმანიის იმპერია. 1918 წლის 27 აგვისტოს სწორედ გერმანიამ მოაწერინა ხელი რუსეთს ბრესტის ხელშეკრულების დამატებაზე. ხელშეკრულების ერთ-ერთ მუხლში ნათქვამი იყო: „რუსეთი თანახმაა გერმანიამ სცნოს საქართველოს დამოუკიდებლობა და უშიშროება. ერთი სიტყვით, კაიზერული გერმანია 5 თვის განმავლობაში დადებით როლს ასრულებდა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს შექმნა-განმტკიცების საქმეში.“ (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, სამსონაძე, ქოქრაშვილი, ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008 361). ამ ეტაპზე ნამდვილად ერთგული მოკავშირე აღმოჩნდა საქართველოსთვის გერმანიის იმპერია, რომელმაც შეძლო და მონაწილეობა მიიღო ქვეყნის შიდა პოლიტიკური სტრუქტურების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. „გერმანია ძალიან ცოტა ხანს იყო საქართველოს მოკავშირე, მაგრამ ისეთი ერთგული პარტნიორობა გაუწია მას, ისეთი თავდადება გამოიჩინა მისი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბებაში, რომ ამას ყოველთვის იხსენებდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები და ოპოზიციური პარტიის წევრებიც.“ (ჭუმბურიძე, 2003, 119).

პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ ამიერკავკასიაში ანტანტის სახელმწიფოები შემოვიდნენ. გერმანია-საქართველოს შორის დამყარებული კარგი დიპლომატიური ურთიერთობა და იმედისმომცემი დაპირებები წარსულს ჩაბარდა. ახლა გერმანია ინგლისმა შეცვალა. 1918 წლის ოქტომბრის ბოლოს დადებული მუდროსის ზავით თურქეთმა მარცხი აღიარა და იძულებული გახდა, ანტანტის მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა. ინგლისმა თურქეთი აჭარიდან გამოიყვანა და 1919 წლის 12 იანვარს თვისი ჯარი შეიყვანა. სიტუაცია გართულდა მას შემდეგ, რაც „ამიერკავკასიის ინგლისურმა წარმომადგენლობამ ბათუმის მმართველობა დენიკინის ერთგულ მსახურს, კადეტ მასლოვს ჩააბარა. აჭარაში დენიკინელები გაბატონდნენ და ინგლისელი გენერალი კუკ-კოლისი მხარს უჭერდა რუსებს და ანტიქართული სულისკვეთების გავრცელებას აჭარაში.“ (ჭუმბურიძე, 2003, 294). მიუხედავად იმისა, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატების ინტერესები „ანტანტის“ მხარეს იხრებოდა,

ქართული საზოგადოება მძიმედ განიცდიდა გერმანიასთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტას. გერმანიისაგან განსხვავებით, ინგლისი საერთოდ არ ფიქრობდა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების ბედზე და მათ განვითარებაზე. „საქართველოს ინგლისის მოქმედების ზონად (ფაქტობრივად, საუკუპაციო ზონად) გამოცხადებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა... აჭარაში თურქი ოკუპანტები ინგლისელმა ოკუპანტებმა შეცვალეს... 1918 წლის დეკემბრიდან 1920 წლის ივლისამდე აჭარაში ფაქტობრივად მთლიანად შეწყვეტილი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურისდიქცია... ამ პერიოდში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა კვლავ რჩებოდა დამოუკიდებელ სუვერენულ ქვეყნად, მაგრამ ინგლისელი პოლიტიკოსები და სამხედროები უხეშად ერეოდნენ საქართველოს საშინაო საქმეებში, ასევე საქართველოს ურთიერთობაში მეზობელ ქვეყნებთან.“ (ქართ. დიპლ. ისტ., 2003, 581-582).

ინგლისის ფაქტორმა ამიერკავკასიაში წააქეზა სომხეთის მთავრობა, რომელსაც თვალი ეჭირა ქართულ ისტორიულ მიწებზე. გერმანიის დამარცხებამდე სომხეთს თავისი პრეტენზიები არ გამოუთქვამს, მაგრამ „ანტანტის გამარჯვებამ სომხეთი თავისებურად წააქეზა საქართველოს წინააღმდეგ, მან გადაწყვიტა საუკუნეობით ნაოცნებარი ლორე-ბორჩალოსა და ახალციხე-ახალქალაქის მაზრების ხელში ჩაგდება.“ (ჭუმბურიძე, 2003, 218). სომეხმა დაშნაკელებმა ცრუ განგაში ატეხეს და დაიწყეს მცდარი ინფორმაციის გავრცელება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და მისი მთავრობის ავტორიტეტის შესარყევად. ისინი ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სომხები დემოკრატიული ხელისუფლების მიერ ლტოლვილებად იყვნენ ქცეულნი, რაც სიმართლეს არ შეეფერებოდა. „სომხეთის დაშნაკური წრეები აშკარად რეაქციული, პროვოკაციული ხერხებით მოქმედებდნენ დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ, ისინი ცდილობდნენ საკუთარი მიზნების განხორციელებას, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევასა და მისი ძირძველი რაიონების მისაკუთრებას.“ (ჭუმბურიძე, 2003, 241). საქართველოს მთავრობა დემოკრატიული პრინციპებით ხელმძღვანელობდა მცირე ერებთან მიმართებაში, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში საქართველოს

ტერიტორიაზე ცხოვროდნენ. ტოლერანტული ბუნება ქართველი ხალხის თანამდევითვისება იყო, ამიტომ ეთნიკური დაძაბულობა საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ გარეგანი ძალებით შეიძლებოდა გამოწვეულიყო.

ანგლოფილურმა სომხეთმა სწორედ ინგლისის იმედით გადადგა თამამი ნაბიჯი და ომის გამოუცხადებლად წამოიწყო სამხედრო ოპერაციები საქართველოს წინააღმდეგ, 1918 წლის დეკემბერში. ქართულმა ჯარმა მოახერხა და სომხეთის არმიას სერიოზული მარცხი აგემა. „საქართველო-სომხეთის ომის დასასრული დაემთხვა ინგლისის ჯარების შემოსვლას საქართველოში. ინგლისელი დიპლომატები და სამხედროები შეეცადნენ, დაეცვათ ანგლოფილური სომხეთის ინტერესები.“ (ქართ. დიპლ. ისტ., 2003, 583). მართალია, ინგლისი სომხური ინტერესების დამცველად მოგვევლინა ამიერკავკასიაში, მაგრამ სომხეთი დამარცხდა და „საქართველოს მთავრობას შეეძლო შემოეერთებინა ძირძველი ქართული ტერიტორია – ლორეს რაიონი.“ (ქართ. დიპლ. ისტ., 2003, 583). დამარცხებული სომხეთი ინგლისს არ მიუტოვებია. „სომხეთი სრული მარცხისგან დიდმა ბრიტანეთმა იხსნა. მან იკისრა არბიტრის როლი და კიდევაც დააზავა მხარეები.“ (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, სამსონაძე, ქოქრაშვილი, ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008, 365). საჭირო იყო ნეიტრალური საზღვრების დადგენა ისე, რომ ქართული მხარე არ დაზარალებულიყო. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა, ინგლისი აქტიურად ჩაერია ქართულ-სომხურ მოლაპარაკებებში. „1919 წლის იანვარში ინგლისის წარმომადგენლის თავჯდომარეობით გამართულ საქართველო-სომხეთის მოლაპარაკებაზე შეთანხმდნენ საქართველოსა და სომხეთს შორის ნეიტრალური ზონის საზღვრების შესახებ.“ (ქართ. დიპლ. ისტ., 2003, 583). საქართველოსთვის ეს არასასურველი შედეგი იყო, რადგან ლორე-ბორჩალო საქართველოს ისტორიული მიწა-წყალი იყო და მისი ნეიტრალურ ზონად გამოცხადება, ყოვლად მიუღებლად მიიჩნია ქართულმა საზოგადოებამ. „ლორე-ბორჩალოს ნეიტრალურ ზონად გამოცხადებამ, ამდენი ახალგაზრდის სიცოცხლის შეწირვის შემდეგ ხალხში უკმაყოფილება გამოიწვია. ინტელიგენციას აღიზიანებდა სომეხთა მიდგომა საზღვრებისადმი ეთნიკური პრინციპით.“ (ჭუმბურიძე, 2003, 238). ქვემო

ქართლში სომეხთა ეთნიკურმა სიჭარბემ განაპირობა, რომ იარაღის ძალით ქართული მიწები მიეტაცებინათ და თავიანთი სურვილი რეალობად ექციათ. ქართველი ხალხის სახელით, თავისი მეცნიერული პოზიცია დააფიქსირა დიდმა ქართველმა ისტორიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა. „სომეხთა მმართველი წრეები და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა ჩვენს ერსა და მთავრობას მხოლოდ ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ხელმძღვანელობას ურჩევენ. სომეხთა პოლიტიკური და გავლენიანი წრეები ჩვენი მთავრობის წევრებს ღალატსა და იმპერიალისტობას წამებენ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი საქართველოს რესპუბლიკის საზღვრების შემოხაზვის დროს სახელმწიფო თვალსაზრისით ხელმძღვანელობდნენ და არა მარტო ეთნოგრაფიულით.“ (ჯავახიშვილი, 1919, 60-61). სომხეთის დაშნაკურ-რეაქციულმა ძალებმა არ მოისვენეს და პროვოკაციებით შეეცადნენ, დაერღვიათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. სამწუხაროდ, „მოახერხეს კიდევ თავიანთი მიზნის მიღწევა რუსეთის ბოლშევიკურ იმპერიულ ძალებზე დაყრდნობით.“ (ჭუმბურიძე, 2003, 241).

ცხადია, რუსეთი ვერ შეეგუებოდა ამიერკავკასიაში დამოუკიდებელი რესპუბლიკების თანაარსებობას, „მესამე ძალა, რომელსაც ხელს არ აძლევდა კავკასიაში დამოუკიდებელი ქვეყნების არსებობა, ერეოდა მათ ურთიერთობებში, შულსა და შოვინიზმს თესავდა მათ შორის, ამ ძალებიდან უპირველესი იყო რუსეთი.“ (ჭუმბურიძე, 2003, 219). ქართული მხარე ცდილობდა, სომხებისათვის დაენახებინა რუსეთის სახით არსებული რეალური საფრთხე, მაგრამ მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია. რუსეთი მთელი წინა საუკუნის განმავლობაში ხელოვნურად ქმნიდა ანტიქართულ განწყობილებას არა მარტო ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის, არამედ მრავალეროვან საქართველოს ტერიტორიაზეც. პოლიტიკური ხრიკებით ცდილობდა ახალგაზრდა დემოკრატიული რესპუბლიკისათვის შეექმნა ეთნიკური პრობლემები, რასაც შემდგომში გამოიყენებდა საკუთარი ზრახვების განხორციელებისას. „დაყავი და იბატონე“-ს რუსულმა პოლიტიკამ ურთიერთობა დამაბა ქართველებსა, სომხებსა და აზერბაიჯანლებს შორის, რაც კიდევ უფრო გაძლიერდა სამხრეთ კავკასიაში

რუსეთისგან გამოყოფის სამწლიან პერიოდში. “ (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, სამსონაძე, ქოქრაშვილი, ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008, 365).

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას რუსეთი პროტესტით შეხვდა. რაც რუსეთს მომავალში საქართველოს დასამაცრხებლად გამოადგებოდა, ეს იყო ეთნიკურად და რელიგიურად არაერთგვაროვანი რეგიონები საქართველოს ტერიტორიაზე. სწორედ აფხაზეთით, აჭარით და ოსეთით ფიქრობდა რუსეთი საქართველოს საბოლოო დაჩოქებას. ჩვენთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რომელი პოლიტიკური ძალა გაიმარჯვებდა რუსეთში: დენიკინის თუ ბოლშევიკური. რუსული აგრესია ამიერკავკასიის მიმართ კვლავ უცვლელი რჩებოდა. მოგვიანებით რუსეთმა სწორედ ბოლშევიკური იდეოლოგიით შეუქმნა სირთულეები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, მის ტერიტორიულ მთლიანობას და ქვეყნის სუვერენიტეტს.

სამხრეთ კავკასიაში არსებული რთული პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების გზას ადგა. დაიწყო ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურების დემოკრატიული პრინციპებით ფორმირება. საქართველოს დემოკრატიული, რესპუბლიკური პოლიტიკური წყობა უნდა დაკანონებულიყო იურიდიულად, მას კონსტიტუციური ფორმა უნდა მიანიჭებოდა. ამისათვის კი საჭირო იყო დამფუძნებელი კრების მოწვევა. 1918 წლის 22 ნოემბერს დროებითმა პარლამენტმა დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება დაამტკიცა. საქართველოში არსებულ ყველა პოლიტიკურ პარტიას მიეცა საშუალება, მონაწილეობა მიეღო დამფუძნებელი კრების არჩევნებში და თავისი წარმომადგენელი ჰყოლოდა. დამფუძნებელი კრების არჩევნები 1919 წლის 14, 15 და 16 თებერვალს მიმდინარეობდა და მისი დაკომპლექტებაც დემოკრატიული პრინციპებით მოხდა. 1919 წლის 1 მარტს დამფუძნებელი კრება მუშაობას შეუდგა და პირველი სხდომაც ჩაატარა. 1919 წლის 21 მარტს ჩამოყალიბდა მინისტრთა კაბინეტი, მთავრობის თავმჯდომარედ კი კვლავ ნოე ჟორდანიას დასახელდა. დამფუძნებელმა კრებამ ნოე ჟორდანიას ნდობა გამოუცხადა და მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე მისი კანდიდატურა უყოყმანოდ მიიღეს. დამფუძნებელი კრების მუშაობისას

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საკონსტიტუციო კომისიის შექმნას და მის დაკომპლექტებას კომპენტენტური პოლიტიკური ფიგურებით. საკონსტიტუციო კომისიამ ერთწლიანი მუშაობის შედეგად კონსტიტუციის პროექტი შეიმუშავა, თითქმის ამდენივე დრო იქნა დათმობილი პროექტის განხილვისათვის, სანამ საბოლოო სახე არ მიეცა. 1920 წლის დასაწყისისათვის უკვე არსებობდა კონსტიტუციის პროექტის ძირითადი მონახაზი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოითხოვდა კონსტიტუციაში დაკანონებულიყო პრეზიდენტის ინსტიტუტი. მათ მიაჩნდათ, რომ აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის აუცილებელი იყო, ქვეყანას პრეზიდენტი ჰყოლოდა. ეს იყო ამერიკული მოდელი, თუმცა მას ქართულ პოლიტიკურ წრეებში ბევრი მოწინააღმდეგეც ჰყავდა. აზრთა სხვადასხვაობის ფონზე იკვეთებოდა ერთი მთავარი მიზანი, რომ შექმნილიყო ისეთი კონსტიტუცია, რომელიც მომავალში იქნებოდა ქართველი ერის ისტორიის, კულტურის და ეროვნული თვითმყოფადობის გარანტი. დამფუძნებელმა კრებამ შეძლო და, რთული გარემოების მიუხედავად, 1921 წლის 21 თებერვალს დაამტკიცა პირველი ქართული კონსტიტუცია. კონსტიტუცია იქცა ქართული სახელმწიფოს ძირითად კანონად, რომელიც მომავალ თაობებს გადაელოცა. „საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია იდგა იმდროინდელი დემოკრატიული მსოფლიო სამართლებრივი ნორმების და მეცნიერების დონეზე, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ 1921 წლის კონსტიტუცია გამოდგა საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის სამართლებრივ საფუძვლად.“ (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, სამსონაძე, ქოქრაშივილი, ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008, 368).

პირველი კონსტიტუციით საქართველო ცხადდებოდა როგორც თავისუფალი, დამოუკიდებელი, ერთიანი სუვერენული სახელმწიფო, რომელმაც აირჩია დემოკრატიული რესპუბლიკური მმართველობა. კონსტიტუციაში დაფიქსირდა, რომ კონსტიტუცია არის სახელმწიფოს უზენაესი კანონი, კონსტიტუციის შესრულება კი სახელმწიფოს ყოველი ხელისუფლების მოვალეობას წარმოადგენდა. კონსტიტუციაში შეტანილი იყო ყველა ის დებულება, რომელიც დამახასიათებელი იყო დემოკრატიული წყობილებისათვის. უმნიშვნელოვანესი იყო ქართველი ხალხის კეთილდღეობაზე

ზრუნვა, სახელმწიფოს უპირველესი ფუნქცია სწორედ ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება და მათ სამსახურში ყოფნა იყო. დამფუძნებელ კრებას და მის წინაშე პასუხისმგებელ მთავრობას ბევრი რამ ჰქონდა გასაკეთებელი: საშინაო და საგარეო პოლიტიკის სწორი კურსის შერჩევა, ეკონომიკური პროგრამის დახვეწა, საადგილმამულო რეფორმები, სოფლის მეურნეობის აღორძინება, კერძო საკუთრების ფორმების განვითარება, ეთნიკური პრობლემების მოგვარება და სხვ. მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც საგარეო პოლიტიკა იყო. დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე და მის შემდეგაც საგარეო პოლიტიკური კურსი ქვეყნის წინაშე მწვავედ იდგა. იყო ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის დაწყებისა და შემდგომი განვითარების მცდელობებიც. საქართველოსა და მისი ხელისუფლების მთავარი საზრუნავი იყო საგარეო პოლიტიკური კურსის სწორად წარმართვა, საგარეო მოკავშირის მონახვა და მომავლის უზრუნველყოფა. დემოკრატიულმა ხელისუფლებამ კარგად დაინახა, თუ როგორი რთული რეგიონი იყო კავკასია და რა დიდი ძალისხმევა იყო საჭირო პოლიტიკური სიმშვიდის მოსაპოვებლად. პირველ რიგში იდგა რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების აუცილებლობის საკითხი. ქართველი დიპლომატების საზრუნავი იყო, რუსეთთან მოენახათ საერთო ენა ისე, რომ არ დაზარალებულიყო ქართული სახელმწიფო. დემოკრატიული ხელისუფლება მშვენივრად აცნობიერებდა ჩრდილოელი მეზობლის დაუძლეველ ინტერესს ამიერკავკასიისადმი და რეალურ საფრთხეს არ გამორიცხავდა. ორმხრივი ურთიერთობების დამყარების აუცილებლობა განპირობებული იყო იმით, რომ ბოლოს და ბოლოს რუსეთს ელიარებინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფაქტობრივი და იურიდიული არსებობა. 1920 წლის დასაწყისისათვის ანტანტის ქვეყნებმა „დე-ფაქტოდ“, ანუ ფაქტობრივად აღიარეს ამიერკავკასიის რესპუბლიკები, მათ შორის საქართველოც. ეს მოვლენა ქართული დიპლომატიის ისტორიაში შევიდა, როგორც ერთ-ერთი წარმატებული ნაბიჯი. დიპლომატიური თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანი იყო, რუსეთს ელიარებინა საქართველოს დამოუკიდებლობა. 1920 წლის აპრილში წითელმა არმიამ აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა. რამდენიმე დღეში აზერბაიჯან-საქართველოს საზღვრიდან

რუსული ბოლშევიკური ჯარი საქართველოს მოადგა. საფრთხე რეალური იყო. დამფუძნებელმა კრებამ მოუწოდა ქართულ ჯარს და ქართველ ხალხს, ებრძოლათ და დაეცვათ მოპოვებული დამოუკიდებლობა. ამ დროს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდა პოლონეთიც, ქართულმა ჯარმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია საქართველოს საზღვრებს მომდგარ წითელ არმიას. რუსეთს არ ჰქონდა სახარბიელო მდგომარეობა, ამიტომ ომი შეწყვიტა საქართველოსთან და დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება მოისურვა. რუსი კომუნისტების ლიდერის დიპლომატიურ სურვილს დადებითად უპასუხა საქართველოს მთავრობამ და დაიწყო საზავო მოლაპარაკება.

1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა გრიგოლ ურატაძემ და საბჭოთა რუსეთის რწმუნებულმა ლევ კარახანმა ხელი მოაწერეს ორმხრივ ხელშეკრულებას. ორი მთავრობის სახელით გაფორმებული საზავო-სამშვიდობო ხელშეკრულება რამდენიმე მუხლისაგან შედგებოდა. ხელშეკრულების მიხედვით, ქართული მხარისათვის უპირველესი იყო, საბჭოთა რუსეთს პატივი ეცა ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ხალხის მიერ დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლებისათვის, არ ჩარეულიყო საქართველოს საშინაო საქმეებში და დამორჩილებოდა ხელშეკრულების ყველა მუხლში ჩამოყალიბებულ მოთხოვნას. „საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება ქართული დიპლომატიის დიდ მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს. მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპის მიერ საქართველოს „დე იურე“ ცნობისათვის. 1920 წლის ხელშეკრულება იყო ის დოკუმენტი, რომლის წყალობითაც 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობა შეფასდა, როგორც სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ განხორციელებული ინტერვენცია, ოკუპაცია და ანექსია.“ (ქართ. დიპლ. ისტ., 2003, 593).

ორმხრივ ხელშეკრულებაში მხოლოდ ქართული მხარის ინტერესები არ იკვეთებოდა; ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან იყო მოთხოვნა, რომელიც საიდუმლო დამატებაში იქნა ჩამოყალიბებული. რუსეთი ავალებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე ბოლშევიკური ორგანიზაციების

ლეგალურად არსებობისა და მოქმედების თავისუფლებას. „ქართული დიპლომატიის მარცხად უნდა მივიჩნიოთ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების „განსაკუთრებული საიდუმლო დამატება“. იგი ავალდებულებდა საქართველოს მთავრობას, ლეგალური მოღვაწეობისა და აგიტაციის უფლება მიეცა კომუნისტური (ბოლშევიკური) ორგანიზაციებისათვის და მათ წინააღმდეგ არ გამოეყენებინა რეპრესიები, სასამართლო და ადმინისტრაციული ზემოქმედება.“ (ქართ. დიპლ. ისტ., 2003, 592-593). საქართველოს მთავრობამ ხელ-ფეხი გაუხსნა კომუნისტებს თავისუფალი თარეშისათვის, რითაც საბჭოთა რუსეთი ქმნიდა პლაცდარმს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მომავალი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად. „ქართველ ხალხს და მის მთავრობას არ ჰქონდა იმისი გარანტია, რომ საბჭოთა რუსეთი არ დაარღვევდა ხელშეკრულებას, მაგრამ შექმნილი მწვავე სიტუაციიდან უკეთესი გამოსავალი არ ჩანდა.“ (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, სამსონაძე, ქოქრაშვილი, ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008, 370). რუსეთმა დაგეგმა ავანტიურა და მისი განხორციელებაც დაიწყო, რასაც საქართველოს დამოუკიდებლობა შეეწირა. სერგეი კიროვი აღფრთოვანებას არ მალავდა და ლენინისადმი მიწერილ წერილში საქართველოში ბოლშევიზმის გააქტიურებას დადებითად აფასებდა. რთული ვითარების მიუხედავად, საქართველოს მთავრობა ცდილობდა გამოსავალი ეპოვა. მათ მიაჩნდათ, რომ, თუ რუსეთი აგრესიას გააძლიერებდა, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები საქართველოს პოლიტიკურ მხარდაჭერას გამოხატავდნენ. „მართველმა პარტიამ აღიარა, რომ საფრთხე მოხსნილი არ იყო, მაგრამ 7 მაისის ხელშეკრულების დიდ მნიშვნელობას იმაში ხედავდა, რომ იგი ხელს გაუხსნიდა დასავლეთის დიდ სახელმწიფოებს, „დე იურე“ ეცნოთ საქართველოს რესპუბლიკა და დახმარება გაეწიათ მისთვის. მაგრამ დასავლეთიდან რეალური დახმარება არ ჩანდა. აღმოსავლელი აგრესორები კი თანდათან აფართოებდნენ მოქმედების სარბიელს... გაზეთი „საქართველო“ მკითხველს აუწყებდა, აღმოსავლეთის ხალხთა გათავისუფლების ლოზუნგით აღჭურვილი რუსი კომუნისტები და თურქი შოვინისტები, სინამდვილეში თავიანთი იმპერიების აღდგენისა და ხალხთა დამონებისათვის იბრძვიანო.“ (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, ნათმელაძე, 2012, 261-262).

კომუნისტურ რუსეთთან დაპირისპირება ანტანტის სახელმწიფოებს არ სურდათ, მათ უარი განაცხადეს საქართველოსათვის სამხედრო-პოლიტიკური დახმარების გაწევაზე. საქართველო ორ ძლიერ სახელმწიფოს შორის მარტო აღმოჩნდა. საქართველოს მთავრობა ვალდებული იყო ებრძოლა ბოლომდე და დაეცვა ქვეყანა და ხალხი. შესაძლებელი იყო მთავრობას სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილება მიეღო და შეექმნა კოალიციური მთავრობა, „რომელიც თავის გარშემო დარაზმავდა მთელ ერს, ყველა პოლიტიკურ პარტიას და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მაგრამ, სამწუხაროდ, მმართველი პარტია ამ შეგნებამდე ვერ ამაღლდა.“ (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, ნათმელაძე, 2012, 262).

7 მაისის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ საქართველოში ბოლშევიკური ორგანიზაციები ჩამოყალიბდა კომპარტიად. იგი იყო საბჭოთა რუსეთის აგენტი, იგივე მეხუთე კოლონა. სწორედ ქართველი კომუნისტები აქტიურობდნენ, საქართველოს მთავრობის დამხობის პროპაგანდას ეწეოდნენ და საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებისათვის ნიადაგს ამზადებდნენ. როდესაც საბჭოთა ხელისუფლება საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ანტანტის სახელმწიფოები საქართველოს დახმარებას არ აპირებდნენ, „რუსეთის კომპარტიამ მიიღო დადგენილება საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის, ინტერვენციის ამა თუ იმ ფორმით გამოყენების შესახებ.“ (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, სამსონაძე, ქოქრაშვილი, ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008, 371).

1920 წლის ნოემბერში საბჭოთა რუსეთმა სომხეთში დაამყარა კომუნისტური რეჟიმი. იმავე წლის მიწურულისათვის საქართველო ბოლშევიკური რესპუბლიკების გარემოცვაში მოექცა. საქართველოს ხელისუფლება კარგად ხედავდა, რომ საბჭოთა რუსეთი უახლოეს მომავალში საქართველოს დაპყრობას და კომუნისტური რეჟიმის დამყარებას შეეცდებოდა. ქვეყნის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. 1920 წლის მიწურულს საქართველომ ერთა ლიგის კენჭისყრაშიც ვერ მიიღო საკმარისი ხმები. იმედი სხვა ქვეყნების დახმარებისა ჯერ კიდევ რამდენიმე თვით ადრე იყო გადაწურული. „ინგლისის ჯარებისაგან საქართველოს ტერიტორიის დატოვების შემდეგ, 1920 წლის 4 ივლისს, „დაიხურა საქართველოს ევროპული ორიენტაცია და ფაქტიურად უკვე

საქართველო მოემწყვდა საბჭოთა რუსეთის გავლენის ფარგლებში.“ (ნათმელაძე, დაუშვილი, წენგუაშვილი, ჯაფარიძე, 2008, 48). საქართველოს პირველი რესპუბლიკა უკვე დღეებს ითვლიდა.

საქართველოს გასაბჭოებაში რუს ბოლშევიკებთან ერთად, ქართველ და სომეხ ბოლშევიკებსაც მიუძღვით დიდი წვლილი, როგორც გეგმის შემუშავებაში, ისე მის განხორციელებაში. რუსეთს საქართველოს დასაპყრობად მხოლოდ კარგი საბაზი სჭირდებოდა, რითაც შენიღბავდა აგრესიას და ქვეყნის საზღვრებში შეჭრას მშვიდობიან სამხედრო ღონისძიებად გამოაცხადებდა. დემოკრატიული, დამოუკიდებელი რესპუბლიკის საზღვრების დარღვევა და იქ სამხედრო ძალის შეყვანა, ოკუპაცია იყო და მეტი არაფერი. ბოლშევიკებმა კრემლში შემუშავებული გეგმით საქართველოში შემოჭრის საშუალებად პროვოკაცია გამოიყენეს. „ქართულ ისტორიოგრაფიაში დღეს უკვე დასაბუთებულია, რომ ლორეს პროვოკაცია, რომელიც საქართველოს ძალმომრეობით გასაბჭოებაში გადაიზარდა, რუსეთის სატელიტის - სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დაგეგმილი და მისი აგენტურის მიერ წარმატებით განხორციელებული ღონისძიება იყო, რომელსაც გარკვეულ ეტაპზე შეუერთდა რუსეთის XI არმია.“ (დაუშვილი, 2005, N2). პროვოკაციის მოსაწყობად ქვემო ქართლში მცხოვრები სომხები გამოიყენეს. ბოლშევიკებმა შექმნეს განწყობილება, თითქოს საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლება ავიწროვებდა ეთნიკურ სომხებს და პოლიტიკურადაც დევნიდა. პროვოკაციის მოწყობას სომხეთის რესპუბლიკამ კარგად გაართვა თავი. „მან გასაბჭოების უმაღლესე მიმართა საქართველოს მთავრობას ლორეს ნეიტრალური ზონიდან ქართული ჯარის ნაწილების გაყვანის მოთხოვნით. რკპ(ბ) კავბიურომ ლორეში მდგარი ქართული ბატალიონი გამოაცხადა ოკუპანტად. 1921 წლის 11-12 თებერვალს გამოვიდა ლორეს რაიონის სომხური მოსახლეობა. იმავდროულად საომარ მოქმედებაში ჩაებნენ აზერბაიჯანის მხრიდან წამოსული წითელი არმიის ნაწილები. სომხეთიდან გამოსულმა წითელარმიელებმა ხელთ იგდეს სადახლოს რაიონი და გეზი თბილისისაკენ აიღეს. საბჭოთა რუსეთის ჯარებმა საქართველოს შემოუტყეს სოჭიდან, მამისონის უღელტეხილიდან.“ (ნათმელაძე, დაუშვილი, წენგუაშვილი, ჯაფარიძე, 2008, 48). ქართველი ჯარისკაცები,

იუნკრები, გვარდიელები, ქართველი მამულიშვილები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ წითელ არმიას, რომელიც ჩრდილოეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ერთდროულად უტევდა. 18-22 თებერვალს რამდენიმე შეტაკება გაიმართა თბილისის მისადგომებთან, ქართულმა მხარემ ზედიზედ არა ერთი მარცხი აგემა წითელი არმიის ნაწილებს, მაგრამ მტრის სიმრავლემ შედეგი განაპირობა. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დედაქალაქი ბოლშევიკების ხელში აღმოჩნდა. დემოკრატიული ხელისუფლება გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. რუსეთის ქმედებით წაქეზებული ოსმალეთი თავს დაესხა საქართველოს და „საქართველო დამარცხდა ორ ვეშაპთან ბრძოლაში“. (ლორთქიფანიძე, 1995, 243).

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ოსმალეთმა მიიტაცა ქართული ისტორიული მიწები: კოლა-არტანის, შავშეთი და იმერხევი. „მაშინ შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში, საქართველო-რუსეთის 7 მაისის ხელშეკრულებით განმარტოებული საქართველო გახდა მსხვერპლი ოსმალეთ-რუსეთის მეგობრობისა.“ (ნათმეღაძე, დაუშვილი, წენგუაშვილი, ჯაფარიძე, 2008, 49).

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე საქართველოს კომპარტიის წარმომადგენლობამ ნოე ჟორდანიასა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის რამდენიმე წარმომადგენელს შესთვაზა, დარჩენილიყვნენ საქართველოში და ბოლშევიკებთან ეთანამშრომლათ. დემოკრატიული ხელისუფლების წარმომადგენლებს საქართველოში აღარ ედგომებოდათ და „18 მარტს, ქუთაისში გამართულ ბოლო მოლაპარაკების დროს დამარცხებული საქართველოს დელეგაციამ განაცხადა, რომ კომპრომისული შეთანხმება გამორიცხული იყო. ქართველი ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი და მთავრობა ერთადერთი კანონიერი ხელისუფლებაა და სადაც არ უნდა იყოს, ასეთად დარჩება, ვიდრე ამას არ შეეწინააღმდეგება ქართველი ხალხის თავისუფლად გამოთქმული ნება-სურვილი.“ (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, სამსონაძე, ქოქრაშვილი, ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008, 371-372). დემოკრატიული ხელისუფლება ჯერ ბათუმში შეჩერდა, ხოლო 1921 წლის 17 მარტს მან დატოვა საქართველო და ემიგრაციაში წავიდა. ამით საბოლოოდ დაესვა წერტილი საქართველოს დამოუკიდებლობას, ქვეყანაში საბჭოთა რეჟიმი დამყარდა, რომელსაც ბევრი ქართველის მომავალი და სიცოცხლე შეეწირა.

დემოკრატიული რესპუბლიკის კანონიერმა ხელისუფლებამ როგორც კი დატოვა თბილისი, საქართველოს დედაქალაქში სახელდახელოდ ჩამოყალიბებული რევოლუციური კომიტეტი შემოვიდა, რომელიც 16 თებერვალს ლორეს პროვოკაციის შემდეგ შულავერში ჩამოყალიბდა და რომელსაც ცნობილი ბოლშევიკი ფილიპე მახარაძე ხელმძღვანელობდა. რევოლუციური კომიტეტი, იგივე რევკომი, საბჭოთა ხელისუფლება იყო, რომელიც ბოლშევიკური რუსეთის წარმომადგენლობით ორგანოდ ითვლებოდა საქართველოში. ქართველმა ბოლშევიკებმა დემოკრატიული მთავრობის ადგილი დაიკავეს, რითაც დაასრულეს საქართველოს დამოუკიდებლობის ხანა. ქართველი კომუნისტები ხელისუფლების ძალისმიერი ხერხებით დამხობას თავიანთი არგუმენტებით ამართლებდნენ, „რომ მენშევიკებმა და სხვა სოციალისტურმა პარტიებმა, რომლებიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველ ძალას წარმოადგენდნენ, სოციალიზმის იდეას უღალატეს, ხოლო საბჭოთ ხელისუფლება, პროლეტარიანტის დიქტატურა და რუსის ჯარი, მათი აზრით, საქართველოში სოციალიზმის ამენებას დააჩქარებდნენ.“ (თოიძე, 1999, 9).

საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველო რუსეთის ნაწილად აქცია. ქართველი კომუნისტები ყველა ხერხით ებრძოდნენ და სპობდნენ დემოკრატიული რესპუბლიკის კვალს. დაიწყო საბჭოთა სტრუქტურების ჩამოყალიბება, რასაც წარმატებით ახორციელებდა რევკომი. ადგილობრივი მმართველობის ორგანოები კომუნისმის იდეებს იძულებით ავრცელებდნენ მოსახლეობაში. ბოლშევიკური რეჟიმი ძალადობაზე დამყარებული წყობა იყო, რომლის დროსაც სასტიკად იდევენებოდა თავისუფალი აზრი და ცხოვრების დემოკრატიული ელემენტები. საბჭოთა ხელისუფლებამ, რომლის უკან დამპყრობელი რუსეთი იდგა, საქართველოს კიდევ უფრო დასუსტების მიზნით ჩამოაცილა ისტორიული მიწები და მეზობელ ქვეყნებს გადასცა სამუდამოდ. „რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების ზეწოლით, საქართველომ მეზობელ ქვეყნებს (თურქეთს, სომხეთს, აზერბაიჯანს) დაუთმო თავისი ისტორიული ტერიტორიები: ლორე, ზაქათალა, კოლა-არტანის, ართვინი და სხვ. საერთო დანაკარგმა შეადგინა 15117,54 კვ. კმ, რომელზეც ცხოვრობდა დაახლოებით 262137 კაცი.“ (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, სამსონაძე,

ქოქრაშვილი, ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008, 380). რუსეთი უხეშად ერეოდა საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის საკითხში, მან საქართველოს განაპირა ტერიტორიების უკანონოდ ჩამოცილება არ აკმარა, ახლა ავტონომიების ჩამოყალიბება განიზრახა. „ჩამოჭრილი ტერიტორიების გარეშე დარჩენილი საქართველო ფორმალურად გამოცხადებულ იქნა საქართველოს საბჭოთა დამოუკიდებელ რესპუბლიკად. მაგრამ თვით ეს საქართველოც ძლიერ დასერა და დასჭრა რუსეთმა პოლიტიკურად და ტერიტორიულად. ამ მიზნით მან გამოაცხადა აფხაზეთის ჯერ დამოუკიდებელი, შემდეგ ავტონომიური რესპუბლიკა. ასეთივე რესპუბლიკა აჭარაში და ავტონომიური ოლქი სამხრეთ ოსეთისა.“ (ლორთქიფანიძე, 1995, 270-271).

საქართველოს ოკუპაციას და ქვეყნის სრულ გაკონტროლებას რუსეთმა სხვა სახელი მოუძებნა, ეს იყო მოკავშირეობა საქართველოს ბოლშევიკურ ხელისუფლებასა და საბჭოთა რუსეთს შორის. დიპლომატიური ხელშეკრულება 1921 წლის 21 მაისს გაფორმდა, რითაც საქართველო საბჭოთა რუსეთის ნაწილად იქცა. „1921 წლის 21 მაისს დაიდო სამოკავშირეო მუშურ-გლეხური ხელშეკრულება საქართველოსა და რსფსრ-ს შორის, რომლის ძალითაც საქართველო რუსეთთან სამხედრო და სამეურნეო კავშირში შევიდა.“ (საქ. რევკომი, 1963, 123).

საქართველომ ნანატრი დამოუკიდებლობა დაკარგა და საბჭოთა იდეოლოგიის მსხვერპლი გახდა. უკან დარჩა დემოკრატიული მმართველობის ხანა. „საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით საქართველოში სახელმწიფოებრივი წყობილება შეიცვალა. დემოკრატიული სახელმწიფოს ნაცვლად რუსეთში საბჭოურ თარგზე გამოჭრილი „პროლეტარიატის დიქტატურა“ დამყარდა. სუვერენული პარლამენტური რესპუბლიკის ნაცვლად საბჭოთა რესპუბლიკა შეიქმნა.“ (თოიძე, 1999, 7).

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას მოსახლეობის დიდი ნაწილი პროტესტით შეხვდა. მისთვის მიუღებელი იყო იძულებით თავსმოხვეული ბოლშევიკური რეჟიმი. დღითიდღე მატულობდა უკმაყოფილო ადამიანების რიცხვი. „ქართველობა, განსაკუთრებით ინტელიგენცია, რომელმაც დემოკრატიული საქართველოს არსებობის პერიოდში მცირე ხნით მაინც იგრძნო დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრების ბედნიერება,

ძნელად ეგუებოდა რუსეთის მიერ საქართველოს ხელმეორე ოკუპაციას და დამყარებულ კომუნისტურ რეჟიმს.“ (ბენდიანიშვილი. დაუშვილი, სამსონაძე, ქოქრაშვილი, ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008, 401). ქვეყანაში ძალზე მძიმე ვითარება იყო შექმნილი. მოსახლეობის ანტისაბჭოთა განწყობილებას პოლიტიკური პარტიებიც შეუერთდნენ. „პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა ვერ ეგუებოდა საოკუპაციო რეჟიმს, არ ურიგდებოდა შექმნილ მდგომარეობას და, რეპრესიების მიუხედავად, ფარ-ხმალს არ ჰყრიდა, ბოლშევიზმის, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ახალ ფორმებს ეძებდა.“ (თოიძე, 1999, 8). ქვეყანაში იწყებოდა ახალი ეპოქა საბჭოთა რეჟიმისა, რომლის წინააღმდეგაც ირანმებოდა ქართველი ხალხი, ქართველი ინტელიგენცია. 1921-24 წლებში საქართველო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალმა ტალღამ მოიცვა.

საქართველოს ისტორიაში დამოუკიდებლობის სამწლიანმა ისტორიამ დადებითი კვალი დატოვა. დაიწყო ლიბერალურ-დემოკრატიული რეფორმების გატარება ცხოვრების ყველა სფეროში, გარკვეული წარმატებები მოიპოვა ქვეყანამ ეკონომიკისა და კულტურის დარგებში, თუმცა, მოვლენების სრულყოფილად განვითარებას ხელს ურთულებს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა უშლიდა. იყო შეცდომებიც და ხელისუფლების მცდარი ნაბიჯებიც, მაგრამ იყო წარმატებაც. დღეს შეიძლება თამამად ითქვას, რომ ისეთი მძიმე პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, ისეთ რთულ რეგიონში, როგორშიც ის იმყოფებოდა, საქართველომ გამოიჩინა პოლიტიკური სითამამე და დამოუკიდებლობის პრეტენზია ხმამაღლა გამოთქვა, მიაღწია გარკვეულ წარმატებებს. გარემო პირობებმა, ხელისუფლების პოლიტიკურმა უმწიფრობამ და ბევრმა შეცდომამ უარყოფითად იმოქმედა ქვეყნის განვითარებაზე. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ იმ სახელმწიფოების დამოკიდებულება და განწყობილება, რომელთა გარემოცვაშიც ჩამოყალიბდა დემოკრატიული საქართველო. სამწუხაროდ, ჩვენმა ქვეყანამ ისე მალე დაკარგა დამოუკიდებლობა და ისე სწრაფად აღმოჩნდა ბოლშევიკური რუსეთის ხელში, რომ ბოლომდე ვერც შეიგრძნო დამოუკიდებლობისა და რესპუბლიკური მმართველობის სიკეთე.

თავი III

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოში საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ

§1. ოკუპაციის პირველი წელი

მოახდინა თუ არა საქართველოს ოკუპაცია, საბჭოთა ხელისუფლებამ საჭიროდ ჩათვალა, რომ XI არმიის ნაწილები დაეტოვებინა დაპყრობილი ქვეყნის ტერიტორიაზე. აღნიშნული მოქმედება იმით იყო განპირობებული, რომ ოკუპირებულ საქართველოში შეიარაღებული გამოსვლები თავიდან აერიდებინათ. საქართველოს გასაბჭოებისთანავე ვ. ი. ლენინი სერგო ორჯონიკიძეს სთხოვდა: „სრულიად შეუძლებელია, მეთერთმეტე არმიის დაბრუნება დამშეულ და გამარცვულ აზერბაიჯანში. მიიღეთ უადრესად ენერგიული ზომები, რათა ეს არმია დატოვებულ იქნას საქართველოში.“ (ლენინი, 1988, 83). რა თქმა უნდა, ახლადდაპყრობილი ქვეყნის ტერიტორიაზე ჯარის ყოფნის აუცილებლობას მოითხოვდა მოსკოვი, რათა რაიმე საშიშროება არ შეჰქმნოდა ახალ ხელისუფლებას. „რუსეთის არმიის მუდმივი ყოფნა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რა თქმა უნდა, ამ სახელმწიფოს ოკუპაცია და ანექსია იყო, ეს ჩინებულად იცოდნენ კრემლის ლიდერებმა, მაგრამ გამოსავალი მალე მოინახა: ოკუპანტმა გამოაცხადა, რომ „რუსეთის წითელი არმია - ეს საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის მებრძოლი ავანგარდია საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ და მისი ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე - მეგობრული დახმარებაა.“ (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, სამსონაძე, ქოქრაშვილი, ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008, 379). ასე ამართლებდა საბჭოთა რუსეთი საოკუპაციო ჯარის ყოფნას საქართველოს ტერიტორიაზე, რეალურად კი, „რუსის ჯარი საქართველოში შემოსვლისთანავე, ფაქტობრივად, ქვეყნის ერთპიროვნული ბატონ-პატრონი გახდა. ჯარი მორალურად არამტკიცე, დამშეული და ჩაუცმელი იყო. ეს კი ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა ბოროტმოქმედების, უწინარეს ყოვლისა, მაროდიორობისათვის. ასეც მოხდა.“ (თოიძე, 1999, 9). რუსი ჯარისკაცების აღვირახსნილი მოქმედება ყოველგვარ საზღვრებს სცილდებოდა. მარცვავდნენ კერძო და სახელმწიფო ქონებას, ვანდალურად ექცეოდნენ კულტურის ძეგლებს, გაჰქონდათ და რუსეთში გზავნიდნენ, რაც მოხვედებოდათ. ქართული

საზოგადოება აღშფოთებას ვერ ფარავდა და ამდენი შეურაცხყოფის მოთმენას აღარ აპირებდა. აი, რამდენიმე ამონარიდი დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, ვლასა მგელაძის, მოგონებებიდან: „რუსეთიდან შემოჭრილი დამშეული ჯარები სახელმწიფო დაწესებულებებში დაბანაკდა, კერძო ბინებზე და ოჯახებში მოთავსდა. მრავალი საუკუნეობით მოწყობილი ოჯახები განადგურდა, სიწმინდე და ზნეობა შეირყვნა... ჯარი შეესია სამხედრო საწყობებს, იქიდან ფარაჯები, ფეხსაცმელები გამოიტანეს, თავიანთ დაფლეთილ ფარაჯებს, დაგლეჯილ ფეხსაცმელებს ქუჩაში ხალხის წინ იხდიდნენ, იქვე ყრიდნენ, ახლით იმოსებოდნენ... საავადმყოფოდან და კერძო სამკურნალოდან გაქონდათ ყოველგვარი ხელსაწყოები... გაძარცვეს და რუსეთში გაზიდეს თფილისის სამხედრო არსენალი... საგანგებო მატარებლები, ორთქლმავლები და საბარგო ვაგონები...“ (მგელაძე, 1991, 7-12). წითელი არმიის ჯარისკაცებისა და ოფიცრების უკონტროლო ქმედებები „უაღრესად დიდ პრობლემებს უქმნიდა საქართველოს ახალ კომუნისტურ რეჟიმს... თავზე ხელაღებული რუსი ჯარისკაცების დანაშაულებრივი ქმედება ზოგჯერ თვით ახალი კომუნისტური რეჟიმის ხელმძღვანელებსაც აღაშფოთებდა.“ (ნათმელაძე, დაუშვილი, წენგუაშვილი, ჯაფარიძე, 2008, 53).

საქართველოს ტერიტორია საოკუპაციო ჯარმა მოიცვა. ბევრი თვითმხილველი აღწერდა წითელარმიელების მიერ განხორციელებულ ძალადობის ფაქტებს. ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლება თავს ვერ არიდებდა ამ ფაქტებს და იძულებული იყო, მასზე რეაგირება მოეხდინა. დოკუმენტურად დაფიქსირებულია მრავალი ფაქტი რაიონული რეკომების მოხსენებებში, რომლებშიც აღწერილია ჯარისკაცებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის არსებული დაძაბულობა. „ყარაიაზის რაიონული რეკომის 1921 წლის 27 აგვისტოს მოხსენებაში, რომელიც კომუნისტური პარტიის თბილისის სამაზრო კომიტეტს წარედგინა, ჯარისკაცებსა და მოსახლეობას შორის სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით, რეკომი მოითხოვდა გაეყვანათ ყარაიაზიდან წითელი არმიის ნაწილები“. (საქ. პოლიტ. პარტ. არქივი, 1921, ფ. 14, ს.23, 36). დაძაბულობა მხოლოდ მოსახლეობასთან არ შექმნიათ წითელი არმიის ჯარისკაცებს, ისინი

თვითნებურად მოქმედებდნენ და ადგილობრივ სამხედრო სტრუქტურებს არ ემორჩილებოდნენ. „ვითარება გარკვეულად დაიძაბა საქართველოში განლაგებული რუსეთის საარმიო ნაწილების ხელმძღვანელობასა და საქართველოს კომუნისტური რეჟიმის მიერ შექმნილი სამხედრო სტრუქტურების ადგილობრივ ხელმძღვანელებს შორის.“ (ნათმელაძე, დაუშვილი, წენგუაშვილი, ჯაფარიძე, 2008, 53-54). არც ადმინისტრაციულ ხელისუფლებას ემორჩილებოდა წითელი არმიის ხელმძღვანელობა, ისინი თვითნებურად მოქმედებდნენ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. ამის შესახებ ცნობილი ქართველი ბოლშევიკი ლიდერებიც კი ლაპარაკობდნენ, ისინი აღიარებდნენ, რომ: „მეთერთმეტე არმიის ხელმძღვანელობა ფაქტობრივად არაფერს ეკითხებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს რევკომს.“ (თოიძე, 1999, 16).

მეთერთმეტე არმიის ჯარის ნაწილები ქართულ სოფლებშიც ჩააყენეს ისე, რომ არც არავინ გაუფრთხილებიათ წინასწარ და არც ადგილობრივი მოსახლეობის აზრი უკითხავთ, ჰქონდათ თუ არა ჯარის შენახვის შესაძლებლობა. წითელარმიელების ქართულ სოფლებში ჩაყენება დიდი ტვირთი იყო თითოეული გლეხისათვის, რადგან ჯარის შენახვის მთლიანი ხარჯები გლეხობას დააწვა კისერზე. მოსახლეობა აღშფოთებას გამოხატავდა შექმნილი ვითარების გამო. საარქივო მასალებში დაცულია ცნობები 1921 წლის გაზაფხულზე, სოფელ ძველ გავაზში, მეთერთმეტე არმიის ჯარისკაცების ჩაყენებისა და მათი გლეხობასთან დამაბული ურთიერთობის შესახებ. „ისინი ჩასახლებული არიან გლეხების სახლებში და თუ მივიღებთ მხედველობაში მათ რიცხვს (სამი ესკადრონი), მეტად სამწუხარო არის მათი შენახვა გლეხებისათვის.“ (სუიცსა, 1921, ს.116, 8). ძველი გავაზი კახეთის ერთ-ერთი უძველესი სოფელი იყო ყვარლის რაიონში. სწორედ აქ ჩაუყენებიათ გასაბჭოებისთანავე საბჭოთა ეგზეკუცია და სოფლისთვის ბევრი პრობლემა შეუქმნიათ. ძველი გავაზის რევკომის თავჯდომარე, ვინმე ალექსი იმედაშვილი, რომელიც კომუნისტი იყო და საბჭოთა ხელისუფლების მოხელე, სოფელში შექმნილ ვითარებას თავს არ არიდებს, პირიქით, მან თელავის სამაზრო რევკომის განყოფილებას შეატყობინა, თუ როგორ პირობებში აღმოჩნდა სოფლის მოსახლეობა და რა რთული იყო მათთვის ე. წ. საგანგებო

ეგზეკუციის შენახვა. სოფლის მცხოვრებთა წუხილი და გაჭირვება იმედაშვილმა თავის მოხსენებაში ჩამოაყალიბა: „ძველ გავაზში დღეს დგას შტაბი წითელარმიელებისა, აგერ უკვე შესრულდა ორი კვირა. ეს ჯარი ცხენოსანია და რიცხვი იმათი აღემატება ექვსას კაცს... ეს ჯარი მოთავსებულია ოჯახებში და მიუხედავად იმისა, რომ მათ უნდა ჰქონდეთ თავიანთი სასმელ-საჭმელი, რომ ვსთქვა სიმართლე, კი მეტი წილი სულაც საზრდოვობენ იმ ოჯახებიდან, სადაც ისინი არიან მოთავსებულნი.“ (სუიცსა,1921,ს.116,5).

ჯარის შენახვა გაჭირვებული სოფლის მოსახლეობისათვის დიდი ტვირთი იყო, ასევე გლეხებს უნდა გამოეკვებათ როგორც ჯარისკაცები, ასევე მათი ცხენები. გლეხოზა მთელი წლის განმავლობაში აგროვებდა სარჩოს ზამთრისთვის, ასევე ზრუნავდა პირუტყვისთვისაც, რომელთა გამოსაკვებად გაზაფხულიდან აგროვებდა ბალახს. ჯარისკაცები დაუკითხავად შედიოდნენ გლეხების მამულში, თავიანთი ცხენებით ვენახებსა და ყანებს ანადგურებდნენ. ხალხმა არ იცოდა, კიდევ რამდენ ხანს დაჰყოფდნენ სოფელში იძულებით ჩასახლებული ჯარისკაცები. არც არავინ ატყობინებდათ მათ ამის შესახებ. გაუსაძლისი იყო გლეხოზისათვის შექმნილი ვითარება. ალექსი იმედაშვილი მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ სოფლის ეკონომიკური შესაძლებლობა იმდენად მწირი იყო, რომ მოსახლეობას უკიდურესი გაჭირვება და შიმშილი ელოდა, თუ ჯარი კიდევ დარჩებოდა სოფელში. „მე თავისუფლად შემიძლიან დაგისურათოთ, რომ თუ ეს ჯარი თავის ცხენებითურთ კიდევ დაჰყოფენ აქ, ისე მოისპობა საქონლის საკვები, რომ მომავალი წლისთვის უსაკვებოდ დარჩომის მიზეზით იკლებს ერთი ორად ხვნა-თესვა და მით შემდეგისთვის ეს აუტანელი გარემოება უქადის ხალხს შიმშილ-სიტიტვლეს.“ (სუიცსა,1921,ს.116,5).

თავდაპირველად სოფლის გლეხოზა იძულებით, მაგრამ უპრეტენზიოდ ინახავდა ჯარისკაცებს. იყო ფაქტები, როდესაც რუსი ჯარისკაცები ხალხს ძალდატანებით ართმევდნენ სარჩოს, ადგილი ჰქონდა ქურდობას, აოხრებდნენ ბაღ-ვენახებსა და მოსახლეობის შეურაცხყოფასაც არ ერიდებოდნენ. განსაკუთრებით მაშინ, თუ რომელიმე გლეხი ჯარისკაცების თავნებობას წინ აღუდგებოდა და მათი თავგასული ქმედების

აღკვეთას შეეცდებოდა. „თუ ვინმე პატრონმა ან მეველემ დაუშალა, მაშინ ხმარობენ ძალას,“ (სუიცსა,1921,ს.116,5) - ნათქვამია დოკუმენტში.

უიმედოდ დარჩენილი მოსახლეობა ცდილობდა, თავად მიემართა თელავის მაზრის რეკომისათვის, რადგან იმედაშვილის მოხსენების საპასუხოდ სოფლისთვის არაფერი გაკეთებულა, არც მდგომარეობა შეცვლილა. სოფლის მოსახლეობის სახელით მოთხოვნა წარადგინეს თელავის სამაზრო რეკომის თავჯდომარის სახელზე. თხოვნაში ნათქვამია, რომ სოფელი უკიდურესად მძიმე პირობებში იმყოფებოდა. მოყვანილი იყო მრავალი ფაქტი ჯარისკაცების უწყესო ქმედების შესახებ. აი მცირე ნაწყვეტი მოთხოვნის შინაარსიდან: „ამ წლის გაზაფხულზედ ორჯელ იყვნენ ჩვენს სოფელში რუსის წითელი ჯარისკაცები, ფეხოსანიცა და ცხენოსანიცა, ორ ესკადრონამდის, ეს ჯარისკაცები ჩვენმა საზოგადოებამ შევინახეთ ჩვენის ყოველისფერი ხარჯით. თითქმის თვე-ნახევარი, ჩვენ სათიბი მინდორი არა გვაქვს, ცოტ-ცოტა თივა გვიგროვდება ხოლმე ვენახებიდან, გაზაფხულზედ გათიბული თივა თითქმის მაშინათვე სულ გაათავეს, ახლა ეს სამი კვირაა, რაც მოვიდნენ სამი ესკადრონი კავალერიის პოლკი და გვისპობენ მინდორში ნედლ ბალახს... სხვაფრივაც გვავიწროვებენ სახლებში და მოგველის ჩვენც შიმშილი ჩვენის საქონელით ერთად.“ (სუიცსა,1921,ს.116,6).

სოფლის მოსახლეობა ამ მდგომარეობას სასჯელად თვლიდა. ამ მხრივ მოსახლეობის მოსაზრებას იმედაშვილიც იზიარებს. თავის მოხსენებაში იგი ვარაუდობდა, რომ შეიძლებოდა სოფელი ძველი გავაზი დაბეზღების ნიადაგზე მიჩნეული ყოფილიყო, როგორც პოლიტიკურად მოწინააღმდეგე საბჭოთა ხელისუფლებისა და შესაძლებლად მიაჩნდა, რომ სწორედ ეს იყო მიზეზი ეგზეკუციის ჩაყენებისა სოფელში. „თუ რომელიმე მოხელისგან ეს ძველი გავაზი შებიზღებულა, პოლიტიკური მხრივ, რის გამოც ვითომ ეს ჯარი ჩამდგარა, მე ვარ ამ სოფლის დღეის ბელადი, რომ ეს სოფელი ყოფილა და იქნება კეთილი და ერთგული დამცველი დღეის მთავრობის ინტერესებისა და არა მოლაღატე.“ (სუიცსა,1921,ს.116,5).

საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ თელავის მაზრის რეკომი გაეცნო სოფლის მოსახლეობის თხოვნას და ძველი გავაზის რეკომის თავმჯდომარის, ალექსი

იმედაშვილის, მოხსენებას, რადგან არსებობს ჩანაწერი, სადაც ჩანს, რომ მოუსმენიათ ტექსტი და, შესაბამისად, ამ საქმესთან დაკავშირებით შექმნილა ოქმი. საბოლოოდ დადგინდა: „განცხადება ძველი გავაზის რაიონის რევკომის ხსენებულ სოფელში მოთავსებული წითელი ჯარის მე-11 არმიის ნაწილების იქიდან გაყვანის შესახებ, რომელიც აწუხებენ მცხოვრებლებს. აქვს ადგილი ქურდობას ჯარისკაცების მიერ, ძველი გავაზის რევკომი მოითხოვს გადაყვანას ხსენებულ ნაწილებისა, ვინაიდან სოფელ ახალ გავაზში არ არის მოსალოდნელი კონტრრევოლუციური გამოსვლა და სხვა რაიმე საშიშროება.“ (სუიცსა, 1921, ს. 116, 8). რევკომს ეს დადგენილება 1921 წლის ოქტომბრის თვეში გამოუტანია. თუმცა არ ჩანს, რევკომმა დადგენილებაში მითითებული დაპირება მოიყვანა თუ არა სისრულეში, გაიყვანეს თუ არა ძველი გავაზიდან ჯარისკაცები და დაუბრუნდა თუ არა სოფელი ძველ ცხოვრებას. შეიძლება დაპირება დაპირებად დარჩა. დადგენილებაში ჩანს, რომ ხელისუფლებამ აღიარა ფაქტების რეალობა, მაგრამ არ ჩანს, რა გააკეთა შექმნილი მდგომარეობის შესაცვლელად მოსახლეობის კეთილდღეობისათვის.

ის, რაც ხდებოდა სოფელ ძველ გავაზში, არ იყო მხოლოდ ერთი სოფლის ტკივილი და პრობლემა. მსგავსი ფაქტები ხდებოდა საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. საბჭოთა ეგზეკუცია თითოეული ქართველის ცხოვრებას ართულებდა და მძიმე ტვირთად აწვა. ამ ერთი პატარა სოფლის შეჭირვებული მდგომარეობით შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ რა გაუსაძლისი მდგომარეობა იყო შექმნილი ქვეყანაში, სოფლად და ქალაქად. საოკუპაციო ჯარი პირწმინდად ძარცვავდა ხალხს და წინააღმდეგობის შემთხვევაში ფიზიკურ ანგარიშსწორებასაც არ ერიდებოდა. ქართველი ხალხი ვერ ურიგდებოდა არსებულ მდგომარეობას, ცდილობდა, მორალურად და სულიერად არ გატეხილიყო, მაგრამ ძალიან ძნელი იყო ასეთ პირობებში თავის გადარჩენა. ერთადერთ გამოსავალს ხალხი აჯანყებაში ხედავდა, ის მზად იყო, აეღო ხელში იარაღი და დაკარგული უფლებების აღდგენისათვის ებრძოლა.

§2. საქართველოს ეკლესია საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის დროს

საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დაპყრობის დღიდანვე დაიწყო ქვეყნის სრული გაკონტროლება. ოკუპანტთა მიზანი იყო, აღმოეფხვრათ ქვეყანაში დემოკრატიული მართვის ელემენტები, ჩაეხშოთ ანტირუსული და ანტისაბჭოთა პროპაგანდის კერები, მოესპოთ ქართველი ხალხის სურვილი დამოუკიდებლობის აღდგენისა და დაენერგათ საბჭოთა იდეოლოგია. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ საერთო სფეროს არ ეხებოდა. განსაკუთრებული ზეწოლა საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან იგრძნობოდა ეკლესიისა და ეკლესიის მსახურთა მიმართ. „ძალადობის მსხვერპლი აღმოჩნდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, მისი მსახურები, მისი კუთვნილი ქონება. მაგალითად, მცხეთის წმ. ნინოს სახელობის მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ნინო ჩიოდა, რომ სოფ. ძეგვში მონასტრის კუთვნილი მიწები წაართვეს (5 დესეტინა მიწა), დაარბიეს სამონასტრო სახლი, გაიტაცეს წიგნები და ავეჯი.“ (ნათმეღამე, დაუმვილი, წინგუაშვილი, ჯაფარიძე, 2008,52). ეს არ იყო მხოლოდ ერთი შემთხვევა. რადგან საბჭოთა რეჟიმი ეკლესიის დაუძინებელი მტერი იყო, მსგავსი ფაქტები საკმაოდ ბევრი მოიძიებოდა საბჭოთა საქართველოში. ქვეყნის სულიერი აღორძინების საყრდენი იყო ეკლესია, რომელიც დარაზმავდა ხალხს ერთიანობისათვის ბრძოლაში. ამიტომ, სასულიერო პირთა იგნორირება საზოგადოებისგან და მათი პოლიტიკური დევნა ხელისუფლების ერთ-ერთი ამოცანა იყო.

რუსეთის ცარიზმმა ქართული ეკლესიის მიმართ რეპრესიები ჯერ კიდევ XIX საუკუნის I ნახევარში განახორციელა, როდესაც მცხეთის და აფხაზეთის საკათალიკოსოები გააუქმა და კათოლიკოს-პატრიარქს ანტონ II-ს ბრალდებები წაუყენა. ანტონ II-ის საქართველოდან გაწვევით „ცარიზმი ერთდროულად რამდენიმე საკითხის გადაწყვეტას აპირებდა, ერთი მხრივ, თავიდან მოიშორებდა მემამბოხე კათალიკოს-პატრიარქს, რომელიც ბაგრატიონთა გვარიდან იყო, ხოლო მეორე მხრივ, მისი მოცილებით გაიოლდებოდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის მოსპობა.“ (ბუბულაშვილი, 2011,64).

ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, ქართულ ეკლესიას რუსი ეგზარქოსები ჩაუდგნენ სათავეში და დაიწყო ქართული სასულიერო კერების მოშლა, სასულიერო პირების შევიწროება, მათი დევნა. ახალი ხელისუფლება არ ერიდებოდა ქართული მართლმადიდებლური ტაძრების დამახინჯებას, ხდებოდა მათი შეთეთრება და ახლებურად მოხატვა, გახშირდა საეკლესიო სიწმინდეების ძარცვა. სასულიერო პირებს ეკრძალებოდათ წირვა-ლოცვების ქართულ ენაზე ჩატარება. აღმოსავლეთ საქართველოში ქართული ეკლესიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნა მოათავეს თუ არა, ახლა დასავლეთ საქართველოში დაიწყო საეკლესიო რეფორმების გატარება, რომელსაც ხელმძღვანელობდა რუსეთიდან მოვლენილი, გაქნილი პიროვნება, ეგზარქოსი თეოფილაქტე რუსანოვი. დასავლეთ საქართველოში საეკლესიო რეფორმების იძულებით გატარებას დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა: სახალხო აჯანყება დაიწყო 1819-1820 წლებში იმერეთსა და გურიაში. „ქართველი ხალხის აღნიშნული აჯანყება იმის დასტური იყო, რომ სახელმწიფოებრიობის დაკარგვასთან ერთად დამონებული ერი ვერ ეგუებოდა ეკლესიის დამოუკიდებლობის მოსპობას და ხმას იმაღლებდა რუსეთის ძალმომრეობის წინააღმდეგ.“ (ბუბულაშვილი, 2011, 84).

საუკუნეების განმავლობაში ცდილობდნენ მაჰმადიანური სახელმწიფოები საქართველოს დაპყრობას. მრავალი წლის განმავლობაში ებრძოდნენ, ავიწროებდნენ, იპყრობდნენ და განადგურებით ემუქრებოდნენ. ბევრჯერ დამდგარა ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი, მაგრამ ქართულ ეკლესიას მაშინაც არ დასდგომია ისეთი მძიმე ხანა, როგორც ახლა იყო. მართლმადიდებლობის ნიშნით არჩეული და მფარველ სახელმწიფოდ მიჩნეული რუსეთი ენერგიულად ანადგურებდა და სპობდა ყველაფერს, რასაც ქართული სულიერება და თვითმყოფადობა ჰქონდა შერჩენილი.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე ერთი წლით ადრე, 1917 წლის 12 მარტს, ძალაში შევიდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა-ავტოკეფალია. კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს კირიონ II, (ერისკაცობაში გიორგი სამაგლიშვილი), რომელიც მანამდე სასტიკად იდევნებოდა, როგორც ერთ-ერთი აქტიური ავტოკეფალისტი. 1908 წელს კირიონ II-ს ცილი დასწამეს და ეგზარქოს ნიკონის

მკვლევლობის ბრალდებით რუსეთში გადასახლეს. მთავარი მიზეზი მისი გადასახლებისა იყო ის, რომ კირიონი საქართველოს ეკლესიის ინტერესების დამცველი და ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის აქტიური მებრძოლი იყო.

1921 წელს საქართველომ საბჭოთა რუსეთის წყალობით კვლავ დაკარგა დამოუკიდებლობა. შეიქმნა რთული მდგომარეობა ქართული ეკლესიისათვის. დაიწყო ეკლესიის შევიწროება და მის ერთგულ მსახურთა დევნა. განუკითხავად მიმდინარეობდა საეკლესიო სიძველეების ამოღება და ძარცვა. „რევკომის 1921 წლის 15 აპრილის №22 დეკრეტის მე-14, მე-15 მუხლებში ნათქვამი იყო: „არც ერთ საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებას არ აქვს უფლება, იქონიოს საკუთრება. მათ არ აქვთ იურიდიული პიროვნების უფლება, საქართველოს რესპუბლიკაში არსებული საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებათა მთელი ქონება გამოცხადებულია სახალხო კუთვნილებად.“ (ვარდოსანიძე, 2011, 55). ეს იყო მხოლოდ თვალის ასახვევად, რათა საბჭოთა ხელისუფლების მიერ გაჩაღებული ძარცვა-გლეჯა საეკლესიო ქონებისა, კანონიერად გამოეცხადებინათ. ამ საკითხთან დაკავშირებით 1922 წელს „საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ მიიღო რუსეთის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის, ლ. ტროცკის, ბრძანება, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს ეკლესია-მონასტრებიდან მთელი განძეულობის: ძვირფასი ლითონების, მონეტების, ძვირფასი ქვების, საკრედიტო ბილეთების და მისი სუროგატების თავმოყრასა და მოსკოვში გაგზავნას. ამასთან, მონასტრებში, მუზეუმებში, სასახლეებში, კერძო კოლექციებში დაცული განძეულობის აღრიცხვას.“ (ნათმეღაძე, დაუშვილი, წენგუაშვილი, ჯაფარიძე, 2008, 123-124). ამ ფაქტთან დაკავშირებით სასწრაფოდ შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო, რომელსაც ევალებოდა ქართული ეროვნული საგანძურის შენახვა-დაცვის საკითხის მოგვარება. სამწუხაროდ, ეკლესია-მონასტრები არ იყო დაცული საბჭოთა ხელისუფლების ძალმომრეობითი რეჟიმისაგან. დაიწყო საეკლესიო ქონების რეკვიზიცია და ქართული საგანძურის ძარცვა. არსებობს ზუგდიდის მაზრის წალენჯიხის თემის სოფელ ნაკიფუს ღვთისმშობლის ეკლესიის რეკვიზიციის ოქმი, რომელშიც მითითებულია, რომ „ეკლესიიდან გაიტანეს ოქროთი

დაფერილი ვერცხლის მთავარანგელოზის ხატი... ზუგდიდის მაზრის სოფელ ჯგალის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიიდან გაიტანეს შვიდი საეკლესიო ნივთი, მათ შორის დიდი ზომის ვერცხლით მოჭედილი ჯვარი. ამავე მაზრის სოფ. აბასთუმნის ეკლესიიდან წაიღეს ვერცხლის ბარძიმი, ვერცხლის ფეხშუმი, ვერცხლის პანაგირი და სასაკმევლო... ეკლესიების დარბევა განხორციელდა თიანეთის მაზრაშიც. საგანძური გამოიტანეს წმ. ნიკოლოზისა და წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიებიდან.“ (ნათმელაძე, დაუშვილი, წენგუაშვილი, ჯაფარიძე, 2008, 124). ეკლესიებიდან გატანილი სიძველეები და ქართული ოქრომჭედლობის საგანძური ხშირად პირადი ინტერესების მსხვერპლიც კი ხდებოდა. „საეკლესიო სიძველეების ჩაბარების დროს იყო არა ერთი შემთხვევა, როცა ცალკეული უპასუხისმგებლო პირები ითვისებდნენ საეკლესიო განძეულობას.“ (ნათმელაძე, დაუშვილი, წენგუაშვილი, ჯაფარიძე, 2008, 126).

ხელისუფლების ასეთი უდიერი დამოკიდებულების წინააღმდეგ აქტიურად გამოვიდნენ საეკლესიო პირები, რომლებიც ცდილობდნენ, დაეცვათ ეკლესიები ნგრევის, ძარცვისა და შეურაცხყოფისაგან. სასულიერო პირთა პროტესტი, ცხადია, ბევრს ვერაფერს შეცვლიდა, მაგრამ ისინი მაინც იმაღლებდნენ ხმას ხელისუფლების წარმომადგენლების თვითნებური და უკანონო ქმედებების წინააღმდეგ. ამგვარი თამამი საქციელის გამო სასულიერო პირები ხშირად საკუთარ თავს უქმნიდნენ საფრთხეს; მიუხედავად ამისა, მაინც არ ჩერდებოდნენ და ცდილობდნენ ეხსნათ ტაძრები სრული განადგურებისგან და საეკლესიო ქონება ძარცვისგან. აი, რას სწერდა შინაგან საქმეთა კომისარი ტალახაძე ზუგდიდში აღმასკომის თავმჯდომარეს: „მოსული ცნობებით, კორცხელისა და წალენჯიხის მსოფლიო მნიშვნელობის ტაძრებს უპირებენ დანგრევას, კლუბად გადაკეთებას, წინადადებას გაძლევთ, სასტიკი ზომები მიიღოთ ძველების ხელშეუხებლობისათვის.“ (სუიცსა, 1923, ს. 480, 41). ეკლესიის დაშლის და მასალის სხვა დანიშნულებისათვის გამოყენების ფაქტები მრავლად იყო იმ დროის საქართველოში. ეკლესიას ხშირად სკოლად, კლუბად, ან უარეს შემთხვევაში პირუტყვის სადგომადაც აკეთებდნენ. ქ. ზუგდიდში მცხოვრები მოქალაქე კონსტანტინე კილასონია

ადგილობრივ ხელისუფალთაგან მოითხოვდა: „შუამდგომლობას ზუგდიდის ეკლესიის კლუბად გადაკეთების შეჩერების შესახებ.“ (სუიცსა, 1921, ს. 480, 24).

ხელისუფლება არად აგდებდა საეკლესიო პირების წინააღმდეგობას და თავად შლიდა ეკლესიებს და იმავე მასალით სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებს აშენებდა. საარქივო მასალებში დაცულია საჩხერის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის, ვინმე თათეიშვილისა და მდივან შავგულიძის მოხსენება ადგილობრივი ეკლესიების დაშლის შესახებ. „მიეცეს საჩხერის რაიაღმასკომს ნება, რათა გაიხმარონ ადგილობრივი სკოლის ასაშენებლად, კარის ეკლესიების გამოსადეგი მასალა, რომლებიც ეკუთვნოდა ელისაბედ და გიორგი წერეთელს“. (სუიცსა, 1921, ს. 480, 68). _ იუწყება დოკუმენტი.

ხშირად იავარქმნილი სამარხებისა და წმინდა სავანეების ხელყოფასაც კი კადრულობდნენ აქტივისტი კომკავშირელები და უდიდეს შეურაცხყოფას აყენებდნენ არა მარტო წმინდა საძვალეებს, საქართველოს წარსულსაც. „ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა კომუნისტებისა და კომკავშირელების ერთი ჯგუფის მიერ განხორციელებულმა მკრეხელობამ, რაც მოწამეთას მონასტრის წმინდა სიძველეთა ხელყოფაში გამოიხატა. მათ გახსნეს წმინდა საძვალეები და შეურაცხყვეს წმინდა სავანე.“ (ნათმელაძე, დაუშვილი, წენგუაშვილი, ჯაფარიძე, 2008, 127).

საბჭოთა ხელისუფლების უღირსი დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ, ასევე ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებისა და განძეულობის მიმართ, აღაშფოთებდა ბევრ ქართველს. ისინი ცდილობდნენ ეკლესიის, როგორც არა მარტო რელიგიური ცენტრის, არამედ როგორც არქიტექტურული ძეგლის გადარჩენას. სიძველის გამო ბევრი ნაგებობა ირღვეოდა და ისედაც დაზიანებული, ქარისა და წვიმისაგან სრულიად განადგურების საფრთხის წინაშე იდგა. აი, მაგალითად: „მეტეხის მე-2-ე გამასწორებელი სახლის საყდრის სახურავის გადმოცვენა, რღვევა ქარის მიერ... გადმოყრილი თუნუქებიდან (ქესტებიდან) ადმინისტრაცია ციხის სახელოსნოში აკეთებდა პატიმრებისათვის სხვა და სხვა უბრალო ჭურჭლეულობას... ციხის ადმინისტრაციას არავისთვის უცნობებია საყდრის სახურავის ნგრევის შესახებ და არც მიუღია რაიმე სათანადო ზომები მის გადასარჩენად.“ (სუიცსა, 1923, ს. 480, 38). ისტორიული ძეგლის

გადასარჩენად შედგენილა აქტი, რომელიც ციხის ადმინისტრაციას ძეგლის დაცვისათვის ღონისძიების გატარებას სთხოვდა. აქტს ხელს აწერენ: ეროვნული გალერეის დირექტორი დიმიტრი შევარდნაძე, ინჟინერი დავით ჯორჯაძე და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ინსპექტორი ვ. სუფრისპირელი. გამოიღო თუ არა მათმა მცდელობამ შედეგი, არაა ცნობილი, არც საარქივო მასალებში დაცულ ცნობებში მოიპოვება შესაბამისი ინფორმაცია.

ქართული ეკლესია მძიმედ განიცდიდა სახელმწიფოებრიობის დაკარგვას და აქტიურად ერეოდა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების საკითხებში. 1922 წლის აპრილ-მაისში, იტალიის ქალაქ გენუაში მიმდინარე კონფერენციას ქართველი ერის სახელით მემორანდუმი გაუგზავნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ. პატრიარქი ცდილობდა მემორანდუმის საშუალებით კონფერენციის მონაწილეებს ყურადღება გაემახვილებინათ საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე. „ოკუპანტები, მართალია, ლამობენ შინ და გარეთ დაარწმუნონ, რომ მათ გაათავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერად გრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყი მე... დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნას საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილ-დაცულ იქნას მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრობა-მიტაცებისაგან.“ (ვარდოსანიძე, 2001, 68) ამბროსი ხელაიას ეს გაბედული ნაბიჯი ძალიან ძვირად დაუჯდა: „ბოლშევიკურმა საოკუპაციო ხელისუფლებამ არ აპატია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდეს ამბროსის, საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს ქართველი ერის კანონიერი უფლებების დასაცავად ხმის ამოღება და დაიწყო შეტევა მის წინააღმდეგ.“ (ვარდოსანიძე, 2011, 71). საბჭოთა ხელისუფლებამ პატრიარქი დააპატიმრა. იგი 1925 წლამდე ციხეში იხდიდა სასჯელს, ისე დაავადდა, რომ გათავისუფლებიდან მალე გარდაიცვალა. მისი დანაშაული ის იყო, რომ უყვარდა თავისი ქვეყანა და უსამართლობა მისთვის ყოველ დანაშაულზე მაღლა იდგა.

საბჭოთა ხელისუფლება მხოლოდ ეკლესიის წინამძღოლებს არ ავიწროვებდა, ყველა ღვთისმსახური, რომელიც საბჭოთა იდეოლოგიის მიმართ კეთილგანწყობილი არ

იყო, ქვეყნის მტრად ცხადდებოდა. იკრძალებოდა ღვთისმსახურება, უღმერთობას ქადაგებდა ახალი პოლიტიკური წყობა. ზეწოლა ხორციელდებოდა რელიგიური საზოგადოების მიმართ, იკრძალებოდა თავისუფალი აზროვნება და ეროვნული თვითშეგნება კნინდებოდა. „იმ შემთხვევაში, უკეთუ გამოაშკარავდება რელიგიური საზოგადოების მონაწილეობა კონტ-რევოლუციურ გამოსვლებში, ანდა, უკეთუ გამოაშკარავდება საეკლესიო ქონების ბოროტად გამოყენება ან მისი გაფლანგვა, ხელშეკრულება რელიგიურ საზოგადოებასთან ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით მოიშლება, ტაძარი სხვა რელიგიურ საზოგადოებას გადაეცემა, ხოლო დანაშაულებრივი ქმედობის ჩამდენი კი მიეცემა სამართალში.“ (ვარძიელი, 1923, 4). ეს ეწერა გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში, 1923 წლის 21 დეკემბრის ნომერში, რომლის ავტორიც იუსტიციის სახალხო კომისარი, ვინმე ვარძიელი გახლდათ. სტატიის შინაარსის მიხედვით, ადამიანი, რომელიც არსებული წყობილების წინააღმდეგ ხმას აიმაღლებდა და საკუთარ აზრს დააფიქსირებდა, აუცილებლად კონტრრევოლუციონერად იქნებოდა შერაცხული. ეს მოსაზრება ვრცელდებოდა როგორც საერო, ისე სასულიერო სფეროს წარმომადგენლებზე. განსაკუთრებით ცუდ დღეში, როგორც უკვე აღინიშნა, ეკლესიის მსახურნი იყვნენ, რომლებიც ხშირად იძულებულნი ხდებოდნენ, უსაფუძვლო ბრალდებების გამო ხელი აეღოთ ღვთისმსახურებაზე. „ცხუკურის თემის ორმა მღვდელმა: ილია ხაჭაპურიძემ და ილარიონ ჩინჩალაძემ მიატოვეს მღვდლობა. როგორც ირწმუნებოდნენ, მათ უთქვამთ შემდეგი: „ამ ბოლო ხანებში ხალხმა ზიზღით დაგვიწყო მზერა, ზოგი მათგანი მატყუარას გვიწოდებდა.“ (ნათმეღაძე, დაუშვილი, წენგუაშვილი, ჯაფარიძე, 2008, 126).

საბჭოთა ხელისუფლება ხალხს ურწმუნოებას უქადაგებდა, ეკლესიასა და სასულიერო პირების მიმართ ზიზღს შთააგონებდა. ამიტომაც საბჭოთა აქტივისტები დათარეშობდნენ სოფლიდან სოფელში, შეურაცხყოფას აყენებდნენ და ცილს სწამებდნენ ეკლესიის მსახურთ, მღვდლებს იძულებით კრეჭდნენ წვერს, ეკლესიას აპარტახებდნენ, ჰკეტავდნენ ტაძრებს და მრევლს წირვა-ლოცვების საშუალებას არ აძლევდნენ. მოსახლეობა ძალზე განიცდიდა ამ მდგომარეობას, მიუხედავად მკაცრი ზეწოლისა,

ხალხს ტაძრისთვის ზურგი არ შეუქცევია. ადამიანები ითხოვდნენ, აღდგენილიყო ტაძრები და წირვა-ლოცვები განახლებულიყო. სწორედ ამას ეხება არქივში მოპოვებული ცნობები, – „სენაკის მაზრის სოფ. ზედა-ნაგვაზავოს მცხოვრებთა განცხადება, ზუგდიდიდან მიღებული დეკრეტი და სოფ. შაუმიანის მცხოვრებთა განცხადება ეკლესიის გახსნის და წირვა ლოცვის აღდგენის შესახებ.“ (სუიცსა, 1923, ს. 480, 16).

ხელისუფლება ცდილობდა, ხალხი ეკლესიისათვის ჩამოეცილებინა, აუქმებდა ტაძრებს და ღვთისმსახურების წინააღმდეგ მკაცრ ღონისძიებებს ატარებდა. არსებობს მასალა ქალაქ გორში კათოლიკური ეკლესიის დახურვის შესახებ, ცნობა საიდუმლოდ მიუწვდიათ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისათვის: „ქ. გორში, კათოლიკეთა ეკლესიის დახურვისა და მისი მღვდლის, სააკაშვილის, როგორც კონტრევოლუციური ელემენტის, საქართველოდან გაძევების შესახებ.“ (სუიცსა, 1924, ს. 811, 6). ხელისუფლების მხრიდან მკაცრი განაჩენი გამოუტანიათ მღვდლისათვის, სავარაუდოდ, შეიძლება მღვდელი სახალხო აჯანყების მონაწილე, ან ხელშემწყობი იყო. ტაძარი, სადაც ის მსახურობდა, ანტისაბჭოთა შეხედულებების მქონე ადამიანების თავშესაფრად გამოაცხადეს. მას უწოდებდნენ „კონტრევოლუციურ პატრს, რომელსაც ეკლესია გადაუქცევია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველ და რელიგიოზურ სენის გამავრცელებელ ბუდედ.“ (სუიცსა, 1924, ს. 811, 9).

საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან იოლი იყო უსაფუძვლო ბრალდებების წაყენება. მაგრამ, თუ რომელიმე პოლიტიკურ ორიენტაციას არსებული წყობილების საწინააღმდეგოდ გამოხატავდა, მისი დარჩენა ქვეყანაში სიკვდილის ტოლფასი იყო. ამ შემთხვევაში მღვდლის სიცოცხლეს საფრთხე არ დამუქრებია, მაგრამ მისი დარჩენა ხელისუფლებამ კატეგორიულად აკრძალა, გადაწყდა მისი საქართველოდან გაძევება. „პატრი სააკაშვილი, როგორც მავნე და კონტრევოლუციური ელემენტი, გაძევებულ იქნას საქართველოს ფარგლებიდან, როგორც საბჭოთა კავშირის არა ქვეშემდომი, რათა ამით მოეღოს ბოლო რელიგიის უკანასკნელ ბუდეს ქ. გორში“. (სუიცსა, 1924, ს. 811, 10). – ვკითხულობთ დოკუმენტში. ბევრი სასულიერო პირი ეკლესიიდან დაითხოვეს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, ისე, რომ თავადაც არ

იცოდნენ რა იყო მიზეზი მათი ეკლესიიდან გაძევებისა და მასზე განხორციელებული რეპრესიებისა. სიღნაღის მაზრის სოფელ არაშენდის მღვდელი დავით ხატიაშვილი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს მიმართავს თხოვნით, რომ გაარკვიონ იმ გაუგებრობაში, რომელშიც იგი აღმოჩნდა. „არაშენდის აღმასკომის თავჯდომარემ ჩხეიძემ დამიბარა თავის კანცელარიაში და კატეგორიულად მომცა წინადადება, რომ მე მაქვს განკარგულება, რომ შენ უნდა მიატოვო შენი მღვდელობაო და აღმიკრძალა ყოველივე მღვდელმოქმედების წესის აღსრულება დღევანდელ დღემდე, ამა აკრძალვის და ასეთი სასტიკი უკანონო მოპყრობა თავჯდომარის მიერ ჩემთვის გაუგებელია.“ (სუიცსა, 1924, ს. 811, 53). არანაირი ინფორმაცია არ არსებობს მღვდელ ხატიაშვილის პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი ხელისუფლების კიდევ ერთი მსხვერპლია.

საქართველოში საბჭოთა რეჟიმის განმტკიცების წლები იდგა. სწორედ საბჭოთა რეჟიმის დაუნდობელი და სასტიკი იდეოლოგიის მსხვერპლი იყო ქართული მართლმადიდებლური ეკლესია. ეროვნული და ზნეობრივი იდეალები და მისი დამცველი ინსტიტუტი – ქართული მართლმადიდებლური ეკლესია - საბჭოთა იდეოლოგიისთვის მიუღებელი იყო.

§ 3. ანტისაბჭოთა მოძრაობის დაწყება: სვანეთის აჯანყება

ქართველი ხალხი არ აპირებდა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას და იძულებით თავსმოხვეულ საბჭოთა წყობილებას შეჰგუებოდა. „საქართველოში ანტი-ბოლშევიკური სახალხო განწყობილება იმ წუთიდანვე გახდა საგრძნობი, რა წუთიდანაც რუსულმა ჯარმა ტფილისში შემოდგა ფეხი“. (კირთაძე, 1996, 25). ქართველი ხალხის პროტესტი მალე შეიარაღებულ გამოსვლებში გადაიზარდა და 1921 წლის ზაფხულში სვანეთში აჯანყებამ იფეთქა. „სვანეთის აჯანყება პირველია იმ ანტისაბჭოთა გამოსვლებს შორის, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში. სვანეთის აჯანყებამ თავის დროზე დიდი რეზონანსი გამოიწვია საზღვარგარეთაც.“ (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, სამსონაძე, ქოქრაშვილი, ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008, 401).

შეიარაღებული აჯანყების დაწყებისათვის საქართველოში მრავალი მიზეზი არსებობდა. კერძოდ, რევკომების წევრთა თვითნებური, უსამართლო ქმედებები მაზრებში, მათი არაპროფესიონალიზმი, გაუნათლებლობა, უღირსი საქციელი ხალხის მიმართ, ეროვნული და სოციალური ჩაგვრა, ზედაპირული დამოკიდებულება მოსახლეობის ყოფითი პრობლემებისადმი. ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები, საბჭოთა მოხელეები არაადამიანურად იქცეოდნენ, ხშირად საკუთარი ხელით ანადგურებდნენ ქართულ ღირსებას, ეროვნულ თვითმყოფადობას. მათ უკან საბჭოთა რუსეთის აგრესიული პოლიტიკა იდგა.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, პირველი სერიოზული ანტისაბჭოთა გამოსვლა დაიწყო სვანეთში, რაჭასა და ლეჩხუმში. ეს იყო რეგიონი ცხოვრების რთული პირობებით, გადაუჭრელი სოციალური პრობლემებით, რაც ახალი ხელისუფლებისაგან გონივრულ მიდგომას მოითხოვდა. სვანეთში მიმდინარე უმართავი პროცესები ყველაზე მეტად თვით სვანეთის მოსახლეობას აზარალებდა. დამაბულობის განმუხტვა ახალ ხელისუფლებას შეეძლო გონივრული გადაწყვეტილებით და არა ძალისმიერი პოლიტიკითა და აგრესიით. „ამას ერთი ხმით ლაპარაკობს სვანეთის მყუდრო ხალხი

იმიტომ, რომ დღემდე ვინც მოვიდა ცენტრიდან მთავრობის რწმუნებულად, ის ეგონა ხალხს მათი სიმყუდროვის მომტანი და დამცველი ბანდიტების ძალმომრეობისაგან, მაგრამ ნაყოფი არ იყო. სვანეთში მოვიდა ცენტრის რწმუნებული, ვერც ერთმა ვერ გაიგო მულახის ამხანაგების და სვანეთის მშრომელი ხალხის კვნესა და სურვილი და აგრეთვე ვერც ვერაფერი გააგებინეს ცენტრს.“ (სუიცსა, 1922, ს. 581, 15). ადგილობრივი რევკომის წევრები, რომლებიც ხშირად თავიანთი გაუნათლებლობით და საქმის უცოდინრობით გამოირჩეოდნენ, მხოლოდ საკუთარი ინტერესებით მოქმედებდნენ. ისინი ერეოდნენ მოსახლეობის პირად საქმეებში, ავიწროებდნენ ხალხს და ადგილობრივი სვანების გაღიზიანებას იწვევდნენ. „ადგილობრივი რევკომები ერევიან სახალხო მამულების მართვა-გამგეობის საქმეებში. ვინაიდან ეს მოვლენა შეუძლებლად ხდის სახალხო მამულების წესიერად მართვას.“ (სუიცსა, 1921, ს.37, 70). აღნიშნული წყაროებიდან ჩანს, რომ სვანეთის მოსახლეობის მფარველობა და პატრონობა საბჭოთა ხელისუფლებას არ შეეძლო, ან არ სურდა, ამიტომ ყველა დანაშაულს თუ პოლიტიკურ პროტესტს ბოროტმოქმედებად აცხადებდა და ყველაფერში ადგილობრივ მოსახლეობას სდებდა ბრალს. „ბოროტმოქმედებათა შორის პირველი ადგილი უკავია მკვლელობას, სისხლის ალების ნიადაგზე. ზემო სვანეთის მკვიდრი სვანები, ჩამორჩენილი არიან სხვა კუთხეებზე კულტურულად და ეკონომიურად, რაც უნდა მიეწეროს სვანეთის განსაკუთრებულ მდგომარეობას და უგზოობას, ეს სვანეთს ასვამს განსაკუთრებულ დაღს შეუგნებლობისას, უვიცობისას და ამ ნიადაგზე ძველი ზნე-ჩვეულებანი მაგრად არის გამდგარი ყველა სვანის ძვალსა და რბილში.“ (სუიცსა, 1924, ს. 1594, 1). ამას წერდა ზემო სვანეთის მაზრის მილიციის უფროსი (ხელმოწერა არ იკითხება) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს თავის მოხსენებაში. მაგრამ არაფერია ნათქვამი, თუ როგორ უნდა გადაჭრილიყო მთიან რეგიონში ყოფით საკითხებზე წამოჭრილი რთული პრობლემები. ხელისუფლების მთავარი მიზანი იყო საბჭოთა წესწყობილების განმტკიცება და არა წესრიგის დამყარება და დანაშაულის აღკვეთა. ამიტომ მიაჩნდათ, რომ წესრიგის დამცველთა რიცხვი ზემო სვანეთის ტერიტორიაზე მნიშვნელოვნად უნდა გაზრდილიყო. „ამას მოითხოვს მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი დებულება

საბჭოთა ხელისუფლების გასამტკიცებლად.“ (სუიცსა, 1924, ს. 1594, 1^ბ). საბჭოთა მილიციის მოვალეობა იყო, აღმოეფხვრა რეგიონში არსებული უწესრიგობა და დანაშაული, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ეს ასე არ ხდებოდა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ხელისუფლებას რეგიონიც და თითოეული მოსახლეს დამნაშავედ ჰყავდა გამოყვანილი და თვლიდა, რომ ეს კუთხე ყველა ბანდიტის და წესრიგის დამრღვევის თავშესაფარი იყო: „სათარემო მოედანს წარმოადგენს ზ./ სვანეთის მაზრა, როგორც ადგილობრივ ბოროტმოქმედ პირებისათვის, ისე საბჭოთა საქართველოს, სხვა და სხვა კუთხეებიდან გადმოხვეწილებისათვის.“ (სუიცსა, 1924, ს. 1070, 1). უწესრიგობის ერთ-ერთი პრობლემა კი ის იყო, რომ საბჭოთა მილიციის რიგებში, ხშირ შემთხვევაში, უცოდინარი, უდისციპლინო და წესრიგის დამრღვევი პირები იყვნენ. „საყოველთაოთ მილიციაში მუშაობა ძლიერ სუსტობს, მიზეზი ამ სისუსტისა ჩემის გამორკვევით უნდა მიეწეროს ტექნიკურ მომუშავეების მოუმზადებლობას და მათ სიზარმაცეს“. (სუიცსა, 1924, ს.1068, 55). - აღნიშნულია ლეჩხუმის მაზრის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში. განსაკუთრებით საყურადღებოა მითითებები დისციპლინის მოშლის შესახებ. „დისციპლინის მსგავსი არაფერი ლეჩხუმის მ/გ მილიციაში არ არსებობს, ეტყობა არც არავინ ფიქრობს ამაზედ, და არც არავის მოუთხოვია და არ აუხსნია მათთვის დისციპლინის მნიშვნელობა.“ (სუიცსა, 1924, ს. 1068, 54^ბ). მილიციონერები ხშირად ავიწროებდნენ ხალხს, ართმევდნენ კერძო საკუთრებას. „მაზრაში არის შემთხვევა, როცა მილიცია ტყვილად აწუხებს ხალხს, მოუხეშავად ეპყრობა მას და საერთოდ მათში ძალიან ცოტაა შეგნებული მუშაკი.“ (სუიცსა, 1924, ს. 1068, 56^ა). იყო შემთხვევები, როდესაც მილიციონერები ბოროტად იყენებდნენ მდგომარეობას და პირად ანგარიშსწორებასაც არ ერიდებოდნენ. კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, ხშირად პირადად სჯიდნენ და კანონს არც აქცევდნენ ყურადღებას. საარქივო მასალებში მოპოვებულ ცნობებში არის ფაქტი დამნაშავის, - ყანსავ ჯაფარიძის, შესახებ. ყაჩაღად შერაცხული ყანსავ ჯაფარიძე ნამდვილად იყო დამნაშავე თუ ხელისუფლების მოწინააღმდეგე რიგითი სვანი? ბრძანება გაცემული იყო, რომ ცოცხლად შეეპყროთ და თუ ვერ მოახერხებდნენ მის დაჭერას, მაშინ მოეკლათ. ყანსავ ჯაფარიძის შეპყრობა ექვს მილიციონერს არ გასჭირვებია, მათ შორის იყო

ახალგაზრდა მილიციონერი ილამაზ ჯაფარიძე, რომელსაც, პირადი ინტერესიდან გამომდინარე, მოუკლავს შეპყრობილი ისეთ დროს, როდესაც ყანსავ ჯაფარიძე იჯდა მშვიდად და არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა. თვითმხილველი მილიციონერი ჰყვება: „ამ მკვლელობის შემდეგ გამოუდექით ილამაზ ჯაფარიძეს დასაჭერად, მაგრამ ხსენებული ილამაზ ჯაფარიძე მიიძალა. თურმე მას ჰქონია ყანსავ ჯაფარიძესთან კერძო ინტერესი და ამის გამო ჩაიდინა ეს უმსგავსო საქციელი.“ (სუიცსა, 1922, ს. 581, 22).

სამწუხაროდ, ქართული მილიციის რიგებში იყვნენ კრიმინალური წარსულის მქონე არაკეთილსინდისიერი ადამიანები, რომლებიც ძალაუფლებას ბოროტად იყენებდნენ და კორუფციაშიც იყვნენ ჩაფლულნი. ხშირად სწორედ ასეთი ადამიანები ინიშნებოდნენ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. მაგალითად, მილიციის უფროსად დასახელებულ დავითულიანს უარყოფითად ახასიათებენ კოლეგები. „დავითულიანი ვერ შეძლებს მაზრის მილიციის საქმეების გაძღვლას, ვერ აღადგენს მილიციაში დავარდნილ დისციპლინას და ვერ მოსპობს მილიციაში გაბატონებულ ლოთობას.“ (სუიცსა, 1924, ს. 1068, 57). იქვე არის მოყვანილი კიდევ რამდენიმე მაგალითი მილიციის უფროსების მამხილებლად: „ცაგერის რაიონის უფროსმა - კვირიკაშვილმა საქმე იცის, გამოცდილია, მაგრამ ღვინოს ზომაზე მეტს სვამს,“ — იქვე: „ყოფილი მილიციის უფროსს ამხ. მუშკუდიანს უმტკიცდება ბანდიტებთან კავშირი.“ (სუიცსა, 1924, ს. 1068, 57) და სხვ. რეკომენებისა და საბჭოთა მილიციის მიმართ აღშფოთებას ვერ მალავდნენ თავისუფლებისმოყვარე სვანები. ხელისუფლება მოვალე იყო, ხალხი დაეცვა და მათ კეთილდღეობაზე ეზრუნა და არა ბანდიტებად და საშიშ ელემენტებად გამოეცხადებინა თითოეული სვანი. შეწუხებულმა ხალხმა იარაღს მოჰკიდა ხელი და აჯანყებაც დაიწყო. აჯანყების მონაწილე ბიძინა პირველი აღნიშნავდა: „რადგან რეკომის შემადგენლობა ყაჩაღური იყო, ხალხის დამოკიდებულებაც ასეთია - საბჭოთა მთავრობა ყაჩაღური მთავრობა ყოფილაო. საბჭოთა მთავრობის პრესტიჟი სვანეთში ადგილობრივი ადმინისტრაციის მოსამსახურეთა შემადგენლობამ დასცა.“ (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, სამსონაძე, ქოქრაშვილი, ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008, 401). აჯანყებულები ასე სჯიდნენ და საკმაოდ სამართლიანადაც.

ადამიანები, რომელთაც შეიარაღებული აჯანება დაიწყეს სვანეთში, არც ბანდიტები იყვნენ და არც ბანდიტებს ებრძოდნენ. ისინი არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ხმამაღლა პროტესტს გამოთქვამდნენ. თუმცა, ხელისუფლებას მათი ბანდიტებად წარმოჩენა სურდა, რითაც შელახავდა ეროვნულ მოძრაობას. აქედან გამომდინარე, თუ ყველა სვანს ბანდიტად წარმოაჩენდნენ, მაშინ ხელისუფლების ბრძოლა გამოცხადდებოდა, როგორც ბანდიტების, ყაჩაღებისა და მძარცველების სალიკვიდაციოდ წამოწყებული ბრძოლა და არა სამართლიანად აჯანყებული სვანების წინააღმდეგ წამოწყებული სადამსჯელო ქმედება. ამდენად, სვანების პოლიტიკური პროტესტი შეინიღებოდა ცილისმწამებლური ბრალდებებით. ასეთ ხერხს ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად მიმართავდნენ. სვანეთის მაზრის მილიციის უფროსი მუშკუდიანი სახალხო კომისარიატის სამილიციო განყოფილების უფროსს სწერდა: „ლექხუმის მაზრაში, ადგილობრივ ქვემო სვანეთში გახშირდა ბანდიტები, რომლებიც უერთდებიან ზემო სვანეთის ბანდიტებს. საჭიროა მათ საბრძოლველად თანხა საიდუმლო ძეხვისათვის. მაზრის აღმასკომი ვერ გვაკმაყოფილებს, ამისათვის გთხოვთ განკარგულებას, რათა მომცეთ ასეთი საჭიროებისათვის თანხა.“ (სუიცსა, 1924, ს. 1068, 27).

მიუდგომელი სვანეთის მოსახლეობის დამორჩილება ხელისუფლებას უჭირდა. ადგილობრივი მილიციის განყოფილებები ითხოვდნენ ახალ ძალას აჯანყებული სვანების წინააღმდეგ. ერთ-ერთი მილიციის უფროსი წერდა: „მივიღე მოხსენება ლენტეხის სადარაჯოს უფროს მილიციონერისა, რომ ვინაიდგან ზემო სვანეთისკენ გადნა თოვლი და გაიხსნა გზა, იჩინეს თავი ბანდიტებმა და აქვს ადგილი მათ გადმოსვლას ქვემო სვანეთში... ძალაც არ ჰყოფნის ადგილობრივი წესრიგის დამცველთ, რის გამოც შეძლებას მოკლებული ვარ მივიღო მკაცრი და ენერგიული ზომები ბანდიტების ასალაგმავად.“ (სუიცსა, 1924, ს.1068, 14).

ადგილობრივ მილიციას სვანეთის დამორჩილებაში წითელი არმიის ნაწილებიც ეხმარებოდნენ. სვანები თავგანწირვით იბრძოდნენ და დიდ ზარალსაც აყენებდნენ რეგიონში მისულ სადამსჯელო რაზმებს. „ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ

აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნა წითელი არმიის 15 ათასიანი ნაწილი. სვანებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მომხვდურთ, დაამარცხეს ორი რუსული რეგიონი და უკუაქციეს, 500 წითელარმიელი ტყვედ აიყვანეს.“ (ნათმელაძე, დაუშვილი, წენგუაშვილი, ჯაფარიძე, 2008, 133). რადგან აჯანყებულმა სვანებმა შეძლეს წითელარმიელთა შემოტევის მოგერიება და ასეთი სერიოზული ზარალის მიყენება, ხელისუფლება შემფოთდა და გადაწყვეტილება მიიღო, სასწრაფოდ ჩაეხშოთ აჯანყება და სვანები დაემორჩილებინათ. აჯანყებულებს დიდხანს ჰქონდათ პოზიცია შენარჩუნებული და დათმობას არ აპირებდნენ. „აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, რუსთა მცირე რაზმი განაიარაღეს და სვანეთში შემავალი გზები შეკრეს. მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა. სვანები შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდნენ წითელი არმიის ნაწილებს, რომლებიც რეგულარულად იგზავნებოდნენ სვანეთის აჯანყების ჩასაქრობად. წითელმა არმიამ სვანებთან ბრძოლაში დიდძალი მსხვერპლი განიცადა მოკლულთა და დაჭრილთა სახით.“ (თოიძე, 1999, 363). ხელისუფლებას ეშინოდა, რომ აჯანყებას სხვა რეგიონებიც არ მოეცვა და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არ გავრცელებულიყო. პოლიტიკურმა პარტიებმა გააქტიურება დაიწყეს და გადაწყვიტეს, შექმნილი ვითარება გამოეყენებინათ ერთიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობისათვის. სვანეთის აჯანყებამ მომავლის იმედი განსაკუთრებით ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ჩაუსახა. „ზემო სვანეთში მოქმედებდნენ პარტიზანული რაზმები, რომელთა ფორმირებას ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცკ ეწეოდა. პარტიამ სვანეთში ეროვნულ-დემოკრატი სტუდენტების სამი ათეული გააგზავნა, შეიმუშავა შეიარაღებული რაზმების წესდება და ფიცი.“ (ენდელაძე, 2003, 95). ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აქტივისტებს ჯერ კიდევ აჯანყების დაწყებამდე სვანეთში სააგიტაციო მუშაობა გაუჩაღებიათ. ერთ-ერთი ადგილობრივი მილიციელი, პ. იოსელიანის ცნობით, აქტივისტებს სვანეთის თავადაზნაურობა და სამღვდელოება პოლიტიკურად დაუპირისპირებიათ ხელისუფლებისთვის. მოსახლეობა უარყოფით დამოკიდებულებას ხელისუფლებისა და წითელი არმიის მიმართ აღარ მალავდა.

სწორედ ესეც გახდა მიზეზი იმისა, რომ სვანეთში უბრალო მოსახლეობას ხელში იარაღი აეღო და ანტისაბჭოთა აჯანყება დაწყებულიყო. პ. იოსელიანი კი ხალხის გამოსვლას პროვოკაციად აფასებდა, იგი აღნიშნავდა: „სამღვდელოებამ და მათმა ხალხმა გასწიეს საშინელი პროვოკაცია ხალხში — ჯარი ნამუსს ახდის ხალხსო. 1921 წლის 28 ოქტომბერს ზემო სვანეთის სამღვდელოება და აბრაგების ერთი ნაწილი დაეცა სამაზრო რევკომს და წითელ მულახს, რომ ამოეხოცათ პარტიული ამხანაგები... საჭიროა საჩქაროდ კარგი ძალა, რომ დიდ კონტრრევოლუციად არ გადაიქცეს.“ (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, სამსონაძე, ქოქრაშვილი, ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008, 402).

სვანეთში მიმდინარე პროცესები დღითიდღე უმართავი ხდებოდა, ხელისუფლებას კი საფრთხე მოსვენებას არ აძლევდა. აჯანყებას უფრო მეტი ადამიანი მიემხრო. ხელისუფლებამ სვანეთის აჯანყებას უკვე მისცა ახალი შეფასება. თუ ადრე ბანდიტური დაჯგუფების გამოსვლად მოიხსენიებდა, ახლა მოსახლეობის ანტისაბჭოთა აჯანყებად შეაფასა. „მიმდინარეობს აშკარა ანტისაბჭოთა აჯანყება, აჯანყებულთა რიცხვი 1600 კაცამდე აღწევს. უშუალო ხელმძღვანელობას უწევს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია... მოსახლეობა შეიარაღებულ წინააღმდეგობებს უწევს საბჭოთა ხელისუფლების მიერ აჯანყების ლიკვიდაციისათვის გაგზავნილ ძალებს. აჯანყებას მიემხრო I უბნის რევკომის ყოფილი თავჯდომარე სიმონ ქალდანი. შეინიშნება მაზრის მილიციის თანამშრომელთა დიდი ნაწილის გადასვლა აჯანყებულთა მხარეზე.“ (ენდელაძე, 2003, 72).

აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, რუსთა ჯარი განაიარაღეს და სვანეთში შემავალი გზები გადაკეტეს. აჯანყებულები ცდილობდნენ, პოზიცია შეენარჩუნებინათ, სვანეთში საბჭოთა მილიცია და წითელი ჯარი არ შეეშვათ. „80 სვანი ჩასაფრდა მიუდგომელ კლდეებზე და რუსის ჯარს ცეცხლით შეხვდა. მოულოდნელობის გამო საბჭოთა მხარემ 80 კაცი დაკარგა და იძულებული გახდა ჯვრისკენ დაეხია. შემდეგ, როგორც ამტკიცებენ, ადგილობრივი მაზრევკომის ხელმძღვანელის ჩაგონებით, მეორე უფრო ძლიერი ექსპედიცია შედგა და სვანეთზე წამოვიდა.“ (სუიცსა, 1921, ს. 32, 50). ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა

იმისათვის, რომ აჯანყება სასწრაფოდ ჩაეხშოთ, რათა ანტისაბჭოთა აჯანყების მასშტაბი სვანეთს არ გასცდენოდა. თუ სვანეთში მკაცრად დასჯიდნენ თითოეულ აჯანყებულს, ეს საშიშროებაც აღარ იქნებოდა. დაიწყო რეპრესიები, მაგრამ ზამთარი დადგა და სვანეთის ტერიტორიაზე ახალი სადამსჯელო რაზმის შეყვანა შეუძლებელი გახდა. მაშინ რეპრესიებისაგან სვანეთი დიდმა თოვლმა იხსნა. 1922 წლის გაზაფხულზე ხელისუფლების ბრძანებით, ადგილობრივმა მილიციამ და რუსთა ჯარმა აჯანყებულთა წინააღმდეგ დამსჯელი ოპერაციები განაახლა. წითელმა არმიამ სვანებთან ბრძოლაში დიდი ზარალი განიცადა. მიუხედავად სვანების თავგანწირული ბრძოლისა, 1922 წლის გაზაფხულზე ზემო სვანეთის ანტისაბჭოთა აჯანყება მარცხით დასრულდა.

აჯანყების დასრულებამდე სვანეთის დეპუტატებმა შეადგინეს პეტიცია და საბჭოთა ხელისუფლებას წარუდგინეს. პეტიციაში მითითებული იყო ის შეცდომები, რომლებიც დაუშვა ხელისუფლებამ სვანეთში, რასაც მოჰყვა ხალხის შეიარაღებული პროტესტი. პეტიცია, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო მოთხოვნები, რომლებიც ხელისუფლებას უნდა გაეთვალისწინებინა და დაეკმაყოფილებინა, თბილისში ჩაიტანეს. გაზეთი „კომუნისტი“ წერდა: „ზემო სვანეთში სხვადასხვა გვარეულობას შორის ატეხილი დავის წყალობით გლეხობას დღემდე არ შეეძლო მშვიდად მუშაობა. დელეგატები აცხადებენ, რომ ხალხი მთავრობას გადასცემს იმ პროვოკატორებს, რომლებიც სვანებს ამხედრებდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ“. (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, სამსონაძე, ქოქრაშვილი, ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008, 402-403). ამით ცდილობდა ოფიციალური მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას და სვანეთის აჯანყებას მხოლოდ საგვარეულო დავად წარმოაჩენდა.

მართალია, აჯანყება ჩაახშეს, მაგრამ შედეგი მაინც გამოიყო. ამის შესახებ ალაპარაკდნენ არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთშიც. „აჯანყებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა მთელს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც. მან გამოძახილი ევროპაშიც პოვა და უცხოეთის პრესაც ალაპარაკა.“ (მგელაძე, 1991, 37).

პირველ ანტისაბჭოთა აჯანყებას გამოხმაურება მოჰყვა გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც 1922 წლის აპრილ-მაისში მიმდინარეობდა იტალიაში.

გაზეთმა „თავისუფალმა საქართველომ“, სვანეთის აჯანყების შესახებ 1922 წლის 21 მაისს დაბეჭდა სტატია, რომელშიც მითითებული იყო, რომ სვანეთის აჯანყებამ და საზოგადოდ პოლიტიკურმა მოძრაობამ საქართველოში უკვე მიიქცია გენუის კონფერენციის ყურადღება.

ემიგრაციაში მყოფმა ნოე ჟორდანიამ დეპეშა გააგზავნა გენუის კონფერენციაზე. მისი სურვილით დეპეშის შინაარსი ევროპის ქვეყნების დელეგატებს გააცნეს. ავტორი ითხოვდა კონფერენციის წევრებისაგან სვანეთის აჯანყებისათვის სათანადო ყურადღების დათმობას და განხილვას. დელეგატებმა პირველი კომისიის თავმჯდომარე შანცერს დაავალეს, სვანეთში მომხდარი ამბები ეცნობებინა გენუის კონფერენციაზე მყოფი რუსეთის დელეგაციის წევრებისათვის, რათა სასწრაფოდ მიეღოთ ზომები სვანეთში სისხლისღვრის შეწყვეტისათვის. თუმცა ამ მცდელობას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, რადგან რუსეთის დელეგაციის წევრმა გიორგი ჩიჩერინმა ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ ცინიკური პასუხი მისწერა გენუის კონფერენციის პირველი კომისიის თავმჯდომარე შანცერს. გიორგი ჩიჩერინის აზრით, „გენუის კონფერენციის დელეგატებს საერთოდ არ ჰქონიათ ამ საკითხზე მსჯელობის უფლება, სვანეთსა და სხვა ადგილებში თურმე არავითარი აჯანყება არ მომხდარა, საბჭოთა რუსეთს თურმე არც მე-9 და არც მე-11 არმია არ ჰყოლია და ყოველივე ეს „კერძო პირის ნოე ჟორდანიას გამონაგონია.“ (საქ. პოლიტ. პარტ. არქივი, 1922, ფ. 13, ს. 28, 7-8). გენუის კონფერენციაზე ქართულ მხარეს წარმომადგენელი ოფიციალურად არ ჰყავდა და ნოე ჟორდანიას მცდელობასაც შედეგი არ მოჰყოლია. მიუხედავად იმისა, რომ ემიგრირებული იყო საქართველოს ყოფილი მთავრობა, ეს არ ნიშნავდა, რომ კონფერენციაზე წარმომადგენლის უფლება არ ჰქონდა. ქართული ემიგრაციის მცდელობა, სამწუხაროდ, უშედეგოდ დასრულდა, სვანეთში მომხდარი სისხლისღვრის გამო პასუხისმგებლობა არავის დაჰკისრებია.

მიუხედავად მარცხისა, სვანეთის აჯანყება იყო პირველი სახალხო შეიარაღებული გამოსვლა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. სვანების შეუპოვრობა იყო მუხტი შემდგომი

აჯანყებებისათვის. ქართველი ხალხი არ აპირებდა შეგუებას რეალობასთან. სვანეთის აჯანყებამ მთელი საქართველო გამოაფხიზლა.

თავი IV.

1922 წლის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში.

ხევსურეთის აჯანყება

§1. პოლიტიკური მოძრაობის გააქტიურება საქართველოში

და მის ფარგლებს გარეთ

საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, მუშათა კლასი, გლეხობა, ინტელიგენცია, თავადაზნაურობა, ერთი სიტყვით, მთელი ქართველი ერი, გარდა ერთი მუჭა ბოლშევიკებისა, კატეგორიული წინააღმდეგი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების, რუსული წითელი არმიის საქართველოში შემოჭრისა და წლების განმავლობაში ყველანაირი ხერხით ცდილობდა, გამოეხატა პროტესტი არსებული რეჟიმის, წითელი დიქტატურის წინააღმდეგ. საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები მუდმივად ცდილობდნენ მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას და ყალბი პროპაგანდით მკაცრი საბჭოური რეჟიმის დამყარებას მშრომელი მასების გამარჯვებად და ქართველი ხალხისთვის გაწეულ დიდ დახმარებად წარმოაჩენდნენ.

ქართველი ხალხის დაუოკებელ სწრაფვას თავისუფლებისაკენ ვერაფრით ჩაკლავდა საბჭოთა რეჟიმი. ამისი ნათელი მაგალითი იყო 1921-1922 წლების მიჯნაზე მიმდინარე სვანეთის აჯანყება. სვანეთის ანტისაბჭოთა აჯანყების ჩახშობით ხელისუფლებამ ვერ გაანელა დამოუკიდებლობის სურვილი ხალხში, პირიქით. ბიძგი მისცა ქვეყანაში ეროვნული მოძრაობის გააქტიურებას. „სვანეთში დანთებული ცეცხლი საქართველოს სხვა კუთხეებსაც გადაედო.“ (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, სამსონაძე, ქოქრაშვილი, ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008, 403). ხალხი არ აპირებდა, შეგუებოდა არსებულ პოლიტიკურ წყობას და ხელში იარაღით იწყებდა ბრძოლას კვლავ უცხო უღლის ქვეშ მოქცეული საქართველოს გადასარჩენად.

ქვეყნის და ხალხის წინამძღოლობა უნდა აეღო იმ პოლიტიკურ პარტიას, რომელიც ხალხს დარაზმავდა და მათთან ერთად ჩაებმებოდა განმათავისუფლებელ მოძრაობაში. საქართველოში პოლიტიკურ პარტიათა შორის დამაბულობა, დამოუკიდებლობის

დაკარგვასთან ერთად, უფრო მკვეთრად გამძაფრდა. „მათი დაპირისპირება სათავეს წარსულ წლებში იღებდა, როცა ხელისუფლების სათავეში მემარჯვენე სოციალ-დემოკრატია იდგა. ოპოზიციური პარტიები ყოფილ მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ მან დაუშვა საქართველოს გასაბჭოება.“ (ნათმელაძე, დაუშვილი, წენგუაშვილი, ჯაფარიძე, 2008, 134). პოლიტიკურ პარტიათა შორის დამაბულობა უფრო მეტად გამძაფრდა, როდესაც ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვისთანავე ემიგრაციაში წავიდნენ. „დარჩენილები გაქცეულებს ბრალს სდებდნენ მათი ხელისუფლების სათავეში ყოფნისას უჭკუო პოლიტიკის წარმოებაში, რისი წყალობითაც საქართველო ასე დამარცხდა.“ (კირთაძე, 1996, 78). მართალია, საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიები აზრობრივად რადიკალურად უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, შეთანხმებაზე წავიდნენ. „ყველა პარტიის პოზიცია ერთნაირი იყო შეთანხმებისა და შეერთების აუცილებლობაში... მოლაპარაკება გარდაუვლად უნდა მომხდარიყო“, (კირთაძე, 1996, 78). რადგან ყველას საერთო მიზანი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა და საბჭოთა რეჟიმის დამხობა იყო. „მიუხედავად პოლიტიკური პარტიებს შორის უთანხმოებისა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხისადმი მათი დამოკიდებულება ერთგვაროვანი იყო.“ (ნათმელაძე, დაუშვილი, წენგუაშვილი, ჯაფარიძე, 2008, 134). საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ არსებული პოლიტიკური პარტიები აქტიურად ჩაებნენ განმათავისუფლებელ მოძრაობაში „ქვეყნის დამოუკიდებლობის პოზიციაზე მდგომი პარტიები საბოლოოდ რწმუნდებიან დაახლოების, შეერთებისა და ურთიერთთანამშრომლობის გარდაუვალ საჭიროებაში.“ (კირთაძე, 1996, 84).

სხვადასხვა პოლიტიკურ პოზიციაზე მყოფი პარტიები ურთიერთკავშირს ცდილობდნენ, მაგრამ ამას გარკვეული დრო დასჭირდა; საჭირო იყო ინტენსიური მოლაპარაკებების გამართვა და შეთანხმების მიღწევა. „მოლაპარაკების პირველ ეტაპზე მონაწილეობას არ იღებდნენ მხოლოდ სოციალისტ-ფედერალისტები,... პარტიას სასურველად მიაჩნდა არა მხოლოდ საინფორმაციო, არამედ საერთო შეთანხმებული

მოქმედების აუცილებლობა.... დაახლოებით იდენტური აზრით (მცირეოდენი ინტერეტაციით) გამოვიდნენ დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები.“ (კირთაძე, 1996, 78-79). დაიწყო კიდევ მოლაპარაკებები და ინტერპარტიული შეხვედრები 1921 წლის აპრილიდან. ერთიანი მოქმედების დაწყების მიზნით ქვეყანაში საჭირო გახდა ინტერპარტიული ხელმძღვანელი ცენტრი, რომელიც თავის თავზე აიღებდა დაახლოებისა და პარტიათა შორის თანამშრომლობის მოგვარებას. „აღნიშნული ცენტრის მიზანი უნდა ყოფილიყო პარტიებს შორის დაპირისპირების შეწყვეტა და საბჭოთა ხელისუფლების წინამდებარე ერთიანი ფრონტის შექმნა. ყოველი პარტია ამ ორგანოში თითო წარმომადგენელს აგზავნიდა.“ (ნათმეღაძე, დაუშვილი, წენგუაშვილი, ჯაფარიძე, 2008, 135). თითქმის ერთ წელზე მეტი გავიდა, რაც ქვეყანამ დაკარგა დამოუკიდებლობა და საბოლოოდ მიღწეულ იქნა შეთანხმება, პარტიები დაახლოვდნენ და გაერთიანდნენ. „1922 წლის მაისში შეთანხმება რამდენიმე პოლიტიკურ პარტიას შორის შედგა. ეს პარტიები იყვნენ: სოციალისტ-ფედერალისტთა, სოციალისტ-რევოლუციონერთა და დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია-„სხიველებისა“. ამრიგად, შეიქმნა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, იგივე ინტერპარტიული გამაერთიანებელი უმაღლესი ორგანო. განისაზღვრა ამ კომიტეტის მიზანი და დანიშნულება-საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ მიმართული.“ (ნათმეღაძე, დაუშვილი, წენგუაშვილი, ჯაფარიძე, 2008, 135). „დამკომში“ გაერთიანებულ პოლიტიკურ პარტიებს შორის „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ერთ-ერთ მთავარ ანტისაბჭოურ ძალას წარმოადგენდა.“ (თოიძე, 1999, 404). საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით საყურადღებოა ერთი გარემოება, კერძოდ, შექმნის თარიღის სხვადასხვა ვერსიასთან დაკავშირებით. ემიგრანტულ თუ პოლიტიკურ ლიტერატურაშიც დამკომის შექმნის რამდენიმე თარიღია დასახელებული. პარტიტული კომიტეტის მოადგილის, იასონ ჯავახიშვილის, ჩვენების მიხედვით, „არსებობს სხვადასხვა ვერსია - 1921 წლის შემოდგომა, 1922 წლის აპრილი ან მაისი, ან 1922 წლის აგვისტო. ჩვენ ვეთანხმებით 1922 წლის მაისის ვერსიას, რადგან ამ დროს მოხდა პარტიებს შორის შეთანხმება და ხელი მოეწერა „კომიტეტის“ მოქმედების

ძირითად მუხლებს.“ (კირთაძე, 1998, 284). განსხვავებული მოსაზრება აქვს, მაგალითად, სოლომონ ზალდასტანიშვილს, რომელიც აღნიშნავს: „1921 წლის შემოდგომას საქართველოში სამოქმედოდ რუსების წინააღმდეგ ყველა პარტიები გაერთიანდნენ და ორგანიზაციული ფორმა მიიღეს.“ (კირთაძე, 1996, 87). ხოლო პარტიათა შეთანხმების თარიღად კონსტანტინე ანდრონიკაშვილი ასახელებს 1922 წლის აგვისტოს.

ახლად ჩამოყალიბებულმა პარტიულმა ორგანიზაციამ შეიმუშავა ხელშეკრულება და სამოქმედო პროგრამა, ჩამოაყალიბა მიზანი და ვალდებულებები. დამოუკიდებლობის კომიტეტი დაარსდა თუ არა, „იმთავითვე შეუდგა მოღვაწეობას, თავდაპირველად პოლიტიკური მიმართულებით, რასაც ადასტურებს მრავალი საარქივო დოკუმენტი. მათ შორის საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივში დაცული მასალები.“ (კირთაძე, 1996, 87-88).

„დამკომის“ თავმჯდომარეები სხვადასხვა დროს იყვნენ სოციალ-დემოკრატები: გოგიტა ფაღავა, ხოლო შემდეგ ნიკოლოზ ქარცივაძე, ბოლოს კი კონსტანტინე ანდრონიკაშვილი. „დამკომის“ მოადგილე დაარსებიდან ორგანიზაციის ლიკვიდაციამდე იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი იასონ ჯავახიშვილი.

„დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ჩამოყალიბება ხდებოდა მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, დუშეთში, კახეთში, ხევსურეთში, გაჩაღებული იყო ანტისაბჭოთა შეიარაღებული მოძრაობა. ახლად ჩამოყალიბებული ორგანიზაცია რთული არჩევანის წინაშე იდგა, როგორი გადაწყვეტილება უნდა მიეღო, ხელი შეეწყო შეიარაღებული აჯანყებისათვის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, თუ აღეკვეთა ყოველგვარი პოლიტიკური გამოსვლა. საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან საფრთხე ძალზე სერიოზული იყო, თუ აჯანყება მარცხით დასრულდებოდა, მაშინ პოლიტიკური რეპრესიები გარდაუვალი იქნებოდა. ამიტომ საჭირო იყო, „დამკომს“ მოეხდინა სწორი ორგანიზება, რათა ერთეული შეიარაღებული გამოსვლები ერთიან სახალხო აჯანყებად გარდაქმნილიყო.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას განაგრძობდა ქართული პოლიტიკური ემიგრაციაც, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე

საფრანგეთში გაიხიზნა. ისინი ცდილობდნენ, ევროპის სახელმწიფოების მხარდაჭერა მოეპოვებინათ და მათი დახმარებით ქვეყნის სუვერენიტეტის აღსადგენად ბრძოლა განეგრძოთ. ემიგრანტულმა მთავრობამ პარიზში ჩამოაყალიბა ე.წ. „დამფუძნებელი კრების კომისია“, ასევე დაფუძნდა საგანგებო „პარტიათა წარმომადგენლობა“, კავშირი დამყარდა კავკასიურ პოლიტიკურ პარტიებთან, კერძოდ, საზღვარგარეთ მყოფ აზერბაიჯანელ მუსავატელებთან, სომეხ დაშნაკებთან და სხვა ჩრდილო-კავკასიელ ნაციონალისტებთან. ემიგრანტულ პოლიტიკურ წრეებში სახალხო აჯანყების სკითხი აქტიურად განიხილებოდა. „დოკუმენტურად ირკვევა, რომ ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა საზღვარგარეთ აჯანყების საკითხი ინტერვენციის იმედით დააყენეს მანამდე, სანამ საქართველოში შეიქმნებოდა „პარტიტული კომიტეტი.“ (ნათმელაძე, დაუშვილი, წენგუაშვილი, ჯაფარიძე, 2008, 136-137). მთავარი იყო პოლიტიკურ ძალებს ურთიერთშეთანხმებისათვის მიეღწიათ, მაგრამ როგორც საქართველოში გაჭიანურდა პოლიტიკური პარტიების თანაშეთანხმების მიღწევა, ანალოგიურად საზღვარგარეთაც თითქმის ერთი წელი დასჭირდა. “1922 წლის თებერვალ-მარტში, პარიზში გაიმართა ქართულ პოლიტიკურ პარტიათა სათანადო მანდატებით აღჭურვილი წარმომადგენელთა კონფერენცია.“ (კირთაძე, 1996, 99). კონფერენციის საბოლოო გადაწყვეტილებაში მითითებული იყო, რომ უმთავრესი საქართველოს დამოუკიდებლობის კვლავ მოსაპოვებლად პოლიტიკურ ძალთა კონსოლიდაციის საკითხია. „საჭირო და აუცილებელი იყო სწორედ ისეთი შეთანხმების მიღწევა, რაც ადგილობრივად მისაღები იქნებოდა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი გაერთიანებული პარტიებისათვის.“ (კირთაძე, 1996, 101-102). ემიგრირებული მთავრობა, რომლის კონსტიტუციური მოქმედება საბჭოთა რუსეთის ძალისმიერი პოლიტიკის წყალობით იქნა შეწყვეტილი, „მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა და საერთაშორისო დემოკრატიული ძალების მიერ უმაღლესი საბჭოს 1921 წლის 27 იანვრის სამართლებრივი აქტით-ევროპის წინაშე აყენებდა კანონიერი მხარდაჭერის მოთხოვნებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის დასაცავად.“ (კირთაძე, 1996, 102). საბოლოოდ, მთავრობის მიერ წამოყენებული კანონიერი მოთხოვნები, პარტიათა შეთანხმების პარიზის კონფერენციამ

დაადასტურა და „1922 წლის 6 მარტს მიიღო საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა დეკლარაცია.“ (კირთაძე, 1996, 102). შეთანხმებულმა პარტიებმა მთავრობასთან ერთად პასუხისმგებლობა აიღეს პოლიტიკური მუშაობის გაგრძელებასა და ხელმძღვანელობაზე ევროპის ქვეყნებში, რაც მიმართული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. ემიგრანტული მთავრობის წევრები ცდილობდნენ, სწორი ინფორმაცია მიეწოდებინათ ევროპისათვის, რომ საქართველოს ყოფილი დემოკრატიული რესპუბლიკა, წითელი დიქტატურის მსხვერპლი იყო. მემორანდუმითაც მიმართეს ერთა ლიგის საერთაშორისო ორგანიზაციას, მაგრამ უშედეგოდ. არცერთ ევროპის ქვეყანას და არცერთ ლიგას არაფერი გაუკეთებია ოკუპირებული ქვეყნისთვის და მისი ემიგრანტი მთავრობისათვის, „რადგან საბჭოთა კავშირს ევროპის სახელმწიფოები უკვე ანგარიშს უწევდნენ, უფრო მეტიც, მასთან დაახლოების პოლიტიკის გზას დაადგნენ.“ (ნათმელაძე, დაუშვილი, წენგუაშვილი, ჯაფარიძე, 2008, 137). ერთადერთი გამოსავალი ისევ შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება იყო, მაგრამ ის ფაქტი, რომ საქართველო მარტო იყო ბოლშევიკურ რუსეთის წინაშე, საერთოდ სახალხო აჯანყების იდეას ბუნდოვანს ხდიდა ემიგრანტებისთვის. ნოე ჟორდანიაც წინააღმდეგი იყო შეიარაღებული აჯანყებისა. ის ამბობდა: „სად გაგონილა პატარა ხალხი დიდს შეეხას, თუ დასაყრდნობი საფუძველი არ ექმნა: გვეუბნებიან ხალხს მეტი ცდა აღარ შეუძლია. უნდა მოვაწყოთ აჯანყებაო.“ (კირთაძე, 1997, 13). მას მიუღებლად მიაჩნდა აჯანყების დაწყება საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე. ჟორდანიას დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა ბრძოლის დაწყებას ბოლშევიზმის წინააღმდეგ. „თუ ხალხი, ორგანიზაციები დაადგენენ – ავჯანყდეთო, ჩვენ იძულებულები ვიქნებით დავებმართო, რაც შეგვიძლია. მაგრამ საერთო გამოსვლა საერთაშორისო მდგომარეობას უნდა დავუკავშიროთ,“ (ნათმელაძე, დაუშვილი, წენგუაშვილი, ჯაფარიძე, 2008, 137) - მსჯელობდა ემიგრაციაში მყოფი, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას. იგი ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებას დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა და, ქვეყნიდან შორს მყოფი, არცთუ რეალურად აფასებდა საქართველოში შექმნილ მძიმე პოლიტიკურ ვითარებას.

შეიარაღებული აჯანყების მოწყობის წინააღმდეგ გამოდიოდა ემიგრაციაში მყოფი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი ექვთიმე თყაიშვილიც: „აქ სულ სულსკვეთებაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ამით ვერ მოერევინ მტერს?... ჩვენში საერთაშორისო მდგომარეობა არ იცინა, ჭურში არიან. არც იარაღი აქვთ და არც წამალი და მაინც უნდა ავჯანყდეთო, შეიძლება ხალხი ჩავარდეს სასოწარკვეთილებაში, მაგრამ ჩვენ მაინც არ უნდა ვურჩიოთ აჯანყება ახლანდელ პირობებში.“ (ნათმეღამე, დაუშვილი, 2004, 52)

ქართული ემიგრაციისთვის ქვეყნის მომავალი საერთაშორისო ვითარებით იყო განპირობებული. ისინი ცდილობდნენ, საერთაშორისო პოლიტიკა საქართველოს ინტერესებისთვის მოერგოთ, მაგრამ ერი ასე არ ფიქრობდა. აჯანყების აუცილებლობას ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა განაპირობებდა, რაც საბჭოთა ხელისუფლების იძულებით დამყარების შედეგი იყო. საკუთარი თავის იმედად დარჩენილ საქართველოს უცხო ქვეყნის უღლის გადასაგდებად მხოლოდ ომი და სისხლისღვრა რჩებოდა.

ანტისაბჭოთა მოძრაობა საქართველოში ერთი დღითაც არ შეჩერებულა. პირიქით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ტალღა მთელ საქართველოს მოედო და სხვადასხვა სოციალური ფენის ადამიანები ერთი მიზნისთვის გააერთიანა. შეიარაღებული აჯანყება უნდა ყოფილიყო ერთადერთი გამოსავალი ქართველი ხალხისთვის. სწორედ საამისოდ პარიტეტული „დამკომის“ შექმნამდე ჩამოყალიბდა ორგანიზაცია - „სამხედრო ცენტრის“ სახელწოდებით, რომელიც „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისაგან ღებულობს დასაწყისს, სახელდობრ-1922 წლის მარტიდან, როცა ამ პარტიის ლიდერები, გოგიტა ფალავას მონაწილეობით, სათათბიროდ შეკრებილან ივანე ნარეკალაძის ბინაში.“ (კირთაძე, 1996, 124). სწორედ ამ თათბირზე ალაპარაკდა გოგიტა ფალავა შეიარაღებული აჯანყების, როგორც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთადერთი გზის, შესახებ. საკითხი შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული: „თუ აჯანყება მარტო საქართველოში დაიწყო, იგი განწირულია უეჭველი დამარცხებისთვის... არ უნდა დავუშვათ ცალკეული კუთხური,

სეპარატისტული შეიარაღებული გამოხდომები, რომელთაც კავშირი არ ექნებათ და არ გამომდინარეობენ აჯანყების საერთო გეგმიდან.“ (კირთაძე, 1996, 124). მათი აზრით, „სეპარატისტული გამოსვლა დაანაწილებდა ქართულ ძალებს და ამათ ზიანს მიაყენებდა საერთო ეროვნულ მოქმედებას.“ (ზალდასტანიშვილი, 1989, 13).

საომარი მზადყოფნის პროცესში გასათვალისწინებელი იყო უამრავი ფაქტორი, კერძოდ: უწყვეტი კონტაქტები კავკასიის ხალხებთან, სამხედრო ძალების ინტენსიური კავშირები საქართველოს რეგიონებთან, ყოველ კუთხესთან, უმნიშვნელოვანესი იყო აგრეთვე წითელი არმიის ქართულ ნაწილებთან ურთიერთობის გამონახვა და საერთო ეროვნული საქმისათვის ამ ძალების გამოყენება. უნდა გათვალისწინებულიყო საბჭოთა რუსეთში მიმდინარე საგარეო თუ საშინაო პროცესების გართულების მომენტი, რომელიც თავისთავად წაადგებოდა აჯანყების განვითარებას. ინტენსიური კავშირი უნდა დამყარებულიყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრ ქაქუცა ჩოლოყაშვილთან, რომელიც მიიჩნეოდა ნამდვილ მეომრად და რომლის მიზანს მტრის ხელიდან ქვეყნის დახსნა წარმოადგენდა. ის უკვე დამოუკიდებლად მოქმედებდა და ერთგულ ადამიანებს იკრებდა შეიარაღებული გამოსვლებისთვის. მისთვის მთავარი ჯერ პარტიზანული სახის გამოსვლები იყო, ვიდრე ერთიანი სახალხო აჯანყების დაწყება სრულიად საქართველოს მასშტაბით. სწორედ „სამხედრო ცენტრის“ ჩამოყალიბების პროცესს დაემთხვა ქაქუცას გასვლა ტყეში და „შეფიცულებად“ წოდებული რაზმის შექმნა. თუმცა ცალ-ცალკე ხდებოდა რაზმების ჩამოყალიბება, მათ საერთო მიზანი და მისწრაფებები გააჩნდათ ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის საქმეში. „საქართველოს დახსნა დამპყრობლის უღლისგან და ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენა – აი, ერთადერთი მიზანი, რომელსაც ემსახურება ჩვენი რაზმები და რომელიც ჩვენივე სისხლით აღბეჭდილია ჩვენ სამფეროვან დროშაზე.“ (კირთაძე, 1996, 126). - ეს გახლდათ ქაქუცა ჩოლოყაშვილის სიტყვის ნაწყვეტი, რომლითაც მან მიმართა თავის შეფიცულებს 1922 წლის აპრილში. მის სიტყვებში პატრიოტული სულისკვეთება, თავდადება და სამშობლოსადმი ერთგულება იკვეთება. მის მოწოდებას იზიარებდნენ არა მარტო

შეფიცულები, არამედ მთელი ერი. აი, კიდევ ერთი ნაწყვეტი მისი მოწოდებიდან: „ამ იდეას იზიარებს დღეს მთელი საქართველო. ერი, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, თავისუფლებისა და დამოუკუდებლობისათვის ბრძოლაში აკაჟებდა თავის ეროვნულ გრძნობებს, არასოდეს არ მოიხრის ქედს მონობის უღელქვეშ.“ (კირთაძე, 1996, 126) სამშობლოს თავისუფლება იყო მისი მთავარი მიზანიც და იდეაც, რასაც შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე. ამ იდეას შეეწირა ბევრი თავდადებული შეფიცული, რომელთათვისაც მხოლოდ ორი რამ იყო ღირებული და საფიცარი, სამშობლო და ბელადი ჩოლოყაშვილი. ამ იდეით ცოცხლობდნენ ისინი იმ მძიმე წლების განმავლობაში, როცა ანტისაბჭოთა პარტიზანულ გამოსვლებს ეწეოდნენ 1921-1924 წლებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და საბჭოთა ხელისუფლებას მოსვენებას არ აძლევდნენ. „გასაბჭოების შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე არაერთი ანტისაბჭოთა სამხედრო ორგანიზაცია შეიქმნა. კერძოდ, საბჭოური აგენტურის მიერ სახელდებული „ბანდიტური ხასითის“ ორგანიზაცია ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის მეთაურობით, „ოფიცერთა და ჯარისკაცთა სამხედრო კომიტეტი“ გენ. გიორგი მაზნიაშვილის თავმჯდომარეობით, აჯანყებულთა რაზმების კომიტეტი, სოციალ-დემოკრატიულ და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან არსებული სამხედრო ორგანიზაციები. 1922 წელს სწორედ ეს დაქსაქსული ორგანიზაციები გაერთიანდნენ ერთ „სამხედრო ცენტრში“. (ნათმელაძე, დაუშვილი, წენგუაშვილი, ჯაფარიძე, 2008, 138-139).

როგორც აღინიშნა, ხალხის მხედრული დარაზმვისა და აჯანყებისათვის მომზადებას „სამხედრო ცენტრი“ ასრულებდა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: „თავჯდომარე გენ. კ.აფხაზი; წევრები: გენერალური შტაბის გენერალი ალ. ანდრონიკაშვილი, გენ. ვარდენ წულუკიძე, პოლკ. გოგი ხიმშიაშვილი და პოლკ. როსტომ მუსხელიშვილი... პარტიზანული რაზმის უფროსად დაინიშნა კახეთში პოლკ. ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, ქართლში მიხ. ლაშქარაშვილი. პირველი და მთავარი გამოსვლა უნდა მოეხდინა ქაქუცა ჩოლოყაშვილს დუშეთში... აჯანყება უნდა მომხდარიყო გურიაში, სამეგრელოში, სვანეთში, ქართლში და კახეთში.“ (ზალდასტანიშვილი, 1989, 11-12).

სამხედრო ელიტამ პარტიზანული რაზმების ხელმძღვანელად ჩოლოყაშვილი დაასახელა, რომელიც ამ დროისათვის თავისი რაზმით უკვე ტყეში იყო გასული. რადგან იგი „სამხედრო ცენტრის“ „გამგებლობაში“ მოექცა, „ვალდებული იყო მუდმივი კავშირი ჰქონოდა „სამხედრო ცენტრთან“, მაგრამ უმეტესად იგი მაინც დამოუკიდებლად მოქმედებდა.“ (ნათმეღაძე, დაუშვილი, წენგუაშვილი, ჯაფარიძე, 2008, 138).

1922 წლის გაზაფხულზე საქართველოში დაწყებული პოლიტიკური გამოცოცხლების ახალი ტალღა ხელისუფლებას არ გამოჰპარვია. საბჭოთა რეჟიმი ყურადღებას არ ადუნებდა და ყოველ საპროტესტო ქმედებაზე ძალისმიერ რეაგირებას ახდენდა. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში არ ჩამკვდარა ეროვნული სულისკვეთება და ქართველმა ხალხმა საბჭოთა რუსეთს დაანახა, რომ ერის „დამორჩილება და დამონება არ შეუძლია არავითარ ძალას, რომ ქართველ ხალხს, - უიარაღოს და ბორკილგაყრილს, საშინელი ტერორის პირობებშიაც შესწევს სითამამე და ვაჟკაცობა - აშკარად უარყოს მოძალადეთა უღელი.“ (საქ. შსს არქივი, 1922, ფ. N6, 7).

კომუნისტური პრესა ყოველნაირად ცდილობდა, სახელი გაეტეხა ქართველი ხალხის საპროტესტო გამოსვლებისათვის. ყველა გაზეთი სიცრუით იყო სავსე, იწერებოდა, თითქოს ქვეყანაში არაფერი ხდებოდა, სიმართლეს ვერავინ გაიგებდა კომუნისტების სისასტიკით სავსე სამფლობელოში. შიში, ტერორი, რეპრესიები - აი, რა იყო საბჭოთა ხელისუფლების თანმდევი და დამახასიათებელი მოვლენები. ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ ხალხში გაექროთ ხსენებაც კი, არათუ სიყვარული და პატივისცემა იმ დროისა, როდესაც დამოუკიდებელი ქვეყანა იყო. დემოკრატიული, დამოუკიდებელი საქართველოს ნაცვლად შეიქმნა საბჭოთა საქართველო, რომლის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს რეჟიმმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა.

დადგა 1922 წლის მაისი, ქართველი ხალხისთვის ღირშესანიშნავი თარიღი ახლოვდებოდა. საბჭოთა ხელისუფლებამ წინასწარი უსასტიკესი რეპრესიებით დაიწყო მაისის პირველივე რიცხვები. „აპატიმრებდნენ სრულიად უსაფუძვლოდ, მხოლოდ იმისთვის, რომ ქართველები ქართველები იყვნენ, დაპატიმრებულია უამრავი ქართველი ოფიცერი, მილიციის მოხელე, უბრალო მოქალაქე, მოსწავლე

ახალგაზრდობა.“ (საქ. შსს არქივი, 1922, ფ. N6, 7). „ჩეკას“ სარდაფები სავსე იყო დაპატიმრებული მუშებით. რეპრესიები უფრო გამძაფრდა თვის შუა რიცხვებისთვის, 16 მაისს გაიცა ხელისუფლების ბრძანება, დახურულიყო ყველა სასწავლებელი 20 მაისისთვის, ხოლო მოსწავლეებსა და მასწავლებლებს წინადადება მიეცათ, დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ თბილისი. სპეციალური მატარებლებით თბილისიდან კახეთსა და ბათუმში გადაჰყავდათ ახალგაზრდობა. „მაგრამ მოსწავლე ახალგაზრდობამ არ მოინდომა ეტაპით გამგზავრება და ბათომისაკენ მომზადებულ 40 ვაგონიდან მხოლოდ 11 წავიდა, ისიც ნახევრად ცარიელი, ასევე მოხდა კახეთისაკენ“, (საქ. შსს არქივი, 1922, ფ. N6, 7). - წერდნენ გაზეთები. ხალხი არ ეპუებოდა ხელისუფლების გადაწყვეტილებას, მაგალითად: ქუთაისში მოვიდა თუ არა დათხოვნის ბრძანება, სკოლის მასწავლებლები გაიფიცნენ. მთავრობამ ბრძანება გამოსცა: „მოსწავლეები ყველანი გადაყვანილი არიან კლასიდან კლასში, ხოლო უკანასკნელ კლასის მოწაფეთ მიეცეს სიმწიფის მოწმობები; მასწავლებლები კი ყველანი დათხოვნილია.“ (საქ. შსს არქივი, 1922, ფ. N6, 7).

23 მაისისთვის რეპრესიებმა კულმინაციას მიაღწია. ამავე დღეს მორიგი ბრძანება გამოიცა: „ბრძანება N5, სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისაგან. ამით საყოველთაოდ ვაცხადებთ, თანახმად აღმასკომის დადგენილებასა, რომ საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობის დღე არის 25 თებერვალი და არა 26 მაისი. ამიერიდან გაუქმებულია 26 მაისის დღესასწაულის უქმი დღე და მის ნაცვლად ძალაში შედის 25 თებერვლის დღე, როდესაც განთავისუფლდა საქართველო. აღმასკომის თავჯდომარე ფ. მახარაძე, მდივანი თ. კალანდაძე.“ (საქ. შსს არქივი, 1922, ფ. N6, 8). ამ ბრძანების გამოცემისთანავე საქართველოს დედაქალაქი ნამდვილ სამხედრო ბანაკს დაემსგავსა. იმავე საღამოს რუსის ჯარმა დაიკავა ყველა სტრატეგიული და მნიშვნელოვანი პუნქტი. ქუჩებში ცხენოსან და ქვეით წითელარმიელთა პატრულირება გაძლიერდა. ქართული ჯარი გამოკეტეს ყაზარმებში და აუკრძალეს გარეთ გამოსვლა. ქალაქში გამოცხადდა კომუნისტების მობილიზაცია. იმავე ღამეს რუსის ჯარმა დაიკავა ელექტროსადგურები, ტრამვაის დეპო,

რკინიგზის დეპო და გათენებამდე დედაქალაქის განაპირა ადგილებში ზარბაზნები განალაგეს. ზარბაზნები ქალაქის ქართულ რაიონებს დაუმიზნეს, ხოლო ჯავშნოსანი მატარებელი მთავარ დეპოს დაუპირისპირეს. დილის 10 საათიდან ქალაქის ქუჩებში მოსახლეობა გამოვიდა, რამდენიმე ადგილას „ჩეკას“ რაზმსა და მუშებს შორის შეტაკებისას „გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. რამდენიმე მუშა დაშავდა, ხოლო 25 მუშა იქვე დააპატიმრეს... მემანქანეებს, მეისრეებს, ტექნიკურ თანამშრომლებს, ყველას თავზე წუთელარმიელები და „ჩეკისტები“ ადგა. სცემდნენ ყველას, ვიზედაც რაიმე ეჭვს მიიტანდნენ.“ (საქ. შსს არქივი, 1922, ფ. N6, 9). არსენალის მუშებმა საყვირის ხმის გაგონებაზე შეწყვიტეს მუშაობა, ეზოში მიტინგი გამართეს და გაფიცვა გამოაცხადეს. ქალაქის დაწესებულებებში, ქარხნებში დღიდანვე შეწყდა მუშაობა და მრავალრიცხოვანი მიტინგი მოეწყო, „რის შემდეგ მანიფესტაცია გაემართა ცენტრისკენ ეროვნული და შავი დროშებით, ეროვნული სიმღერით, მანიფესტაციას არამიანცის საავადმყოფოსთან რუსის ცხენოსანმა ჯარმა და ჯავშნიანმა ავტომობილმა გზა გადაუჭრა და გაფანტა. რამდენიმე ათეული მანიფესტანტი დააპატიმრეს.“ (საქ. შსს არქივი < 1922, ფ. N6, 9). მიტინგზე ქართველთა მხარდასაჭერად გამოვიდა დიდძალი თბილისელი არაქართველი: „თათრები, სპარსელები, სომხები, გაიძახოდნენ გაუმარჯოს საქართველოს.“ (საქ. შსს არქივი, 1922, ფ. N6, 10). მანიფესტაციამ მეტეხის ხიდის მიმართულებით განაგრძო სვლა, მიაღწიეს კიდეც ხიდამდე, მაგრამ ცხენოსანმა რაზმმა ხალხი კონდახების, მათრახის და ხმლების ცემით დაშალა, ატყდა სროლაც. ბევრი იყო ნაცემი, დასისხლიანებული და დასახიჩრებული.

ვერის რაიონში დღიდანვე დაიწყო გამოცოცხლება. სახელმწიფო უნივერსიტეტის თავზე ახალგაზრდობამ ააფრიალა შავი და ეროვნული დროშები. „ხალხმა, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ, ვერის დაღმართის მოედანზე თავი მოიყარა. როცა ზარების რეკვა ასტყდა, მანიფესტაცია გაემართა ნიკოლოზის ეკლესიისაკენ ეროვნული დროშით და სიმღერებით. აქ შეეცადნენ მანიფესტაციის დაშლას, მაგრამ ამაოთ.“ (საქ. შსს არქივი, 1922, ფ. N6, 10). ქუჩებში ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. მშვიდობიან, უიარაღო ხალხს დაერია ჯარი, დაახლოებით 27 ადამიანი

დაშავდა, ორასზე მეტი კი იქვე დააპატიმრეს. დღის განმავლობაში ჯარი და „ჩეკისტები“ განუკითხავად არბევდნენ მანიფესტანტებს, ქუჩაში აჩერებდნენ და, თუ ვინმე არ მოეწონებოდათ, იმავე წუთს იჭერდნენ. დაკეტეს ეკლესიები, მიუჩინეს ყარაულები, ხოლო ეკლესიის ბევრი მსახური, ვინც გაბედა და ზარი დარეკა, მაშინვე დააპატიმრეს. დღის ბოლოს თბილისის ქუჩები დაცარიელდა, ხალხი აღარ ჩანდა, სახლებში შეიკეტა. რუსის პატრულები აკონტროლებდნენ ქუჩებს, მასიურად ჩხრეკდნენ საეჭვოდ მიჩნეულ სახლებს, აპატიმრებდნენ საკუთარ ბინებში თავშეფარებულ თბილისელებს. იმავე ღამეს კავკასიის არმიის შტაბმა მოსკოვს აცნობა, რომ საქართველოში აჯანყება იწყებოდა. „25 მაისს დილით გამოვიდა კომუნისტური პარტიის სააგიტაციო განყოფილების მოწოდება რუსულ ენაზე, რომელშიც წითელარმიელებს, მუშებს და გლეხებს მოუწოდებდნენ „კონტრევოლუციონურ“ გამოსვლებში მონაწილეობა არ მიეღოთ. დილიდანვე გამოვიდა ბრძანება, რომ ის მუშები და მოსამსახურენი, რომელნიც განაგრძობენ გაფიცვაში მონაწილეობის მიღებას, სასტიკად დაისჯებიან დახვრეტამდისო“. (საქ. შსს არქივი, 1922, ფ. N6, 11). ყოველგვარი მუქარისა და უსასტიკესი ზომების მიუხედავად, ხელისუფლებამ ვერ შეარყია ხალხის სულისკვთება, გაფიცვები ისევ გრძელდებოდა. მდგომარეობა არც 26 მაისის დადგომისას შეცვლილა. რეპრესიების მიუხედავად, ხალხმა დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად კვლავ ქუჩაში დაიწყო თავმოყრა ეროვნული დროშებით და პატრიოტული შემახილებით. „ჩეკისტებმა“ მიტინგის მსვლელობისას ორატორს და გაშლილ დროშას სროლა აუტეხეს. უთანასწორო შეტაკებას უიარაღო მომიტინგეების მხრიდან მსხვერპლი მოჰყვა, ბევრიც დააპატიმრეს. თვითმხილველთა მონაცემით, დაჭრილი და დასახიჩრებული იყო რამდენიმე ქალი და კაცი. სცემეს მრავალ ადამიანს. „პეტრე დიდის ქუჩაზე ყუმბარისაგან მოკლულია ორი კაცი, დანგრეულია დუქანი და ორი ფურნე.“ (საქ. შსს არქივი, 1922, ფ. N6, 12). დედაქალაქში რეპრესიები გრძელდებოდა, ხელისუფლება სასტიკი ხერხებით ცდილობდა წესრიგის დამყარებას და განუკითხავად აპატიმრებდა ყველას.

საპროტესტო ტალღამ მთელ საქართველოს გადაუარა და მოსახლეობის დიდი ნაწილი ქუჩაში გამოიყვანა. თითქმის ყველა მაზრაში გამოვიდა ხალხი, მოეწყო

მიტინგები, გამოჰქონდათ ეროვნული დროშები, გაისმოდა ეროვნული ჰიმნი - დიდება. მომიტინგეები გმობდნენ იძულებით თავსმოხვეულ წყობას, ვერ მალავდნენ დამპყრობლების სიძულვილს. ერთსულოვნად იღებდნენ რეზოლუციებს საქართველოდან რუსის ჯარის გაყვანის შესახებ, რათა საბოლოოდ დასმოდა წერტილი საოკუპაციო რეჟიმს. თელავის მაზრაში მხოლოდ ეროვნული დროშები გამოვიდეს, დემონსტრაციებს ადგილი არ ჰქონია. სიღნაღის მაზრაში ეროვნული დროშები ეკლესიებსა და სკოლის შენობებზე გამოვიდეს, ხალხი აპროტესტებდა საქართველოს ოკუპაციას, გმობდნენ ძალმომრეობას. თიანეთში ხელისუფლებამ თავიდანვე მიიღო სასტიკი ზომები, დაიწყო განურჩევლად დაპატიმრება, მაგრამ პროტესტი მაინც ვერ ჩაკლეს ხალხში. გაიმართა დემონსტრაცია და შეკრებილებმა მიიღეს სათანადო რეზოლუცია რუსის ჯარის გაყვანისა და დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ.

გამოსვლები მოეწყო გორის მაზრაში, მუხრანში, შორაპნის მაზრაში, ხევში, ქუთაისში, ტყიბულში, სამტრედიაში, ბაღდადის რაიონში, სენაკის მაზრაში, აბაშაში, ზუგდიდში, მარტვილში, სოხუმში, ბათუმში და სხვაგან, თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით. კომუნისტური რაზმები განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდნენ მოსახლეობას შორაპნის მაზრაში: „ხალხი დაიძრა ზესტაფონისაკენ იქაურ დემონსტრატებთან შესაერთებლათ, წინ ეროვნული და შავი დროშები მიუძღოდა. მღეროდნენ „დიდებას“, ზესტაფონში შესვლისას მათ შეეგება კომუნისტური რაზმი, რომელმაც გაუფრთხილებლად სროლა აუტეხა მშვიდობიან დემონსტრანტებს.“ (საქ. შსს არქივი, 1922, ფ. N6, 14). არანაკლები სისასტიკე გამოიჩინეს კომუნისტებმა ბანძაში დემონსტრაციის დარბევისას. უიარაღო მშვიდობიან დემონსტრანტებს გაუფრთხილებლად დაუწყეს სროლა, „ორი დემონსტრანტი სასიკვდილოდ დაიჭრა. ხალხი არ შედრკა. ამ მხეცობით აღშფოთებული ხალხი დაერია კომუნისტებს, ყველას იარაღი აყარა. თოფები წყალში გადაყარა და ზოგიც იქვე დაამტვრია და დაყარა. ზოგიერთ თავხედ კომუნისტს მაგრათ სცემეს და მშვიდობიანად დაიშალნენ.“ (საქ. შსს არქივი, 1922, ფ. N6, 17). ხალხმა ვერ გაიმეტა სასიკვდილოდ მომხვდურები და არც იარაღი გამოიყენა მათ წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ხელისუფლებას კეთილშობილება არ გამოუჩენია,

სასწრაფოდ მაშველი რაზმი აფრინა სადამსჯელოდ, რომელთაც დაიწყეს აჯანყებულთა დაპატიმრება და წამება. ხალხი ტყეში გავიდა თავის გადასარჩენად. გამოძიების მსვლელობისას „განსაკუთრებული სისასტიკით აწამეს დატუსაღებული ბავშვები გამოტების მიზნით. ერთი მათგანი თავდაღმა ჭაში ჩაკიდეს, ხოლო მეორე ორ სკამზე დააკრეს ფეხებით და გასაგლეჯათ გასწიეს, მაგრამ მაინც ვერ გატებეს. გონებაწართმეული ბავშვები სარდაფში ჩაყარეს“, (საქ. შსს არქივი, 1922, ფ. N6, 17) - ვკითხულობთ საარქივო დოკუმენტში.

სასტიკი რეპრესიები იყო მთელს გურიაში 25-26 მაისს. კომუნისტებისგან მოკლული იყო რამდენიმე დემონსტრანტი, დაიჭრა ბევრი, დააპატიმრეს მრავალი. ზემოთ მოყვანილი ფაქტები ძალზე მცირეა იმ რეალური ვითარების ფონზე, რაც სუფევდა მთელ საქართველოში 1922 წლის მაისში. ეს იყო ნამდვილი სურათი მშვიდობიანი დემონსტრაციისა, რომელიც გამართა ქართველმა ხალხმა 24-26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღსანიშნავად. საოკუპაციო რეჟიმის ანტისახალხო ხასიათი იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ მშვიდობიანმა დემონსტრაციამ საქართველოს ყველა კუთხეში საპროტესტო ხასიათი მიიღო. „ქართველმა ხალხმა ყველგან ნათლად გამოხატა, რომ ვერასოდეს შეურიგდება თავის მონობას და ურყევად სწამს სამშობლოს აღდგენა ახლო მომავალში,“ (საქ. შსს არქივი, 1922, ფ. N6, 22). - ამ სტრიქონების ავტორები ვერ მოესწრნენ სამშობლოს დამოუკიდებლობას, ისინიც იმ სასტიკი იმპერიალისტური მანქანის მსხვერპლნი შეიქნენ, რომელმაც შეიწირა უამრავი ადამიანი; ინტელიგენცია, თავადაზნაურობა, სასულიერო პირები, - ყველა ის, ვინც ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა შეძლო და ვისაც სამშობლო უყვარდა.

1922 წლის ზაფხულში მოსახლეობის უკმაყოფილება იმდენად გაძლიერდა, რომ ადგილობრივად პატარ-პატარა შეიარაღებულ გამოსვლებსაც ჰქონდა ადგლი. ამ დროისთვის ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით კახეთში იდგა და „სამხედრო ცენტრის“ განკარგულებას ელოდა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ხევსურები, რომლებიც ქაქუცას უთვლიდნენ: „რუსების სიმხეცეს ვედარ ვიტანთ, - წაბილწეს სოფლები, დაანგრეს ოჯახები. გაგვიძეხ და მტერს შევუტით!-ო.“ (ზალდასტანიშვილი, 1989, 12).

საფრთხე შეიქმნა, რათა ხევსურეთში დაწყებული გამოსვლა სტიქიურ ამბოხში არ გადაზრდილიყო, ეს კი საერთო გამოსვლას მიაყენებდა ზიანს. ამიტომ ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით სასწრაფოდ ხევსურეთში გადავიდა. ამავე დროს კახეთში იმყოფებოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი გიორგი წინამძღვრიშვილი, რომელმაც თბილისში დაბრუნებისთანავე ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კომიტეტში გააკეთა მოხსენება კახეთში არსებული ვითარების შესახებ. „ქაქუცას ირგვლივ უკმაყოფილო ხალხი თავს იყრის და შესაძლოა ახლო მომავალში მოქმედებამაც იგრილოსო.“ (ზალდასტანიშვილი, 1989, 12).

საერთო-სახალხო გამოსვლების განვითარებას ამ ეტაპზე არ ეთანხმებოდა ყველა პოლიტიკური პარტია. მათ მიაჩნდათ, რომ მხოლოდ შეიარაღებული მზადყოფნა არ იყო აჯანყების დასაწყებად საკმარისი, ისინი მოსახლეობაში წინასწარი სააგიტაციო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობასაც ხედავდნენ. მიუღებელი იყო აგრეთვე აჯანყების ნაადრევი დაწყებაც. მიუხედავად იმისა, რომ სტიქიური, ნაადრევი აჯანყება, მძიმე სოციალური და ეროვნული ჩაგვრით იქნებოდა გამოწვეული, მათი აზრით, საერთო გამოსვლას მაინც მიაყენებდა ზიანს. „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია პრინციპში წინააღმდეგი იყო ნაადრევად გამოსვლისა, მაგრამ თუ გამოსვლები უნებურად მაინც დაიწყებოდა, პარტია მხარს დაუჭერდა.“ (ზალდასტანიშვილი, 1989, 12). პარტიამ იოსებ ჯავახიშვილს დაავალა ამ დადგენილების გადაცემა „დამკომისათვის“, სადაც ის იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. პარტია „დამკომს“ სთხოვდა, რომ ხევსურეთში დაწყებულ მოძრაობას სათავეში „სამხედრო ცენტრი“ ჩასდგომოდა, რადგან, თუ ამბოხს ვერ შეაჩერებდა, მაშინ მომხდარიყო ამ ამბოხის სწორი ორგანიზება და კონტროლი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ წამოყენებულ მოთხოვნას „დამკომმა“ მხარი არ დაუჭირა. მისთვის მიუღებელი იყო ნაადრევ გამოსვლებში მონაწილეობის მიღება და არც „სამხედრო ცენტრს“ მისცა ნებართვა, ხევსურეთში დაწყებული მოძრაობისათვის ეხელმძღვანელა. თავად იოსებ ჯავახიშვილიც წინააღმდეგი იყო სტიქიური გამოსვლის, მისი მოსაზრებით, შეიძლებოდა პოლიტიკურ პარტიებსაც და ხალხსაც საფრთხე

შეჰქმნოდა, ამისი შედეგი კი ეროვნული მოძრაობის დაქუცმაცება და დასუსტება იქნებოდა. „მას აჯანყება მიზანშეწონილად მიაჩნდა იმ შემთხვევაში, თუ ყველა პოლიტიკური პარტიები გაიზიარებდნენ და მოქმედების ხელმძღვანელობაც „დამკომის“ ხელში იქნებოდა.“ (ზალდასტანიშვილი, 1989, 13). აგვისტოში დაიწყო „სამხედრო ცენტრის“ ხელახალი ფორმირება და ერთპარტიული (ეროვნულ-დემოკრატიული) სამხედრო ორგანიზაცია „ხუთპარტიული დამკომის ერთ-ერთ კომისიად ჩამოყალიბდა და ჩოლოყაშვილიც თავისი რაზმით ამ „კომისიის“ უმაღლეს უფლებამოსილებაში მოექცა.“ (კირთაძე, 1996, 127).

მიუხედავად გაერთიანებისა და ერთიანი მიზნის დასახვისა, პოლიტიკური პარტიები ერთმანეთს ნაკლებად ენდობოდნენ. „განსაკუთრებით ეს ორი წამყვანი პარტია - სოციალ-მენშევიკები და ეროვნულ-დემოკრატები, საერთო საბჭო-საკრებულოს გვერდის ავლით, საკუთარ პარტიათა ცენტრალური კომიტეტის დირექტივებით განაგრძობდნენ მოქმედებას.“ (კირთაძე, 1996, 127-128). სამწუხაროდ, არც პარტიებს არ ჰქონდათ საერთო აზრი და არც ამ პარტიათა გაერთიანება „დამკომში“ არ სუფევდა აზრობრივი შეთანხმება. აჯანყების მთავარ გმირს, ქაქუცა ჩოლოყაშვილს, უნდა სცოდნოდა, რომ არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა აჯანყების დაწყებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ პარტიული შეთანხმება ამ საკითხთან დაკავშირებით არ შედგა, დაწყებულ აჯანყებას ვერაფერი შეაჩერებდა. 1922 წლის აგვისტოში აჯანყებამ მოიცა ფშავი, ხევსურეთი, კახეთი. აჯანყებულთა გვერდით იდგა ჩოლოყაშვილი. აჯანყებას სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციიდან მხარს უჭერდა ჯგუფი, რომელსაც სათავეში ედგნენ დათა ვაჩნაძე და კოტე აფხაზი. სწორედ ამ დროს თბილისში, „ჩეკას“ ხელთ ჰქონდა „ბრძანება N1“, რომელიც ქაქუცა ჩოლოყაშვილს გაეგზვნა „სამხედრო ცენტრიდან“, აჯანყების დაწყებისათვის. „წერილი, დაწერილი 1922 წლის 26 ივლისის თარიღით, „სამფერის“ ფვსევდონიმით, ეკუთვნის „სამხედრო ცენტრის“ ერთ-ერთ აქტიურ წევრს, ეროვნულ-დემოკრატ დავით (დათა) ვაჩნაძეს, რომელიც ქაქუცას ატყობინებს: უკვე „სამხედრო ცენტრმა“ გადაწყვიტა აჯანყების დაწყება, ევროპა დახმარებას გვიგზავნის თურქეთის გამოვლით; ჩვენ დაგვიჯერე და

სხვას ნუ დაუჯერებ, მაგალითად, ვარდენ წულუკიძესთან საერთოდ შეწყვიტე კავშირი, იგი აქტიურობის წინააღმდეგია.“ (კირთაძე, 1996, 129-130). მიუხედავად იმისა, რომ დავით ვაჩნაძეს ეს წერილები პირად ინიციატივად ჩაუთვალეს და პარტიის კომიტეტიდანაც გარიცხეს, „დასტურდება, რომ ვაჩნაძეს ეს წერილები შეთანხმებული ჰქონდა კოტე აფხაზთან და როსტომ მუსხელიაშვილთან.“ (კირთაძე, 1996, 130). ბუნებრივია, ეს შეუთანხმებლობა გამოიწვია გაერთიანებულ „დამკომში“ არსებულმა აზრთა შეუსაბამობამ, რომელიც წამოიჭრა ხევსურეთში დაწყებულ შეიარაღებულ აჯანყებასთან დაკავშირებით.

1921-1924 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე ქართველმა ხალხმა ბოლშევიკური ხელისუფლების და დამპყრობელი რუსეთის წინააღმდეგ არაერთი გამოსვლა და შეიარაღებული დაპირისპირება განახორციელა. ქართველი ხალხისთვის და განსაკუთრებით მთის მოსახლეობისათვის, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი დაუმორჩილებლობითა და თავისუფლებისაკენ ლტოლვით, მიუღებელი იყო ხელისუფლების მიერ გატარებული ყველა ღონისძიება. მათთვის საჭირო იყო მხოლოდ ბიძგი, რათა ხელში აეღოთ იარაღი და ებრძოლათ საკუთარი უფლებების დასაცავად. იმ ამბოხებათა შორის, რომლებიც ბოლშევიკური რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ საქართველოში განხორციელდა, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მასშტაბური იყო ხევსურეთის ამბოხება, რომელმაც მოიცვა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი 1922 წლის აგვისტოში. ამ აჯანყების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილი, რომელმაც თავისი შეფიცულებით ხევსურეთში, ფშავსა და კახეთში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყება წამოიწყო.

§2. ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი

ქაქუცა ჩოლოყაშვილი ერთი იმათაგანია, ვისი სახელიც ლეგენდად იქცა და მიუხედავად მრავალი ცილისწამებისა, იგი დარჩა ეროვნული მოძრაობის ღირსეულ გმირად.

ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი ეკუთვნოდა საქართველოს ისტორიაში ცნობილ ჩოლოყაშვილების გვარს, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში უდიდესი ღვაწლი დასდო სამშობლოს. ბევრი თავდადებული და სამშობლოსთვის ერთგული ქართველი ატარებდა ამ გვარს ღირსეულად ისე, როგორც ქაქუცა, რომელიც პირდაპირი შთამომავალი იყო XVII საუკუნის ცნობილი სახალხო გმირის, - ბიძინა ჩოლოყაშვილისა. იგი ამ გვარის ნამდვილად ღირსეული გამგრძელებელი იყო და კიდევ შესწირა თავი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. მისი სახელი ხალხში დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა, იგი ქვეყნისადმი ერთგულებისა და თავდადების მაგალითს აძლევდა გარშემომყოფთ. ქაქუცა ჩოლოყაშვილი იყო ეროვნული გმირი, საქართველოში 1921-1924 წლების განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი. იგი სათავეში ჩაუდგა იმ ქართველ პატრიოტებს, რომლებიც ქვეყნის ბედით იყვნენ შეძრულნი და არაფრით შეეგუებოდნენ იმ რეალობას, რომელიც წითელი დიქტატურის დამყარების შემდეგ დაატყდა თავს ქართველ ხალხს. „ჩოლოყაშვილის სახელი ლეგენდად იქცა. ის ნამდვილი სახალხო გმირი იყო. მასზე ლექსებს წერდნენ პოეტები, დედები შვილებს მის ვაჟკაცობაზე უყვებოდნენ, ხალხში თქმულებები ვრცელდებოდა მის გმირობაზე“. (ჭუმბურიძე, 2012, 149). კომუნისტური რეჟიმის წლებში ჩოლოყაშვილის გვარის ხსენებაც კი წარმოუდგენელი იყო, მის სახელს ტაბუ ჰქონდა დადებული. საბჭოთა ხელისუფლება მასაც და ყველა მის თანამებრძოლსაც ბანდიტად და შარაგზის ყაჩაღად ნათლავდა, ხალხში შიშს ნერგავდა, ქართული სულის ჩაკვლას ეროვნული გმირების ნათელი ხსოვნისა და წმინდა სახელების შებღალავით ცდილობდა.

გავიდა დრო, დაიშალა საბჭოთა იმპერია, შეიცვალა პოლიტიკური წყობა, შეიცვალა ღირებულებები და შეხედულებები. XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს

დაიწყო აკრძალული თემების სამზეოზე გამოტანა, ფართო საზოგადოებისთვის გასაჯაროვდა და ხელმისაწვდომი გახდა უამრავი მივიწყებული და მიჩქმალული ფაქტი. განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევდა ისტორიული მიმოხლვები საქართველოს დამოუკიდებლობის წლების შესახებ. საზოგადოება მზად იყო იმისთვის, რომ რეალური ინფორმაცია მიეღო დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი მთვარობის წევრთა შესახებ, ეროვნული მოძრაობის ლიდერთა შესახებ. ლეგენდად ქცეული ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელს ნელ-ნელა ჩამოსცილდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ შეთითხნილი უმსგავსო ბრალდებები და ხალხს მიეცა საშუალება, რეალური წარმოდგენა შექმნოდა მისი ცხოვრების, ბრძოლების, თავგანწირვისა და ვაჟკაცობის შესახებ. XX საუკუნის მიწურულისათვის მზად იყო ქართული საზოგადოება, ღირსეულად დაეფასებინა სახალხო გმირი და მისი სახელისათვის სათანადო პატივი მიეგო. „სიმართლეს სარქველი აეხადა. „ხალხის მტრად“ და „ბანდიტად“ ცილდაწამებული მამულიშვილი თავისი ხალხის წინაშე წამოიმართა როგორც უმწიკლო პატრიოტი, სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებული მეზრძოლი, უმამაცესი კაი ყმა, სახალხო გმირი.“ (გოგოჭური, ლიქოკელი, 1991, N1, 64). იგი ნამდვილად იმსახურებდა შესაფერის დაფასებას, რადგან მხოლოდ საქართველოსადმი უანგარო სიყვარული ამოძრავებდა და არასოდეს მიილტვოდა პატივისა და დიდებისაკენ. მისი ბიოგრაფია რთული და ტკივილიანი გზაა კიდევ ერთი, ქვეყნისათვის მსხვერპლად შეწირული ქართველი გმირისა, რომელმაც სულ რაღაც 42 წელი იცხოვრა და შეძლო საქართველოს უახლეს ისტორიაში ჩაეწერა სამშობლოსადმი ერთგულებისა და თავდადების ტრაგიკული ფურცელი.

ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ყველა თანამედროვე მისი პიროვნული თვისებით იყო აღფრთოვანებული, აღიარებდნენ მის გარეგნულ მიმზიდველობას და ღირსეულ მანერებს: „ის იყო ქართველი რაინდის განსახიერება, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, - ლამაზი, დახვეწილი სწორი ნაკვეთებით, არისტოკრატიული ქცევებითა და ამაყი მზერით. დინჯი, დარბაისელი, უაღრესად კეთილი, ზნეობრივად ამაღლებული, უშიშარი, მაგრამ ფრთხილი და გონიერი. იგი გამოირჩეოდა

თავდაჭერით, ქალებთან რაინდული დამოკიდებულებით, ცხენზე ჯდომითა და ჯირითით, საოცრად კარგად ცეკვადა, ყველასათვის დაუვიწყარია მის მიერ შესრულებული „ლეკური.“ (საითიბე, 2012, 5).

მისი პიროვნული ღირსებებით მხოლოდ ქართველი თანამედროვენი არ იყვნენ აღფრთოვანებულნი, ყველა, განურჩევლად ეროვნებისა, მასთან პირადი ნაცნობობის შემდეგ არ მალავდა მისით გამოწვეულ პატივისცემასა და აღტაცებას. „ფრანგი პოლკოვნიკი, ქართველებსა და საქართველოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი რემონ დიუგე თავის წიგნში – „მოსკოვი და წამებული საქართველო“ – მიუთითებდა: „იმ მეთაურთა შორის, რომელთაც წითლებს დაუნდობელი ომი გამოუცხადეს, ყველაზე სახელოვანი უდავოდ თავადი ჩოლოყაშვილია. მისი სახელი ყოველი ქართველისათვის საამაყოა. ალბათ, პოლკოვნიკ ჩოლოყაშვილის სახელი საქართველოს ისტორიაში იქცევა სიმამაცის, ვაჟკაცობისა და თავგანწირვის სიმბოლოდ.“ (დიუგე, 1994, 122-123).

ქაქუცა, იგივე ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, დაიბადა კახეთში, ახმეტის რაიონში, მამაპაპეულ სოფელ მატანში, 1888 წლის 14 ივლისს. თუმცა არსებობდა მოსაზრება, რომ იგი 1880 წელს იყო დაბადებული. ეს გამოიწვია მისი საფლავის ქვაზე შეცდომით ამოკვეთილმა თარიღმა. ნამდვილი თარიღი მისი დაბადებისა 1888 წელია.

ჩოლოყაშვილთა საგვარეულოს ხევსურეთიდან ჩამომავლობის შესახებ არსებობს ვერსია, რომელიც გავრცელებულ თქმულებაზეა აგებული. „სოფელ მუცოში, პანკელ ერისთავ ძაგანიძეთა კომპის მახლობლად დგას „ჩოლოყათ ციხედ“ წოდებული კომპი, რომელიც სულ ცოტა 700 წლისა უნდა იყოს.“ (გოგოჭური, ლიქოკელი, 1989, N1). ჩოლოყაშვილების გვარის წარმომავლობასთან დაკავშირებით, ქაქუცას თანამებრძოლი ალექსანდრე სულხანიშვილი შემდეგ მოსაზრებას გვთავაზობს: „ხევსურეთი კარგად იცნობდა ჩოლოყაანთ გვარს მამა-პაპიდან. იქ დღემდე ლეგენდად არის შემორჩენილი, რომ ჩოლოყაშვილები ხევსურთა ჩამომავლები არიან. ამ ლეგენდის თანახმად, ბრძოლაში დაჭრილი ერთი სახელგანთქმული ხევსური მეომარი დაკოჭლებულა: ამიტომ მისთვის „ჩოლოხა“ დაურქმევიათ, ხოლო მეფეს თავადობა უბოძებია ქველობისათვის და ის ბარში დაუსახლებია იქ, სადაც ჩოლოყაანთ ციხეა სოფელ

მატანში. ასე და ამგვარად, როგორც ჩანს, ჩოლოხა ხალხს გადაუკეთებია ჩოლოყაშვილად.“ (სულხანიშვილი, 2007, 124).

ქაქუცას მშობლები იყვნენ იოსებ და დარია ჩოლოყაშვილები. თავდაპირველად თელავის გიმნაზიაში იღებდა განათლებას, შემდეგ კი სწავლა თბილისის სათავადაზნაურო ქართულ გიმნაზიაში განაგრძო. ეს იყო დაახლოებით XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, მაშინ, როდესაც გიმნაზიის გამგე ექვთიმე თაყაიშვილი იყო. საქართველოს ეროვნულ არქივში აღმოჩენილია ფოტომასალა, რომელზეც ასახულია 13 წლის ქაქუცა ჩოლოყაშვილი თანაკლასელებთან ერთად. არქივში აგრეთვე აღმოჩენილია დოკუმენტური მასალები, სხდომის ოქმები, შეფასებების ფურცლები, რომლებიც ჩოლოყაშვილის მოსწავლეობის ხანის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის. 1909 წელს ოცდაერთი წლის ჩოლოყაშვილი რუსულ ჯარში გაიწვიეს ე.წ. სამხედრო ბეგარის მოსახდელად. იმსახურა ტვერის დრაგუნთა პოლკში და სამშობლოში დაბრუნდა ოფიცრის ჩინით. 1913 წელს იგი დაოჯახდა, ცოლად შეირთო ილია მეღვინეთუხუცესის ერთადერთი ასული ნინო და საცხოვრებლად საკუთარ მამულში დაბინავდა. ნინო მეღვინეთუხუცესისგან შეეძინა ორი ქალიშვილი, თამარი, იგივე ციცნა და ქეთევანი.

1914 წელს რთული პოლიტიკური პროცესები, რომელმაც მთელი ევროპა მოიცვა, მსოფლიო ომში გადაიზარდა. რუსეთის კოლონიურმა რეჟიმმა საქართველო აიძულა, პირველ მსოფლიო ომში საკუთარი მსხვერპლი გაეღო, ქვეყნიდან 200 000 ქართველი იქნა გაწვეული. ქაქუცა ჩოლოყაშვილი, როგორც ოფიცერი, ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს და დამთავრებამდე ბრძოლის ქარცეცხლში გაატარა. იგი იყო ნიჭიერი და მამაცი მეთაური, მას სახელი საკმაოდ შორს ჰქონდა გავარდნილი. მისი თანამედროვე და თანამებრძოლი ალექსანდრე სულხანიშვილი ასე ახასიათებს ქაქუცას: „ის იყო განსახიერება ქართველი რაინდისა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, დინჯი, დარბაისელი და უაღრესად კეთილი გულის პატრონი. ისეთი თვისებებით დაეჯილდოვებინა იგი ბუნებას, ათას კაცში რომ აგერიოთ, სრულიად უცნობი ადამიანიც კი მიაქცევდა ყურადღებას. ის ძალიან უყვარდა ჯარისკაცებს და მათი საერთო პატივისცემით სარგებლობდა კიდევ. როგორი მხდალიც არ უნდა ყოფილიყო

ჯარისკაცი, საუკეთესო ვაჟკაცად იქცეოდა ქაქუცას ხელში. უდავოდ, მხედრად იყო დაბადებული.“ (სულხანიშვილი, 1981, 196).

1914 წელს ჩოლოყაშვილი ავსტრიის ფრონტზე, სადაც მიიღო პირველი ჭრილობა, ამის გამო გადაწყდა მისი კავკასიის ფრონტზე გადაყვანა. ავსტრიის ფრონტზე გამოჩენილი სიმამაცისთვის წმინდა გიორგის ჯვრით დააჯილდოვეს. მართალია, დაჭრილი იყო, მაგრამ მაინც ხელმძღვანელობდა ზურგში ჯარის ასეულს. ამ დროს ოსმალეთი იერიშზე გადადიოდა სარიყამითან და ძნელი იყო წარმატების მიღწევა. აქ ორი იმპერიის - რუსეთისა და ოსმალეთის არმიები თავგანწირვით უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. ჩოლოყაშვილი ისევე, როგორც ბრძოლის ველზე მყოფი სხვა ქართველი მეომრები, უპირველეს ყოვლისა, თავისი სამშობლოს დასაცავად იდგა ბრძოლის წინა ხაზზე. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ომში რუსეთის გამარჯვება ოსმალეთისგან მიტაცებული ისტორიულად ქართული მიწა-წყლის დაბრუნების შესაძლებლობას შექმნიდა. ამიტომ ყველაფერს აკეთებდნენ ომში გასამარჯვებლად. ასე მოხდა სარიყამითანაც. ოსმალები რიცხოვნობად ჭარბობდნენ რუსებს და მათ წინ წაწევის საშუალებას არ აძლევდნენ. ჩოლოყაშვილმა მიზნად დაისახა, სტრატეგიული მნიშვნელობის მთა - „არწივის ბუდე“ - ოსმალებისთვის წაერთმია და უკან დაებრუნებინა. მართლაც, მისი მეთაურობით იერიშით აიღეს ეს მნიშვნელოვანი ობიექტი, ქაქუცა შეტევისას დაიჭრა ჯერ ფეხში, შემდეგ მკერდში, მაგრამ დავალება მაინც შეასრულა. იგი სასწრაფოდ თბილისში, წმინდა ნინოს საავადმყოფოში გადმოიყვანეს. სარიყამის ბრძოლებში გამოჩენილი სიმამაცისთვის ქაქუცა ჩოლოყაშვილი ოქროს ხმლით დააჯილდოვეს.

1916 წელს ქართველი ოფიცრების - დავით ჭავჭავაძის, დავით შალიკაშვილისა და ალექსი ამილახვრის თხოვნით, იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ ქართველ ცხენოსანთა პირველი ათასეულის ხელმძღვანელად გენერალი დავით ჭავჭავაძე დანიშნა. ჭავჭავაძემ პირადად დაიწყო ყველა საჯარისო ნაწილიდან ქართველი კავალერისტების შერჩევა, რომელთა შორის მოხვდა გაბედულებითა და ნიჭიერებით გამორჩეული ქაქუცა ჩოლოყაშვილი. იგი ქართველ ცხენოსანთა პირველ

ათასეულში ასეულის მეთაურად დაინიშნა. იმავე წელს ქართული ლეგიონი სპარსეთის ფრონტზე გაიგზავნა. გენერალ დავით ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით ქართველთა ათასეულმა ბრწყინვალე რეიდი შეასრულა, მესოპოტამიის უდაბნო გაიარა და შეუერთდა ინგლისელებს.

რუსეთში მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ, 1917 წელს, რუსული ჯარის ნაწილები თბილისისკენ დაიძრნენ და დედაქალაქს საფრთხე შეუქმნეს. გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ქართული დივიზია. მან დასახმარებლად ქართველ ცნობილ სამხედრო მოღვაწეებს მიმართა: აი, რას წერს ამის შესახებ გენერალი გ. მაზნიაშვილი: „ჩემი თხოვნით გაიგზავნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან შალვა ქარუმიძე და ქაქუცა ჩოლოყაშვილი. მათ დიდი გავლენა ჰქონდათ ხევსურეთში. შალვა ქარუმიძისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიერ ჩამოყვანილმა 400-მა ხევსურმა ხელი შეუწყო იმას, რომ ფრონტიდან დაბრუნებული მეფის არმიის ემელონები თბილისში არ შემოუშვეს და აიძულეს, რომ ბაქოს მიმართულებით წასულიყვნენ.“ (გოგოჭური, ლიქოკელი, 1991, N1, 66).

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დაიწყო ქართული გვარდიის ფორმირება. ქაქუცა ახლადშექმნილ ქართულ ჯარში შევიდა და პოლკოვნიკმა ჩოლოყაშვილმა მთელი დამოუკიდებლობის წლები ქვეყნის სამსახურში გაატარა. „ის უკვე ქართულ ჯარებში მსახურებს და ამ ხნიდან, როგორც ერთი შესანიშნავი ოფიცერთაგანი, მონაწილეა ყველა იმ ომებისა და სამხედრო საქმეების, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოს ჰქონდა.“ (ამირეჯიბი, 1989, 6). იგი აქტიურად იყო ჩართული დემოკრატიულ საქართველოს აღმშენებლობაში, მაგრამ არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი არ იყო, არც რომელიმე პოლიტიკური ძალის ინტერესებს გამოხატავდა. მისი მთავარი მოწოდება და მიზანი ქვეყნის კეთილდევობა და მისთვის სამსახური იყო. „არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნოდა. მისი იდეალი მხოლოდ და მხოლოდ საქართველო იყო“. (კარგარეთელი, 1981, 6). -წერდა ერთ-ერთი შეფიცული ალექსანდრე კარგარეთელი.

სოციალ-დემოკრატებს მიაჩნდათ, რომ ქაქუცა, როგორც ცნობილი საგვარეულოს წარმომადგენელი და თავადი, მათ მხარეს არ დადგებოდა. ასეც მოხდა. ცნობილი გენერლისა და პოლიტიკური მოღვაწის, შალვა მაღლაკელიძის, შეხედულებით, „ქაქუცა იყო კაცი, რომელსაც არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა სოციალიზმზე. წარმოდგენა არ ჰქონდა რაა სოციალ-დემოკრატიული პარტია, რაა მენშევიკური პარტია.“ (მაღლაკელიძე, 1991, 72-73). მისთვის მიუღებელი იყო პოლიტიკური ინტერესები და ურთიერთდაპირისპირება, მისი მიზანი და ინტერესები საქართველოს კეთილდღეობა იყო და არა პოლიტიკური იდეები. „არ შევიდა არც ერთ პარტიაში, თუმცა თავისი მსოფლმხედველობით ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების მოაზროვნე იყო. თავის მოწოდებას დიდი მამულიშვილი მხოლოდ საქართველოს სამსახურში ხედავდა და ილიას ანდერძის უერთგულესი დამცველი იყო. ანდერძი კი ასეთ შინაარსს შეიცავდა: ჩვენ ისედაც პატარა ქვეყანა და ერი ვართ, თუ გვინდა, რომ თავი დავიცვათ, არ გავქრეთ ისტორიიდან, გავუმკლავდეთ ყველა მტერსა და ყოველგვარ დაბრკოლებას, არ უნდა დავიყოთ პარტიებად, პოლიტიკურ დასებად, სოციალურ კლასებად, უნდა ვიყოთ ერთიანი და მთლიანი, თორემ სხვანაირად ვერ გადავრჩებით.“ (ჭუმბურიძე, 2012, 152). ქაქუცა ჩოლოყაშვილი საკუთარი შეხედულებებისა და პრინციპების დამცველი კაცი იყო, ამიტომ თავისი პოზიცია პოლიტიკურ ორიენტაციასთან დაკავშირებით არ შეუცვლია.

1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის აგრესიამ დემოკრატიული საქართველოს დამოუკიდებლობა შეიწირა. ქვეყანაში დამყარდა საბჭოთა რეჟიმი. ამ დროს ჩოლოყაშვილი სამეგრელოში იმყოფებოდა ცხენოსანთა ნაწილების ჩამოსაყალიბებლად. ყოფილმა მთავრობამ ქვეყანა დატოვა და ემიგრაციაში წავიდა. ჩოლოყაშვილს ემიგრაციაში წასვლა არც უფიქრია, ბევრ სამხედრო თუ პოლიტიკურ მოღვაწესთან ერთად დარჩა საქართველოში და გადაწყვიტა კვლავ სამხედრო სამსახური განეგრძო. თბილისში დაბრუნებისთანავე იგი კვლავ ქართულ ათასეულშია, მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ მას ქვეყნის ბედი არ აწუხებდა, ან შექმნილ მდგომარეობას ეგუებოდა. „ქაქუცა ჩოლოყაშვილი კარგად ხედავდა რა მძიმე საოკუპაციო რეჟიმი დაამყარეს

ბოლშევიკებმა, როგორ შეურაცხვეს ქართული სიწმინდეები და ქართველი ხალხის თავისუფალი ნება. დიდი ბიძინა ჩოლოყაშვილის შთამომავალს არ შეეძლო ამ რეჟიმთან შეგუება, საჭიროდ ჩათვალა სიცოცხლის ბოლო წუთამდე ებრძოლა ქვეყნისათვის დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად.“ (ჭუმბურიძე, 2012, 155).

გასაბჭოების პირველივე თვეებში ის აქტიურად ჩაერთო საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ წამოწყებულ ეროვნულ მოძრაობაში და თავდაუზოგავად იბრძოდა ბოლშევიზმის წინააღმდეგ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, პარტიის ლიდერი ალექსანდრე ასათიანი წერდა: „იყო თავიდანვე წევრი იმ თაოსნობისა, რომელმაც დიდი დარაზმულობის შექმნა დაიწყო უკვე საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის პირველსავე თვეში.“ (შარაძე, 2004, 326). თბილისში იწყება მისი და ქართველ პატრიოტთა შეკავშირება. მან თანამებრძოლებს თავისი გადაწყვეტილება გაუმჟღავნა „პარტიზანული ბრძოლების დაწყების შესახებ, რაშიც მაშინვე აუბეს მხარი საქართველოს ბედით შეწუხებულმა პატრიოტმა ქართველებმა.“ (ჭუმბურიძე, 2012, 155). ქაქუცა შეხვდა გენერალ კოტე აფხაზს, ილია ჭავჭავაძის უფროსი დის - ნინოს ვაჟს, რომელიც იმჟამად პარიტეტულ კომიტეტს ედგა სათავეში. მათი შეხვედრების და მოლაპარაკების მთავარი მიზანი მოსალოდნელი ბრძოლების სწორი წარმართვა იყო. გადაწყდა, ჩამოყალიბებულიყო პარტიზანული რაზმები, სამხედრო ორგანიზაციის ფორმირებაში ქაქუცა აქტიურად ჩაერთო. ალ. სულხანიშვილი თავის მოგონებებში აღნიშნავს: „თბილისში ყოფნისას ქაქუცა რამდენჯერმე შეხვდა გენერალ კოტე აფხაზს. ეკატერინოფელდში ქაქუცასთან მე ხშირად მქონდა საუბარი. აი, მაშინ მიაბზო მან, რომ ჩვენს მხედრობას პარტიზანული ბრძოლები ჰქონდა გადაწყვეტილი და ამ საქმის სათავეში ჩადგომას თვით მას ავალებდნენ. ამისათვის, როგორც მან მითხრა, ჯერ პატარა ჯგუფს უნდა მოეყარა თავი მეტად საიდუმლო ვითარებაში, რათა რაზმის შესაქმნელად დაეწყოთ მზადება.“ (სულხანიშვილი, 2007, 77).

მართლაც, სამხედრო-პოლიტიკური ელიტის გადაწყვეტილებით, ანტისაბჭოთა პარტიზანული ბრძოლების მოსამზადებლად და პარტიზანული რაზმის ხელმძღვანელად ქაქუცა ჩოლოყაშვილი მოიაზრებოდა. ქართველი ემიგრანტი მიხეილ

ქავთარაძე აღნიშნავს: „არჩევანი სწორედ ქაქუცაზე შეჩერდა, ამას თავისი ლოგიკური საფუძველი ჰქონდა. ასეთი რაზმის ბუდე სწორედ კახეთი უნდა ყოფილიყო, ჯერ მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო. კახეთი ტფილისსაც აკრავს, საქართველოს მთიანეთს-თუშ-ფშავ-ხევსურეთსაც და დაღისტანსაც... რაზმის უფროსიც კახელი უნდა ყოფილიყო. რაზმის უფროსი ოფიცერიც უნდა ყოფილიყო, ეს ოფიცერი ხალხთან დაახლოვებული კაციც უნდა ყოფილიყო და არა თავის კასტაში ჩაკეტილი, ხალხისაგან მოწყვეტილი ინტელიგენტი, შტაბის ოფიცერი“... (ქავთარაძე, 2007, 319).

ქაქუცა საიდუმლო შეხვედრებს აწყობდა საქართველოში ცნობილ სამხედრო პირებთან: გენერალ ალ. ანდრონიკაშვილთან, პოლკოვნიკ გიორგი თუხარელთან, ნესტორ გარდაფხაძესთან, როსტომ მუსხელიშვილთან და სხვებთან. კახეთში გადასასვლელად საფუძვლიანი საბაზი იყო საჭირო, რათა ხელისუფლების ყურადღება არ მიეპყროთ და სამხედრო სამზადისისათვის საფრთხე არ შეექმნათ. კახეთში გადასვლის საბაზად ქაქუცამ ჯარისა და ცხენების დამშევა გამოიყენა, საბოლოოდ თავისი გაიტანა და ჯერ თელავში, ხოლო შემდეგ ყვარელში წინამძღვრიანთკარის სკოლის შენობაში დაბანაკდა მცირერიცხოვანი ცხენოსანი რაზმით. „აი, აქედან იწყება ზრუნვა ორგანიზაციების ვრცელი ქსელის მოსაწყობად. თითქმის ყოველდღე მივდიოდი სხვადასხვა სოფლებში, ვისაც სად გვქონდა გავლენა, ვხვდებოდით გავლენიან პირებს და ყოფილ მხედრებს: მათ ვუზიარებდით ჩვენს აზრებს, ხოლო ისინი თავის მხრივ ხალხს ამზადებდნენ.“ (სულხანიშვილი, 1989, N10, 152). -წერდა ალ.სულხანიშვილი. 1921-1922 წლების ზამთარი ჩოლოყაშვილმა კახეთში გაატარა და მთელი ეს დრო პარტიზანული რაზმის შექმნას შეაღია. „ხალხი იმდენად იყო აღფრთოვანებული, რომ სულაც არ გაგვჭირვებია ორგანიზაციების ჩამოყალიბება.“ (სულხანიშვილი, 1989, N10, 152). -განაგრძობს თავის მოგონებებში ალ. სულხანიშვილი.

თვეების განმავლობაში ჩოლოყაშვილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არალეგალურად აფარებდა თავს და პარტიზანული რაზმისათვის ერთგულ ადამიანებს იკრებდა. ხელისუფლება ფლობდა ინფორმაციას მისი საქმიანობის შესახებ და ჯაშუშების საშუალებით ცდილობდა მიეღო მეტი ცნობები. კომუნისტები ჯაშუშებს მის

რაზმში აგზავნიდნენ, რათა სრული კონტროლის ქვეშ ჰყოლოდათ პარტიზანული მოძრაობის წევრები.

1922 წლის გაზაფხულზე ჩოლოყაშვილი ძირითადად სიღნაღის მაზრაში ტრიალებდა, როდესაც ხელისუფლებასთან მოუხდა დაპირისპირება. ამის გამო იგი დაატუსაღეს და თბილისში გადაყვანა დაუპირეს. „ეს მოხდა სწორედ იმ დროს, როდესაც სიღნაღის რეგოში ჩეკას საიდუმლო ბრძანება ჰქონდათ მიღებული იმის თაობაზე, რომ თუკი სადმე ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი გამოჩნდებოდა, უნდა დაეტუსაღებინათ და დაუყოვნებლივ გადმოეგზავნათ თბილისში.“ (სულხანიშვილი, 1989, N10, 156). ქაქუცას გათავისუფლება მისმა მეგობრებმა იმავე ღამეს შეძლეს, ექვსი კაცი თავს დაესხა რეგომს, მილიციონერებს იარაღი აჰყარეს და ქაქუცასთან ერთად ალვანის ტყეში გადავიდნენ. „სწორედ, 1922 წლის 12 მარტს, ქაქუცა ჩოლოყაშვილმა კახეთში, ავლევის ტყეში, ფიცით შეიფიცა პირველი ექვსი თანამებრძოლი, სოსო ჩითინაშვილი, სოსო ლოსაბერიძე და ქარუმა ქიზიყელი. ეს იქნება პირველი ბირთვი მალე განთქმული „შეფიცულებისა“, რომელსაც მალე შეუერთდებიან: ალექსანდრე სულხანიშვილი, სვიმონ (სიკო) ჩოლოყაშვილი (ქაქუცას ძმა), ელიზბარ ვაჩნაძე, რაფიელ ერისთავი, ლელო ჩიქოვანი, ელიზბარ მაყაშვილი, ალექსანდრე კარგარეთელი, სერგო მაისურაძე, დიმიტრი ჭინჭარაული, მიხა ხელაშვილი, ალექსანდრე ბადურაშვილი, ილია ქარუმიძე, ალექსანდრე ცხვედაძე, გოლა პავლიაშვილი, მერაბ ჯორჯაძე, შალვა ნებიერიძე, მიშა ლაშქარაშვილი, ალექსი ფეიქრიშვილი, შალვა და ლევან ჯავრიშვილები და სხვები.“ (კირთაძე, 1996, 125).

ქაქუცას ტყეში გასვლის და შეფიცულების შესახებ ცნობა მალე მთელ საქართველოს მოედო. ალ. სულხანიშვილი იხსენებს: „ამასობაში მთელ საქართველოში გავარდა ხმა, ქაქუცა საბრძოლველად გავიდაო. საიდან აღარ მოდიოდნენ ჩვენთან მოკავშირეები, უაღრესად სანდო პიროვნებები.“ (სულხანიშვილი, 1989, N10, 153). ხალხი ნდობას უცხადებდა ჩოლოყაშვილს, ხევისბერმა დიმიტრი ჭინჭარაულმა შედეგი სიტყვებით მიმართა: „შენა გხვდა წილად შენი წინაპრების ნაბრძოლი საქმის გაგრძელება შენი სამშობლოს საკეთილდღეოდ. შენ უნდა აღადგინო ალექსანდრე

ბატონიშვილის ნათელი ბილიკები... ალექსანდრე ბატონიშვილს შეფიცულები ჰყავდა შემოკრებილი ირგვლივ. თქვენც უნდა შეიფიცნოთ და გერქვათ შეფიცულთა რაზმი, რომელიც სამუდამოდ დარჩება. თქვენ შემოგყურებთ მთელი საქართველო. ეს პატარა რაზმი უნდა გადააქციოთ ქართულ ჯარად... ჩვენ უნდა გავაკეთოთ ის, რაც ვერ შეძლეს ჩვენმა მამა-პაპამ.“ (სულხანიშვილი, 1989, N10, 153).

შეფიცულთა რაზმისათვის დაიწყო მძიმე, რთული და გაუსაძლისი პირობებით სავსე პარტიზანული ცხოვრება. თითოეულ წევრს კარგად ესმოდა, რომ ხალხისა და ქვეყნის წინაშე დიდი პასუხისმგებლობა ჰქონდა დაკისრებული. ეს კარგად არის ასახული ქაქუცას მოწოდებაში, რომლითაც მან თავის თანამებრძოლებს მიმართა: „ჩვენი მტრები შეეცდებიან ჩვენი მოქმედების გაშავებას და სახელის გატეხას. ისინი ჩვენს ბრძოლას ბანდიტურად და ავანტიურად მონათლავენ... თქვენ ხედავთ და მუდამ გეცოდინებათ, თუ რას ემსახურებიან და რისთვის იღწვიან კახეთის რაზმები, რომელთაც მე ვხელმძღვანელობ, – არავითარი პირადული, არავითარი ჯგუფური, წოდებრივი ან პარტიული მიზანი და მისწრაფება. საქართველოს დახსნა ეროვნული მონობის უღლისგან და ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენა, – აი, ერთადერთი მიზანი, რომელსაც ემსახურება ჩვენი რაზმები და რომელიც ჩვენივე სისხლით აღბეჭდილია ჩვენ სამფეროვან დროშაზე.“ (კირთაძე, 1996, 126). ქაქუცას და მის თანაშეფიცულებს არასოდეს დაურღვევიათ ზნეობის ნორმები. ყოველთვის ფრთხილობდნენ, რათა მათი ქმედება ბოროტად არ გამოეყენებინა ხელისუფლებას და რაზმის სახელს ჩრდილი არ მისდგომოდა.

პირველი შეტაკება წითელ ჯართან ქაქუცა ჩოლოყაშვილს და მის შეფიცულებს მოუხდათ 1922 წლის ივნისში. ამავე წელს იწყება პარტიზანული ბრძოლები, რომელმაც მოიცვა მთელი კახეთი, ქართლი, ხევსურეთი და დუშეთი. 1921 წლის აგვისტოს ხევსურეთის აჯანყება წარუმატებელი აღმოჩნდა შეფიცულებისათვის, მაგრამ ჩოლოყაშვილი დანებებას არ აპირებდა. ეროვნული მოძრაობის ახალმა ტალღამ მოიცვა საქართველო 1924 წლის აგვისტოში, რომელსაც ქაქუცა ხელმძღვანელობდა და რომელზედაც დიდ იმედებს ამყარებდნენ საქართველოში არსებული პოლიტიკური

ძალები. სამწუხაროდ, ერთიანი სახალხო ამბოხი დამარცხდა, საბჭოთა ხელისუფლებამ რეპრესიები დაიწყო, ერთადერთი გამოსავალი ქვეყნის დატოვება და ემიგრაციაში წასვლა იყო. 1924 წლის სექტემბრის ბოლოს ჩოლოყაშვილმა და მისმა შეფიცულებმა საქართველოს საზღვრები დატოვეს და თურქეთში გადავიდნენ. ემიგრაციაში წასულ მებრძოლთა სია ალექსანდრე კარგარეთელმა შემოგვინახა. ესენი იყვნენ: „გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე, ელიზბარ ვაჩნაძე, რაფიელ ერისთავი, ალ. ცხვედაძე, გოლა პავლიაშვილი, მერაბ ჯორჯაძე, შალვა ნებიერიძე, ლელო ჩიქოვანი, მიშა ლაშქარაშვილი, დავით რევაზიშვილი, გაბო ბერბიჭაშვილი, ვასო მარჯანიშვილი, ალექსი ფეიქრიშვილი, სიკო ალიმბარაშვილი, შალვა ჯავრიშვილი, ლევან ჯავრიშვილი, შალვა ამირეჯიბი, ელიზბარ მაყაშვილი, ჯონდი დადიანი, სარდიონ კუჭავა, თომა ბექაური, ალ. კარგარეთელი, დავით მხეიძე, შამილ იქაიძე.“ (კარგარეთელი, 1981, 40).

თურქეთის პირველ სოფელში თეთრი ბაირალით შევიდნენ, თურქმა გენერალმა ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად იარაღი აჰყარა ქართველებს, მხოლოდ ქაქუცას იარაღს არ ახლო ხელი. სწორედ მაშინ გადაიღეს ის ცნობილი სურათი, რომელზეც ქაქუცა და მისი თანამებრძოლები არიან გამოსახულნი. კერძოდ, სპირიდონ ჭავჭავაძე, ალექსანდრე სულხანიშვილი, რაფიელ ერისთავი, ელიზბარ ვაჩნაძე, ლელო ჩიქოვანი.

შეფიცულები ჯერ ართვინში ჩავიდნენ, იქიდან სტამბოლში, ბოლოს მტკიცედ გადაწყვიტეს ერთმანეთს არ დაშორებოდნენ, განსაკუთრებით ქაქუცას ჰქონდა მტკიცედ გადაწყვეტილი, რომ არ დასცილებოდა რაზმს. სტამბოლიდან მარსელში, იქიდან კი პარიზში გაემგზავრნენ და სამუდამოდ მოსწყდნენ საქართველოს. ისე გაემგზავრნენ, საკუთარ ოჯახებთან დამშვიდობებაც ვერ შეძლეს, ვერც წარმოიდგენდნენ, რომ მათი სამშობლოდან გამგზავრება სამუდამოდ განშორებას ნიშნავდა. შეფიცულთა შორის მხოლოდ ალექსანდრე სულხანიშვილი აღმოჩნდა იღბლიანი, მას ღრმად მოხუცებულს ეღირსა საქართველოში ჩამოსვლა. იგი ქართულ მიწაში განისვენებს.

საფრანგეთის მიწაზე ფეხის დადგმით დაიწყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხოვრების ბოლო ეტაპი. ერთადერთი, რაც მას შვებას ჰგვრიდა, თავისი შეფიცულების გვერდით

ცხოვრება იყო. „ქაქუცას არ უნდოდა თავისი შეფიცულების დაქსაქსვა სხვადასხვა ქალაქებში, მან გადაწყვიტა მათი ერთად ყოფნა. პარიზის მახლობლად, ვიროფლეიში იქირავა სახლი, სადაც ყველა შეფიცული ჩამოიყვანა და დაასახლა.“ (კარგარეთელი, 1981, 26). აღნიშნულ პერიოდზე ცნობები დაცულია შეფიცულების – ალექსანდრე სულხანიშვილის, ალექსანდრე კარგარეთელის, ელიზბარ მაცაშვილის მოგონებებში. ძალზედ რთული დრო იდგა მათთვის, ქაქუცა ზრუნავდა მათზე, როგორც მამა, როგორც უფროსი ძმა. „ქაქუცას ფული არა ჰქონდა, ანდა საიდან უნდა ჰქონოდა! ხანგამოშვებით მეგობრები უზავნიდნენ მას სახარჯოთ ინგლისიდან, გერმანიიდან და შიგ საფრანგეთიდანვე. ათასი ფრანკი რომ მიეღო, შეიძლება ორმოცდაათი აელო თავისთვის, დანარჩენს ავადმყოფ და უმუშევარ რაზმელებს ურიგებდა. ჩვენს მთავრობას, კაპიკი რა არის, კაპიკიც არ მიუცია მისთვის,“ (სულხანიშვილი, 2007, 274). – მოგვითხრობს ალ.სულხანიშვილი.

ქართველი ემიგრანტები ერთმანეთთან ურთიერთობას არ წყვეტდნენ. ქაქუცა ჩოლოყაშვილს განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალთან, გენერალ გიორგი კვინიტაძესთან. ქაქუცა ხშირად სტუმრობდა გენერლის ოჯახს. ჩვენამდე მოღწეულია 1925 წელს გადაღებული ფოტო, რომელზეც ალბეჟდილნი არიან ქაქუცა ჩოლოყაშვილი, მერაბ ჯორჯაძე, სპირიდონ ჭავჭავაძე, შალვა ამირეჯიბი გენერლის ოჯახის წევრებთან ერთად.

სამშობლოზე ფიქრი და დაბრუნების იმედი თან სდევდა ქაქუცა ჩოლოყაშვილს. მეუღლის, დედის, შვილების ნახვის სურვილმა, მათზე დარდმა გატეხა დაუდგრომელი მეომარი. პირველ მსოფლიო ომში მიღებული ჭრილობა გაეხსნა და ტუბერკულოზში გადაეზარდა. 1929 წლის დასაწყისში მისი ჯანმრთელობა საგრძნობლად გაუარესდა. „ევროპაში შემოსვლა გადაექცა ქაქუცას საბედისწეროდ. საშინლად ცუდად იმოქმედა მასზე პარიზის ჰავამ. საუბედუროდ, ჩვენ არ გვქონდა შეძლება, რომ ქაქუცასთვის რიგიანად მოგვევლო,“ (სულხანიშვილი, 1981, 196). – წერს ალ. სულხანიშვილი. თანამებრძოლები ძალ-ღონეს არ იმუშრებდნენ, მისთვის რომ მოევლოთ და

გამოეჯანმრთელებინათ, მაგრამ სენი, რომელიც მის ორგანიზმს მოერია, მასზე ძლიერი აღმოჩნდა. „ჭრილობისაგან მას მარჯვენა ფილტვის თავი ჰქონდა დაზიანებული. აი ეს გადაექცა კაჟივით ვაჟკაცს მომაკვდინებელ ჭლექად.“ (სულხანიშვილი, 1981, 196).

ემიგრანტულმა მთავრობამ, რომელმაც კარგად იცოდა ჩოლოყაშვილის ავადმყოფობის ამბავი, მის დასახმარებლად არაფერი იღონა. კვლავ მისი მეგობრები ზრუნავდნენ საყვარელ ბელადზე. შეაგროვეს ფული და მთებში, სანატორიუმში სამკურნალოდ გაგზავნეს. რამდენიმე თვის მკურნალობა ქაქუცას ძალიან მოუხდა, მაგრამ ცოტახნის შემდეგ მისი ჯანმრთელობა კვლავ გაუარესდა. 1929 წლის 28 ნოემბერს ოპერაცია გაუკეთეს და სამკურნალოდ ოტსაფუას რეგიონში მდებარე პრასკუდანის სანატორიუმში გადაიყვანეს. სწორედ აქ გაატარა სიცოცხლის უკანასკნელი თვეები. ავადმყოფობის დროს, 1929-1930 წლებში მას მიმოწერა ჰქონდა ემიგრაციაში მყოფ ქართველებთან: ალექსანდრე კარგარეთელთან, ალექსანდრე ბადურაშვილთან, ალექსი ფეიქრიშვილთან, ვალიკო ჩუბინიძესთან და სპირიდონ კედიასთან. ჩვენამდე მოაღწია მის მიერ გაგზავნილმა ჩვიდმეტმა წერილმა, რომლებშიც დაცულია უძვირფასესი ცნობები ქაქუცას უკანასკნელი დღეების შესახებ.

1930 წლის 27 ივნისს ქაქუცა შეუძლოდ შეიქნა. მისი თხოვნით, პარიზიდან ჩამოვიდა ცნობილი ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე. ავადმყოფობამ, რომელიც ქაქუცასთვის ყველაზე დიდი მტერი აღმოჩნდა, საბოლოოდ თავისი გაიტანა და 1930 წლის 29 ივნისს ქაქუცა ჩოლოყაშვილი გარდაიცვალა. „იქნებოდა დაახლოებით თერთმეტი საათი, რომ მე და ვახტანგი იმის პალატაში შევედით. მან რაღაც დაილაპარაკა. ჩვენ მაშინვე მივცვივდით და მე ხელით წამოვუწიე თავი ქაქუცას. მან კიდევ დაიხრიალა. აი, ეს იყო უკანასკნელი გახმაურება ამ დიდი მეზრძოლისა, რომელიც ვეფხვივით ებრძოდა თვით სიკვდილსაც კი,“ (სულხანიშვილი, 1981, 202). - იხსენებს ალ. სულხანიშვილი. მისი ნეშტი ჯერ ბერძნულ ეკლესიაში გადაასვენეს, ხოლო ექვსი დღის შემდეგ, პარიზიდან ათი კილომეტრის დაშორებით სენტ უანის სასაფლაოზე დაკრძალეს. ალ. სულხანიშვილის ცნობით, ქაქუცამ ანდერძად დაიბარა, დაეწვათ მისი ნეშტი, რათა ამ

ფორმით მაინც ღირსებოდა ქართულ მიწაში დაკრძალვა. თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მას სასტიკად სძულდა კრემაცია.

მისი დაკრძალვის დღე მძიმე იყო ემიგრაციაში მყოფი ქართველებისთვის, განსაკუთრებით მისი რაზმელებისათვის. გამოსათხოვარი სიტყვები, რომლებიც წარმოთქვამს მის საფლავთან, იყო გამომშვიდობება საქართველოს ეროვნულ გმირთან, რომელსაც არაფერი დაუზოგავს სამშობლოსათვის, თვით სიცოცხლეც კი. მისი თანამებრძოლის - შალვა ამირეჯიბის მიერ წარმოთქმული სიტყვა, მოგვიანებით დაიბეჭდა პარიზში გამომავალ ქართულ ჟურნალში „სამშობლო“. აი ნაწყვეტი ამ წერილიდან: „ამ მწუხარე წუთს ჩვენ არ შეგვიძლია განსაკუთრებით ჩოლოყაშვილის გმირული ბრძოლები არ მოვიგონოთ. ამ ბრძოლაში მას მოუკლეს ძმა, მაგრამ ძმა ტყეში დაფლა და ბრძოლა განაგრძო. მისი მხცოვანი დედა მტერს პატიმრად ჰყავდა, პატიმრად ჰყავდათ და მძევლად-მისი მეუღლე და მისი ორი ასული და დასასრულ, პატიმრად ჰყავდათ მისი სიდედრი და სიმამრი, რომელთაგან უკანასკნელი აგვისტოს აჯანყების დღეებში იყო დახვრეტილი. და, აი დღეს აღარც თვითონ არის ცოცხალი.“ (ამირეჯიბი, 1930, 12).

ჩოლოყაშვილის გარდაცვალების შემდეგ ემიგრაციაში მყოფი ქართული საზოგადოების წარმომადგენლები ხშირად მსჯელობდნენ ქაქუცას ფენომენის შესახებ. ქვეყნდებოდა წერილები და მოგონებები ქართულენოვან ჟურნალებში. ბევრი ლექსი და სიმღერა შეიქმნა მის შესახებ, რომლებიც დღემდეა შემორჩენილი ხალხში. ერთ-ერთი შეფიცულის, 26 წლის ფშაველი გლეხის მიხა ხელაშვილის მიერ დაწერილი ლექსები, ქაქუცასადმი უდიდესი სიყვარულისა და პატივისცემის შედეგია. ქაქუცა წარმოდგენილია არა მარტო გმირად, არამედ ეროვნულ გმირად. „ქაქუცა სამი წლის განმავლობაში მხოლოდ ეროვნული მებრძოლი და საუკეთესო პარტიზანი იყო. შიშველ-ტიტველი, მშიერ-მწყურვალი ის სამი წლის განმავლობაში იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და როცა დამარცხდა, გახსნილი ალმით დასტოვა ჩვენი მიწა-წყალი. მან პირნათლად შეასრულა მოვალეობა სამშობლოს წინაშე.“ (შარაძე, 2004, 136).

სენტ უანის სასაფლაოდან ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტი სოფელ ლევილში გადაასვენეს და ქართველთა სამმო სასაფლაოზე დაკრძალეს. მისი საფლავის ქვას

ქართული ხმალი და ფარი ჰქონდა ამოტვიფრული. იკითხებოდა ფრანგულ და ქართულ ენებზე შესრულებული წარწერა: „ქაქუცა ჩოლოყაშვილი-ეროვნული გმირი.“

საბჭოთა იმპერიის წლებში წარმოუდგენელი იყო იმაზე ფიქრი, თუ ოდესმე ემიგრაციაში მყოფი რომელიმე ქართველის ნეშტს საქართველოში გადმოსვენებდნენ. XX საუკუნის 80-იან წლებში დაწყებულმა პოლიტიკურმა ძვრებმა ერთი ხელის მოსმით დაანგრია კომუნისტური იდეოლოგიით შეკონსერვებული საბჭოთა კავშირი. დაემხო რეჟიმი, რომელმაც შეიწირა უამრავი ქართველის სიცოცხლე, ბევრი კი სამუდამოდ აღმოჩნდა სამშობლოს დაცილებული. დაიწყო ღირებულებების ხელახალი გადაფასება, ქართველმა ხალხმა გაიგო, ვინ იყო სინამდვილეში ქაქუცა ჩოლოყაშვილი და საქართველოში მისი ნეშტის გადმოსვენების საკითხიც დადგა.

საქართველოს ეროვნული გმირი, კაცი, რომელმაც არა მარტო საკუთარი თავი შესწირა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, არამედ ოჯახი და ახლობლები, ნამდვილად იმსახურებდა მშობლიურ მიწაში დაემკვიდრებინა სამუდამო განსასვენებელი.

ზუსტად 75 წლის შემდეგ, პარიზიდან თბილისში გადმოსვენეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტი. სამების საკათედრო ტაძარში, უწმინდესმა და უნეტარესმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ პარაკლისი გადაუხადა საქართველოს ეროვნულ გმირს. 2005 წლის 21 ნოემბერს, დღის 15 საათსა და 15 წუთზე, მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში საქართველოს ეროვნული გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი ქართულ მიწას მიაბარეს.

§3. ხევსურეთის აჯანყება

1922 წლის გაზაფხულიდანვე ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ხევსური რაზმელების მეშვეობით მჭიდრო კონტაქტი დაამყარა ხევსურებთან და, მომავალი ბრძოლების მომზადების მიზნით, იმოგზაურა ხევსურეთის სოფლებში 12 თანამებრძოლთან ერთად, - იგონებს ხევსურეთის ომის მონაწილე ბერდიხა წიკლაური.

ქაქუცამ გაიგო „ხალხის საერთო განწყობილება, შეიარაღების მდგომარეობა, მოხიბლა დიდი და პატარა თავისი უზადო ვაჟკაცობით, სიბრძნით და თავდაჭერილობით, წაუმატა პატრიოტული მუხტი ახალგაზრდა ხევსურთა მოგიზგიზე გულებს, დაისახა მომავალი მოქმედების გეგმა.“ (ლიქოკელი, 2006, 73).

ქაქუცას ერთგულება შეჰფიცეს ხევსურეთში სიმამაცითა და ვაჟკაცობით განთქმულმა იქაურმა ახალგაზრდა ხევსურებმა, რომლებიც მზად იყვნენ აჯანყებისათვის და ქაქუცასთან ერთად გეგმავდნენ სახალხო გამოსვლას.

ქაქუცა მოსახლეობის მდგომარეობას ითვალისწინებდა და აჯანყების დასაწყებად საჭირო დროს ეძებდა. გასააზრებელი იყო აჯანყების წინაპირობა: თუ სტიქიური გამოსვლა მოხდებოდა, ეს ფაქტი ერთიან შეიარაღებულ გამოსვლას ზიანს მიაყენებდა. მასალებსა თუ მოგონებებში შემონახულია ცნობები ხევსურეთის აჯანყებაზე, აგრეთვე ჩოლოყაშვილის როლსა და დამსახურებაზე ამ აჯანყებაში. ზოგს მიაჩნია, რომ ხევსურეთის აჯანყება სტიქიური და უპერსპექტივო იყო და ერთიანი შეიარაღებული აჯანყების ხელისშემშლელადაც მიაჩნიათ. თუმცა, ეს აჯანყება გამოწვეული იყო არა გარეგანი ბიძგით, არამედ იმ გაუსაძლისი პირობებით, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების მახასიათებელი იყო. „ხევსურეთის აჯანყება სამშობლოს დაცვისა და განთავისუფლებისათვის იყო გამიზნული. მასში ორგანულად შეერწყა ერთმანეთს ქაქუცა ჩოლოყაშვილის პოლიტიკური მრწამსი და ხევსურთა შემართება.“ (გოგოჭური, ლიქოკელი, 1991, N1, 64).

ჯერ კიდევ 1922 წლის მაისში ჩოლოყაშვილი ასულა ხევსურეთში თავისი თანამებრძოლების თანხლებით. შეხვედრია იქაურ თავკაცებს: მგელიკა ლიქოკელს,

გოგოთურ ჭინჭარაულს, აპარეკა არაბულს, ბერდიხა წიკლაურს და სხვ. ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიზანს მოსახლეობის განწყობილების და მათი სამხედრო მზადყოფნის გაგება წარმოადგენდა. „აჯანყების მონაწილე ხევსურთაგან ბევრი ვინმე ქაქუცას ადრევე იცნობდა...თათუა აბიკას ძე არაბული და გიგია ბიძურას ძე არაბული ქაქუცა ჩოლოყაშვილს, როგორც ოფიცერს, ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს იცნობდნენ. იცნობდნენ როგორც კეთილშობილ, ნიჭიერ და მამაც ოფიცერს.“ (გოგოჭური, ლიქოკელი, 1991, N1, 66).

ხევსურეთის აჯანყებას თავის მოგონებებში აღწერს ქაქუცას თანამეფიცული და ამ აჯანყების მონაწილე ალექსანდრე სულხანიშვილი: „იმ ხანად ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ხევსურეთისაკენ გაგვეწია, რადგან იქ აგვისტოს პირველამდე ამბოხება უნდა დაწყებულიყო... ახლა ჩვენი უშუალო ყოფნა იყო იქ საჭირო. ამისთვის გვინდოდა, რომ ერთი კვირით ადრე მაინც ავსულიყავით ადგილზე,“ (სულხანიშვილი, 1990, N1, 147). - მოგვითხრობს სულხანიშვილი.

ხევსურეთში მისვლამდე შეფიცულებს ბოლშევიკებთან მოუხდათ შეტაკება. ბრძოლა არაგვის ხეობაში, ჟინვალთან ახლოს მდებარე სოფელ **ორთვალში** მომხდარა. შეფიცულებს თავს დაესხნენ მაზრის ჩეკისტები კომისარ ჭურღულიას მეთაურობით. შეფიცულებმა მომხდური უკუაქციეს და უდანაკარგოდ მიაღწიეს მადაროსკარს. „ჩვენ იქ დავბრუნდით ვაჟა-ფშაველას მიერ დაარსებულ სკოლაში,“ (სულხანიშვილი, 1990, N1, 147).- იგონებს სულხანიშვილი. სკოლას გარშემო ტყე ჰქონდა შემორტყმული და რაზმისათვის დაცულ თავშესაფრად ითვლებოდა, სწორედ აქ დაბანაკებულებს თავს დაესხა 250 კომუნისტი და სასტიკი ბრძოლა გაიმართა. თავდასხმის დროს სკოლის შენობა და ეზო რაზმისთვის არახელსაყრელ სტრატეგიულ გარემოს წარმოადგენდა, მაგრამ მათ თავდადებული და ვაჟკაცური ბრძოლის შედეგად მტერს სძლიეს და გაიმარჯვეს. ქაქუცამ მტერი ალყაში მოაქცია, ზოგი დახოცეს, ზოგი ტყვედ ჩაიგდეს. „ეს მდევარი წარმოადგენდა ნარევს, რომელიც შედგებოდა პარტიულებისა, ორი მწყობრი რუსის ჯარისა და ავლაზრის კომისრისაგან, თავის მილიციით. აი, ეს ვაჟბატონი თურმე დიდი კვებით წამოსულა, რომ ქაქუცას თავს ჩამოვიტანო, მაგრამ მოხდა ისე, რომ ვერც

თავისი საკუთარი წაილო უკან.“ (სულხანიშვილი, 1990, N1, 149). გაიმარჯვეს შეფიცულებმა და დიდძალი იარაღიც ჩაიგდეს ხელთ. რაზმი მალევე დაიძრა მალაროსკარიდან და დაუბრკოლებლივ ჩავიდა ხევსურეთის სოფელ ბარისახოში. ქაქუცას რაზმს **ბარისახოში** ჩასვლისთანავე შეუერთდა სამი ხევსური და ერთი ფშაველი. ეს ფშაველი იყო ახალგაზრდა კაცი, მიხა ხელაშვილი, რომელიც დაჯილდოებული იყო პოეტური ნიჭით. მან მრავალი ლექსი მიუძღვნა ჩოლოყაშვილს, თავის უსაყვარლეს მეთაურს. მიხა ხელაშვილი ერთ-ერთ უთანასწორო შეტაკებაში დაიღუპა და ძლიერ დასწყვიტა გული ჩოლოყაშვილს.

ხევსურეთში უკვე იცოდნენ მალაროსკარის ბრძოლის ამბავი, დაიწყო სამზადისი, ხალხის შეკრება, ხევსურეთი აჯანყებისთვის ემზადებოდა. რაზმის მოკავშირეები, ადგილობრივი გოგოთური და აპარიკა, სანდო და გავლენიანი ხევსურები იყვნენ. სწორედ ეს ორი ხევსური აკავშირებდა ჩოლოყაშვილს ადგილობრივებთან. მოსახლეობას აღფრთოვანებას ჰგვრიდა ჩოლოყაშვილისა და მისი რაზმელების ნახვა. ჩოლოყაშვილი ხევსურეთში დაწყებულ შეიარაღებულ მოძრაობას სტრატეგიული თვალსაზრისით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ხევსურეთიდან დამყარდებოდა კავშირი ჩრდილოკავკასიაში ჩეჩნებთან, რომლებიც მოლაპარაკების შედეგად ხევსურეთში დაწყებულ აჯანყებაში მონაწილეობის მიღებაზე თანხმობას განაცხადებდნენ. ადგილობრივი მოსახლეობაც შეფიცულებს ერთგულებას ეფიცებოდა, ხევსურებმა სიტყვა მისცეს ქაქუცას: ჩვენ მზად ვართ რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად.

1922 წლის ივლისის ბოლომ და აგვისტოს დასაწყისმა ხევსურეთში მტრის თავდასხმის მოლოდინსა და სამხედრო სამზადისში გაიარა. ქაქუცას ქართულ არმიაში თავისი ხალხი ჰყავდა, კერძოდ, პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი, რომელიც შტაბის უფროსი იყო და შეფიცულებს სანდო ცნობებს აწვდიდა. მასთან ჩოლოყაშვილს გეგმაც ჰქონდა შემუშავებული, რომელიც ითვალისწინებდა აჯანყების დაწყების შემდეგ ზურგიდან შეტევის წამოწყებას. „როგორც კი რუსული ჯარი ქაქუცასთან შესაბრძოლებლად დუშეთს დაიძვრებოდა, მაშინვე მას ზურგიდან ქართველთა რაზმით თავს დაესხმოდა მიხეილ ლაშქარაშვილი. ორმხრივი დარტყმის ქვეშ მტრის

განადგურების შემდეგ, გამარჯვებულები, ქაქუცას წინამძღოლობით, პირდაპირ თბილისის დასაუფლებლად დაიძვრებოდნენ. პარალელურად ამ ამბებისა, აჯანყებანი უნდა მომხდარიყო გურიაში, სამეგრელოში, სვანეთში, ქართლისა და კახეთის ყველა მაზრაში.“ (კირთაძე, 1996, 130).

ქაქუცა ჩოლოყაშვილმა თავის შეფიცულებთან ერთად **ორწყალი** გაამაგრა. აგვისტოს მეორე ნახევარში საბჭოთა ჯარმა, რომელიც რამდენიმე ათას ჯარისკაცს ითვლიდა, ორწყალს შეუტია. „რუსულ-ბოლშევიკური ხელისუფლების და კავკასიის არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს განკარგულებით, დუშეთისაკენ ჯარი დაიძრა აჯანყების ჩასახშობად და ჩოლოყაშვილის გასანადგურებლად. ამ საექსპედიციო ჯარის მეთაურად დაინიშნა პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი, რომელიც იმავე დროს-რასაკვირველია, ბოლშევიკური ხელისუფლებისაგან არაღელვურად იყო დამკომის სამხედრო ცენტრის წევრი.“ (კირთაძე, 1996, 131). მუსხელიშვილი ცდილობდა შემუშავებულ გეგმას მიჰყოლოდა, ამიტომ, წინასწარ ინახულა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი იოსებ ცინცაძე და კატეგორიულად მოითხოვა მის განკარგულებაში გადაცემულიყო სოციალ-დემოკრატიული რაზმები. ცინცაძემ მუსხელიშვილის მოთხოვნა სოციალ-დემოკრატიული პარტიის სხდომაზე გაიტანა, თუმცა, უშედეგოდ. მენშევიკური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს შეიარაღებული აჯანყების დაწყება ნაადრევად მიაჩნდა. პარტიამ უარყო მოძრაობაში მონაწილეობის მიღება და ეს გადაწყვეტილება თავის რაზმელებს შეატყობინა. „დუშეთში მიახლოებული რაზმები შ.ფალავანდიშვილისა და მ.ლაშქარაშვილისა როტმისტრი ბაგრატიონ-მუხრანელის მეთაურობით, დაიშალნენ და სახლში დაბრუნდნენ. ამის გამო, პოლკ. რ.მუსხელიშვილმა თავისი გეგმის შესრულება ვერ მოახერხა და იძულებული გახდა რუსების ჯარით იერიშით მისულიყო ქაქუცას წინააღმდეგ.“ (ზალდასტანიშვილი, 1989, 14). ამის შესახებ წერს ალექსანდრე სულხანიშვილი თავის მოგონებებში და გეგმის შეცვლას შიდა პარტიული დაპირისპირებით და ქიშპობით ხსნის. „სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ უარი განაცხადა მონაწილეობის მიღებაზე უდროო გამოსვლებში, ამრიგად, მაშინ, როდესაც

გახურებული ბრძოლა მიმდინარეობდა არაგვის ხეობაში და ღვარად მიედინებოდა ქართული სისხლი, რამდენიმე დღე გავიდა მოლაპარაკებასა და ცოდვილი თითების აშვერაში.“ (სულხანიშვილი, 1990, N2, 146-147). გაუმართლებლად მიაჩნდათ რაზმის წევრებს სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაუბედაობა. რუსის ჯარით იერიშზე მისულ მუსხელიშვილს ქაქუცა მაგრად დაუხვდა. ხევსურებს ბოლშევიკებმა მოუწოდეს: „დახოცეთ, ან განაიარაღეთ და გადმოგვეცით ქაქუცა და მისი რაზმელები, ჩაგვაბარეთ იარაღი და თქვენ არაფერს გერჩითო. ხევსურებს ეს წინადადება არ მიუღიათ და ბოლშევიკებსაც დაუწყიათ შეტევა.“ (გოგოჭური, ლიქოკელი, 1991, N1, 67). ქაქუცამ რუსის ჯარის პირველი შეტევა მოიგერია, დიდი ზარალიც მიაყენა მათ. რუსებმა უკან დახევა დაიწყეს მცხეთის მიმართულებით. სწორედ მცხეთამდე მისდია ქაქუცამ მტერს, მაგრამ ძალთა სიმცირე არ აძლევდა საშუალებას, დევნა განეგრძო, ამიტომ ისევ დუშეთში დაბრუნდა და იქ პოზიციების გამაგრება გადაწყვიტა. ამასობაში რუსებმა დამხმარე ძალა მიიღეს და განახლებული რაზმებით კონტრშეტევაზე გადავიდნენ. „დაამარცხეს ჩოლოყაშვილი და მის რაზმს რკალი შემოარტყეს. ქაქუცამ ბრძოლით რკალი გაარღვია და კახეთისაკენ დაიხია. რუსები ხევსურეთში შევიდნენ და სოფლები გაანადგურეს.“ (ზალდასტანიშვილი, 1989, 14). მართლაც, შეესივნენ რუსები ხევსურების სოფლებს და არაადამიანური სისასტიკით დაიწყეს ადგილობრივი მოსახლეობის დარბევა. „ტყვეთ ჩავარდნილ დაჭრილ აჯანყებულებს ადგილზევე ხოცავდნენ და თავებს აჭრიდნენ. წვავდნენ სოფლებს, ძარცვავდნენ და ბილწავდნენ ხატ-სალოცავებს. განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ ფხიტუდან შემოჭრილი „ინტერნაციონალური“ ნაწილები. გამარცხეს და გადაწვეს სოფლები: ბუჩუკურთა, უკანახო, უბანი, აკუშო, კიმხი. ააოხრეს საარაგვოს სოფლები.“ (გოგოჭური, ლიქოკელი, 1991, N1, 67).

1922 წლის აგვისტოს აჯანყება მარცხით დასრულდა. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ სისასტიკი რეპრესიები წამოიწყო, რათა მოსახლეობას ახალი შეიარაღებული გამოსვლის სურვილი კვლავ არ გასჩენოდა. დაიწყო მასიური დაჭერები და დახვრეტები, „ჩეკა“ გამალებული მუშაობდა, რათა დაედგინა ხევსურეთის აჯანყების

როგორც მეთაურთა, ისე მონაწილეთა სახელები და მისამართები. „ჩვენამ მიაგნო მათ სამყოფელებს, დაიჭირეს და დახვრიტეს დიმიტრი ცისკარაული (ახმეტის რ-ნი, ს.აშროშანი), ლევან რაზიკაშვილი (ვაჟა-ფშაველას შვილი), მოსყიდულებს მოაკვლევინეს მიხა ხელაშვილი (დუშეთის რ-ნი, ს.ჩარგალი), დააპატიმრეს და გზაზე დახოცეს გიგია ადიას ძე არაბული, მიხა გიგიას ძე ჭინჭარაული, მძიმედ დაჭრილმა გაქცევა მოახერხა ბიძურა ნავაგერის ძე ჭინჭარაულმა (სამივე საგარეჯოს რ-ნი, ს.ვერანა), ყოვლად შემთხვევით გადარჩა დახრეტას ლევან გაბრიელის ძე გოგოჭური (თელავის რ-ნი, ს.თეთრიწყლები), აიკლეს და გამარცხეს გიგია ბიძურას ძე არაბულის ოჯახი, ხოლო თვითონ გიგია წელიწადნახევარი ჰყავდათ პატიმრობაში, აწამეს, მაგრამ ვერ გამოტეხეს.“ (გოგოჭური, ლიქოკელი, 1991, N1, 69).

ხევსურეთის აჯანყების დამარცხების მიუხედავად, ადგილობრივ მოსახლეობას ფარ-ხმალი არ დაუყრია, ისინი კვლავ ემზადებოდნენ ახალი აჯანყებისათვის. კომუნისტებმა დაასრულეს ხევსურების ანგარიშსწორება, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ მოდრიკეს. ხევსურებს თავი არ შეურცხვენიათ, მარცხის მიუხედავად, მათი ვაჟკაცობა და თავდადება გამარჯვების ტოლფასი იყო.

თავი V.

1924 წლის აგვისტოს შეიარაღებული აჯანყება

§1. 1924 წლის აჯანყების წინაპირობები

1922 წლის აგვისტოს აჯანყებას აღმოსავლეთ საქართველოში, ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ განხორციელებული სასტიკი რეპრესიები მოჰყვა. ოდნავი ეჭვიც კი საკმარისი იყო ხელისუფლებისათვის, რომ ეჭვიმტანილნი დაეჭირათ და დაეხვრიტათ. რეპრესიები არც 1923 წლის დადგომისას შეწყვეტილა, რამაც დროებით ჩაკლა მემბოხე ადამიანების სულისკვეთება და შეასუსტა პოლიტიკური პარტიების აქტივობა. მიუხედავად აჯანყების წარუმატებლობისა და სასტიკი რეპრესიებისა, ქვეყანაში ეროვნულმა მოძრაობამ 1923 წლიდან მაინც დაიწყო გამოცოცხლება.

1922 წლის ნოემბერში ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნდა ყოფილი მთავრობის აქტიური წევრი ნოე ხომერიკი. „ჩამოვიდა და, თითქოს კიდევაც გამოაღვიძა და კვლავ საბრძოლველად განაწყო ინდიფერენტული განწყობილებით მოცული პარტიულ-პოლიტიკური ცხოვრება. ისევ ამოდრავდა პარიტეტული სტრუქტურა-„დამკომი“, რომელთანაც, სწორედ ხომერიკის ინიციატივით, აქტიურად ამუშავდა ახლად რეორგანიზებული „სამხედრო კომისია“. ამ ახალი სტრუქტურის მთავარ მაგისტრებად გამოცხადდნენ - თვითონ ნოე ხომერიკი (მენშევიკური პარტიისგან) და მიხეილ ჯავახიშვილი (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისგან). ამ ორი კაცის ხელში გადავიდა ფაქტობრივად მთელი შემდგომი სამზადისი ახალი აჯანყებისა.“ (კირთაძე, 1996, 135). სწორედ „დამკომთან“ დაარსებული სამხედრო კომისია გახდა ორგანიზატორი ხალხის გამოცოცხლებისა, დარაზმვისა და ახალი აჯანყების მომზადებისა, რომელსაც გეგმავდნენ 1923 წლის 26 მაისისათვის, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 5 წლისთავზე.

როგორც ყოველთვის, ახლაც განსაკუთრებულად აქტიურობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. „ამ უკანასკნელთაგან კომისიაში თავდაპირველად მიხეილ ჯავახიშვილი, შემდეგ გიორგი წინამძღვრიშვილი და ბოლოს სოლომონ ზალდასტანიშვილი შედიოდნენ“. (ჯანელიძე, 2002, 443). სამხედრო კომისიაში აგრეთვე

შევიდნენ „დამკომის“ თავმჯდომარე სოციალ-დემოკრატი კონსტანტინე ანდრონიკა-შვილი, მისი მოადგილე ეროვნულ-დემოკრატი იასონ ჯავახიშვილი, სოციალ-დემოკრატი გოგიტა ფალავა და ვალიკო ნოდია. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი იასონ ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ საჭირო იყო სააგიტაციო მუშაობის გაფართოება და გაძლიერება საქართველოს მასშტაბით, რადგან მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ეროვნული მოძრაობისგან შორს იდგა. „დამკომმა“ სააგიტაციო მუშაობის გასაძლიერებლად მთელი საქართველო სამოქმედო ზონებად დაყო და გაჩაღდა იატაკქვეშა მუშაობა. პოლიტიკური პარტიები არალეგალურ საქმიანობას ეწეოდნენ საქართველოს რეგიონებში და მოსახლეობას მომავალი აჯანყებისათვის ამზადებდნენ. სააგიტაციო მუშაობა ასევე გაძლიერდა დასავლეთ საქართველოშიც. ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ არალეგალური მუშაობისათვის ელისე პატარიძე მიავლინა, ჩამოყალიბდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დასავლეთ საქართველოს კომიტეტი. „ქუთაისში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ეგიდით აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ: ვასილ ლეჟავა, შალვა ელიავა, ალექსანდრე კედია, ივანე მეზურიშვილი, მიხეილ ქობალია.“ (საქ. შსს არქივი, 1924, ფ. N6, 49).

სამხედრო კომისია და „დამკომი“ ურთიერთშეთანხმებით ამუშავებდნენ მომავალი აჯანყების საკითხს. „დამკომი“ და პოლიტიკური პარტიების თავმჯდომარეები ერთად განიხილავდნენ აჯანყების დაწყებისა და განვითარების დეტალებს და გადაწყვეტილებებსაც ერთად იღებდნენ. მათმა წარმომადგენლებმა კავშირი დაამყარეს ქაქუცა ჩოლოყაშვილთან, მოლაპარაკების შედეგი კი იყო ის, რომ ჩოლოყაშვილი „დამკომთან“ შეთანხმების გარეშე გამოსვლას არ გადაწყვეტდა. „მან პირობა მოგვცა, რომ ის გამოსვლას მხოლოდ „დამკომის“ დასტურით მოახდენდა. მართალი უნდა ითქვას, რომ მთელი ორი წლის განმავლობაში ეს პირობა მის მიერ არ დარღვეულა“. (ზალდასტანიშვილი, 1989, 15-16). - აღნიშნავდა მისი თანამებრძოლი სოლომონ ზალდასტანიშვილი.

1923 წლის აპრილში ჩატარდა სამხედრო საიდუმლო ყრილობა, აქ მოწონებული იქნა აჯანყების საერთო გეზი, დამუშავდა და დაზუსტდა მისი მოსამზადებელი

სამუშაოების ფორმები და მეთოდები. გარკვეული პასუხისმგებლობა და მოვალეობები დაეკისრათ აჯანყებაში მონაწილე პარტიებს და პარტიის წევრებს. სამხედრო კომისიას დაევალა: „ჯარში მუშაობა, ხალხის დარაზმვა და მათი შეიარაღება, დანიშნულ დროს დარაზმული ხალხის დანაწილება და აჯანყების წინა დღეებში ოფიცრების დაკავშირება ხალხთან“. (ზალდასტანიშვილი, 1989, 19). ამავე კრებაზე შეიმუშავეს გეგმა, რომლის მიხედვითაც აჯანყების დაწყებისთანავე მთავარი დარტყმა უნდა განხორციელებულიყო თბილისსა და ბათუმზე.

სწორედ ამ კრებაზე დამსწრეებს წაუკითხეს და მიაღებინეს ფიცი (შემდეგში ეს ფიცი მიაღებინეს ეროვნულ-დემოკრატიულ სტუდენტებსაც), რომლის ტექსტი სოლომონ ზალდასტანიშვილმა როტმისტრ ყარანგოზაშვილის ხელით გადაუგზავნა ქაქუცა ჩოლოყაშვილს. ეს ფაქტი 1923 წლის მაისში მოხდა. ფიცის მიღების შემდეგ ჩოლოყაშვილის რაზმი გახდა „შეფიცულთა რაზმი“, ანუ შეფიცულები. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს კიდევ ორი ვერსია. პირველი უკავშირდება 1922 წლის 12 მარტს ავლევის ტყეში დადებულ ფიცს, რომლითაც ერთმანეთს სამუდამოდ შეეკრა ექვსი თანამებრძოლი, და მეორე, როდესაც ფშავში მყოფი რაზმელები ხევსბერმა დიმიტრი ცისკარაულმა (ან ჭინჭარაულმა) დალოცა და ფიცი წარმოათქმევინა.

1923 წლის მაისში მიღებულმა ფიცმა ქაქუცა ჩოლოყაშვილი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან დაახლოვა, თუმცა ეროვნულ-დემოკრატები თავიდანვე დიდი პატივისცემით იყვნენ მისდამი განმსჭვალულნი. სოციალ-დემოკრატებს საკუთარი მოსაზრება გააჩნდათ ამ ურთიერთობასთან დაკავშირებით. „რაკი ქაქუცა ჩოლოყაშვილი ეროვნულ-დემოკრატების რჩეული იყო, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მისი მხარდაჭერა არ ისურვა. მეტიც, პროკლამაციებში, რომლებიც სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ აჯანყების მსვლელობისას გაავრცელა, ქაქუცა ჩოლოყაშვილი „კონტრრევოლუციონერად“, ხოლო ამბოხება „ბატონყმობის აღდგენის სურვილით დაწყებულ საქმედ“ გამოაცხადეს.“ (ჯანელიძე, 2002, 435). ეს მოსაზრება, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, კახეთისა და ხევსურეთის შეიარაღებული გამოსვლის დროს გამოხატა. მენშევიკურმა პარტიამ თავის წევრებს ჩოლოყაშვილთან ურთიერთობაც კი

აუკრძალა. ისინი შეურაცხმყოფელი ცილისწამებით ჩირქს სცხებდნენ სახალხო აჯანყების გმირს, სულით და ხორციით ქართველს, ნამდვილ თავადიშვილს და ღირსებებით შემკულ ვაჟკაცს, რომლისთვისაც პარტიული ინტერესები არ არსებობდა. მისთვის საკუთარ თავზე მაღლა ქვეყნის დამოუკიდებლობა და კეთილდღეობა იდგა. სამწუხაროდ, ზოგი პოლიტიკური პარტია, ჯერ კიდევ ვიწრო პარტიული ინტერესებიდან ამოდიოდა და ქვეყნის ინტერესებზე მაღლა პირადულს აყენებდა.

კვლავ გააქტიურდნენ ემიგრაციაში მყოფი ყოფილი მთავრობის წევრები. ნ.ჟორდანია ამ ეტაპზე უკვე დადებითად აფასებდა აჯანყების იდეას, მისი აზრით, ეს უნდა ყოფილიყო ერთიანი კავკასიური ამბოხი, რომელსაც მოამზადებდნენ პოლიტიკური პარტიები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. მისი აზრით, საქართველოსთან ერთად უნდა გამოსულიყო აზერბაიჯანი, სომხეთი, კავკასიის მთიანეთი. ამავე პოზიციაზე იდგა აკაკი ჩხენკელიც, იგი ეთანხმებოდა საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ შეიარაღებულ გამოსვლას და რუსეთის უღლისგან საქართველოს განთავისუფლების იდეას. მაგრამ მისი მოსაზრებით, გამარჯვების აუცილებლობას განსაზღვრავდა სამი წინასწარი პირობის გათვალისწინება. ესენი იყო: მეზობლების შეთანხმებული შეიარაღებული მონაწილეობა საერთო ბრძოლაში, ოსმალეთის ნეიტრალიტეტი და მისი ჩაურევლობა კავკასიურ პოლიტიკაში და საქართველოსთვის ფინანსური დახმარების აუცილებლობა ქვეყნის გარედან. აჯანყების წარმატებით დასრულება ბევრად იყო დამოკიდებული ფინანსებზე, თარიღზე, სურსათის ოდენობაზე.

ერთიანი კავკასიური გამოსვლისათვის საჭირო იყო წინასწარ დამყარებულიყო მჭიდრო კავშირები ჩრდილო კავკასიელ ხალხებთან, აგრეთვე სომხებთან და აზერბაიჯანელებთან. პირველ რიგში, პოლიტიკურ პარტიებს უნდა მოეხდინათ ორგანიზება, მათ შორის უნდა მომხდარიყო შეთანხმება და შეკავშირება. ქართული პოლიტიკური საზოგადოება ამ საკითხს იმედიტ უცქერდა, მზად იყვნენ მჭიდრო პოლიტიკური კავშირები დამყარებულიყო კავკასიაში, რაც საერთო ეროვნული საქმისათვის იქნებოდა მომგებიანი. მუშაობა გაჩაღდა სომხურ, აზერბაიჯანულ და ჩეჩნურ პოლიტიკურ პარტიებთან. თავიდანვე გამოიკვეთა, რომ სომეხ დაშნაკცუტიუნის

პარტიასთან ურთიერთობა არ გამოდიოდა და ვერც ვერანაირ შეთანხმებას მიაღწევდნენ. „კავკასიაში, ყველაზე საეჭვო და უპერსპექტივო აღმოჩნდა სწორედ სომხებთან და მათ მთავარ პარტიასთან - დაშნაკებთან ურთიერთობის საკითხი.“ (კირთაძე, 1996, 139). სამაგიეროდ, აზერბაიჯანელ მუსავატელებთან ურთიერთობა ჩანდა საიმედო. მაგრამ არც ეს ურთიერთობა შედგა, რადგან მუსავატელებთან შეთანხმებისათვის ფულადი დახმარება იყო საჭირო, რომელსაც აზერბაიჯანული მხარე ითხოვდა. შეხვედრა ქართულ და აზერბაიჯანულ მხარეებს შორის თბილისში შედგა, მაგრამ ფინანსურ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. ნოე ხომერიკი მათ მხოლოდ მცირე თანხით დახმარებას დაჰპირდა: „ დიდ თანხას ვერ მოგცემთ, მაგრამ პირველი შემთხვევისათვის 300 თურქულ ლირას გამოგიგზავნით.“ (კირთაძე, 1996, 140).

კავკასიური ერთიანობის იდეას განხორციელება არ ეწერა. თვითონ ნოე ხომერიკი ჩეჩნეთს იმედით უცქერდა და ურთიერთობის მოსაგვარებლად ჩეჩნეთში გიორგი წინამძღვრიშვილი გაგზავნა, რომელმაც „იქიდან ასეთი რამ შემოთვალა: „აქ ადამიანთა მასალა არის, მაგრამ სპეციალისტების გარეშე“. მალე წინამძღვრიშვილიც დააპატიმრეს, ჩეჩნეთშიც თბილისიდან „სპეციალისტები“ ვერ გაგზავნეს და ვერც „ჩეჩნური მასალა“ გამოიყენეს“. (კირთაძე, 1996, 153).

ჩეჩნეთთან ურთიერთობის მოგვარებას თავად ქაქუცა ჩოლოყაშვილიც ცდილობდა. იგი წინამძღვრიშვილზე ადრე ეწვია ჩეჩნეთს, იქაურ თავკაცებს შეხვდა და მათთან მოლაპარაკება გამართა. 1923 წლის აგვისტოში ჩოლოყაშვილი სწერდა წინამძღვრიშვილს: „კარგი გიქნიათ, ჩრდილო კავკასიელებთან კავშირს რომ ეძებთ, ალი მიტაევი ინახულეთ - მე ის შემპირდა - ოღონდ თქვენ ქართველები აჯანყდით და მაშინვე მთელს კავკასიას თქვენ გვერდში დავაყენებო“. (კირთაძე, 1996, 153). ჩოლოყაშვილისა და შეიხ ალი მიტაევის შეხვედრისას ჩეჩნური მხარე რეალური დახმარების იმედს აძლევდა ქართულ მხარეს რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, ოღონდ „ეს დახმარება გულისხმობდა 50 ოფიცერ-ინსტრუქტორის ჩეჩნეთში მივლინების დაჩქარებას, მაგრამ ვერც ამან მოიტანა შედეგი“. (ნათმეღაძე, დაუშვილი, წენგუაშვილი, ჯაფარიძე, 2008, 144).

ხელისუფლებას ქვეყნის შიგნით დაწყებული პოლიტიკური გამოცოცხლება არ გამოჰპარვია, დაიწყო რეპრესიები, ხალხის პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრება. „რეპრესიები სულ უფრო მასობრივ ხასიათს იღებდა. აწამებდნენ განურჩევლად ყველას, - თავადს, აზნაურს, ბურჟუას, სტუდენტს, მუშას, გლეხს, ვინც კი ჩაუვარდებოდათ ხელში...იჭერდნენ მღვდლებს, წვერს კრეჭდნენ და მერე ციმბირში აგზავნიდნენ. ხურავდნენ და ანგრევდნენ ეკლესიებს და ეს მოქმედება დიდად არ განირჩეოდა ძველი რუსეთის მოქმედებისაგან“. (ჯანელიძე, 2002, 437).

ხელისუფლება დევნიდა ისეთ ადამიანებს, რომელთაც ჩოლოყაშვილის ე.წ. „ბანდასთან“ ჰქონდა ურთიერთობა და გამოხატავდა მის თანაგრძნობას. ხდებოდა ასეთი ადამიანებთან ჩასაფრება, მათზე თავდასხმა, აწიოკებდნენ ოჯახებს, სოფლებს. ამ ქმედებას ხელისუფლება მხოლოდ ერთი მიზეზით ხსნიდა: მისი მტკიცებით, ყველა შეპყრობილი ან სიკვდილით დასჯილი „ბანდიტი“, ან „ბანდის“ წევრი იყო. „1923 წ. მაისის „3“-ს რუისპირის წისქვილში იყალთოს რაიმილიციის მიერ იქმნა შეპყრობილი ჩოლოყაშვილის ბანდის წევრი ვინმე სევერიან ჩხეტიანი“. (სუიცსა, 1923, 46).

რეპრესიებმა შეიწირა ქართული საზოგადოების როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური ელიტა, საზოგადოების მოწინავე და წარჩინებული ნაწილი. „1923 წლის თებერვალში, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრის, კმესაბლიშვილის ჯამუშობის წყალობით, ჩვეამ შეიპყრო აჯანყების დამწყებთა მთავარი ბირთვი“. (კირთაძე, 1996, 132). ასე ჩავარდა „სამხედრო ცენტრი“. ხელისუფლება დარტყმას პოლიტიკურ ელიტაზე აკეთებდა, რითაც საყრდენს აცლიდა ეროვნულ მოძრაობას, შეიარაღებული აჯანყების ყოველგვარ შესაძლებლობას სპობდა. „1923 წლის 11 აპრილს დააპატიმრეს 55 კაცი- აქედან 4 ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი- მიხეილ ჯავახიშვილი, სერგი დანელია, დიმიტრი ჯავახიშვილი და ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე კოტე აფხაზი: „სამხედრო ცენტრის“ 6 წევრი - ანდრონიკაშვილი, წულუკიძე, მუსხელიშვილი, იოსებ გედევანიშვილი, კოტე აფხაზი და ხიმშიაშვილი; პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე ქარცივაძე და კონტრდაზვერვის გამგე ნარეკლაძე დაჭერას გადაურჩნენ. დაჭერას გადაურჩა კონტრდაზვერვაში მომუშავე 7-

8 ოფიცერი: მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე იოსებ ცინცაძე, ცენტრალური კომიტეტის წევრი ფალავა, პარიტეტული კომიტეტის წევრი იასონ ჯავახიშვილი და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი დავით ვაჩნაძე“. (ნათმეღაძე, დაუშვილი, წენგუაშვილი, ჯაფარიძე, 2008, 141). ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო კომისია ცდილობდა გადაერჩინა დაპატიმრებულები, მაგრამ ვერაფერი შეძლო.

მხოლოდ დაპატიმრებები არ იკმარა ხელისუფლებამ და ქართული პოლიტიკური ელიტის ღირსეული წარმომადგენლების მიმართ უფრო სასტიკი ღონისძიებებით დაიწყო ანგარიშსწორება: „1923 წლის 19 მაისს ჩეკას დადგენილებით დახვრეტილ იქმნენ: 1. ეროვნ.-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გენ. კ. აფხაზი, 2. გენერალური შტაბის წევრი, გენ. ა. ანდრონიკაშვილი, 3. გენ. ვარ. წულუკიძე, 4. პოლკ. რ. მუსხელიშვილი, 5. პოლკ. გ. ხიმშიაშვილი, 6. პოლკ. ელ. გულისაშვილი, 7. პოლკ. ალ. მაჭავარიანი, 8. პოლკ. დიმ. ჩრდილეელი, 9. როტმ. სიმ. მუხრან-ბატონიშვილი, 10. როტმ. ფ. ყარალაშვილი, 11. ლეიტ. ლ. კლიმიაშვილი, 12. სამხედრო მოხელე მ. ზანდუკელი, 13. იასონ კერესელიძე, 14. ს. ჭიაბრიშვილი და 15. ივ. ქუთათელაძე“. (ზალდასტანიშვილი, 1989, 17). XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოში ისინი წარმოადგენდნენ სამხედრო და პოლიტიკურ საზოგადოებას, რომლებიც დამოუკიდებლობის დაკარგვის პირველივე დღეებიდან ჩაბმულნი იყვნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მათი ფიზიკური ლიკვიდაცია უდიდესი დანაკლისი იყო ერისა და ქვეყნისათვის.

როდესაც ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ რეპრესიები გააჩაღა და პოლიტიკური ლიდერების დევნა-დაპატიმრებას მიჰყო ხელი, ეროვნულ-დემოკრატებმა მოსალოდნელი საშიშროების თავიდან ასაცილებლად და კ. აფხაზის გადასარჩენად მისი საქართველოდან გაყვანა განიზრახეს. მან სასტიკი უარი განაცხადა ემიგრაციაში წასვლაზე და საქართველოში დარჩა. „ჩვენს ქვეყანასა და ხალხს ვერ მივატოვებ ამ ბრძოლისა და გაჭირვების ხანაში. გარდა ქართული ძველი ტრადიციისა, რომელიც ასეთ დროს იშვიათად ატოვინებდა ქართველ კაცს თავის სამშობლოს, სად გაგონილა, რომ გენერლები ჯარს ბრძოლის ველზე სტოვებდნენ და გარბოდნენ. მე ვრჩები და

დავრჩები ბოლომდე, რათა დავეხმარო საქართველოს მეზობლ ბანაკს მისი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, - ასეთი იყო გენერლის ურყევი გადაწყვეტილება“.
(ჯანელიძე, 2002, 440).

„სამხედრო ცენტრის“ წევრთა სულების მოსახსენიებელი წირვა, ქაშუეთის ეკლესიაში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ ადავლინა. ციხიდან ახლადგანთავისუფლებულმა პატრიარქმა შეძლო სამი წირვა გადაეხადა იმ სასტიკი ფაქტის გამო, რომელმაც შეძრა მთელი საქართველო. უამრავი ხალხის წინაშე გამობრძანებულმა, თვალზე ცრემლმომდგარმა კათალიკოსმა, ქართველი ხალხის გასამხნეველად შემდეგი სიტყვები წარმოსთქვა: „ვინა სთქვა, რომ ქართველმა ხალხმა რწმენა დაჰკარგაო?!“ ნამდვილად ასე იყო, ქართველ ხალხს რწმენა არ დაუკარგავს. მსხვერპლი, რომელიც კახეთისა და ხევსურეთის აჯანყების დროს გაიღო და მსხვერპლი, რომელიც ოკუპანტებმა რეპრესიების დროს შეიწირეს, იყო უდიდესი დანაკლისი, მაგრამ იყო ბიძგიც ახალი ეროვნული მოძრაობის აღმავლობისათვის. „ერი არ შეიძლება შედრკეს. ქართველი ხალხი ერთი წუთითაც არ გაიფიქრებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დროშა დაბლა დახაროს. ის მტკიცე და შეურყეველია დამპყრობელთა წინააღმდეგ“.
(ჯანელიძე, 2002, 436).

1923 წლის გაზაფხულზე ამოქმედებულმა საბჭოთა მანქანამ სასტიკი რეპრესიების განხორციელებით, დიდი დარტყმა მიაყენა ეროვნულ მოძრაობას, რამაც იმოქმედა აჯანყების მომზადებასა და ორგანიზებაზე. „სამხედრო ცენტრის“ შემადგენლობის დახვრეტის შემდეგ, დააპატიმრეს „პარიტეტული კომიტეტის“ თავმჯდომარე ნ. ქარცივაძე, რომელიც შეცვალა სოციალ-დემოკრატმა კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა. „დამკომმა“ კვლავ გაააქტიურა მუშაობა და დაიწყო აჯანყებისათვის მზადება. პოლიტიკურ მუშაობას ხალხში კონსტანტინე ანდრონიკაშვილი და მისი მოადგილე იასონ ჯავახიშვილი ეწეოდნენ, „სამხედრო-საომარ საქმეებს კი - გ. ფაღავა, ვ. ნოდია, გ. წინამძღვრიშვილი და ს. ზალდასტანიშვილი“.
(კირთაძე, 1996, 158). უდგნენ სათავეში. აჯანყების სამზადისის მეთაურები ევროპის იმედს არ კარგავდნენ, რეალური დახმარება კი არ ჩანდა. მალე საქართველოში პარიზიდან პოლიტიკური ემიგრაციის

ახალი საგანგებო ჯგუფი ჩამოვიდა, „აჯანყების დასაჩქარებლად - ყველაზე აქტიური მებრძოლები: ვალიკო ჯუღელი, ბენია ჩხიკვიშვილი, ვიქტორ ცენტერაძე და ცოტა მოგვიანებით- ვლასა მგელაძე“. (კირთაძე, 1996, 158). ქართული ემიგრაცია საქართველოში გააქტიურებულ ძალებს უკიჟინებდა: „დანაკლისი ხომ შეგვისეთ, ყველაზე საუკეთესო ჩვენი ამხანაგები მოგაწოდეთ და რაღას ყოყმანობთ, დაიწყეთ აჯანყებაო“. (კირთაძე, 1996, 158).

სამხედრო კომისიამ მთავარ ამოცანად დაისახა მაზრებში ორგანიზებული სამუშაოების ჩატარება, სამხედრო ქვეკომისიების ჩამოყალიბება და ხალხის დარაზმვა. მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა იყო პარტიზანული რაზმები, რომლებსაც დღითიდღე უერთდებოდა ხელისუფლებისაგან გაწამებული ხალხი. „განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა პარტიზანულ მოძრაობას, რაც რეპრესიების მიუხედავად, ძლიერდებოდა: - კახეთში - ქ. ჩოლოყაშვილის რაზმები, ქართლში- ლაშქარაშვილისა, ბორჯომის რაიონში კასრადის, სვანეთში- გარდაფხადის, გურიაში- მათითაიშვილის და მუხამავრიას და ა.შ.“ (კაჭარავა, 1958, 300). რაზმების ჩამოყალიბების პროცესში მონაწილეობას იღებდნენ პოლიტიკური პარტიები. მათი მთავარი მიზანი იყო მთელი საქართველო ჩართულიყო შეიარაღებულ გამოსვლაში, რაც დიდი სამუშაოს ჩატარებას ითხოვდა. „მთელი საქართველო დაიყო სამოქმედო რაიონებად. რაიონში დაინიშნა სარდლები და მათი თანაშემწეები. თითოეულ რაიონს გაერთიანებულ პარტიათა ორგანოს წარმომადგენელი - „დამკომი“ მეთაურობდა. მას ემორჩილებოდა ამ რაიონის სარდალიც.“ (ზხალდასტანიშვილი, 1989, 20). რაიონში დანიშნულ სარდალს ჰყავდა თავისი რაზმი, თანაშემწეები, იცოდა თავისი სამოქმედო გეგმა და ერთიანი გამოსვლისათვის ემზადებოდა. რაიონებში სამხედრო მეთაურებთან მივლენილი იყვნენ „დამკომის“ პარტიული წარმომადგენლები. გამოსვლისათვის განსაზღვრული უნდა ყოფილიყო დრო. როდესაც გადაწყდებოდა შეიარაღებული აჯანყების დაწყების ზუსტი თარიღი, საქართველოს ყოველ კუთხეში ამ დროს, ერთსა და იმავე პერიოდში უნდა დაწყებულიყო გამოსვლა. „1923 წლის შემოდგომისათვის სამხედრო კომისიას თავისი მუშაობა დამთავრებული ჰქონდა, ე.ი. აჯანყებისათვის ხალხი დარაზმული ჰყავდა.

აჯანყება უნდა დაწყებულიყო მთელ საქართველოში ერთ დღეს, ერთ საათს; უეცრივ და შეუჩერებლივ უნდა ემოქმედათ, სანამ მტრის რიგებში დემორალიზაცია არ მოხდებოდა.“ (ზალდასტანიშვილი, 1989, 21).

აჯანყებაში გადამწყვეტი როლი ქაქუცა ჩოლოყაშვილს და მის შეფიცულებს ეკისრებოდათ, სამხედრო კომისიამ გადაწყვიტა, მასთან პირადად ეწარმოებინა მოლაპარაკება. სწორედ ამ მიზნით დაიგეგმა შეხვედრა და 1923 წლის დეკემბერში ქაქუცა თბილისში ჩამოვიდა ორ თანარაზმელთან, - სერგო მაისურაძესა და გაბო ოზიაშვილთან ერთად. ჩოლოყაშვილი დაესწრო სამხედრო კომისიის კრებას, მოისმინა სამხედრო კომისიის მიერ დამუშავებული აჯანყების გეგმა, რომელიც მოიწონა და გაიზიარა. ჩოლოყაშვილი თბილისში რვა დღე დარჩა, ეს დრო არ იყო ფუჭად დახარჯული დრო, ამ ხნის განმავლობაში იგი ხვდებოდა სამხედრო პირებს და მათთან აჯანყების დეტალებზე თანხმდებოდა. სამხედრო პირები ქაქუცას ნდობას უცხადებდნენ და იმაში უთანხმდებოდნენ, როგორც კი აჯანყება დაიწყებოდა თავიანთი ძალებით შეერთებოდნენ შეფიცულთა რაზმს. ჩოლოყაშვილი რვა დღის შემდეგ გაბრუნდა თბილისიდან, დაბრუნდა დუშეთში შეფიცულებთან და თან ტყვია-წამალიც ჩაიტანა.

1924 წლის დასაწყისიდან „ჩეკამ“ რეპრესიები განაახლა და ახალი ძალით შეუტია ეროვნულ მოძრაობას. დააპატიმრეს „ჯერ ნ. ხომერიკი, შემდეგ 1924 წლის 24 იანვარს გოგიტა ფალავა...28 იანვარს, დაიჭირეს აგრეთვე გიორგი წინამძღვრიშვილი, ეს მოხდა იმ დროს, როდესაც ის ქაქუცასთან იარაღს ჰგზავნიდა. იარაღის მომტანთა შორის ერთი მოლალატე გამოდგა. მასთან ერთად ჩეკისტი ეჯიბიაც მოვიდა გ. წინამძღვრიშვილთან და დააპატიმრა.“ (ზალდასტანიშვილი, 1989, 23). რეპრესიები გამძაფრდა, ხალხი შიშმა შეიპყრო, არსებობდა საფრთხე, რომელიც შეიძლებოდა ერთიან შეიარაღებულ აჯანყებას შეჰქმნოდა. საბრძოლველად გამზადებული რაზმები ერთეული გამოსვლების თავიდან ასაცილებლად სასწრაფოდ ითხოვდნენ ერთიანი მოქმედების დაწყებას. გაუთვალისწინებელ შემთხვევას რომ არ ჰქონოდა ადგილი, ერთიანი გამოსვლის გეგმა უნდა შეცვლილიყო და აჯანყების დაწყების თარიღი წინ უნდა გადმოეწიათ. „სწორედ ამ დროს ორი დიდი რაზმი ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მიხეილ ლაშქარაშვილისა

ბინადრობდა კავთის-ხევის მიდამოებში (ქართლში), ორივეს ჰქონდა სურვილი გაერთიანებისა.“ (ზალდასტანიშვილი, 1989, 24). სოფლებს ჩეკისტები მოსდებოდნენ, ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებდნენ, ამ დროს რისკი საერთო აჯანყებას არ წაადგებოდა. საჭირო გახდა „დამკომს“ ეზრუნა სიმშვიდეზე და სიტუაცია გაეკონტროლებინა, პირველ რიგში კი მოლაპარაკებოდა პარტიზანულ რაზმებს, რათა თვითნებურ ქმედებებს ადგილი არ ჰქონოდა. „გავაცანი ქაქუცას მდგომარეობა და „დამკომის“ სახელით ვთხოვე მოთმინება გამოეჩინა, რადგანაც გამოსვლა საქართველოში და მთიულეთში ერთად უნდა მომხდარიყო, და ეს საჭიროებდა ზოგიერთი საკითხის მოგვარებას. გამოსვლის გადადება ბევრად არ ესიამოვნა ქაქუცას, მაგრამ რას იზამდა?! საქმე მორჩილებას მოითხოვდა. აქვე გადავწყვიტეთ მთავარ-სარდლის კანდიდატურა წამოგვეყენებინა. ბევრი ლაპარაკის შემდეგ გენ. ს. ჭავჭავაძე ავირჩიეთ“, (ზალდასტანიშვილი, 1989, 25-26). - იხსენებს სოლომონ ზალდასტანიშვილი, რომელიც „დამკომმა“ გააგზავნა ქაქუცასთან მოსალაპარაკებლად. მან დროებითი სიმშვიდის შენარჩუნებისაკენ მოუწოდა ტყეში გასულ შეფიცულთა რაზმის წევრებს.

ემიგრანტულმა მთავრობამ წლის დასაწყისში მოიწვია სხდომა, სადაც განიხილეს საქართველოში მიმდინარე მოვლენები და მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება: „თუ მდგომარეობა საკმაოდ მომზადებულია არა მხოლოდ შეთქმულთათვის, არამედ ნამდვილი სახალხო გამოსვლისთვის კავკასიის მასშტაბით (საქართველო და აზერბაიჯანი), გამოსვლა უნდა მოხდეს. საერთაშორისო მდგომარეობა ყველა შემთხვევაში ხელს არ უშლის გამოსვლას.“ (ნათმელაძე, დაუშვილი, 2004, 54).

1924 წლის ივლისში „პარტიტულმა კომიტეტმა“ მოიწვია სხდომა, რომელზეც საბოლოოდ უნდა მომხდარიყო შედეგების შეჯამება და აჯანყების დაწყების საბოლოო თარიღიც გადაწყვეტილიყო. სხდომას საქართველოში არსებული ყველა პოლიტიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და მთავარსარდალი სპირიდონ ჭავჭავაძე ესწრებოდნენ. სამხედრო კომისიამ თავისი მუშაობის ანგარიში ჩააბარა „პარტიტულ კომიტეტს“. საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ აჯანყების ორგანიზებას ქაქუცა ჩოლოყაშვილი აიღებდა თავის თავზე. მას დაახლოებით 600 კაცი ჰყავდა შეიარაღებული, ქაქუცას უნდა

აეჯანყებინა კახეთი, დუშეთის მაზრა და მანგლისის რაიონი. მენშევიკური პარტია თავის თავზე იღებდა აჯანყების ორგანიზებას კახეთში, ლაშქარაშვილს თავისი რაზმით ქართლში უნდა დაეწყო ამბოხი. დასავლეთ საქართველოში სხვადასხვა კუთხეს წარმოდგენილი ჰყავდა სამხედრო ძალები: „გურია ვარაუდობდა 700 შეიარაღებული კაცის გამოყვანას, ბათუმი 300-უიარაღოს, სვანეთი 600- შეიარაღებულის, სამეგრელო რამდენიმე ასეული შეიარაღებული კაცის გამოყვანას, თბილისში იმედოვნებდნენ 500 შეიარაღებული მენშევიკის, 150 ეროვნულ-დემოკრატის და 600 ესერის ჩაბმას აჯანყებაში.“ (კირთაძე, 1996, 165). შემუშავებული გეგმის მიხედვით პირველად უნდა გამოსულიყო თბილისი. ამისათვის „ქაქუცა თავისი რაზმით თბილისს მიუახლოვდა 20 კილომეტრზე და სოფელ ნახშირისგორასთან დაბანაკდა. მას დაუკავშირდა მიშა ლაშქარაშვილი თავისი რაზმით, გ. ნაცვლიშვილი დუშეთისა და დიღმის რაზმით, კაპ. ელ. ვაჩნაძე ბორჩალოს რაზმით და კიდევ მოემატა მანგლისის რაზმიც... აგვისტოს პირველ რიცხვებში ხალხი მზად იყო და „დამკომის“ სიტყვას ელოდებოდა აჯანყების დასაწყებად.“ (ზალდასტანიშვილი, 1989, 30). ახლა აჯანყების დასაწყებად მხოლოდ დრო იყო შესარჩევი, რათა მთელი საქართველოს ტერიტორიაზე მობილიზებული შეიარაღებული რაზმები ერთდროულად გამოსულიყვნენ ხელისუფლების წინააღმდეგ. ამბოხის დასაწყებად ზუსტი თარიღი მთავარსარდლად დანიშნულმა სპირიდონ ჭავჭავაძემ დაადგინა. რადგან რაზმები სრულ მზადყოფნას გამოხატავდნენ და მთავარსარდლის მიერ ტექნიკური მხარეც საკმარისად იქნა მიჩნეული, აჯანყების თარიღიც გადაწყდა: „მთავარსარდალმა სპირიდონ ჭავჭავაძემ აჯანყების დასაწყებად მებრძოლი ძალები და ტექნიკური მუშაობა საკმარისად მიიჩნია. გადაწყდა აჯანყების დაწყების დრო, 17 აგვისტო.“ (კირთაძე, 1996, 165).

§ 2. აჯანყების მსვლელობა და მარცხი

საქართველოში არსებულმა პოლიტიკურმა პარტიებმა, პარტიზანულმა რაზმებმა და სამხედრო ხელმძღვანელობამ დიდი შრომა გასწიეს იმისათვის, რომ შეიარაღებული აჯანყების წინასწარი შემამზადებელი სამუშაოები მთელი საქართველოს მასშტაბით წარმატებით ჩატარებულიყო, რაც აჯანყების შემდგომი განვითარების და წარმატებით დასრულების გარანტი უნდა ყოფილიყო.

ხელისუფლების მიერ ორგანიზებული რეპრესიების ახალმა ტალღამ საფრთხე შეუქმნა ეროვნული მოძრაობის გააქტიურებას და სამხედრო ღონისძიებების გატარებას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

ხელისუფლება თვალს ადევნებდა ქვეყნის შიგნით განვითარებულ მოვლენებს, ჰყავდა ჯაშუშები და ფლობდა საკმარის ინფორმაციას შეიარაღებული გამოსვლის მზადყოფნის შესახებ. 1924 წლის აგვისტოს დასაწყისში საბჭოთა ხელისუფლებამ რეპრესიები დაიწყო. იჭრებოდნენ სახლებში, აპატიმრებდნენ ყველა ექვმიტანილს, უდანაშაულო ადამიანებს პასუხისმგებლობას აკისრებდნენ. ჩეკისტებმა ემიგრაციიდან დაბრუნებული ვალიკო ჯუღელი დააპატიმრეს 7 აგვისტოს, აჯანყების დაწყებამდე ათი დღით ადრე. ეს პირველი სერიოზული დარტყმა იყო აჯანყების დაწყების წინ. „ამ დღიდან დაიწყო აჯანყების ჩაშლა. მის დაპატიმრებას მოჰყვა გეგმის შეცვლა და აჯანყების ცუდ პირობებში დაწყება.“ (ზალდასტანიშვილი, 1989, 30).

17 აგვისტოს დაგეგმილი აჯანყება არ შედგა. ზოგი პოლიტიკური პარტია სიტუაციის გართულების თავიდან ასაცილებლად აჯანყების დაწყების წინააღმდეგ გამოვიდა. 18 აგვისტოს მოწვეულ იქნა „დამკომის“ პლენარული სხდომა, რომელმაც აჯანყების განვითარებას დაუჭირა მხარი, ხოლო „მენშევიკები, ეროვნულ-დემოკრატები და ესერები წინააღმდეგი იყვნენ აჯანყებისა იმ მოტივით, რომ აჯანყება გამოიწვევდა ძალიან დიდ მსხვერპლს.“ (კირთაძე, 1998, 246-247). მათი ღრმა რწმენით, ხელისუფლება არ მოისვენებდა, სანამ არ აღმოაჩენდა აჯანყების ყველა ხელმძღვანელსა და მონაწილეს. ხელისუფლების მთავარი მიზანი მათი სწრაფი ფიზიკური ლიკვიდაცია იყო.

პლენარულ სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება აჯანყების უახლოეს დროში დაწყების შესახებ. შემუშავებული გეგმის მიხედვით, პირველად უნდა გამოსულიყო თბილისი. მთავარი დარტყმაც აჯანყებულებს სწორედ თბილისზე უნდა განხორციელებინათ. „მთავარსარდლის - გენერალ სპ. ჭავჭავაძის აზრით, მთავარი დარტყმები უნდა მიეტანათ თბილისსა და ბათუმზე“. (ნათმეღამე, დაუშვილი, წენგუაშვილი, ჯაფარიძე, 2008, 148). მაგრამ რადგან თბილისი საგანგებოდ იყო გამაგრებული, წარმოიშვა საპირისპირო აზრი, კერძოდ, „იასონ ჯავახიშვილის ჩვენებით, აჯანყება პროვინციებში უნდა გაშლილიყო და არა თბილისში, რადგან, ჯერ ერთი, თბილისში ეროვნულ-დემოკრატიული პარტია სუსტი იყო და, მეორეც, იმიტომ, რომ აჯანყება საქართველოს დედაქალაქში დიდ მსხვერპლს გამოიწვევდა.“ (ნათმეღამე, დაუშვილი, წენგუაშვილი, ჯაფარიძე, 2008, 148).

გენერალ სპ. ჭავჭავაძის მოსაზრებას იზიარებდა აჯანყების დაწყების მსურველთა დიდი ნაწილი. მათი საერთო გეგმითა და გადაწყვეტილებით მთავარი დარტყმები უნდა განხორციელებულიყო თბილისსა და ბათუმზე, ოღონდ ყველგან ერთდროულად, ერთ დღეს და ერთ საათს. დროის გაუთვალისწინებლობა პირველი სერიოზული მიზეზი გახდებოდა აჯანყების წარუმატებლად დასრულებისათვის, რაც, სამწუხაროდ, გარდაუვალი აღმოჩნდა აგვისტოს აჯანყებისათვის და კიდევ მოიტანა სავალალო შედეგი.

მთავარსარდლისა და აჯანყების ხელმძღვანელთა მიერ დამუშავებული გეგმის მიხედვით, თბილისზე იერიშის მიტანა შემდეგნაირად უნდა განხორციელებულიყო: ის რაზმი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცაგურია, ჯერ ვაზიანში უნდა შეჭრილიყო, სადაც განლაგებული იყო რუსული არტილერია, რომელიც 120 ზარბაზნისგან შედგებოდა და ხელში ჩაეგდო მთლიანად, შემდეგ კი ნავთლულის მხრიდან შეჭრილიყო დედაქალაქში. ამავე დროს, თბილისზე იერიშს მიიტანდნენ მანგლისის მხრიდან წამოსული აჯანყებულები, რომლებიც დასავლეთის მხრიდან შეეცდებოდნენ თბილისში შეჭრას. თბილისთან ახლოს, 20 კილომეტრის დაშორებით, განლაგებული იყო პარტიზანული რაზმები, რომლებიც მოვლენებს მიადევნებდნენ თვალს. მოვლენები ისე სწრაფად უნდა განვითარებულიყო, რომ ხელისუფლებას ვერ მოეხდინა შეიარაღებული ძალების

ორგანიზება. აჯანყებულებს ხელთ უნდა ეგდოთ მნიშვნელოვანი პოზიციები, რაც საბოლოო გამარჯვებას უზრუნველყოფდა.

ამავდროულად, „ჩეკა“ დროს არ კარგავდა და ვალიკო ჯუღელის დაკითხვას აწარმოებდა. ჩეკისტები ცდილობდნენ მის გამოტეხას. სოლომონ ზალდასტანიშვილის მოსაზრებით, დატყვევებულ ვ. ჯუღელს მოტყუებით ათქმევინეს აჯანყების დაწყების თარიღი. „ჩეკას“ გამომძიებელმა ვინმე მოროზოვმა, თავისი შედგენილი აჯანყების გეგმა უჩვენა ვ. ჯუღელს და დაარწმუნა, რომ ვითომ „დამკომის“ სამხედრო კომისიის ერთ-ერთი წევრი ცნობებს აწვდიდა „ჩეკას“ აჯანყების გეგმისა და მონაწილეების შესახებ. ამ ხერხით ცდილობდნენ ჩეკისტები ჯუღელისაგან მიეღოთ მეტი ინფორმაცია და გადაემოწმებინათ კიდევ მისივე საშუალებით. „ჩეკა“ აიძულებდა ვ.ჯუღელს, რომ თუ სასწრაფოდ არ განაცხადებდა მის ხელთ არსებულ ინფორმაციას აჯანყების გეგმისა და მისი დაწყების კონკრეტული დროის შესახებ და „დამკომს“ არ მოახსენებდა აჯანყების გადაწყვეტილებას, მაშინ „ხელისუფლება იძულებული იქნება დიდი სისასტიკე გამოიჩინოს. პირველ რიგში დაჰხვრეტს იმ ხალხს, ვინც ამ საქმეზე უკვე დატუსაღებული ჰყავს და შემდეგ ქალაქებსა და სოფლებს გაანადგურებს“. (ზალდასტანიშვილი, 1989, 30-31). ჩეკისტ მოროზოვის გეგმამ გაამართლა და მის მიერ მიწოდებულმა მცდარმა ინფორმაციამ ვ. ჯუღელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მან ხელისუფლების ზეწოლას ვეღარ გაუძლო და „ჩეკას“ მოთხოვნა დააკმაყოფილა, წერილს წერილზე უგზავნიდა „დამკომს“, ხვეწნა მუდარით ითხოვდა: „აჯანყებაზე ხელი აიღეთო; აქ ყველაფერი იციანო; ვიღაცამ გაგვცა - ჩვენს შორის მოღალატენი ყოფილანო; ახლა გემუდარებით, არ ჩაიდინოთ ის, რაის ყველაზე დიდი ენთუზიასტიც მე ვიყავიო; თუ არ დაიშალეთ, ეს ჩვენი ქვეყნისათვის და ხალხისათვის დამლუპველი ავანტიურა იქნებაო.“ (კირთაძე, 1996, 168). „დამკომმა“ სასწრაფოდ გაწყვიტა კავშირი ჯუღელთან და საკუთარი წერილიც უკან დაუბრუნა. მენშევიკებმა ხელისუფლებას ასე უპასუხეს: „გადაეციოთ ვ. ჯუღელს და „ჩეკას“, რომ გამოსვლის საკითხი ახლო მომავალში არ დგას და არც არავითარ აჯანყებას არ ვაპირებთო“. (ზალდასტანიშვილი, 1989, 31). რა

თქმა უნდა, „ჩეკამ“ ეს არ დაიჯერა და „გამალებით განაგრძო სამზადისი მოსალოდნელი გამოსვლების სისხლში ჩასახშობად“. (კირთაძე, 1996, 168).

რეჟომის ბრძანებით, სასწრაფოდ თბილისში დააბრუნეს ქალაქგარეთ გაშვებული ჯარი. დაიწყო ქალაქის გამაგრება, ყველა გზაჯვარედინზე ჩასაფრდა ჯარის ნაწილები, შემოიღეს საგანგებო წესები, მიმდინარეობდა პატრულირება. იჭერდნენ ყველა საეჭვოს და უმალ ციხეებში ყრიდნენ. რეპრესიების ტალღა დასავლეთ საქართველოშიც გავრცელდა, კომუნისტებმა დაიწყეს სამხედრო პირების დაპატიმრება. ბათუმში შეიპყრეს გენერალი ყარალაშვილი, გურიაში დააპატიმრეს გენერალი ფურცელაძე. შეიპყრეს აჯანყების ყველა სავარაუდო მეთაური, ვისზეც ეჭვი არსებობდა.

რეპრესიების გაძლიერებისთანავე ხალხში იმატა შიშმა. შეიარაღებული გამოსვლის წარმატებით დასრულების იმედი დღითიდღე იწურებოდა. გართულებულ მდგომარეობას მძიმედ განიცდიდა მთავარსარდალი სპ. ჭავჭავაძემც, თითქოს გამარჯვების იმედი დაჰკარგვოდა. მან სოლომონ ზალდასტანიშვილს შუამდგომლობა სთხოვა „დამკომის“ წინაშე და თავისი პოზიცია დააფიქსირა: „ასეთ პირობებში საომრად გამოსვლა შეუძლებელია და ხელი ავიღოთო.“ (კირთაძე, 1996, 169). ს. ზალდასტანიშვილი შეხვდა იასონ ჯავახიშვილს და მთავარსარდალის აზრი გადასცა. იასონ ჯავახიშვილი კატეგორიულად მოითხოვდა აჯანყების დაწყებას და მიაჩნდა, რომ უკან დახევას ამ ეტაპზე უფრო მეტი მსხვერპლის გამოწვევა შეეძლო. მან ზალდასტანიშვილს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „მთავარსარდალს გადაეცი, რომ აჯანყება უკვე დაწყებულია და ამ პირობებში უკან დახევა და მისი შეჩერება უფრო მეტ მსხვერპლს გამოიწვევს. ვთხოვ მთავარსარდალს თავისი მდგომარეობის შესრულებას შეუდგეს.“ (ზალდასტანიშვილი, 1989, 32). ი. ჯავახიშვილმა „დამკომის“ წინაშე წამოაყენა მოთხოვნა მთავარსარდალის გადაყენების და მის მაგიერ პოლკ. ქ. ჩოლოყაშვილის დანიშვნის შესახებ. „დამკომი“ ი. ჯავახიშვილის წინადადებას დადებითად არ შეხვედრია, საბოლოოდ გადაწყდა, რომ სპ. ჭავჭავაძე კვლავ მთავარსარდალის პოსტზე დარჩენილიყო. „პარტიტეტულმა კომიტეტმა“ მიიღო გადაწყვეტილება, რომ აჯანყების ცენტრი თბილისში კი არა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბანაკში ყოფილიყო გადატანილი.

ახლოვდებოდა 17 აგვისტო, პარტიები ერთსულოვნებას აჯანყების მოწყობის საკითხში დიდად აღარ გამოხატავდნენ. სხიველები მერყეობდნენ, „ხოლო ფედერალისტების წარმომადგენელმა სამსონ დადიანმა, აჯანყების წინააღმდეგ პროტესტი გამოაცხადა და სხდომაც დემონსტრაციულად დატოვა.“ (კირთაძე, 1996, 170). „დამკომმა“ მიიღო გადაწყვეტილება, რომ აჯანყება რამდენიმე დღით გადადებულიყო, დაიწყო ადგილობრივი ძალების გაფრთხილება, რათა მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი ქმედებისაგან თავი შეეკავებინათ. ჩოლოყაშვილის გაფრთხილება დაეწვლა ს.ზალდასტანიშვილს, რომელიც ჩოლოყაშვილის ბანაკში 15 აგვისტოს ჩავიდა. „ქაქუცასთან თავი მოეყარათ მანგლისისა და დიღომის რაიონების წარმომადგენლებს და ბელადისაგან განკარგულებას ელოდნენ.“ (ზალდასტანიშვილი, 1989, 32). ბანაკში ორას კაცამდე იყო შეყრილი, ქაქუცას კიდევ სამასი კაცის მოსვლის იმედი ჰქონდა, 17 აგვისტომდე მის რაზმს მ.ლაშქარაშვილი და მ.ნაცვლიშვილი შეუერთდებოდნენ ქართლის რაზმებით. „17 აგვისტოსთვის 600 კაცამდე უგროვდებოდა და ეს ძალა თბილისზე იერიშის მისატანად მთლად საკმარისი იყო... ქაქუცა დარწმუნებული იყო, რომ ერთ ღამეში რუსებს თბილისიდან გარეკავდა.“ (ზალდასტანიშვილი, 1989, 33). -იხსენებს ს.ზალდასტანიშვილი. აჯანყების თარიღის შეცვლა ქაქუცასათვის მიუღებელი იყო, მაგრამ რადგანაც „დამკომს“ და მთავარსარდალს ემორჩილებოდა, იძულებული გახდა, აჯანყების დაწყების საბოლოო თარიღი მათთან შეეთანხმებინა. თუმცა, თავის მხრივაც წამოაყენა პირობები, რომლებიც საჭიროებდა განხილვას და გათვალისწინებას, როგორც „დამკომის“, ისე მთავარსარდალის მხრიდან. „ხომ ხედავ, ხალხი თავს იყრის და თუ დროზე გამოვედით, იმედი მაქვს, რაზმს უფრო გავაძლიერებ, თუ გამოსვლა 20 აგვისტოს არ მოხდება, მაშინ თბილისთან ახლოს ტყეში ამდენ ხალხს ვერ შევინახავ, სანოვაგის საკითხი ამისთვის მოგვარებული არა მაქვს და იძულებული გავხდები რამოდენიმე დღის შემდეგ ხალხი სოფელში დავაბრუნო. ახლო მომავალში მათი თავის მოყრა ადვილი აღარ იქნება. მინამ გლეხკაცი პურს და ღვინოს არ დააბინავებს, აღარ გამოვა. რადგან გადადება აუცილებელია, მაშინ გონიერება მოითხოვს, აჯანყება ოქტომბრისთვის გადაიდოს.“ (ზალდასტანიშვილი, 1989, 33).

სოლომონ ზალდასტანიშვილი დაეთანხმა ჩოლოყაშვილის მოსაზრებას, დაბრუნდა თბილისში და “დამკომის“ საგანგებო სხდომა მოიწვია, რათ ეუწყებინა მისი წევრებისთვის ის, რაც ნახა და მოისმინა ჩოლოყაშვილის ბანაკში. სხდომამ „აჯანყების ახალი დღის დანიშვნა ხუთ კაცს მიაჩნდა: თავად სოლომონ ზალდასტანიშვილს, კოტე ანდრონიკაშვილს (დამკომის თავმჯდომარე), დავით ონიაშვილს (მენშევიკთა პარტიის ბიუროს თავმჯდომარე), შალვა ამირეჯიბს (ეროვნულ-დემოკრატიის პარტიის ბიუროს თავმჯდომარე) და სპირიდონ ჭავჭავაძეს (მთავარსარდალი).“ (კირთაძე, 1996, 171). 24 აგვისტოს ამ ხუთეულმა უკანასკნელ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება აჯანყების დღედ 29 აგვისტოს გამოცხადების შესახებ. 29 აგვისტოს, ღამის ორ საათზე, საქართველოს ყოველ კუთხეში შეიარაღებული გამოსვლა ერთდროულად უნდა დაწყებულიყო. „პარიტეტულმა კომიტეტმა“ მოსალოდნელი რეპრესიების თავიდან აცილების მიზნით დატოვა თბილისი. აჯანყების მთავარი შტაბი თბილისიდან ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბანაკში გადავიდა. 27 აგვისტოს ქაქუცას ბანაკიდან იასონ ჯავახიშვილი წერილით იტყობინებოდა, რომ კმაყოფილი იყო ქაქუცას რაზმით. იმედი შეიარაღებული აჯანყების წარმატებით განხორციელებისა სწორედ ქაქუცას ბანაკის და მისი რაზმელების შემართების შედეგი იყო.

მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი, საბედისწერო შეცდომა. გამოსვლა დაიწყო ჭიათურაში ერთი დღე-ღამით ადრე, 29 აგვისტოს ნაცვლად, 28 აგვისტოს. „ჭიათურა 28 აგვისტოს დილით 2 საათზე გამოსულიყო და აჯანყებულ ხალხს ქალაქი დაეკავა. ე.ი. ჭიათურა გამოვიდა 24 საათით ადრე, ვიდრე საჭირო იყო,“ (ზალდასტანიშვილი, 1989, 36). - იგონებდა სოლომონ ზალდასტანიშვილი.

ამის შესახებ არაფერი იცოდნენ არც ტყეში გასულმა „დამკომმა“, არც მთავარსარდლობამ და არც თბილისში დარჩენილმა ქვეკომიტეტმა. არ იცოდნენ, თუ როგორ უნდა განვითარებულიყო მოვლენები, როდესაც აჯანყების დაწყებამდე 24 საათით ადრე ქალაქ ჭიათურაში დამოუკიდებლობას და საქართველოს განთავისუფლებას აღნიშნავდნენ. ამ ფაქტთან დაკავშირებით ნაწყვეტი დოკუმენტური მასალიდან: „1924 წლის 17 აგვისტოს თბილისიდან იმერეთში გაემგზავრა ლადო

გიორგობიანი. რომელსაც უკან დაბრუნებისას გიორგი წერეთელი თან გამოჰყვა. გ.წერეთელი ჭიათურაში ჩავიდა 1924 წლის 23 აგვისტოს და ადგილობრივ ორგანიზაციას აჯანყების დრო აცნობა - 28 აგვისტო. სინამდვილეში აჯანყება 29 აგვისტოს იყო დანიშნული“. (ჩუბინიძე, 1953, 259).

1924 წლის 27 აგვისტოს ჭიათურაში, ნესტორ წერეთლის ბინაზე, დანიშნული იყო სამხედრო ხელმძღვანელების ინტერპარტიული კრება. ამ კრებას „გიორგი წერეთელი, პოლკოვნიკი ემელიანე (ეკო) წერეთელი (ეროვნულ-დემოკრატი), გრიგოლ (გრიშა) წერეთელი (სოციალისტ-ფედერალისტი), გიორგი გურული, შ.რამიშვილი, კ.ჯაფარიძე და ვალიკო ჩუბინიძე დაესწრნენ“. (ჩუბინიძე, 1953, 259). მათ შემუშავებული ჰქონდათ გეგმა ჭიათურის დაკავების შესახებ, ჰქონდათ იარაღი და ჰყავდათ მეომები. აჯანყების მეთაურებმა ჭიათურა დაყვეს სამოქმედო რაიონებად, რაიონებში მოქმედება დაევალიათ გრიგოლ წერეთელს, ვალიკო ჩუბინიძეს და კონსტანტინე ჩაჩანიძეს. „ჭიათურის დასაკავებლად მობილიზებული ძალების მეთაურად პოლკოვნიკი სვიმონ წერეთელი დაინიშნა. პაროლად დაწესდა სიტყვა „ჭალარა“. კრება დაიშალა საღამოს 7 საათზე.“ (ჩუბინიძე, 1953, 260-261). ხელისუფლებას უკვე ჰქონდა ინფორმაცია მოსალოდნელი აჯანყების თაობაზე. ჯერ კიდევ 1924 წლის 13 აგვისტოს „ჩეკას“ თავმჯდომარე ეპიფანე კვანტალიანი საქართველოს კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის ცენტრალურ კომიტეტს უგზავნის წერილს გრიფით „ძალზედ სასწრაფო“, „სრულიად საიდუმლოდ“. ხოლო 27 აგვისტოს ე.კვანტალიანმა „ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს გადასცა ინფორმაცია, რომ უტყუარი მონაცემებით, ანტისაბჭოთა პარტიებს განზრახული ჰქონდათ შეიარაღებული გამოსვლის მოწყობა 28-29 აგვისტოს ღამით, ან 29-30 აგვისტოს ღამით და ითხოვდა დაუყოვნებლივ მიეღოთ ყოველგვარი ზომა აჯანყების მცდელობის აღკვეთის მიზნით, ემოქმედათ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებთან ერთად.“ (ენდელაძე, 2003, 122-123). აჯანყებულები გიორგი წერეთლის მეთაურობით ჭიათურაში 1924 წლის 28 აგვისტოს, დილის ოთხ საათზე, შეიჭრნენ. პირველად მათ მიაშურეს იმ შენობას, რომელშიც მუშათა საგანგებო რაზმი (ჩონი) იყო განლაგებული. „აჯანყებულებმა შენობის დაკავება ადვილად მოახერხეს.

შემდეგ მათ ხელში ჩაიგდეს პროფკავშირის შენობა მისივე თანამშრომლებითურთ. კომუნისტმა ვალიკო შავგულიძემ შორაპნის მიმართულებით გაქცევა მოახერხა, რათა დამხმარე ძალა ჭიათურის მიმართულებით დაეძრა.“ (სუიცსა, 1924, 27“).

ჭიათურაში აჯანყებულებმა შექმნეს დროებითი მთავრობა, რომელსაც სათავეში გიორგი წერეთელი ჩაუდგა. ჭიათურის კომენდანტად დაინიშნა გამოცდილი ოფიცერი კონსტანტინე ჩაჩანიძე, რომლის განკარგულებაში იყო 20 მეტრძოლი. მალე აჯანყებულთა რიცხვმა 200 კაცს მიაღწია, აჯანყების მთავარი ხელმძღვანელი სიმონ წერეთელი გახდა, მის მოსვლამდე ხელმძღვანელობას ეწეოდა კ.ჩაჩანიძე. აჯანყებულებმა დააპატიმრეს ადგილობრივი კომუნისტები და პროფკავშირის შენობაში მოათავსეს. „ ჭიათურის ბრძოლაში სულ 4 კაცი დაიღუპა, აქედან ორი აჯანყებული (ვანო ფხალაძე და სანდრო ნადირაძე) და ორიც კომუნისტი. ჭიათურაში აჯანყებულთა მხარეზე გმირულად იბრძოდა ორი ქალი - ნინა წერეთელი და იულია გაფრინდაშვილი.“ (ჩუბინიძე, 1953, 271-272).

1924 წლის 28 აგვისტოს გამოსვლა დაიწყო ქუთაისის მაზრაში, ვანის რაიონში, აგრეთვე ბაღდადის რაიონში, ტყიბულის, სამტრედიის და სხვა რაიონებში. აჯანყებულები იყვნენ მასწავლებლები, ვაჭრები, გლეხები (კულაკები), საშუალო გლეხები, სამღვდელოება, ოფიცრები და სხვები. ადგილობრივი სამილიციო განყოფილების უფროსისადმი წარმოდგენილ მოხსენებაში აჯანყება ბანდიტურ გამოსვლად არის მიჩნეული. „შეიარაღდნენ ყაჩაღურის მოსაზრებით ძველი თავადაზნაურობა, მდიდრები და ლაქია გლეხოზა. შეიარაღებულებმა მალე ხელში ჩაიგდეს პროფკავშირის შენობა თავისსავე მოსამსახურეებით, შემდეგ გაემურნენ რკინისგზის სადგურისაკენ.“ (სუიცსა, 1924, 27). აჯანყებულებმა დაიკავეს ყველა მნიშვნელოვანი პუნქტი: ხიდები, რკინიგზა, ნაგებობები. „აჯანყებულებმა დაიკავეს სადგურიც და ამ სახით მთელი მარჯვენა მხარე ყვირილისა და შემდეგ მოიწადინეს მარცხენა მხარის დაჭერაც, რომელ მხარეზედაც არის რაიმილიცია, რაიადმასკომი, პოლიტბიურო, სამადმასკომი, და სამაზრო მილიციის სამმართველო მარქაფით.“ (სუიცსა, 1924, 27).

დასავლეთ საქართველოში დაწყებული აჯანყების წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ გამოიყენა სადამსჯელო რაზმები. ჭიათურის აჯანყების ჩასახშობად სერგო ორჯონიკიძემ „ორივე გზით - ხმელეთით და ჰაერით - ჯავშნოსანი მატარებლით და თვითმფრინავით მიუსია ჭიათურას დამსჯელი ლეგიონები.“ (კირთაძე, 1996, 172). კომუნისტურმა ხელისუფლებამ საგანგებო წესები გამოაცხადა. „განსაკუთრებული სისასტიკით-თბილისსა და ბათუმში, უსასტიკესმა ტერორმა მოიცვა საქართველო.“ (კირთაძე, 1996, 172). შორაპნის მაზრაში, მილიციის უფროსმა თბილისიდან დეპეშით მოითხოვა დამხმარე ძალები. „9 საათზე მოვიდა ჩეკისტთა რაზმი მარქაროვის მეთაურობით, ასევე ჩეკისტთა მეორე რაზმი ჟორჟიკ ქავთარაძის მეთაურობით. გადაწყდა, გაერთიანებული ძალებით განეხორციელებინათ შეტევა ჭიათურაზე. 29 აგვისტოს, დილის 9 საათზე ხელისუფლების შეიარაღებული ძალები ჭიათურას მიადგნენ, ერთი ტყვიამფრქვევით შეიჭრნენ ქალაქში. შეტაკების შემდეგ აჯანყებულებმა დატოვეს ჭიათურა. 1924 წლის 29 აგვისტოს, საღამოს 8 საათისთვის, ჭიათურიდან აჯანყებულები მთლიანად განდევნეს.“ (კირთაძე, 1996, 172). ორჯონიკიძე ტრაბახობდა მოსკოვში გამართულ საგანგებო პარტიულ პლენუმზე: „მთელი ამ აჯანყების ლიკვიდაცია სამ დღეში მოვათავეთო.“ (კირთაძე, 1996, 173). მართალია, აჯანყებულებს მაზრებში დაათმობინეს პოზიციები, მაგრამ აჯანყებულთა ხელმძღვანელები იარაღს არ ყრიდნენ. მათ უკან დაიხიეს და სვანეთის მთებს მიაშურეს. სვანეთი იბრძოდა და დანებებას არ აპირებდა. ნესტორ გარდაფხაძე, ბიძინა პირველი და კაპიტანი ჭიჭინაძე ცდილობდნენ ქუთაისისაკენ გაჭრილიყვნენ, მაგრამ რუსული გარნიზონის გამო უკან დაიხიეს, მთებს შეაფარეს თავი და კვლავ ბრძოლა განაგრძეს.

განსაკუთრებული თავგამოდებით იბრძოდა გურია, სადაც თითქმის მთელი მოსახლეობა დადგა ფეხზე და აჯანყებაში ჩაება. მათ 31 აგვისტომდე შეინარჩუნეს პოზიცია, ხოლო როდესაც წითელმა ჯარმა მიიტანა იერიში, უკუიქცნენ და მთებს შეეფარნენ.

შექმნილმა მდგომარეობამ დიდი დაზნეულობა და გაუგებრობა გამოიწვია. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ჩოლოყაშვილი. მისი იმედი არ გამართლდა, რადგან 600

მოლაშქრის ნაცვლად, მხოლოდ 60 მებრძოლი გამოცხადდა მასთან. ძალზე რთული მდგომარეობა შეიქნა, რა უნდა ექნა ჩოლოყაშვილს, განეგრძო ბრძოლა თუ დროებით უკან დაეხია? რეპრესიები უფრო მძაფრდებოდა. „29 აგვისტოს ღამით, კახეთის ყველა ეროვნული ორგანიზაციის ხელმძღვანელი შეიპყრეს და დახვრიტეს.“ (კირთაძე, 1996, 173). ასეთ ვითარებაში წარმოუდგენელი იყო რისკზე წასვლა, ჩოლოყაშვილი მერყეობდა, მიეტანა თუ არა იერიში თბილისზე, თუ მოვლენების განვითარებას დალოდებოდა. ძალაც არ ჰყავდა საკმარისი, თბილისზე რომ მიეტანა იერიში ორი მხრიდან: მანგლისიდან და ვაზიანიდან. აჯანყებულთა გეგმაში იყო ვაზიანში განლაგებული რუსული არტილერიის ხელში ჩაგდება, მაგრამ ეს უკვე შეუძლებელი ჩანდა. ქაქუცა ჯერ მღვიმის ტყეში გადავიდა, სადაც აჯანყების მეთაური სპირიდონ ჭავჭავაძე იმყოფებოდა. მასთან შეხვედრის შემდეგ ქაქუცა და მისი რაზმელები ჯერ სოფელ პრიუტში შევიდნენ, დაიკავეს წინარეთი, შემდეგ კავთისხევი და დროებით დაბანაკდნენ შიომღვიმის მონასტრის მახლობლად. ჩოლოყაშვილს ჰქონდა კიდევ იმედი, რომ რაზმს შეავსებდა და ბრძოლას გააგრძელებდა. სამწუხაროდ, აქაც გაუცრუვდა იმედი. მან უკან დაიხია არაგვის ხეობაში და 3-4 სექტემბერს დუშეთი აიღო, შემდეგ ზემო კახეთში, ბორჩალოში გადავიდა, ცდილობდა თბილისზე გალაშქრებას, მაგრამ შესაძლებლობა არ მიეცა, რადგან ვერც მებრძოლებით შეივსო რაზმი და თბილისიც ხელისუფლებას კარგად ჰქონდა გამაგრებული წითელი ჯარით. დუშეთიდან წამოსულმა პარტიზანებმა აიღეს ერწო, ხოლო 6 სექტემბერს ბრძოლა გაიმართა სიმონიანთხევიში. ქაქუცა სოფლებს ღამით დაეცა და დიდი წარმატებით მოიგო ბრძოლა, მან წითელ ჯარს უკან დაახევინა, მაგრამ ეს წარმატება იყო დროებითი, რადგან ბოლშევიკების დამხმარე ძალა იერიშზე გადმოვიდა და ქაქუცა იძულებული გახდა, უკან დაეხია. ამ ბრძოლაში ქაქუცამ მიწინააღმდეგის ორასამდე მებრძოლი დააკავა, განაიარაღა და ყველა სახლში გაუშვა. სიმონიანთხევიდან ქაქუცა რაზმთან ერთად კახეთში გადავიდა და ხევგრძელასთან დაბანაკდა. ეს გახლავთ პატარა მდინარე, რომელიც ჩამოდიოდა ერწოსა და თიანეთის მიჯნაზე. მებრძოლები ქაქუცამ დაასვენა იმ იმდით, რომ მტრის ჯარი ასეთ ადგილებში ვერ შევიდოდა, სამწუხაროდ, მოტყუვდა,

რადგან მისმა რაზმმა დასვენებაც ვერ მოასწრო, როდესაც შეიტყვეს რუსის ჯარი უკვე ტყეში შემოსულიყო. ალყის საშიშროება არსებობდა, თანაც მტერი კარგად იყო შეიარაღებული და ამბოხებულებს თოფსა და ტყვიამფრქვევს უშენდა. წითელარმიელების ტყეში შესვლის მიზანი იყო ქაქუცას ხელში ჩაგდება. „ეს იყო მეტად ოსტატური გეგმა, ქაქუცას ხელში ჩასაგდებად განზრახული და თამამად წარმოებული. ეს გეგმა შემდეგი იყო: მანგლისზე თავდასხმის შემდეგ კომუნისტებმა ქაქუცას კვალი დაკარგეს; ის აღმოაჩინეს მხოლოდ დუშეთში და ამის შემდეგ კვალდაკვალ დასდევდნენ. პირველი ბარიერი სიმონიანთხევში გაუმართეს, მაგრამ ქაქუცამ გაფანტა ისინი. რადგანაც მათ კარგად იცოდნენ, რომ ჩოლოყაშვილი ერწოდან კახეთში გადავიდოდა, ამიტომ ქვეითი ჯარი და არტილერია გზაში დაახვედრეს.“ (კარგარეთელი, 1981, 33-34).

ხელისუფლებისათვის ჩოლოყაშვილი სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა, ამიტომ, ყველაფერს ეცდებოდნენ მისი და შეფიცულების ლიკვიდაციისათვის. აგვისტოს აჯანყება დამარცხდა და მანამდე არსებული პოლიტიკური პარტიები და სამხედრო ძალები გაიფანტნენ, მხოლოდ ჩოლოყაშვილის პარტიზანული მოძრაობა დარჩა ერთადერთი მოწინააღმდეგე ხელისუფლებისათვის. შეფიცულებმა იცოდნენ, რომ ხელისუფლება რუსული ჯარის დახმარებით ეცდებოდა მათ განადგურებას. ჩოლოყაშვილი, როგორც საუკეთესო სამხედრო პირი და გამოცდილი მებრძოლი, მიუხვდა მომხვდურს, ხევგრძელაზე რა ტაქტიკითაც სურდათ ქაქუცას შეპყრობა ან განადგურება. ქაქუცას თანამებრძოლი და შეფიცული ალ.კარგარეთელი თავის მოგონებებში ხევგრძელაზე მომხდარ შეტაკებაზე წერდა: „მათი რაზმის დანიშნულება, რომელიც ტყეში შემოგვეპარა, იყო ქაქუცა თავისი რაზმით ხევგრძელაზე დაექანებინა, სადაც მოხერხებულ ადგილას მთავარი ძალები იყო ჩასაფრებული... მაგრამ ქაქუცამ ეს გეგმა გადაუყირავა და თვითონ ეს რუსის რაზმი დაუშვა მოხერხებული ტაქტიკით, ხევგრძელაზედ. იქ მომლოდინე რუსის ჯარმა იფიქრა, რომ მორბოდა ქაქუცას რაზმი და ზარბაზანი დაუშინა... ამ დღეს რუსის წითელმა ლაშქარმა ერთმანეთი ჟლიტა.“ (კარგარეთელი, 1981, 34).

ქაქუცა და შეფიცულები ხელისუფლებისთვის მოუხელთებელნი იყვნენ და თან დიდ ზარალსაც აყენებდნენ წითელ ჯარს თუ ადგილობრივ სახელისუფლებო რაზმებს, მაგრამ დაიწყო რეპრესიები, მოსახლეობა ტერორის ქვეშ აღმოჩნდა, დღითიდღე მატულობდა მსხვერპლი. „კახეთის ყველა ორგანიზაციების ხელმძღვანელები 29 აგვისტოს ღამე დაიჭირეს და სუყველანი დახვრიტეს... ახალგაზრდობა მოქმედებას მოითხოვდა, ხელისუფლებამ კი ტერორს მიჰყო ხელი და ასობით გაჰყავდა ხალხი დასახვრეტად“ (ზალდასტანიშვილი, 1989, 37).

ქაქუცა ჩოლოყაშვილი მიხვდა, რომ საქართველოში დარჩენა შეუძლებელი იყო, ისიც და მისი შეფიცულებიც რეპრესიებს ვერ გადაურჩებოდნენ. 1924 წლის სექტემბერში ქაქუცა და მისი „შეფიცულები“, სულ 26 კაცი, თურქეთის გავლით ემიგრაციაში წავიდნენ. ქართული ემიგრაცია საფრანგეთში ახალი ნაკადით შეივსო.

აგვისტოს აჯანყების შესახებ მრავალი მოსაზრება ჩამოყალიბდა, მათ შორის ურთიერთსაპირისპიროც. ზოგი ისტორიკოსი დადებითად აფასებს აჯანყებას და მიაჩნია, რომ ეს იყო ქართველი ხალხის პროტესტი არსებული წყობილების წინააღმდეგ, რომელსაც ყველა დროს ექნება გამართლება. ზოგი კი პირიქით, აჯანყებას საკმაოდ მკაცრ შეფასებას აძლევს და ერის ტრაგედიად გაწეულ მსხვერპლად მიიჩნევს.

საკუთარ მოსაზრებას აჯანყების ყოფილი მონაწილეებიც გამოთქვამდნენ და ბევრ მიზეზსაც ასახელებდნენ მარცხის გამომწვევად. ცნობილი ეროვნულ-დემოკრატის, - იასონ ჯავახიშვილის, აზრით, აჯანყების დამარცხებაში დიდი როლი დაეკისრა სახელმწიფოებს, რომელთა მხრიდან საქართველოსადმი მხოლოდ გულგრილი დამოკიდებულება იყო და არა თანადგომა. „იმედს ვამყარებდით ორ მომენტზე - გვეგონა ხალხის მთელი მასა აჯანყდებოდა და, მეორეს მხრივ, ვფიქრობდით, რომ უცხო სახელმწიფოები, სადაც, ჩვენი ცნობით საზოგადოებრივი აზრი ჩვენს მხარეზე იყო, დაინახავდნენ ხალხის თავგანწირულ ბრძოლას თავისი უფლებებისათვის, ამა თუ იმ ფორმით დაგვეხმარებოდნენ.“ (კირთაძე, 1998, 247).

მარცხის მთავარ მიზეზთა შორის იყო ასევე ის ფაქტი, რომ ხალხის შეკრება ძალზე რთული აღმოჩნდა. აჯანყების წინ მოლაშქრეთა ოდენობა წინასწარ

განსაზღვრულს ჩამოუვარდებოდა. თვით ქაქუცასაც, რომელსაც დიდი იმედი ჰქონდა, რომ 600 მოლაშქრე ეყოლებოდა აჯანყებაში ჩასაბმელად, რეალურად შეცდა. სოლომონ ზალდასტანიშვილის ცნობით: „ექვსასი კაცის ნაცვლად, ჩოლოყაშვილს მხოლოდ 140 კაცი მოუვიდა“. (ზალდასტანიშვილი, 1989, 53).

მარცხის მეორე და მთავარი მიზეზი იყო ჭიათურის ნაადრევი გამოსვლა, რამაც კიდევ გადაწყვიტა აჯანყების ბედი. „ბოლშევიკებს საშუალება მიეცათ აჯანყებულებს უფრო ადრე გასწორებოდნენ, ვიდრე აჯანყება დაიწყებოდა.“ (ზალდასტანიშვილი, 1989, 53).

დამარცხების მიზეზთა შორის აგრეთვე მნიშვნელოვანი იყო თბილისზე დაგეგმილი იერიშის წარუმატებლობა. ამით აჯანყების გეგმაც ჩავარდა და აჯანყებულებმაც უკან დაიხიეს. აჯანყება საბოლოოდ განწირული იყო მარცხისათვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ აჯანყებას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. მთავარი იყო, ეჩვენებინათ მტრისთვის, რომ ქართველი ხალხი შეგუებას და დანებებას არ აპირებდა. დამოუკიდებლობის სულისკვეთება ქართველ ხალხში არ იყო ჩამქრალი და, პირიქით, ყოველთვის ეცდებოდა ხელში იარაღი აეღო და საკუთარი სახელმწიფოებრივი უფლებები დაეცვა.

ქართველი ხალხი, მარცხის მიუხედავად, სულიერად დაცემას არ აპირებდა და არც გულს იტებდა. „ჭიათურის დახვრეტილთა შორის ორი ძმა იყო. თბილისში მათ დედასთან მივიდნენ მეგობრები სამძიმრის სათქმელათ. დედა მათ უცრემლოდ მიესალმა და გამოუცხადა გაკვირვებულ მოსამძიმრეებს: სამგლოვიარო არა მაქვს რა; მე ვამაყოფ, რომ ჩემმა შვილებმა სამშობლოს თავი შესწირეს; მარტო მისი დატანჯული სახე ამტკიცებდა, როგორი დიდი მსხვერპლი გაიღო მისმა გულმა.“ (ზალდასტანიშვილი, 1989, 42). ხალხი სულიერად გატეხას არ აპირებდა და, პირიქით, იმედით იყო განმსჭვალული და ახალი აჯანყების სულისკვეთებას გამოხატავდა. „გურიიდან მასწავლებელი ქალი ჩამოვიდა, დაწვრილებით აღწერა იქაური მოძრაობის ამბები. მთელი გურია იმას გაიძახის, - ერთი კვირა ხომ მაინც თავისუფლად ამოვისუნთქეთო, რა ვუყოთ, რომ პირველი აჯანყება სუსტი გამოდგაო.“ (ზალდასტანიშვილი, 1989, 42).

1924 წლის აგვისტოს შეიარაღებული აჯანყების შესახებ მსჯელობდნენ ბოლშევიკებიც. აგვისტოს მოვლენები გატანილი იქნა ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე, რომელზედაც მოხსენება წაიკითხა სერგო ორჯონიკიძემ. აჯანყების მსვლელობაში გლეხთა როლი რომ დიდი იყო, ამას ვერ უარყოფდნენ. სწორედ ეს იწვევდა მათ შემფოთებას, რადგან აჯანყებას ვერ მონათლავდნენ, როგორც მენშევიკურ მოძრაობას. გლეხების აჯანყებაში აქტიური მონაწილეობის მიზეზად ხელისუფლებამ დაასახელა ეკონომიკური მხარე. ამ მოსაზრებას გამოხატავდა სერგო ორჯონიკიძე და მის გამოსვლას ეთანხმებოდა ი.სტალინი.

სახალხო აჯანყება, საბოლოო ჯამში, წარუმატებლად დამთავრდა. ბევრი სისხლი და მსხვერპლი მოჰყვა ამ აჯანყებას, მაგრამ ეს იყო ქართველი ხალხის თავდადების კიდევ ერთი გამოვლინება დამპყრობელთა წინააღმდეგ. 1924 წლის აგვისტოს მარცხის შემდეგ კომუნისტურმა რეჟიმმა ტოტალიტარული ხასიათი შეიძინა, რეპრესიულმა მანქანამ გაანადგურა წინააღმდეგობრივი სულისკვეთება, საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში ჩაკვდა ეროვნული მოძრაობა.

§ 3. 1924 წლის კომუნისტური რეპრესიები

ეროვნული ძალებით ორგანიზებული შეიარაღებული აჯანყება, რომელმაც 1924 წლის აგვისტოში იფეთქა და მთელი საქართველო მოიცვა, საბჭოთა ხელისუფლების მიერ სასტიკად იქნა ჩახშობილი. ხელისუფლების მთავარი ამოცანა იყო აჯანყების კერების განადგურება, რასაც თან სდევდა რეპრესიები, უდანაშაულო ხალხის დევნა და შევიწროვება. საბჭოთა ხელისუფლების მიზანი იყო სამუდამოდ ჩაეკლა ქართველი ხალხის სწრაფვა დამოუკიდებლობისა და ეროვნული თვითმყოფადობისაკენ. ქვეყანაში რთული ვითარება იყო შექმნილი. უდანაშაულო ხალხის დაჭერა და დახვრეტა ყოველ ნაბიჯზე იყო მოსალოდნელი. ხელისუფლება საბჭოთა მილიციის ძალით წმენდდა ქვეყანას „მავნე ელემენტებისაგან“ და „სრული წესრიგის“ დამყარებას ცდილობდა.

ყველა, ვინც კი ჩოლოყაშვილის გვერდით იდგა და მის მხარდაჭერას გამოხატავდა, ხელისუფლების მხრიდან ბანდიტად იყო გამოცხადებული, „შეფიცულები“ კი - „ბანდად“.

ეროვნულ მოძრაობას ხელისუფლება ბანდიტურ გამოვლინებად ახასიათებდა და ამით ჩრდილს აყენებდა ქართველი ხალხის ეროვნულ სულისკვეთებას. უამრავი მასალა არსებობს ხელისუფლების ქმედების საწინააღმდეგოდ და იმ ბინძური ქმედების მამხილებლად, რომელსაც ეწეოდა აჯანყებამდე და აჯანყების შემდეგ. მაგალითად, რაჭის მაზრის მილიციის უფროსი დარახველიძე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში წარდგენილ პატაკში აღნიშნავდა: „ბანდიტებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ უნდოდათ გამოსვლების მოწყობა, მაგრამ წინასწარი ცნობების მიღებით მთავრობის მიერ იქნა შეპყრობილი რამდენიმე ბანდიტი, რომლებსაც აღარ დასცალდათ გამოსვლები.“ (სუიცსა, 1924, 58).

მოსახლეობა თანაუგრძნობდა ტყეში გასულ „შეფიცულებს“, რის გამოც მას უპირისპირდებოდნენ საბჭოთა მილიცია და წითელი არმიის ჯარისკაცები. ისინი ავიწროვებდნენ სოფლებს, მოსახლეობას არ აძლევდნენ საშუალებას დახმარება გაეწიათ აჯანყებულთათვის. ხშირად ხდებოდა დაპირისპირება, რომელიც სისხლითა და მსხვერპლით სრულდებოდა. გორის მაზრის სოფლებში საბჭოთა მილიციის და საბჭოთა ჯარისკაცების დაპირისპირება ადგილობრივ მცხოვრებლებთან, სისხლიან შეტაკებაში გადაზრდილა. „კავთისხევში წითელ არმიას მოუხდა ბრძოლა მოწინააღმდეგესთან, სადაც მილიცია იდგა პირველ რიგებში და იღებდა სრულ მონაწილეობას სროლაში, ბრძოლის გათავებამდე, რის შედეგადაც იქნა მოკლული თერთმეტი წევრი მოწინააღმდეგესი. ბრძოლის გათავების შემდეგ, მილიცია დაბრუნდა სოფ.კავთისხევში, სადაც შეპყრობილი იქმნენ გორის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარის განკარგულებით ყველა არასაიმედო პიროვნებები, ყველა ბანდიტების ხელის შემწყობნი“. (სუიცსა, 1924, 17^ა). - ვკითხულობთ საარქივო დოკუმენტში.

ხელისუფლება ყველაფერში პოლიტიკურ საფრთხეს ხედავდა, ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებდა. თავშეყრის ადგილები საშიში იყო, როგორც იქ მყოფთათვის, ისე მათი ახლობლებისათვის, თუნდაც ეს თავშეყრა პოლიტიკური ინტერესების გამომხატველი არ ყოფილიყო. საარქივო მასალებში დაცული ცნობა გვაუწყებს: „ერთ სახლში თავშეყრილი 3-4 კაცი და მეტიც, შეკითხვაზე: თუ რისთვის ხართ ყველა თავშეყრილი აქ ერთ სახლში-თქო,

ისინი იმართლებდნენ თავს, რომ „ხატობა“ გვაქვსო. არ ვიცი სიტყვა „ხატობას“ მათთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა, მხოლოდ მე კი ამ „ხატობას“ - სულ სხვა ხასიათს ვაძლევ და დარწმუნებული ვარ, რომ არც ვსტყუვდები. განწყობილება მათი ჩვენთან მტრულია და საუბედუროდ შემთხვევამ არ მომცა საშუალება მიმესწრო მათთვის შემთხვევის ადგილას“, (სუიცსა, 1924, 13^ა). - წერდა პატაკში ხელისუფლების წარმომადგენელი დ. კოპალიანი, რომელიც 1924 წლის 2 სექტემბრითაა დათარიღებული. შეიძლება, მართლაც „ხატობისათვის“ ყოფილიყვნენ შეკრებილნი, მაგრამ მილიციის უფროსი, მკაცრი მითითების თანახმად, ეჭვითა და სიფრთხილით ეკიდებოდა ამ ფაქტს. არც ისაა გამორიცხული, რომ ნამდვილად აჯანყების მონაწილენი, ან მათი მომხრეები ყოფილიყვნენ „ხატობაზე“ თავშეყრილნი. საბჭოთა მილიცია ხშირად მიმართავდა ისეთ ზომებს, რომელთა გადაჭარბების შედეგად უდანაშაულო ხალხის ფიზიკური ლიკვიდაცია იყო. საბჭოთა მილიცია იბრძოდა, რათა განემტკიცებინა რეჟიმი, მაგრამ გადაჭარბებული ქმედებისათვის მას არავინ სთხოვდა პასუხს. საბჭოთა მილიციის რიგები საქართველოში ქართველებით იყო დაკომპლექტებული, მაგრამ წარმოადგენდა რუსულ მოდელს და აკეთებდა რუსულ საქმეს.

აჯანყების მონაწილეთა დიდი ნაწილი წითელ ჯართან და საბჭოთა მილიციასთან შეტაკების დროს დაიღუპა, ნაწილი კი დახვრიტეს. ვინც მოასწრო და საზღვარგარეთ გავიდა, მხოლოდ ისინი გადაურჩნენ სიკვდილს. საშინელება კი ის იყო, რომ მათ ჰყავდათ ოჯახის წევრები, ახლო ნათესავები, უბრალოდ ნაცნობები, რომლებიც მათივე მიზეზით უმოწყალოდ იდევნებოდნენ. ბევრი მათგანი მოხვდა რეპრესიებში. კომუნისტებმა ციხეებიდან გამოიყვანეს და დახვრიტეს ისინიც კი, ვინც აჯანყების დაწყებამდე დაპატიმრებულნი იყვნენ. დახვრიტეს ყველა ის, ვინც ოდესმე დახმარებია ტყეში გასულ „შეფიცულებს“, მხოლოდ იმიტომ, რომ არსებული წყობილების წინააღმდეგ ხმას იმაღლებდნენ და ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვას მწვავედ განიცდიდნენ.

ხელისუფლებამ განსაკუთრებული სიმკაცრით დაიწყო აჯანყების მოთავეთა ოჯახის წევრთა დევნა. დაზარალდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ოჯახი. საქართველოდან

მისი წასვლის შემდეგ, წლების განმავლობაში იდეენობდა მისი მეუღლე ნინო მეღვინეთუხუცესი, ორი ქალიშვილი - თამარი და ქეთევანი, რომლებიც დაკითხვიდან დაკითხვაზე დაჰყავდათ და მრავალ დამცირებასა და შეურაცხყოფას აყენებდნენ. ორი მცირეწლოვანი ბავშვი, რომელთაც არც კი გაეგებოდათ პოლიტიკური მდგომარეობის ავი და კარგი, ხელისუფლების მიერ საშიშ დამნაშავეებად იყვნენ შერაცხულნი. დახვრიტეს ქაქუცას სიმამრი, საახლობლო და ყველა, ვინც ატარებდა მის გვარს, ვისაც ოდესმე რაიმე შეხება ჰქონდა მასთან, ურთიერობა თუ უბრალო ნაცნობობა.

ხელისუფლება დევნიდა ყველას, განსაკუთრებით თავადაზნაურობას. „ბოლშევიკურ რეჟიმს საქართველოში სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა თავადაზნაურობა, რომელიც ერის ინტელექტუალურ ელიტას წარმოადგენდა.“ (ნათმელაძე, დაუშვილი, წენგუაშვილი, ჯაფარიძე, 2008, 169). საქართველოში გადარჩენილი არისტოკრატია და ინტელიგენცია ქვეყნის ხერხემალს წარმოადგენდა, მათი ამოწყვეტის შემდეგ ხელისუფლება შეძლებდა მშრალი და არაფრისმომტანი ბოლშევიკური დაპირებებით იოლად ემართა გლეხობა. სამეცნიერო მონაცემებით გაანადგურეს თავადაზნაურული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი _ დაახლოებით ეს რიცხვი ათას თავადს, აზნაურს და სამხედრო ოფიცრობას მოიაზრებდა. ჩეკისტებისაგან პროვოცირებული გლეხობის გარკვეული ნაწილი სოფლებში ეწეოდა თავადაზნაურთა ოჯახების დარბევას და აწიოკებას. არ ინდობდნენ არავის, არც ქალს, არც ბავშვს, არც მოხუცს. ხელისუფლების განმარტებით, „თავადაზნაურობა საბჭოთა ხელისუფლების სოციალური დასაყრდენია, ამიტომაც, საბჭოთა ხელისუფლების ამოცანა უნდა გახდეს თავადაზნაურთა პოლიტიკური მნიშვნელობის განადგურება.“ (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, სამსონაძე, ქოქრაშვილი, ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008, 408).

1924 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგებმა კომუნისტურ ხელისუფლებას საშუალება მისცა, აღესრულებინა დასახული მიზანი: მოესპო სოციალური მოწინააღმდეგენი, პირველ რიგში ეს ეხებოდა თავადაზნაურობას, რომელიც ხელისუფლების განუკითხაობისა და სისასტიკის მსხვერპლი შეიქნა.

აჯანყების მონაწილეებს, მათ მომხრეებს, ექვმიტანილებს ხელისუფლება ყოველგვარი გამოძიებისა და გასამართლების გარეშე ხვრეტდა. ანგარიშსწორებას ახორციელებდნენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ შექმნილი სადამსჯელო რაზმები, ე.წ. სამეულები(ტროიკები). ზესტაფონის რკინიგზის სადგურთან საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჩამოაყენეს ექვსი ვაგონი, რომლებიც მანამდე შორაპნის რკინიგზის სადგურზე იდგა. ვაგონები სავსე იყო უდანაშაულო ხალხით, რომლებიც საჩხერეში, შორაპანში, ჭიათურასა და სხვა ახლომდებარე სოფლებში დაეპატიმრებინათ. ხელისუფლება მათ ყოველგვარი დაკითხვისა და გამოძიების გარეშე ექვმიტანილებადა და დამნაშავეებადა აცხადებდა. ჯალათებმა ვაგონებში გამომწყვდეულ ხალხს თითო „ბუხანკა“ პურიც კი დაურიგეს. ეს დატყვევებულებს უსახავდა იმედს, რომ შეიძლებოდა მხოლოდ გადაესახლებინათ, ან ციხეებში გადაეყვანათ. ზესტაფონიდან გასული მატარებელი არგვეთის ხიდთან გააჩერეს, სადაც წინასწარ იყო გათხრილი ორმოები. ჯერ პირველი ვაგონიდან გადმოყვანილი დაპატიმრებულები გაამწყვრივეს ორმოს გასწვრივ და ტყვიამფრქვევით ყველა ჩაცხრილეს. როდესაც მიხვდნენ, რაში იყო საქმე, დანარჩენი ვაგონებიდან გადმოსვლაზე ხალხი უარს ამბობდა. ქუთაისის ჩეკას ხელმძღვანელმა ი.ტალახაძემ, რომელიც უდანაშაულო ხალხის დასჯას თავად ესწრებოდა, გასცა განკარგულება: ყველა დაპატიმრებული ვაგონებშივე ჩაეცხრილათ. მისი ბრძანება უმაღლესად შეასრულეს, რკინიგზაზე მდგარ ხუთივე ვაგონს ტყვიამფრქვევები მიუშვირეს და ვაგონებში მყოფი პატიმრები უკლებლივ ჩაცხრილეს. დახვრეტის შემდეგ ვაგონების კარები გააღეს და დახოცილები ორმოში გადაყარეს. „თხრილი თავისი სიდიდის მიუხედავად, საკმარისი არ აღმოჩნდა და ჩეკისტებს ზევიდან უამრავი მიწის დაყრა მოუწიათ, რათა გვამები მთლიანად დაეფარათ. ეპიდემიების საწინააღმდეგოდ სასაკლავოს მოაყარეს კირი, ხოლო დახოცილებს დაცვა დაუყენეს, რათა ახლობლებს გვამები არ მოეპარათ.“ (ჩაგუნავა, 1991, N16, 3). „ოპერაცია“ გათენებამდე დაასრულეს, ამ „ოპერაციის“ ხელმძღვანელებმა, კერძოდ ტალახაძემ და მშვენიერაძემ, მდინარე ყვირილაში ჩამოირეცხეს უდანაშაულო ადამიანების სისხლში გასვრილი ტანსაცმელი და ჩექმები. მშვენიერაძემ საგანგებო რაზმის მებრძოლებს მიმართა: „აბა, თქვენ იცით,

ბიჭებო! რაც შეიძლება მალე მოაწესრიგეთ აქაურობა, ამა და ამ ადგილას მობრძანდით, იქ გაშლილი სუფრა დაგხვდებათ, რათა ღირსეულად აღვნიშნოთ ჩატარებული „ოპერაცია“. დამსჯელი რაზმის ელიტა მაშინვე წასულა სუფრაზე. საინტერესოა ის, რომ ჩეკისტებს თან წაუღიათ ის პურები, რომლებიც პირველ ვაგონში მყოფ პატიმრებს დარჩათ.“ (ჩაგუნავა, 1991, N16, 3).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ვაგონებში დახვრიტეს 96 ადამიანი, შორაპნის მაზრაში სულ მთლიანობაში-117, ქუთაისის მაზრაში-90, თუმცა ეს არ არის ზუსტი რიცხვი იმ მსხვერპლთა ოდენობისა, რომელიც შეეწირა კომუნისტურ რეპრესიებს დასავლეთ საქართველოში. რეპრესიები გრძელდებოდა. ხელისუფლება ყველა სოფელსა თუ ქალაქში სჯიდა არასაიმედო ადამიანებს.

აჯანყებულთა წინააღმდეგ რეპრესიების დაწყებისთანავე საკავშირო კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელის, სერგო ორჯონიკიძის, სახელზე მოვიდა დეპეშა, რომელიც ეკუთვნოდა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ა. რიკოვს. დეპეშა იუწყებოდა დახვრეტის დაუყოვნებლივ შეწყვეტას. სერგო ორჯონიკიძემ თავის თანამებრძოლებთან მოიწვია თათბირი, სადაც განაცხადა: „ჯერჯერობით ამ დეპეშას ყურადღება არ მივაქციოთ და ენერგიული ზომები გავატაროთ, რათა საქართველო რაც შეიძლება მაქსიმალურად გავწმინდოთ კონტრრევოლუციური უწმინდურობისგანო. ასე რომ, მაშინ, როდესაც სოფ. არგვეთასათან ვაგონებში გამომწყვდეული ადამიანები დახვრიტეს, ა. რიკოვის დეპეშა უკვე დიდხნის მიღებული იყო.“ (ხვედელიძე, 1991, N6, 3).

დღემდე უცნობია, თუ რამდენი ადამიანი დახვრიტეს საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1921-24 წწ. განხორციელებული რეპრესიების დროს. სერგო ორჯონიკიძე 1924 წლის ოქტომბერში საკავშირო კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აცხადებდა: „მივმართეთ მასობრივ დახვრეტებს. იქნებ ცოტა გადავაჭარბეთ, მაგრამ ახლა ამას რაღა ეშველება... ორჯონიკიძე ასახელებს დახვრეტილთა ყალბ რიცხვს (980 კაცი). მას აგრეთვე წამოსცდა და „ნანობს“ კიდევ, რომ საქართველოში მოხდა მასობრივი დახვრეტები. მოსკეს მემამულეთა და

ინტელიგენციის, სამღვდელოებისა და გლეხობის საუკეთესო წარმომადგენლები“ (გამსახურდია, 1991, N33, 2). წლების შემდეგ, როდესაც კომუნისტურმა იდეოლოგიამ დრო მოჰამა და საბჭოთა იმპერიაც დაიშალა, დღის წესრიგში დადგა 1921-1924 წლებში რეპრესირებულთა საკითხი. საქართველოს სახელმწიფო საბჭომ, 1992 წლის 25 მაისის დეკრეტით ისტორიული სამართლიანობა აღადგინა და 1921-1924 წლებში რეპრესირებულთა რეაბილიტაცია განახორციელა. „რეაბილიტირებულად ჩაითვალოს 1921-1924 წლებში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში მონაწილეობისათვის რეპრესირებული ყველა მოქალაქე“. (შევარდნაძე, 1992, N88, 1).

რეპრესიებმა კიდევ ერთხელ გატეხა წელში ქვეყანა, ახალი ტალღა ქართველი ემიგრანტებისა კვლავ მიაწყდა ევროპას. ცარიელდებოდა საქართველო, სისხლისგან იცლებოდა ქართველი ხალხი... კომუნისტური რეჟიმი კი მყარად იკიდებდა ფეხს ჩვენს სამშობლოში.

ძირითადი დასკვნები

1. 1921 წლის თებერვალში რუსეთის ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ განახორციელა ვანდალური პოლიტიკური აქტი, - დაიპყრო საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო, დაამყარა კომუნისტური რეჟიმი, გააუქმა სახელმწიფოს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტები და ქვეყანა კვლავ თავის ნაწილად აქცია. ამდენად, დაწყებული საერთო-სახალხო მღელვარება და აჯანყებები თავისი ხასიათითა და მიზანდასახულებით იყო სამართლიანი და პროგრესული. მითუმეტეს, ქართველი ხალხი უკომპრომისოდ დაუპირისპირდა არა მარტო საკუთარ მტერს, არამედ კაცობრიობის ისტორიაში დამნაშავე, არაჰუმანურ ბოლშევიკურ-ტოტალიტარულ რეჟიმს. ამიტომ ამ ბრძოლაში დამარცხებაც კი ერის დიდი ზნეობრივი გამარჯვება იყო;

2. 1921-1924 წლების ანტირუსული გამოსვლების მიზანს დაკარგული, დამპყრობლისგან ძალით წართმეული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა წარმოადგენდა. ამ ბრძოლაში ჩაბმული ადამიანები ითვალისწინებდნენ და ეყრდნობოდნენ იმ დიდ პოლიტიკურ და სამხედრო გამოცდილებას, რაც ქართველმა ხალხმა საქართველოში რუსეთის ბატონობის 117 წლის მანძილზე მომხდარ აჯანყებებსა თუ პოლიტიკურ მოძრაობაში დააგროვა;

3. ჯერ კიდევ 1918-1920 წლებში გამოჩნდა რუსეთის დამპყრობლური ხასიათი, მისი შეურიგებლობა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი, დიპლომატიური სივერაგე. თუმცა, ფორმალურად, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით მან აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული საზღვრები, მაინც არ წყვეტდა ინსპირაციებს ახალგაზრდა სახელმწიფოს დასასუსტებლად. ის იდგა აფხაზური და ოსური სეპარატიზმის, საქართველო-სომხეთის, საქართველო-ოსმალეთის კონფლიქტების უკან, რუსეთის აგრესიული ინტერესები აშკარად ჩანდა იმ დაუსრულებელი შემოტევებისას, რასაც მონარქისტული თუ ბოლშევიკური ძალები ახორციელებდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ;

4. რუსეთის ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ქვეყნის ოკუპაციისა და ანექსიის შემდეგ საოკუპაციო ჯარი საქართველოდან აღარ გაიყვანა. მორალურად არამტკიცე,

დამშეული და ჩაუცმელი ჯარის მოვლა დაევალა ადგილობრივ მოსახლეობას, რაც მას იმ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში გაუჭირდა. საოკუპაციო ჯარი პირწმინდად ძარცვავდა ხალხს და წინააღმდეგობის შემთხვევაში ფიზიკურ ანგარიშსწორებასაც არ ერიდებოდა. წითელი არმიის ამგვარი ქმედება, რაც კარგადაა ასახული და შემონახული იმდროინდელი საარქივო და სხვა სახის მასალებით, ქართველი ხალხის ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დაწყების საფუძველი გახდა;

5. საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი მძიმედ შეეხო ქართულ ეკლესიასა და მის მსახურთ. დამპყრობლებმა კარგად იცოდნენ, რომ ეს ინსტიტუტი ქვეყნის სულიერი ერთიანობის საყრდენი იყო; ამიტომ დაიწყო ეკლესიათა ძარცვა-ნგრევა და სასულიერო პირთა დევნა-შევიწროება. ქართული ეკლესიის ამგვარი დევნა „ერთმორწმუნე რუსეთს“ არც იმპერიის დროს დაუკლია, ათეისტურმა ბოლშევიზმმა კი მას საბოლოო დარტყმა მიაყენა;

6. 1921 წლის შემოდგომაზე დაიწყო ანტისაბჭოთა გამოსვლა სვანეთში, რომელიც 1922 წელსაც გაგრძელდა. ის გავრცელდა მეზობელ რაჭისა და ლეჩხუმის რეგიონშიც. მებრძოლთა თავდადებას ხელისუფლებამ დიდი სადამსჯელო ძალა დაუპირისპირა და წინააღმდეგობა წელში გატეხა. მიუხედავად მარცხისა, სვანეთის აჯანყება იყო პირველი სახალხო შეიარაღებული გამოსვლა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. სვანების შეუპოვრობა იყო მუხტი შემდგომი აჯანყებებისათვის. ამ აჯანყებამ მთელი საქართველო გამოაფხიზლა და აჩვენა, რომ ქართველი ხალხი არ აპირებდა უსამართლობასთან შეგუებას;

7. 1922 წლის მოვლენებმა - პოლიტიკური მოძრაობის გააქტიურებამ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, ცხადყო, რომ ყველა პარტიისა და პოლიტიკური ძალისათვის სახელმწიფოებრიობა და ერის თავისუფლება ერთნაირად ძვირფასი იყო, თუმცა ისინი ამ იდეის გარშემო ძნელად ახერხებდნენ გაერთიანებას. ამ ფაქტმა, ცალკეულ ძალთა შეუთანხმებლობამ და აზრთა სხვაობამ გამოიწვია 1924 წლის სახალხო აჯანყების სუსტი ორგანიზაცია, საშუალება მისცა „ჩეკას“, წარმატებით ემოქმედა აჯანყების ჩასაშლელად,

საბოლოო მიზნის მიღწევა მხოლოდ გულანთებულ პატრიოტთა თავგანწირვასა და პირად ენთუზიაზმზე იყო დამოკიდებული.

8. 1921-1924 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი და სულისჩამდგმელი იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილი. უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმული, უშიშარი მებრძოლი არაერთხელ გადაურჩა სიკვდილს. ის აჩვენებდა, როგორ უნდა დადგეს პატრიოტი ადამიანი პარტიულ და პირად ინტერესებზე მაღლა, როგორ უნდა წირავდეს თავს ქვეყნის გადასარჩენად. მის მიერ ორგანიზებულმა ხანგრძლივმა პარტიზანულმა ომმა უთანასწორო მოწინააღმდეგესთან, ბრძოლებში გამოვლენილმა სტრატეგიულ-ტაქტიკურმა ნიჭმა, კავკასიური ერთიანობის იდეის მისეულმა ხედვამ და ამ იდეის ხორცშესხმისათვის გაწეულმა მუშაობამ აჩვენა ჩოლოყაშვილის, როგორც ეროვნულ ტრადიციებზე აღზრდილი დიდი მამულიშვილის, მეომრისა და პოლიტიკოსის სახე;

9. ხევსურეთის აჯანყება კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი ხალხის ბრძოლაში ერთ-ერთი გამორჩეული, გმირული ფურცელია. ეს ბრძოლა 1922 წლის აგვისტოში მოხდა და, მიუხედავად კარგი ორგანიზაციისა, მარცხით დასრულდა. აჯანყებამ აჩვენა არა მარტო მეომართა გმირობა და თავგანწირვა, არამედ უბრალო ხალხის ზიზღიც დამპყრობლებისადმი, რეჟიმის სისასტიკე თავისუფლებისმოყვარე ქართველი ერისადმი. აჯანყების დამარცხების შემდეგ უამრავი ხევსური შეეწირა წითელი არმიის შურისძიებას;

10. აჯანყების ორგანიზაციისათვის „სამხედრო ცენტრისა“ და „დამკომის“ გააქტიურებას 1923 წელს „ჩეკას“ რეპრესიების გახშირებაც მოჰყვა. მომავალი აჯანყებისათვის დიდი დარტყმა იყო 1923 წლის 19 მაისს სამხედრო პირთა დახვრეტა, ასევე ემიგრაციიდან აჯანყებაში მონაწილეობისათვის ჩამოსული ნოე ხომერიკის, ვალიკო ჯუღელის, ბენია ჩხიკვიშვილის, აჯანყების ხელმძღვანელ გოგიტა ფაღავასა და გიორგი წინმძღვრიშვილის დაპატიმრება-დახვრეტა. „ჩეკა“ და ქართველი ბოლშევიკები რუსული არმიის დახმარებით ყველაფერს აკეთებდნენ ხალხის გასატეხად, აჯანყებულთა რიგებში დაბნეულობის შესატანად;

11. „ჩეკას“ სადამსჯელო ოპერაციების მასიურმა ხასიათმა აჯანყებულთა ზოგიერთი მეთაურიც დააფრთხო. ისინი აჯანყების წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ძნელი გახდა გამოსვლის ზუსტი თარიღის დადგენაც. თავდაპირველად შერჩეული 17 აგვისტო, შემდეგში 29 აგვისტოდ გადაკეთდა. ეს კი, ტყეში გასული სახალხო ლაშქრისათვის ურთულესი იყო. ლაშქრის დაშლა მის დეზორგანიზაციას გამოიწვევდა, გაჭირდებოდა მისი ხელახალი შეკრება, შეკრებილთა ტყის პირობებში შენახვა კი ურთულესი იყო. „პარიტეტული კომიტეტიც“ ტყეში გავიდა, გაჭირდა მოლაშქრეთა დაკავშირება სამხედრო და საორგანიზაციო კომიტეტებთან. სახალხო ლაშქარი ვერ გაიზარდა, პირიქით, იშლებოდა. „ჩეკამ“ შეძლო, დაგეგმილი 29 აგვისტო ერთი დღით დაეჩქარებინა. 28 აგვისტოს ჭიათურაში დაწყებულმა აჯანყებამ ყველა გეგმა ჩაშალა. ეს გამოსვლა ინსპირირებული იყო საბჭოთა ორგანოების მიერ;

12. აგვისტოს აჯანყება დამარცხდა. მარცხის მიზეზები იყო: ხელმძღვანელთა შეუთანხმებლობა და არასწორი ორგანიზაცია, წინასწარ მოფიქრებული ერთიანი კავკასიური ანტიკომუნისტური გამოსვლის ჩაშლა, რისი ორგანიზებისათვის ამდროინდელ პოლიტიკოსებს არც ეკონომიკური და არც პოლიტიკური რესურსი არ აღმოაჩნდათ; არაორგანიზებული, სტიქიურად შედგენილი სამხედრო ძალა, რომელსაც აკლდა სურსათი, იარაღი, სხვა მატერიალური საშუალებები; გახშირდა „ჩეკას“ ინსპირაციები და სადამსჯელო ოპერაციები, მის მიერ აჯანყებულთა რიგებში დაბნეულობის შეტანა; პატრიოტები შეეჯახნენ ორგანიზებული და იდეურად დამუშავებული საბჭოთა წითელი არმიის წინააღმდეგ მცირე ძალით წარმოებული ბრძოლის სირთულეს... მიუხედავად იმისა, რომ ამ მიზეზთა გამო გამარჯვება თითქმის შეუძლებელი იყო, აჯანყება მაინც მოხდა, რადგან სხვა გზა იმდროინდელი ხელისუფლების სისასტიკემ და ანტიეროვნულმა პოლიტიკამ ქართველ პატრიოტებს, უბრალოდ, არ დაუტოვა. დამარცხების მიუხედავად, ქართველი ხალხის ბრძოლა 1921-1924 წლებში იქცა სამშობლოსთვის თავგანწირვის, ზნეობრივი ფასეულობების დაცვისა და გადარჩენისათვის ბრძოლის უკვდავ მაგალითად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ამირეჯიბი, 1989 - შ. *ამირეჯიბი*, ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი, თბ., გამომცემლობა „მერანი“, 1989 წ.
2. ბენდიანიშვილი, 1980 - ალ. *ბენდიანიშვილი*, ეროვნული საკითხი საქართველოში, თბ., გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980 წ.
3. ბენდიანიშვილი, დაუშვილი, ნათმელაძე, 2012 - ალ. *ბენდიანიშვილი*, ალ. *დაუშვილი*, მ. *ნათმელაძე*, საქართველოს ისტორია, ტ. IV, თბ., გამომცემლობა „პალიტრა“, 2012 წ.
4. ბენდიანიშვილი, დაუშვილი, სამსონაძე, ქოქრაშვილი, ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008 - ალ. *ბენდიანიშვილი*, ალ. *დაუშვილი*, მ. *სამსონაძე*, ხ. *ქოქრაშვილი*, დ. *ჭუმბურიძე*, ო. *ჯანელიძე*, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“, 2008 წ.
5. ბენიძე, 1991 - ვ. *ბენიძე*, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, თბ., გამომცემლობა „ცოდნა“, 1991 წ.
6. ბუბულაშვილი, 2011 - ე. *ბუბულაშვილი*, ანტონ II, თბ., გამომცემლობა „საოჯახო ბიბლიოთეკა“, 2011 წ.
7. გელაშვილი, 2003 - ა. *გელაშვილი*, კახეთის 1812 წლის აჯანყება, თბ., გამომცემლობა „არტანუჯი“, 2003 წ.
8. გოცირიძე, 1997 - გ. *გოცირიძე*, ქართველი საზოგადოება და პირველი მსოფლიო ომი, თელავი, 1997 წ.
9. გრძელიძე, 1992 - რ. *გრძელიძე*, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1992 წ.
10. გრძელიძე, 1995 - რ. *გრძელიძე*, საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი, თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1995 წ.
11. დაუშვილი, 2005 - ალ. *დაუშვილი*, ლორეს პროვოკაცია, N2, 2005 წ.
12. დიუგე, 1994 - რ. *დიუგე*, მოსკოვი და წამებული საქართველო, თბ., გამომცემლობა „ჯისიაი“, 1994 წ.

13. ენდელაძე, 2003 - *თ. ენდელაძე*, საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები, ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში 1921-1925, საკანდიდატო დისერტაციის ხელნაწერი, თბილისი, 2003 წ.
14. ვარდოსანიძე, 2001 - *ს. ვარდოსანიძე*, საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესია 1917-1952, თბ., გამომცემლობა „მეცნიერება“, 2001 წ.
15. ვარდოსანიძე, 2011 - *ს. ვარდოსანიძე*, კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი, თბ., გამომცემლობა „საოჯახო ბიბლიოთეკა“, 2011 წ.
16. ვაჩნაძე, გურული, 2003 - *მ. ვაჩნაძე, ვ. გურული*, რუსეთის ისტორია XX საუკუნე, თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2003 წ.
17. ზალდასტანიშვილი, 1989 - *ს. ზალდასტანიშვილი*, საქართველოს 1924 წლის ამბოხება, თბ., გამომცემლობა „მერანი“, 1989 წ.
18. თოიძე, 1999 - *ლ. თოიძე*, საქართველოს პოლიტიკური ისტორია 1921-1923 წ.წ., თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1999 წ.
19. კარგარეთელი, 1981 - *ალ. კარგარეთელი*, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, პარიზი, 1981 წ.
20. კაჭარავა, 1958 - *ი. კაჭარავა*, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, თბ., გამომცემლობა „საბჭოთა საართველო“, 1958 წ.
21. კირთაძე, 1996 - *ნ. კირთაძე*, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, ქუთაისი, გ. ტაბიძის სახელობის სააქციო საზოგადოება „სტამბის“ საგამომცემლო ცენტრი, 1996 წ.
22. კირთაძე, 1997 - *ნ. კირთაძე*, რა მოხდა?!, თბ., გამომცემლობა „საქართველო“, 1997 წ.
23. კირთაძე, 1998 - *ნ. კირთაძე*, კაენ სად არის ძმა შენი?!, თბ., გამომცემლობა „მერანი“, 1998 წ.
24. ლენინი, 1988 - *ვ. ლენინი*, ტ. 45, თბ., „საქ. ცენტრ. კომიტ. არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი“, 1988 წ.
25. ლიქოკელი, 2006 - *ი. ლიქოკელი*, ხევსურები და ქაქუცა, თბ., გამომცემლობა „არტანუჯი“, 2006 წ.

26. ლომაშვილი, 1997 - *ფ. ლომაშვილი*, საქართველოს ისტორია, XI კლასი, სახელმძღვანელო, თბ., გამომცემლობა „განათლება“, 1997 წ.
27. ლორთქიფანიძე, 1995 - *გრ. ლორთქიფანიძე*, ფიქრები საქართველოზე, თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1995 წ.
28. მგელაძე, 1991 - *ვლ. მგელაძე*, რუსეთის მობრუნება საქართველოში, თბ., გამომცემლობა „ცოდნა“, 1991 წ.
29. ნათმელაძე, დაუშვილი, წენგუაშვილი, ჯაფარიძე, 2008 - *მ. ნათმელაძე, ალ. დაუშვილი, კ. წენგუაშვილი, მ. ჯაფარიძე*, საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი XX საუკუნის 20-იან წლებში, თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“, 2008 წ.
30. ნათმელაძე, დაუშვილი, 2004 - *მ. ნათმელაძე, ალ. დაუშვილი*, საქართველოს უახლესი ისტორია, თბ., „საქ. მეცნ. აკად. ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი“, 2004 წ.
31. როგავა, 2002 - *გ. როგავა*, რელიგია და ეკლესია საქართველოში XIX-XX ს.ს., თბ., გამომცემლობა „პაპირუსი“, 2002 წ.
32. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973 - *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. IV, თბ., გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1973 წ.
33. საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, 1971 - *საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები*, თბ., „საქ. კომ. პარტ. ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი“, 1971 წ.
34. საქართველოს რევკომი, 1963 წ.
35. სამსონაძე, 2001 - *მ. სამსონაძე*, საქართველო 1921-1991 წლებში, თბ., გამომცემლობა „მატიანე“, 2001 წ.
36. საითიძე, 2012 - *გ. საითიძე*, ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი, დოკუმენტური თხრობა, თბ., გამომცემლობა „საოჯახო ბიბლიოთეკა“, 2012 წ.

37. სულხანიშვილი, 1981 - *ალ. სულხანიშვილი*, მოგონებები შეფიცულთა რაზმზე, სან-ფრანცისკო, 1981 წ.
38. სულხანიშვილი, 2007 - *ალ. სულხანიშვილი*, მოგონებები შეფიცულთა რაზმზე, თბ., გამომცემლობა „არტანუჯი“, 2007 წ.
39. ფრონელი, 1896 - *ალ. ფრონელი*, მთიულეთი 1804 წელი, თბ., გამომცემლობა „ქართველ ამხანაგთა სტამბა“, 1896 წ.
40. ფრონელი, 1907 - *ალ. ფრონელი*, ამბოხება კახეთისა, თბ., გამომცემლობა „ქართველ ამხანაგთა სტამბა“, 1907 წ.
41. ქავთარაძე, 2007 - *მ. ქავთარაძე*, ცხოვრების 100 წელი, თბილისი, გ.გ. 2007 წ.
42. ქართული დიპლომატიის ისტორია, 2003 - *ქართული დიპლომატიის ისტორია*, თბ., გამომცემლობა „საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2003 წ.
43. შარაძე, 2004 - *გ. შარაძე*, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. V, თბილისი, გ.გ. 2004 წ.
44. ჩუბინიძე, 1953 - *ვ. ჩუბინიძე*, მოგონება. წიგნი მეორე, პარიზი, 1953 წ.
45. ციციშვილი, 2004 - *გ. ციციშვილი*, სიმართლე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების შესახებ, თბილისი, გ.გ. 2004 წ.
46. ჯავახიშვილი, 1919 - *ი. ჯავახიშვილი*, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, ტიფლისი, „ქართული კლუბის გამომცემლობა“, 1919 წ.
47. ჯავახიშვილი, 1919 - *ი. ჯავახიშვილი*, საქართველოს საზღვრები, ტფილისი, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა“, 1919 წ.
48. ჯანელიძე, 2002 - *ო. ჯანელიძე*, საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია, სადოქტორო დისერტაცია, თბ., გამომცემლობა „მეცნიერება“, 2002 წ.
49. ჭავჭავაძე, 1940 - *ალ. ჭავჭავაძე*, თხზულებანი, თბ., გამომცემლობა „ვედერაცია“, 1940 წ.
50. ჭავჭავაძე, 1956 - *ი. ჭავჭავაძე*, თხზ. ტ. 6, თბ., „საქ. სსრ მეცნ. აკად. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი“, 1956 წ.

51. ჭუმბურიძე, 2003 - დ. *ჭუმბურიძე*, ქართველი ხალხის ეროვნულ განმათავისუფლებელი ბრძოლა XX საუკუნის დასაწყისში, 1918-1921 წლები, თბ., გამომცემლობა „მატიანე“, 2003 წ.
52. ჭუმბურიძე, 2012 - დ. *ჭუმბურიძე*, ისტორიული პორტრეტები. წერილები, თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012 წ.
53. წენგუაშვილი, 2005 - კ. *წენგუაშვილი*, 1921 – 1925 წლების ისტორიის ისტორიოგრაფია, თბ., „საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი“, 2005 წ.

ისტორიული წყაროები

1. დოკუმენტები, 1999 - *დოკუმენტები* 1812 წლის აჯანყების ისტორიისათვის, 1999 წ.
2. საქართველოს პოლიტიკური პარტიების არქივი, 1921 - *საქართველოს პოლიტიკური პარტიების არქივი*, ფონდი 14, აღწ. 1, საქ. 23, 1921 წ.
3. საქართველოს პოლიტიკური პარტიების საისტორიო არქივი, 1922 - *საქართველოს პოლიტიკური პარტიების არქივი*, ფონდი 13, აღწ. 1, საქ. 28, 1922 წ.
4. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, 1921 – (*ს უ ი ც ს ა*), ფონდი 285, აღწ. 1, საქ. 32, 1921 წ.
5. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, 1921 – (*ს უ ი ც ს ა*), ფონდი 285, აღწ. 1, საქ. 37, 1921 წ.
6. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, 1921 – (*ს უ ი ც ს ა*), ფონდი 285, აღწ. 1, საქ. 116, 1921 წ.
7. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, 1923 – (*ს უ ი ც ს ა*), ფონდი 285, აღწ. 1, საქ. 476, 1923 წ.
8. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი 1923 – (*ს უ ი ც ს ა*), ფონდი 285, აღწ. 1, საქ. 480, 1923 წ.

9. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, 1922 – (ს უ ი ც ს ა), ფონდი 285, აღწ. 1, საქ. 581, 1922 წ.
10. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, 1924 – (ს უ ი ც ს ა), ფონდი 285, აღწ. 1, საქ. 811, 1924 წ.
11. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, 1924 – (ს უ ი ც ს ა), ფონდი 285, აღწ. 1, საქ. 1068, 1924 წ.
12. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, 1924 – (ს უ ი ც ს ა), ფონდი 285, აღწ. 1, საქ. 1069, 1924 წ.
13. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, 1924 – (ს უ ი ც ს ა), ფონდი 285, აღწ. 1, საქ. 1070, 1924 წ.
14. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, 1924 – (ს უ ი ც ს ა), ფონდი 285, აღწ. 1, საქ. 1594, 1924 წ.
15. საქართველოს შსს არქივი, 1922- საქართველო შსს არქივი, (II), ფ. N6, ს. N22254, 1922 წ.
16. საქართველოს შსს არქივი, 1924 - საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. N6, ს. N24395, 1924 წ.

პერიოდიკა

1. ამირეჯიბი, 1930 - შ. *ამირეჯიბი*, ქაქუცა ჩოლოყაშვილის დასაფლავების დღეს წარმოთქმული სიტყვა, ჟურნ. „სამშობლო“, პარიზი, N8, 1930 წ.
2. გამსახურდია, 1991 - ზ. *გამსახურდია*, ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N33(53), 19 თებერვალი, 1991 წ.
3. გოგოჭური, ლიქოკელი, 1991 - დ. *გოგოჭური, ი. ლიქოკელი*, ხევსურეთის აჯანყება და ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ჟურნ. „პოლიტიკა“, N1, 1991 წ.
4. ვარძიელი, 1923 - ი. *ვარძიელი*, მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი, გაზ. „კომუნისტი“, N294, 21 დეკემბერი, 1923 წ.
5. სულხანიშვილი, 1989 - ალ. *სულხანიშვილი*, მოგონებები შეფიცულთა რაზმზე, ჟურნ. „ცისკარი“, N10, 1989 წ.
6. სულხანიშვილი, 1989 - ალ. *სულხანიშვილი*, მოგონებები შეფიცულთა რაზმზე, ჟურნ. „ცისკარი“, N11, 1989 წ.
7. სულხანიშვილი, 1990 - ალ. *სულხანიშვილი*, მოგონებები შეფიცულთა რაზმზე, ჟურნ. „ცისკარი“, N1, 1990 წ.
8. სულხანიშვილი, 1990 - ალ. *სულხანიშვილი*, მოგონებები შეფიცულთა რაზმზე, ჟურნ. „ცისკარი“, N2, 1990 წ.
9. მალაქელიძე, 1991 - შ. *მალაქელიძე*, მოგონებანი, ჟურნ. „განთიადი“, N6, ქუთაისი, 1991 წ.
10. შევარდნაძე, 1992 - ე. *შევარდნაძე*, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დეკრეტი, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N88(367), 26 მაისი, 1992 წ.
11. ჩაგუნავა, 1991 - ალ. *ჩაგუნავა*, სისხლიანი დღეები სამტრედიაში, გაზ. „საქართველო“, N16(43), აგვისტო, 1991 წ.
12. ხვედელიძე, 1991 - გ. *ხვედელიძე*, ინტერვიუ შალვა ბერიშვილთან, გაზ. „ერთობა“, N6(1173), 1991 წ.